ნაირა ბეპიევი

გრიგოლ ბაგრატიონი

ცხოვრება და შემოქმედება

ნაირა ბეპიევი

გრიგოლ ბაგრატიონი

ცხოვრება და შემოქმედება

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2006

წიგნში განხილულია ქართული ლიტერატურის გარდამავალი ხანის (XVIII-XIX სს.) რუსეთში მოღვაწე ქართველი მწერლის გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრება და შემოქმედება. მონოგრაფიას ერთვის პოეტის რჩეული ლექსები, რომელთა უმეტესობა პირველად ქვეყნდება.

წიგნი გამოადგება ქართული ლიტერატურის მკვლევართ. ის საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო წრისთვისაც.

რედაქტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **ლ. ბრეგაძე**

სპეც. რედაქტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **ნ. პოპიაშვილი**

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **რ. ბარამიძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **ი. ევგენიძე**

© ნ. ბეპიევი, 2006

გამომცემლობა „უნივერსალი", 2006

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 99940-51-97-0

წინასიტყვაობა

ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე თითქოს პრობლემას აღარ უნდა წარმოადგენდეს რომელიმე მწერლის ლიტერატურის ისტორიაში აქტიურად ჩართვა და მის თხზულებათა მნიშვნელობის თუნდაც შინაარსობრივი და თემატიკური შეფასება-დახასიათება, მით უფრო, მათი პუბლიკაციის საკითხი. მაგრამ არის ერთი მონაკვეთი ქართულ ლიტერატურაში, ე. წ. "გარდამავალი ხანის" სახელწოდებით მონათლული, რომლის წიაღში მოღვაწე ავტორთა მნიშვნელობა-ღირებულება დღემდე სათანადო სისრულით, სიცხადითა და სიღრმით ვერაა მოტანილი არა თუ მკითხველამდე, არამედ სამეცნიერო-ლიტერატურულ წრემდეც.

ამისი ერთი მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ ვერ მოხერხდა ამ პერიოდში მცხოვრებ მწერალთა თუნდაც რჩეული თხზულებების გამოცემა, ან სათანადო ანთოლოგიის შედგენა მაინც, რომელიც დაინტერესებულ მკვლევარსა და მკითხველს შესაძლებლობას მისცემდა გაეაზრებინა აღნიშნული მონაკვეთის მხატვრულ-ესთეტიკური დონე და მისი მნიშვნელობა ქართული ლიტერატურული ცხოვრების მთლიან პროცესში. არადა ეს მოსავლელი და საშური საქმეა.

თვალის გადევნება "გარდამავალი ხანის" მწერლობისადმი სრულფასოვნად ვერ ხერხდება, მიუხედავად იმისა, რომ საკმაო სამუშაოა შესრულებული. ხელთ არ გვაქვს ტექსტები მათი თხზულებებისა... ეს ხანა კი აერთებს ძველსა და ახალ საქართველოს, ქმნის მნიშვნელოვან ხიდს ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ორ ეტაპს შორის.

ქართველთა სათაყვანებელი მეფის ერეკლე II-ის ბადიში და "კალმასობის" ავტორის, უგანათლებულესი იოანე ბატონიშვილის ერთადერთი ძე გრიგოლ ბაგრატიონი (ბატონიშვილი), "გარდამავალი ხანის" ავტორთა პლეადას ეკუთვნის. თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროფ. დ. ჩუბინაშვილის, პროფ. ალ. ხახანაშვილის, სკანდაროვისა და პროფ. ტრ. რუხაძის მიერ გამოქვეყნებულ გრ. ბაგრატიონის შემოქმედების რამდენიმე ნიმუშს, დღემდე ამ მწერლის ნაწერები კრებულების სახით სხვადასხვა მუზეუმების კუთ-

ვნილებაა. მიუხედავად ამისა, გრ. ბაგრატიონის თხზულებათა ჩართვა განხილვის პროცესში ქართველმა მკვლევრებმა კარგა ხანია დაიწყეს. აკად. კ. კეკელიძის, აკად. ალ. ბარამიძის, პროფ. ტრ. რუხაძის, პროფ. გრ. კიკნაძის, ა. აბრამიშვილის, ლ. კეკელიძის და სხვა მკვლევართა ნაშრომებში ფიგურირებს ამ მწერლის სახელი, რაც მისი შემოქმედების საგანგებო ბიოგრაფიული შესწავლის საჭიროებას აპირობებდა და ნაირა ბეპიევის ამ თემაზე ნაშრომის დაწერის მიზანშეწონილებასაც განსაზღვრავდა.

ნაირა ბეპიევი არსებითად პირველი მკვლევარია, რომელმაც მონოგრაფიულად ყველაზე სრულად დაამუშავა გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრება და შემოქმედება. მას საგანგებოდ შეუსწავლია საქართველოსა და რუსეთის მუზეუმებსა და არქივებში დაცული თემასთან დაკავშირებული მდიდარი მასალა. ჩაუტარებია მნიშვნელოვანი ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის სამუშაო, რომლის საფუძველზე გარკვეულია გრ. ბაგრატიონის ცხოვრების საინტერესო საკითხები, დადგენილია ამ პიროვნების ისტორიული სახე, მისი პოლიტიკური სიმპატიები და მოღვაწეობის ძირითადი შინაარსი. ფაქტიურად, ნაირა ბეპიევის ნაშრომი არის გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედების თემატიკური და ჟანრობრივი თვალსაზრისით დახასიათება. იგი ყურადღებას ამახვილებს და აფასებს ამ მწერლის თხზულებათა მხატვრულ მხარეს. წიგნში განხილულია გრიგოლ ბაგრატიონის პატრიოტული ლირიკა და ეპოსი, სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათის ლექსები, გრ. ბაგრატიონი დახასიათებულია, როგორც სამოგზაურო-მემუარული ჟანრის ერთ-ერთი საყურადღებო წარმომადგენელი ჩვენს მწერლობაში. ნ. ბეპიევის კვლევის ობიექტად არის ქცეული ამ მწერლის სატრფიალო-იუმორისტული ჟანრის ქმნილებები. ავტორის ინტერესების სფეროში შემოდის და გარკვეული კუთხით განხილულია გრიგოლ ბაგრატიონის ანბანთქებანი, აკროსტიხები, გამოცანები. წიგნში წარმოჩენილია გრ. ბაგრატიონის, როგორც ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი პირველი შემკრების მნიშვნელობა ჩვენი კულტურის ისტორიის თვალსაზრისით.

ნ. ბეპიევმა შრომატევადი, საჭირო და აუცილებელი სამუშაო შეასრულა. ერთგვარ სისტემაში მოიყვანა დღემდე მონოგრაფიულად შეუსწავლელი გარდამავალი ხანის წარმომადგენელი მწერ-

ლის გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრება და შემოქმედება, გამოავლინა მეცნიერული კვლევის უნარი და გულმოდგინება.

უაღრესად დიდია ამ წიგნის მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ პირველად ქვეყნდება გრიგოლ ბაგრატიონზე ასეთი ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა ასევე ფასეულია გრიგოლის ლექსების გამოცემა, რომელიც მხოლოდ დღეს ხდება მკვლევართა და მკითხველთა ფართო წრისათვის ცნობილი.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი თეზა ევგენიძე

გრიგოლ ბაგრატიონის ბიოგრაფიული და შემოქმედებითი პორტრეტი

ნაირა ბეპიევის ყურადღების საგანი გახდა გარდამავალი ხანის ერთ-ერთი საინტერესო და კოლორიტული ფიგურის, გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრება და შემოქმედება.

გრიგოლ ბაგრატიონი ქართველ მკვლევართა მიერ უყურადღებოდ როდი იყო დატოვებული, მაგრამ მისი ცხოვრების გზისა და შემოქმედების საგანგებოდ შესწავლა არავის გაუხდია თავისი მუშაობის მიზნად. ეს კი გარკვეულ ხარვეზებს ქმნიდა გარდამავალი პერიოდის ქართული მწერლობის სრულყოფილად წარმოჩენის საქმეში. სწორედ ამ ხარვეზის დაძლევა გაიხადა მიზნად ნაირა ბეპიევმა და უნდა მოგახსენოთ, რომ მიზანსაც წარმატებით მიაღწია.

ნ. ბეპიევის მუყაითი შრომის შედეგად, საარქივო, პირველწყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლით საკმაოდ სრულად გამოიკვეთა გრიგოლ ბაგრატიონის ბიოგრაფიული პორტრეტი და მოგვცა მისი შემოქმედების ანგარიშგასაწევი ანალიზი.

მკვლევრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან პირველწყაროთა გამოწვლილვით გაამდიდრა ჩვენი ცოდნა არა მარტო გრიგოლის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით, არამედ, ამასთანავე, უფრო სრულად წარმოსახა გრიგოლის ლიტერატურული და ოჯახური გარემო და, საერთოდ, ეპოქა.

წიგნში კარგადაა წარმოჩენილი გრიგოლის აღზრდის ატმოსფერო, გრიგოლის ბიბლიოფილობა და განსწავლულობა. კარგადაა ნაჩვენები გრიგოლის მძიმე ცხოვრება, ამ მხრივ არაერთი ახალი ცნობაა მიკვლეული, გაანალიზებული.

საგანგებო აღნიშვნასა და მოწონებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ნ. ბეპიევმა დიდი და შედეგიანი მუშაობა ჩაატარა გრიგოლის ხელნაწერთა მემკვიდრეობის შესასწავლად და ბევრი რამ დააზუსტა და გამოავლინა. დაწვრილებითა და ღრმადაა შესწავლილი გრიგოლის ორი ხელნაწერი ანთოლოგია, გამოვლენილია მათი ღირსებები და ურთიერთმიმართება. ამ ანთოლოგიების შესწავლით მიღებული დასკვნები წარმოადგენენ უაღრესად ფასეულ თავისთავად გამოკვლევას. აქ კარგადაა დაზუსტებული და გარკვეული ლიტერატურულ-ისტორიული წყაროები.

წიგნში საკმაო სისრულითაა გაანალიზებული გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედება. როგორც ცნობილია, "დედის თემა" მეტად პოპულარული გახდა XIX და XX საუკუნის ლიტერატურაში, როგორც ჩვენში, ისე რუსეთსა და უცხოეთში. ავტორის მართებული დაკვირვებით, ამ თემას გრიგოლ ბაგრატიონიც იყენებს. საინტერესოა გრიგოლისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ანბანთქებების პარალელები.

საყურადღებოა ისიც, რომ გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედება გააზრებულია ქართული მწერლობის განვითარების მთლიან ასპექტში და ნ. ბეპიევი ხშირად მიმართავს ანალოგიებს რუსთაველთან, ვახტანგ VI, ბარათაშვილთან, ალ. ჭავჭავაძესთან, აკაკისთან და სხვებთან.

ნ. ბეპიევმა ბევრი იმუშავა ხელნაწერებზე. კარგად აქვს შესწავლილი გრიგოლის ხელნაწერი მემკვიდრეობა. ნაშრომში არა მარტო ხაზგასმულია გრიგოლ ბაგრატიონის პატრიოტული ტენდენციები, არამედ თვით ნაშრომი დაწერილია ჯანსაღი ეროვნული გზნებითა და სულისკვეთებით.

აუცილებლად ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მონოგრაფიას თან ერთვის ბატონიშვილის ლექსები, რომელთა უმეტესობა დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. ამ წიგნის გამოქვეყნებით შეივსო ერთი ხარვეზი ქართული მწერლობის ისტორიაში.

ნ. ბეპიევის წიგნი „გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრება და შემოქმედება" დიდი შენაძენია ქართული მეცნიერებისათვის. იგი დახმარებას გაუწევს როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართ, ასევე ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებს.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი რევაზ ბარამიძე

შესავალი

ქართული ლიტერატურის გარდამავალი ხანის მწერლობა ორგანულადაა დაკავშირებული ძველ ქართულ ლიტერატურასთან, ქართულ ეროვნულ ყოფასთან, კულტურასთან. მისი ძირითადი წარმმართველი ემიგრანტული მწერლობა იყო, „რომელიც წარმოგვიდგენდა ქართული ლიტერატურის კანონზომიერი განვითარების ახალ საფეხურს."[1]

რუსეთში ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის შუა წლებიდან ეყრება საფუძველი ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ კერებს, რომლებიც შემდეგ, იქ ჩასულ ქართველთა რიცხვის გაზრდასთან ერთად, მრავლდებიან და ფართოვდებიან. ქართული კერები ჩამოყალიბდა რუსეთისა და უკრაინის მრავალ ქალაქში — მოსკოვში, პეტერბურგში, ასტრახანში, კრემენჩუგში, მირგოროდში, მოზდოკში, ყიზლარში და სხვ.

საქართველო-რუსეთის პოლიტიკურ და კულტურულ სარბიელზე განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს მოსკოვისა და პეტერბურგის ქართულმა კოლონიებმა.

პეტერბურგში ქართული კოლონიების დაარსება-ჩამოყალიბება დაკავშირებულია ვახტანგ მეექვსის სახელთან. ამ კოლონიას საფუძველი ჩაეყარა დიდი ამალით მისი რუსეთში ჩასვლის შემდგომ, სადაც მალევე ფართოდ გაიშალა კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა.

მე-18 და მე-19 საუკუნეების მიჯნაზე ეს კოლონიები ახალი ლიტერატურული ნაკადით ივსება, რაც საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ცვალებადობით იყო გამოწვეული; თურქეთ-სპარსეთის სისხლიანი აგრესიით შევიწროებული საქართველო არაერთგზის ცდილობდა რუსეთთან მეგობრული კავშირის დამყარებას. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მე-15 საუკუნიდან იგზავნებოდნენ რუსეთში ელჩები, რომელთა მიზანი იყო — დაკავშირებოდნენ ერთმორწმუნე რუსეთს, რომლის მფარველობა გადაარჩენდა ქართველებს მუსლიმ მტერთა შემოსევებისაგან, იხსნიდა მათ ფიზიკური განადგურებისაგან. ერეკლე მეფემ საბოლოოდ გადაჭრა ეს საკითხი

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1953, გვ.521.

და ცნობილი 1783 წლის ტრაქტატით საქართველომ რუსეთის მფარველობა მიიღო. 1798 წელს ერეკლე მეორე გარდაიცვალა და სამეფო ტახტზე გიორგი მე-12 ავიდა. მან, პავლე პირველის თანხმობით, დავით გიორგის ძე გამოაცხადა ტახტის მემკვიდრედ. დაირღვა ერეკლე მეორის ანდერძი, რომლის თანახმად, ტახტის მემკვიდრეობა ძმიდან ძმაზე უნდა გადასულიყო. სამეფო კარზე არეულობა დაიწყო. მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა გიორგი მე-12-ის გარდაცვალების (1800 წ.) შემდეგ. ბატონიშვილები ცალკ-ცალკე ცდილობდნენ ტახტის დასაკუთრებას. ამის შემდეგ ისე მოხდა, რომ "იულონი ქართლში გამეფდა, ვახტანგი — არაგვს, მირიანი — მარტყოფს, ფარნაოზი — სურამს, — ამ უკანასკნელს სამეფო ბეჭედიც კი ჰქონდა."[1]

1801 წელს ალექსანდრე მეორემ გამოსცა მანიფესტი და ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთთან შეერთებულად გამოაცხადა. ამის შემდეგ ბატონიშვილებს რუსეთში ვხედავთ.

1801 წლიდან რუსეთში უხდებათ ცხოვრება იოანე, ბაგრატ, მიხეილ ბატონიშვილებს.

რუსეთში არიან 1803 წლიდან ვახტანგ ირაკლის ძე, დავით გიორგის ძე, მალე მათ უერთდებიან იულონ ბატონიშვილი, ფარნაოზ ერეკლეს ძე და სხვები.

1812 წელს რუსეთში გზავნიან გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონს.

რუსეთში ჩასული ბატონიშვილების უმრავლესობას პეტერბურგსა და მოსკოვში უხდება ცხოვრება.

ასე რომ, პეტერბურგის ქართული კოლონია ბატონიშვილებისა და მათი მხლებლების იქ ჩასვლით კიდევ უფრო გაიზარდა. საკმაო ძალა დაგროვდა ამ კოლონიის შემოქმედებითი მუშაობის გაღრმავება-გაფართოებისათვის. ძირითადად ასე შეიქმნა გარდამავალი ხანის ლიტერატურა, რომელიც ძველი და ახალი მწერლობის მიჯნას წარმოადგენს.

რუსეთში ჩასულ ბატონიშვილებს მალევე ულვივდებათ სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილი. ზოგიერთი მათგა-

---

[1] პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1936, გვ. 59.

ნი, როგორც მწერალი, ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოყალიბდა. თბილისის კულტურულ-ლიტერატურული გარემოს კეთილისმყოფელი ზეგავლენა ბევრ მათგანს ემჩნევა: "ბატონიშვილთა ლიტერატურული მემკვიდრეობის შექმნა-ჩამოყალიბების პროცესში დიდი როლი შეუსრულებია თბილისის კულტურულ-ლიტერატურულ გარემოს, თბილისის მწიგნობართა და მეცნიერთა წრეს".[1] დამახასიათებელია, რომ ბატონიშვილთა შემოქმედებითი საქმიანობა რუსეთში ძირითადად მშობლიური ტრადიციების ნიადაგზე ვითარდებოდა. ძველი ქართული მწერლობა იყო ის დიდებული ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა გარდამავალი ხანის მწერლობა.

აღორძინების ხანაშივე ფართოვდება ქართული მწერლობის ტრადიციული თემატიკა, ჩნდება ახალი ლიტერატურული ტენდენციები, მრავალფეროვანი ხდება მწერლობა ჟანრობრივად და ლექსთწყობის სახეებით.

გარდამავალ ხანაში იგრძნობა წინა პერიოდის ლიტერატურულ მიმართულებათა მკვეთრი გავლენა. ამ პერიოდის მწერლობაშიც ჭარბობს ეპოსი, თუმცა ლირიკული ჟანრიც საკმაოდ ნაყოფიერად ვითარდება. ფართოვდება არჩილის, თეიმურაზ II, დავით გურამიშვილის და სხვათა მიერ დამკვიდრებული "მართლის თქმის" პრინციპი. ჩნდება ლექსთწყობის ახალი სახეები, ბატონდება აშუღური პოეზია, მკვიდრდება სასიმღერო ხმები. ხალხური ლექსების კილოზე შექმნეს სიმღერები დავით გურამიშვილმა, ბესიკ გაბაშვილმა, რომელთა მიმბაძველები ამ პერიოდში მრავლად ჩნდებიან.

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ცვალებადობამ სხვა სოციალური ხასიათის ძვრებთან ერთად ქართველ ხალხში გამოიწვია იმედის გაცრუება, უკმაყოფილება, რაც აისახა კიდეც ამ პერიოდის ქართველ მოლვაწეთა ნაწერებში. მათ ლექსებში აშკარაა ნაღვლიანი ტონი, უიმედო განწყობილება, მდგომარეობიდან გამოსავლის ძიების ნაცვლად ისინი გმობენ და უჩივიან გაუტანელ და მუხთალ წუთისოფელს. ცხოვრების უარყოფითი შეფასების ძირითადი საფუძველი პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების შეცვლა იყო.

---

[1] ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, I, თბ., 1961, გვ.165.

ჯერ კიდევ აღორძინების პერიოდის ქართველ პოეტთა ნაწერებში ბატონდება სოფლის მდურვის, სევდა-ჭმუნვის მოტივები, ჯერ კიდევ ამ ხანაში შეინიშნება რომანტიზმის ელემენტები.

რომანტიზმის ელემენტები გარდამავალი ხანის მწერლობამდეც არსებობდა ქართულ ლიტერატურაში. ამაზე მიუთითებენ საგანგებო გამოკვლევებში ა. მეძველია[1], დ. გამეზარდაშვილი,[2] მ. კაკაბაძე[3] და სხვები.

პოლიტიკური ძალაუფლების დაკარგვამ "გამოიწვია იმედის სრული გაცრუება და უკმაყოფილება, რამაც გამოხატულება ჰპოვა ლიტერატურაში რომანტიზმის წინათ ჩასახული ელემენტების განვითარებისა და მომწიფების სახით", — აღნიშნავდა აკად. კ. კეკელიძე.[4]

რომანტიზმის ის ხმები, რომელსაც პირველად ვახტანგის ამალის წევრთა ლექსებში ვხვდებით, უფრო ძლიერად გაისმა ბატონიშვილთა პოეზიაში. ბატონიშვილებმა რომანტიზმი უფრო გააღრმავეს, მეტი ელფერი შემატეს, დახვეწეს. მათ რომანტიზმი გააძლიერეს ისე, რომ "XIX ს. დამდეგის ქართველი ბატონიშვილების პოეზია უკვე განვითარებულ რომანტიზმს წარმოადგენს"[5].

ამ პერიოდში მოღვაწე ქართველმა მწერლებმა გარკვეული საფუძველი მოამზადეს შემდეგი პერიოდის რომანტიკოსთათვის.

რომანტიზმთან ერთად გარდამავალ ხანაში შეინიშნება გარკვეული რეალისტური ელემენტების არსებობაც. მეცხრამეტე საუკუნის პირველ პერიოდს რომანტიზმთან ერთად რეალისტური მიმართულების გარკვეული საწყისებიც განსაზღვრავს.[6]

---

[1] ა. მეძველია, რომანტიზმის მოტივები აღორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაში, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, VII, 1947, გვ. 82.

[2] დ. გამეზარდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, თბ., 1948, გვ. 45.

[3] მ. კაკაბაძე, გარდამავალი პერიოდის პოეზია და ქართული რომანტიზმის საფუძვლები, "ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", III, თბ., 1979, გვ. 7.

[4] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 521.

[5] ლ. მენაბდე, XIX საუკუნის ქართული კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1973, გვ. 7.

[6] ა. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, თბ., 1948, გვ. 10.

წინა პერიოდის მოღვაწეთა "მართლის თქმის" პრინციპი გარკვეული მასაზრდოებელი წყაროა ამ ხანის მწერალთა რეალისტური ტენდენციების არსებობისათვის.

პოლიტიკურად რუსეთთან დაკავშირებამ ერთგვარად გააძლიერა ინტერესი რუსული ლიტერატურის მიმართ, აშკარად შეინიშნება ამ ლიტერატურით გატაცება და მისი გავლენა. თუ მანამდე ქართველთა დაინტერესება ძირითადად ბერძნულ-ბიზანტიური და აღმოსავლური მწერლობით შემოიფარგლებოდა, ახლა ამას რუსული ლიტერატურაც დაემატა. რუსული ლიტერატურის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებდა ილია ჭავჭავაძე: "თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალ-ღონეს შეადგენს, გრძნობას, ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავკარგიანობა, არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან"[1].

რუსული ლიტერატურის მეშვეობით შემოვიდა ჩვენში ევროპული ლიტერატურა, რომლით დაინტერესებაც ამ პერიოდში უფრო გაძლიერდა. "ევროპული ცხოვრების წესით, ევროპული მეცნიერებითა და კულტურით დაინტერესებული ქართველი მოღვაწენი ძირითადად რუსულიდან თარგმნიან ევროპული ლიტერატურის ძეგლებს, რითაც ხელს უწყობენ ევროპული ლიტერატურის გემოვნების დანერგვას"[2].

რუსეთში ყოფნა, რუსეთის ცხოვრება ფართოდ აისახა სამოგზაურო აღწერილობითი ჟანრის თხზულებებში. ზოგიერთ ნაწარმოებში გვხვდება ევროპის სხვადასხვა ადგილის აღწერილობაც.

ამ ეპოქის კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების მაჯისცემა აშკარად შეიგრძნობა გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედებაში. მისი ცხოვრება და შემოქმედება ამ ეპოქის ძვრებთან უშუალო კავშირშია. გრიგოლ ბატონიშვილის ლიტერატურულ შემოქმედებაში შეიმჩნევა,

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, V, თბ., 1962, გვ. 189.

[2] დ. ლაშქარაძე, ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1977, გვ. 162.

ერთი მხრივ, ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციების აშკარა ზეგავლენა, ხოლო, მეორე მხრივ, — საწყისი ეტაპი ახალი ქართული მწერლობისა; მისი შემოქმედების კრიტიკული შესწავლა და ათვისება გვეხმარება თვალი გავადევნოთ ძველი და ახალი ქართული მწერლობის ორგანულ, ლოგიკურ კავშირურთიერთობას.

მართალია, გარდამავალი ხანის მწერლობა ბოლო დროს ყურადღების ცენტრში მოექცა, — დაიწერა ცალკეული გამოკვლევები, შუქი მოეფინა ამ ეპოქის მწერალთა და მოღვაწეთა ცხოვრებასა და შემოქმედებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღემდე შეუსწავლელია გარდამავალი ხანის უმეტეს მწერალთა მემკვიდრეობა.

შეუსწავლელია ემიგრანტული მწერლობის როგორც ცალკეულ წარმომადგენელთა შემოქმედება, ასევე ამ მწერალთა შემოქმედებითი ურთიერთობა სხვა მწერლებთან.

გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრება და შემოქმედება პირველად ტ. რუხაძემ შეისწავლა[1]. მან შუქი მოჰფინა გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრების მრავალ უცნობ მომენტს. გარკვეული შეფასება მისცა მის ნაწერებს, გამოაქვეყნა გრიგოლ ბაგრატიონის რამდენიმე ლექსი. მართალია, ტ. რუხაძეს მონოგრაფიულად არ შეუსწავლია გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედება, მაგრამ ძირითადად სწორად განსაზღვრა მისი როლი ქართული მწერლობის ისტორიაში.

"ვეფხისტყაოსნის" მარგინალიებთან დაკავშირებით ა. აბრამიშვილმა მრავალი საინტერესო ცნობა გამოაქვეყნა გრიგოლ ბაგრატიონისა და მისი ოჯახის წევრთა შესახებ[2].

გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრებასა და შემოქმედებას გამოკვლევა უძღვნა ლ. კეკელიძემ[3], რომელმაც ახლებურად გააშუქა პოეტის შემოქმედების ზოგიერთი საკითხი.

მიუხედავად აღნიშნულისა, გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მრავალი მხარე დღემდე შეუსწავლელია.

---

[1] ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, თბ., 1939, გვ. 145-149; მისივე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ, 1954, გვ. 148-149.

[2] ა. აბრამიშვილი, ლიტერატურული წერილები, თბ., 1968, გვ. 9-18.

[3] ლ. კეკელიძე, გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრება და მოღვაწეობა, "ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები", IV, თბ., 1973, გვ. 16-24.

ჩვენი წიგნი ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად და გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მთლიანობაში გააზრება-შეფასების ცდას წარმოადგენს.

წიგნში ნაჩვენებია მისი ნაწარმოებების ლიტერატურულ-ესთეტიკური ღირებულება მაშინდელი ლიტერატურის მოღვაწეთა ფონზე; წარმოჩენილია ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციების ზეგავლენა, ხოლო, მეორე მხრივ, გამოვლენილია ახალი ქართული მწერლობის მიმდინარეობათა ჩანასახები. აქედან გამომდინარე, განსაზღვრულია მისი ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრების გზა

გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი დაიბადა 1789 წლის 24 იანვარს ქ. თბილისში. მისი საფლავის ქვაზე ვკითხულობთ: “Царевич Грузинский Иоанович внук последного грузинского царя Георгий Иоанович, внук последнего грузинского царя Георгия XIII, родился в 1789 г.“[1] ეს წარწერა, როგორც მასზე მინაწერიდან ირკვევა, გაუკეთებიათ მის შვილებს. ამავე წელს უთითებენ გრიგოლის დაბადების თარიღად აქტები[2], პ. ბუტკოვი[3], პეტერბურგის ნეკროპოლი[4], ტ. რუხაძე[5], ა. აბრამიშვილი[6] და სხვ.

მ. ბროსე, რომელიც პირველი გვაწვდის ცნობას გრიგოლის დაბადების თარიღის შესახებ, გვამცნობს: გრიგოლ ბაგრატიონი 1830 წლის 21 სექტემბერს 41 წლის ასაკში გარდაიცვალაო. ეს ცნობაც იმას ადასტურებს, რომ გრიგოლი დაბადებულა 1789 წელს.

უცილობლად უზუსტობაა პ. იოსელიანის შემდეგ ცნობაში: მეფე გიორგის მიჰგვარეს “თელავსა 8 წლისა მოზრდილი შვილიშვილი მეფისა ძისა იოანესი გრიგორი 12 მარტსა. მომყვანებლად იყო გაგზავნილი თვით მეფისა ძის იოანესაგან, რომელიცა იყო დროთა ამათ არა საჩხერესა თვისსა სიმამრთან ზურაბ წერეთელთან, არამედ იცავდა ქ. თბილისს, — აზნაური გიორგი ფიცხელაური. მაშინ მეფემან ინება და განუახლა ჩამორთმეული ადრევე ერისთავთაგან ქსანზედ ისროლის ხევისა მოურავისა საშვილიშვილოდ ბოძებული ოქმი, 13 აპრილსა, 1798 წელსა, დღესაც აქვსთ

---

1 წარწერა საფლავის ქვიდან გადმოწერილია ჩვენ მიერ.

2 Акты, собранные Кавказской Археографической коммисией, I т., 1866, გვ.200.

3 П. Бутков, Материали для новой историй Кавказа, II , СПБ., 1869, გვ.500.

4 Петербургский некрополь, III, СПБ, 1912, გვ. 118.

5 ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, გვ.99.

6 ა. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

მემკვიდრეთა მისთა"[1]. აქ ორი რამაა საფიქრებელი, ან ოქმი, რომელზედაც ციტატაშია ლაპარაკი, გვიანაა შედგენილი, ის ფაქტი კი, პატარა გრიგოლის მოყვანა გრიგოლ მეთორმეტესთან — მომხდარა ადრე, ან გრიგოლის წლოვანება შეცდომითაა დასახელებული პ. იოსელიანის მიერ, რადგან 1798 წლის მარტში გრიგოლი ცხრა წლისა იქნებოდა და არა რვისა.

გრიგოლისათვის სახელი პაპას, მეფე გიორგი მეთორმეტეს შეურქმევია, "მიმქმელიც" მასვე აურჩევია: "რადგანაც დიდად უყვარდა წიგნი "გრიგორი ნოსელისა", ამისათვის ბრძანა უწოდონ სახელად ახალშობილსა "გრიგორი" და ისურვა, რათა მიმქმელად წმინდისა ემბაზიდამ ექმნას გამალიელი — წინამძღვარი იკორთისა"[2].

გრიგოლის მამა — იოანე ბაგრატიონი (1768-1830) ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია, როგორც მეცნიერი და მწერალი[3]. ის იყო პირველი ქართველი ენციკლოპედისტი. მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომის, "კალმასობის" ავტორი. გრიგოლის დედას, ქეთევან ზურაბ წერეთლის ასულს (გარდაიცვალა 1823წ.), ქართულ მწერლობაში ბიბლიოფილის სახელი აქვს დამკვიდრებული. ბიბლიოფილები ყოფილან ქეთევანის მამა და ძმაც. არა ერთი და ორი წიგნი დაუკვეთავს ქეთევანს გადამწერთათვის.

იოანესა და ქეთევანს ეს ერთადერთი შვილი ჰყოლიათ. გრიგოლის ბავშვობის ამსახველი რაიმე პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება. უეჭველია, დიდი ყურადღებისა და მზრუნველობის ქვეშ იქნებოდა გრიგოლი მოქცეული. რუსეთს მიმავალმა იოანემ "აზნაურთა, მოხელეთ და გლეხთ" ანდერძივით დაუბარა: "ერჩდით ჩემ წილ ბრძანებასა მეფის სძლის ქეთევანისასა და ძისა ჩემისა გრიგოლისასა და მეცა, მადლითა ღვთისათა, მოვიწიო მალედ თქვენდა, აღვსებული წყალობითა მისისა დიდებულებისათა".[4]

---

[1] პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 59.
[2] იქვე, გვ. 59.
[3] იოანე ბაგრატიონი მხატვარიც ყოფილა. იხ. ლ. ქუთათელიძე, იოანე ბაგრატიონი — მხატვარი, "საბჭოთა ხელოვნება", 1940, №12, გვ. 21.
[4] გაბრიელ რატიშვილი, მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა, "ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ", თბ., 1952, გვ. 161-162.

მშობელთა ფართო ერუდიციამ და იმ კულტურულ-ლიტერატურულმა გარემომ, რაც მეფეების – ერეკლე II და გიორგი XII კარზე იქნებოდა, საფიქრებელია, თავისი კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა გრიგოლის აღზრდა-ჩამოყალიბებაზე.

იოანესა და ქეთევანს მრავალი წიგნი უჩუქებიათ გრიგოლისათვის. რაც იმას მოწმობს, რომ მშობლები დიდად ზრუნავდნენ შვილის განათლებულ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის[1]: "რიტორება მეფის ძის იოანესი იყო და თავის ძეს უბოძა გრიგოლს. ეს რიტორება მეფის ძის გრიგოლისაა. ღმერთმან მოახმაროს, ამინ. მეფის ძე გრიგოლ"[2]. – ვკითხულობთ ერთ-ერთ ხელნაწერში. სხვა ხელნაწერი იუწყება: "აქ ეს წიგნი, რომელსაც სახელად "სეილანიანი" ქვიან და ივანე ბატონიშვილის იყო და ახლა თავის ძეს უბოძა, ღმერთმან მშვიდობაში მოახმაროს, ამინ. მეფის ძის ძე გრიგოლ"[3].

1801 წლიდან რუსეთში მყოფი იოანე გრიგოლს იქიდან უგზავნის წიგნებს. იოანესეულ ოთხთავზე ვკითხულობთ: "ჩემო საყვარელო შვილო გრიგოლ! ეს წმინდა სახარება იყოს შენი მფარველი სულით და ხორცით. სეკდენბრის 3, წელსა ჩყვ (1806), პეტერბურგი, მეფის ძე იოანე" (Q №326).

გრიგოლის სწავლა-განათლებას ხელმძღვანელობდნენ იონა ხელაშვილი, დოსითეოზ მღვდელთმთავარი და სხვ. ამის შესახებ თვითონ გრიგოლი გადმოგვცემს:

დოსითეოზ მღვდელთმთავარსა რა მადლობა ვკადრო ამის,
მას მასწავლა ანბანთ წერა, ყმაწვილობის ვიყავ ჟამის,
ბევრი მირტყა უწყალობით, დღე და ღამე მინუტ წამის,
არა ვიცი რა მივართვა, რა მადლობა ვკადრო ამის.

(S №378, 270r)

---

[1] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ხელნაწერების ნომრებს ვუთითებთ ტექსტშივე, საქართველოს გარეთ დაცულ ხელნაწერებს – სქოლიოში.

[2] სანკტ-პეტერბურგის მ.სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, იოანე ბატონიშვილის კოლექცია №292.

[3] სანკტ-პეტერბურგის მ.სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, იოანე ბატონიშვილის კოლექცია №17, ბოლო გვერდზე მინაწერი.

დოსითეოზის მიმართ უსაზღვრო მადლობის გრძნობაა ჩაქსოვილი გრიგოლის სხვა სტრიქონებშიც:

... მასწავლა, წერით მყო განათლებული,
სუფევითმცა არს არქიერი დოსითეოზ[1]
ამისთვის ჩემზე იგი შვრა მასწავლებლად
(S №378, 270r)

ე. ი. პირველდაწყებითი წერა-კითხვა, ანბანთწერა გრიგოლისათვის დოსითეოზ მღვდელმთავარს უსწავლებია.

იოანე იალღუზიძის იამბიკოს (მიძღვნილი ქეთევან ზურაბ წერეთლის ასულის შობის დღისადმი) წინასიტყვაობიდან ირკვევა, რომ გრიგოლის ოსტატი ყოფილა იოანე წილკნელიც (ქარუმიძე)[2]. გრიგოლის აღზრდაში მონაწილეობა მიუღიათ სხვა პირებსაც.

გრიგოლს კარგი განათლება მიუღია, შეუსწავლია უცხო ენები, კერძოდ, არაბული, სპარსული, ფრანგული, ერთ-ერთი ცნობით ირკვევა, რომ მას სომხური ენის შესწავლაც დაუწყია. სანკტ-პეტერბურგში დაცული ერთი ხელნაწერი ასეა დასათაურებული: "თვითმასწავლებელი სომხურისა ენისა, შედგენილი გრიგოლ ბატონიშვილისა და დიმიტრი ხითარიშვილის მიერ". ამ ხელნაწერს გრიგოლ ბატონიშვილის ხელით შემდეგი მინაწერი აქვს: "საყვარელო ჩემო მეგობარო, დიმიტრი ხითარიშვილო, მოწყალეო ხელმწიფევ, გთხოვთ, რომ ამ ქართულ ლაპარაკს ზედ მიაწერო თარგმანები სომხური სიტყვა ქართული წერილით, რომელ მწადს, სომხური ვისწავლო, თუ ვისწავლე სომხური, მერწმუნე, შენი მადლიერი ვიქნები და საოსტატო-

[1] ვფიქრობთ, ესაა დოსითეოზ ჩერქეზიშვილი, ნეკრესის ეპარქიის მნიშვნელოვანი მოღვაწე (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 369-372; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, I, გვ. 323-326).

[2] იოანე ონისიფორნეს ძე ქარუმიძის სახელით მოღწეულია მოხსენება პავლე პირველისადმი და "ვედრებითი" სიტყვა, რომელიც მას წარმოუთქვამს 1802 წლის 2 აპრილს ანანურს, ვახტანგ VI მიერ რუსეთში გატანილი ჯვრის საქართველოში დაბრუნებისას (ლ. მენაბდე, ქართული მწერლობის კერები, I, I, გვ. 230).

საც მოგართმევ, შენი მეგობარი ბატონიშვილი გრიგოლ"[1]. ამ მინაწერით ნათელი ხდება, რომ სალექსიკონო მასალა ქართულ ენაზე გრიგოლს შეუდგენია, სომხური — დიმიტრი ხითარიშვილს.

აქედან ცხადია, რომ გრიგოლს ენების შესწავლის, ცოდნის გაღრმავების სურვილი ბოლომდე გაჰყოლია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არაა სწორი განცხადება: "გრიგოლ ბატონიშვილს ამ დროს (რუსეთში ჩასვლისას ნ. ბ.) რუსული ენა არ სცოდნია"[2]. ამის თაობაზე მოგვეპოვება პირდაპირი ცნობა: «Что касается до отправившегося с ним пристава князя Баратова, то министр внутренных дел не предвидит никакой надобности в том, чтобы он остался в Олонецке, ибо царевич имеет при себе двух служителей и как они, так и он сам, русский язык разумеют.»[3]

გრიგოლი ცოდნას იძენდა მამისეულ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნებით. როგორც ცნობილია, იოანეს მდიდარი წიგნსაცავი ჰქონდა. გრიგოლი ხშირად სარგებლობდა სხვების ხელნაწერი წიგნებითაც. ერთ-ერთ ხელნაწერზე (რომელშიც თეიმურაზ I "ვარდბულბულიანი", "იოსებზილიხანიანი" და სხვა ნაწარმოებებია მოთავსებული) გრიგოლ ბატონიშვილს მიუწერია: "ჩემო ივან იაგორიჩ, ეს წიგნი წავიკითხე, მომირთმევია და ახლა ამილახვარის წიგნი მათხოვე, წავიკითხავ და მოგართმევ"[4].

გრიგოლის წიგნისმოყვარეობა ცნობილი ყოფილა მის ახლობელთა წრეში, იგი კალიგრაფიც ყოფილა, მრავალი ხელნაწერი გადაუწერია. ამიტომ ხელნაწერთა გადამწერები თავიანთ ნალვაწს მას მოკრძალებით უგზავნიდნენ. ეზოპეს ცხოვრებას ("ცხოვრება ეზოპესი") გადამწერის ხელით ასეთი მინაწერი აქვს გაკეთებული: "ბატონიშვილო გრიგოლ, ეს წიგნი თქვენის ხმლისპირის ხელთან

---

[1] სანკტ-პეტერბურგის მ.სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, იოანე ბატონიშვილის კოლექცია №290.

[2] ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, გვ.104.

[3] Центральный государственный исторический архив Петербурга (ЦГИАП), фонд 1263, опис. 1, сд. хр. 26, გვ. 307.

[4] სანკტ-პეტერბურგის მ.სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, იოანე ბატონიშვილის კოლექცია №26, I ყდაზე მინაწერი.

კი არ მოგეწონებათ, პირველი ჩემი ყმაწვილობით დაწერილი ეს არის... უმორჩილესი მოსამსახურე იოელ ალექსეევი"[1].

გრიგოლს გადაუწერია ამბროსი მედიოლანელის თხზულება – ნათარგმნი 1789 წელს გაიოზ არქიმანდრიტის მიერ. გრიგოლს წიგნზე მიუწერია: "სრულვყავ წიგნი ესე ამბროსისა გარდაწერითა მე ცოდვილმან მეფის ძის ძემ გრიგოლ. ფურცელი წიგნისა ამისა არის 132" (S №378, 269v).

ამ ნაშრომის თავსა და ბოლოში გრიგოლს დაურთავს საკუთარი ლექსები (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ), რომლებიც მამისათვის მიუძღვნია. ამ ლექსებიდან ვგებულობთ, რომ იგი ახლოს ყოფილა გაიოზ არქიმანდრიტთან (იმ დროისათვის ასტრახანის ეპისკოპოსთან), რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია, როგორც მწერალი, მთარგმნელი, მწიგნობარი და დიდად განათლებული პიროვნება[2]. გრიგოლი ლოცვა-კურთხევას უგზავნის მას:

"გაიოზ ეპისკოპოზი, ცხონებული ჰყოს ღმერთმან და
სუფევდეს აბრაამთანა, ადიდა თვისმან სვემან და"...
"ნეტარ გაიოზ, ამ წიგნისა მთარგმნელი
არს ნამდვილ ნეტარ, სუფევადცა მიწევნილ".

გაიოზს დაუტოვებია მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც საკუთარ ნაწერებთან ერთად გრიგოლისთვის ჩაუბარებია მოსაწესრიგებლად. გრიგოლს დაუწყია "ფურცლად-ფურცლად" დაქსაქსული ხელნაწერების დალაგება, მაგრამ დიდი მონდომების მიუხედავად, ბოლომდე ვერ გაუსრულებია განზრახული, რადგან გურგენ ნაცვლიშვილი, დისშვილი გაიოზისა, დაჰპატრონებია მთელ ქონებას, ეს წიგნსაცავიც გურგენს დარჩენია, რომელიც შემდეგ, 1822 წელს შეუწირავს ასტრახანის სასულიერო სემინარიისათვის.

---

[1] სანკტ-პეტერბურგის მ.სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, იოანე ბატონიშვილის კოლექცია №58.

[2] გაიოზ რექტორის (ბარათაშვილი-თაყაშვილი) შესახებ იხ: კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 387-390; გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974, გვ. 121-128; მ. დარჩია, გაიოზ რექტორი, თბ., 1972.

გრიგოლ ბაგრატიონი ეცნობოდა შოთა რუსთველის, სულხან-საბა ორბელიანის, თეიმურაზ I, ა. ჭავჭავაძის, ბესიკის და სხვათა ნაწერებს. მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ გრიგოლს "ვეფხისტყაოსნის" ვახტანგისეულ გამოცემაში პოემის 1032-ე სტროფში ჩაუმატებია გამოტოვებული სტრიქონი: "კეტი ჰკრა, ძელი მოსტეხა, ლომს მკლავი არ უდრკებოდა". როგორც ჩანს, ნაკლული სტროფი გრიგოლ ბატონიშვილს შეუვსია რომელიღაც ვრცელი ხელნაწერიდან"[1].

ერთ-ერთ წერილში იონა ხელაშვილი გრიგოლ ბატონიშვილს მიმართავს: "არშიას ზედა წარმომიწერეთ, ფსალმუნის განმარტება მოგერთვა თუ არა, რომელიც მოგართვი" (H №2226, 215v-216v). სხვა წერილიდან ირკვევა, რომ გრიგოლ ბატონიშვილს თვითონ უთხოვია იონა ხელაშვილისათვის ფსალმუნთა განმარტება. იოანეს, მართალია, ეს საძნელო საქმედ მიუჩნევია, მაგრამ მაინც შეუსრულებია და გაუგზავნია გრიგოლისათვის. მოგვაქვს ადგილი ამ წერილიდან:

"უგანათლებულესო მეფის ძის ძეო გრიგორ, ასტრახანით შეთხოვილი ჩემდამო პეტერბუხში განმარტება, აჰა, განგიმარტე უცებმან ძალისაებრ ჩემისა, მიზეზი თქვენ ხართ.

მოიხსენენ, ჩემდამო კამისია, ე. ი. საქმიერება გებრძანათ დიდა ფრიად ძნიად პირდაპირ ძალისა ჩემისა არა მქონან განმარტებანი ფსალმუნებისა, გარნა კეთილსა ნებასა, დაფლობასა, სურვილსა თქუჱნსა დავემორჩილე და ჭელვჰყავ განმარტებად ზეცისა მინდობითარე" (H №2226, 93v).

გრიგოლს არა ერთი და ორი წიგნი შეუძენია და შეუმატებია მამისეული ბიბლიოთეკისათვის: "ახლა მეფის ძის ძის გრიგოლის არის ეს მარხვანი, გიორგი გამომყიდველი ამის ღმერთმა აცხოვნოს. დაშლილი მომყიდა და მე მეფის ძის ძემან ოდეს მოველ ტფილისით ასტრახანს, შევაკვრევინე. თორმეტი რუბლი ასიგნაცია მიეცე ხელფასისათვის ყდით, მეფის ძის ძე გრიგოლ"[2], — იტყობინება ერთ-ერთი ხელნაწერი.

---

[1] ა. აბრამიშვილი, ლიტერატურული წერილები, გვ. 20.

[2] სანკტ-პეტერბურგის მ.სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, იოანე ბატონიშვილის კოლექცია №205.

შეძენილ წიგნებს გრიგოლი უვლიდა და უფრთხილდებოდა, არაერთგზის აღნიშნავს იგი: "დაშლილიყო და შევაკვრევინეო", ანდა "დაშლილი მომყიდა და შევაკვრევინეო".

წიგნი მას უძვირფასეს საჩუქრად მიაჩნდა. "ეს წიგნი კურთხეულს არქიერს გაიოსს იოსებ ქალანთარისათვის უჩუქებია 1806-ში და ხსენებულმა ქალანთარმა, ცხონებულმა, მე მაჩუქა 1820-ში. ესე ევროპიის მოთხრობის წიგნი მეფის ძის გრიგოლისა არის, ღმერთმა შეაჩვენო, ვინც პარვად ხელჰყოს, ღმერთო, აცხონე იოსებ ქალანთარი, გრიგოლ"[1].

წიგნის დიდი სიყვარულით აიხსნება ის მინაწერიც, რომელიც გრიგოლს გაუკეთებია ერთ-ერთ ხელნაწერზე 1824 წელს: "ეს "მარხვანი" გიორგი პაიჭაძემ მომყიდა თხუთმეტ მანეთად, ვინც ეს მომპაროს და ან დროებით მთხოვოს და არღა მომცეს, ან ჩუქებით მოინდომოს ვინმე, გაუწყრეს პირველად ღმერთი და მერე მისნი წმინდანი და მეორეთ მოსვლის დღესა მას საშინელსა ერგოს დგომა თიკანსა თანა და დღესა ამიერ განსვლისა მისისა დაეკვეთოს ხორცი და სისხლი ქრისტესი, ამინ!"[2]

შემონახულია გრიგოლისეული კრებული, სადაც "ძლისპირნი", დავით აღმაშენებლის "გალობანი სინანულისანი" და სხვა მნიშვნელოვანი თხზულებანია მოთავსებული. ხელნაწერს გაკეთებული აქვს მინაწერი ბატონიშვილის ხელით: "ბატონიშვილის გრიგოლისა არის". ამ წიგნს მისი მნიშვნელობის გამო შემდეგი პატრონებიც დიდად უფრთხილდებოდნენ. ამ მხრივ საინტერესოა მინაწერი: "მამაო სოფრომ, შენ გებარებოდეს ეს წიგნი და ჩემი თავი, თუ არ დამიკარგავ, შენ იცი, მამაშვილობას, მომლოდინე ვიქნები, ჯ. მ. იეროდიაკონი ანთიმოს, ჩყობ-ს. აპრილის კც-ს დ (დღესა)"[3].

წიგნებზე მინაწერებით ირკვევა, რომ გრიგოლი ბევრს კითხულობდა ქართულ და რუსულ ენებზე, აინტერესებდა აღმოსავლური (სპარსული) ლიტერატურაც.

---

[1] სანკტ-პეტერბურგის მ.სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, იოანე ბატონიშვილის კოლექცია №285.

[2] ა. აბრამიშვილი, ლიტერატურული წერილები, გვ. 28.

[3] გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი №1290, 1 ყდის v გვერდი.

რუსეთის ცხოვრებამ მის შემოქმედებასაც დააჩნია გარკვეული კვალი. იგი რუსეთის ორი ლაშქრობის მონაწილეა. ლაშქრობის დროს მას მოუხდა ყოფნა გერმანიაში, პრაღაში და სხვა ადგილებში. მის თხზულებებში ამ ქვეყნებში ყოფნისას განცდილ-ნანახია გადმოცემული.

გრიგოლ ბატონიშვილს მისი ნაცნობები იხსენიებენ როგორც კეთილ, სხვათა შემწე ადამიანს: "მწირთა და მსხემთათჳს და მჭდოვანთა "უძვირფასესს უწოდებს მას იონა ხელაშვილი (H №2226, 215v-216v). მისივე თქმით, გრიგოლს "სახიებულ ყოველნი კეთილნი" შესძინა დამბადებელმა.

ერთ-ერთ წერილში, რომელიც გრიგოლისათვის გაუგზავნია მათი ოჯახის დალაქს — გიორგის (იონა ხელაშვილის ძმას), აღნიშნულია გრიგოლის "კეთილთვისებანი". "ხელმწიფეო ჩემო, აჰა, მე უწყი თქუენის კეთილთვისებანი, რომელ არლა გაიხსენებთ ნამყოთა ჩემთა ბრალთა, რომელიც დავაკლდი თქუენს მსახურებასა, ერთ კერძ, სიკვდილითა მეუღლისათა, მეორე მხრივ, ობლებისაგან შებრკოლებითა, ხოლო მესამედ კერძ, ესრედ გავგლახაკდი, რომელსა არლა ძალმიძს ეზოსა შინა გასვლა სიშიშვლისა გამო და სირცხვილისა, ძაძებიც ესე დამებეკა, ეგრეთ საწყალობელად, რომელსაც არლა ძალმიძს გამოცვლა თჳთ და არცალა შვილებთა შემოსა" (H №2226, 216v-217r).

გრიგოლი, მიუხედავად თავისი ეკონომიკური გაჭირვებისა, ისე დიდსულოვნად დახმარებია გიორგი დალაქს, რომ იონა ხელაშვილის მადლობაც დაუმსახურებია: "უგანათლებულესო მეფის ძის ძეო გრიგორი, უმოწყალესო ჩემო, აჰა, ესერა ძმა ჩემი გიორგი დიდ ფრიად გმადლობს და მეცა უფრიადესად შეწყნარებისათვის ამისსა" (H №2226, 216v).

იონა გრიგოლს აქებს არამარტო როგორც პოეტს, არამედ როგორც ნამდვილი ადამიანური ღირსებებით დაჯილდოებულ ადამიანს: "უძვირფასეს მანდ მოსრულთათვის ბრძანდებით არათუ ლექსებითა სიტყვიერებისათა ცალიერ განხმელითა, არამედ საქმეებითა და წარსაგებლებითა და შეწყნარებითა და გამოზრდითა და დავანებითა მწირთა, მსხემთა და მკდოვანთა" (H №2226, 215v).

გრიგოლს ახასიათებს "სიყვარული ღვთისა და კაცთა და კეთილისმსახურება და პატიოსნება მზისა ქუეშე... ხოლო ზენა სო-

ფელსა შინა დღითიდღე დაუნჯება სიმდიდრისა, რომელსა მპარავ ვერ მიეხების და მღილნი და ხრწნილება და ვერცაღა საფლავ დაფარავს და დაადუმებს" (H №2226, 215v).

"საღმრთოსა ჰსჯულსა მწურთნელ თანა მყოლსა" უწოდებს გრიგოლს პეტრე ლარაძე ლექსში "ერნო აქებდეთ ძნობით გრიგოლსა" (H 2130, 17 r – 17 v). სხვა ლექსებშიც პეტრე ლოცვა-კურთხევას ალუვლენს გრიგოლს.

თან გემფარველოს ჯვარი იესო
და დიდი იგი ღმერთ მამაკაცის შვილი,
ნათლისმცემელთ გუნდ მოციქულთ შეყრილი,
და წმინდათ დასნი, სადა ვინ სისხლ დალვრილნი,
წელმრავალ დროთა გცენ სვე-შვება ღიმილის

(H №155, 143 r)

"ღმობილსა" და "სჯულით ალმკებარს" უწოდებს პეტრე ლარაძე გრიგოლს.

ასე სრულყოფილ პიროვნებად წარმოგვიდგენენ გრიგოლს მისი თანამედროვენი.

1812 წლიდან გრიგოლ ბაგრატიონი რუსეთშია. ეს კი ასე მოხდა.

რუსეთთან საქართველოს შეერთების პირველმა წლებმა უმტკივნეულოდ არ ჩაიარა. "ქართველმა ხალხმა მალე იგემა ცარიზმის პოლიტიკის სუსხი"[1]. იფეთქა აჯანყებებმა. 1812 წელს აჯანყდნენ კახელები. ამ აჯანყებაში გრიგოლ ბატონიშვილიც მონაწილეობდა, აჯანყებულები არ გამორიცხავდნენ რუსეთთან კავშირს, თუმცა რუსეთის მეფის კარის მოხელეების საქმიანობა ალაშფოთებდათ. მოვუსმინოთ კახეთის აჯანყების ერთ-ერთ უფროსს (კოწო ოხანოვს), რომელიც აჯანყებულთა აზრსაც გამოხატავდა: "ჩვენ რუსის მეფის მფარველობას ვეძიებდით და ღმერთმა იგი გვიწყალობა, მაგრამ მის მსახურთა უსამართლობამ სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო"[2].

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 915.

[2] ა. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 250.

აჯანყებულები იმ უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდნენ, რასაც მეფის მოხელეები სჩადიოდნენ. აჯანყებულმა კახელებმა გრიგოლი მეფედაც აირჩიეს. მეტად ხანმოკლე იყო გრიგოლის მეფობა, ერთდღიანი.

კახეთის აჯანყება დამარცხდა. გრიგოლ ბაგრატიონი მალე ზაზა ზურაბიშვილის[1] რჩევით მარკიზ პაულუჩითან გამოცხადდა. პაულუჩმა იგი რუსეთში გააგზავნა. თავისი ბიოგრაფიის ამ მომენტს გრიგოლი დაწვრილებით გადმოგვცემს ლექსში "სალბუნად გულისა". გრიგოლი ჯერ ქ. ოლონეცკშია, შემდეგ კი პეტროზავოდსკში.

რუსეთში წასვლისას გრიგოლს თან ახლეს ხერსონის გრენადერთა პოლკის "პოდპორუჩიკი კნიაზი ბებუთოვი და პროპორშჩიკი კნიაზი ბარათოვი"[2].

რუსეთში მიმავალ პოეტს გულს უკლავს ის გარემოება, რომ სვეგამწარებული დედამისი უნუგეშოდ და მარტოდმარტო რჩება (მამამისი იოანე ხომ კარგა ხანია რუსეთში იმყოფებოდა). იგი გულთბილი სტრიქონებით იგონებს დედის ცხოველ სიყვარულს და სინანულის გრძნობა ეუფლება იმის გახსენებისას, რომ მისი წასვლა დედის სათუთ გულს შეაწუხებს ("მსმენნო სალბუნი..."):

"დედისა გული შემტრფოდა, ვით ჰქონდა ჭირნახულია,
ღმერთს მავედრებდა ნიადაგ ლაწვზედა ცრემლდასხმულია,
ჩემზედა ჰქონდა გონება და გული შეწირულია.
მას ჟამსა ქარმან ბორბალმან დაჰქროლა მასვე არესა,
ვსთქვი ჟამი ესე დედასა მიმიცემს დღესა მწარესა"

(H №2130, 45v).

ქეთევანს მართლაც მწარედ განუცდია ერთადერთ შვილთან განშორება; მისი იმედი და ნუგეში ისღა იყო, რომ მასზედა ჰქონდა "გული შეწირულია" და ისიც მოსწყვიტეს გულიდან. მწუხარებისაგან შეძრწუნებული ქეთევანი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილა, რასაც მისი მეგობარი პოეტი ქალი — სოფიო გადმოგვცემს ლექსში "ცხოვრება წმინდა ნინოსი", რომელიც თვით "ქეთევანს

---

[1] ზაზა ზურაბიშვილი, იგივე ზაზა ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი).
[2] ЦГИА П, ф. 1263, оп. 1, ед. хр. 26, გვ-149.

მოუგონებია". სოფიო ხედავს ქეთევანს უნუგეშო მდგომარეობაში მყოფს, მეუღლისა და შვილის გზაზე მაცქერალს და წმინდა ნინოს სთხოვს მის შეწევნას:

"წმიდაო ნინა, მიხედე
ასულსა წერეთლისასა...
სახელად თვისად ჰყვანდა მას
მე ერთი მხოლოდ შობილი.
აწ სიშორითა მისითა,
არის გულსახვარსობილი,
და დაუცხრომლად გავედრებს,
მარადის ცრემლით ლტობილი,
მსწრაფლ მოაქციენ ქართლადვე
არ იქმნენ გზა გაგრძობილი".[1]

მაგრამ ქეთევანის მეუღლე და შვილი "ქართლადვე" ველარ დაბრუნდნენ. პეტროზავოდსკში გრიგოლმა ერთი წელი გაატარა. მალე იგი თვითონვე აცხადებს რუსეთის სამსახურში შესვლის სურვილს[2], რაც კიდეც დაუკმაყოფილებიათ და გაუგზავნიათ იგი ლეიბგვარდიის კაზაკთა პოლკში. ამის შემდეგ ის ცხოვრობს და მოღვაწეობს ძირითადად ასტრახანში, თუმცა დროდადრო რუსეთის სხვა მრავალ ქალაქში უხდება ცხოვრება.

გრიგოლი ხანდახან საქართველოშიც ჩამოდის. 1824 წელსაც ჩამოსულა იგი სამშობლოში და კიდეც დაოჯახებულა (35 წლის ასაკში). მას ცოლად შეურთავს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორის, სტატ-სოვეტნიკის – თევდორე ბუკრინსკის ასული – ბარბარე ბუკრინსკაია (14 წლის), რომელიც დაიბადა ქ. თბილისში 1810 წლის 10 დეკემბერს[3]. დაოჯახების შესახებ თვითონ გრიგოლი შემდეგ ცნობებს გვაწვდის: "ვიყავ ათას რვაას ოცდაოთხში საქართველოში... ამავე წელს ჯვარი დავიწერე დირექტორის ქალზე, რომელსა სახელად ეწოდების ბარბარე. ტფი-

---

[1] ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 154.
[2] ЦГИА П, ф.1263, оп. 1, д. 514,გვ. 1007.
[3] Петербургский Некрополь, т. III, გვ. 118.

ლისში დავიწერე ჯვარი გარეთუბანს, ეფრემ მღვდელმა დამწერა ჯვარი სამების საყდარში იანვრის 21 წელსა 1824, ამავე წელს, დეკემბრის 28 მამც(ა) ღმერთმან ძე დავით. დაიბადა დღესა აღდგომისასა, კვირიაკესა, შუადღის მეთორმეტე საათზედ, გრიგოლ"[1] (თუმცა შესაძლოა, აქ უზუსტობას ჰქონდეს ადგილი, რადგან დეკემბერში ქრისტიანული ეორტალოგიით აღდგომას არ აღინიშნება. ნ.ბ.).

გრიგოლსა და ბარბარეს შესძენიათ ოთხი შვილი, ორი ვაჟი და ორი ქალი: დავითი, ივანე, ქეთევანი და ეკატერინე. დედ-მამის სიყვარულით გრიგოლს შვილებისათვის ორივეს სახელი დაურქმევია.

შვილების დაბადების თარიღებს გრიგოლი თვითონვე გვაწვდის: "გრიგოლ ბატონიშვილის ძე ივანე დაიბადა წელსა 1826, თიბათვის 24 დღესა, ორშაბათს, ღამის 12 საათზე, ნათლისმცემლის დღესა, იმისმა მადლმა გაზარდოს, ამინ"[2].

"გრიგოლ ბატონიშვილის ქალი ქეთევან დაიბადა მარიამობის თვის 16-სა, წელსა 1828, ღმერთმან გაზარდოს, ამინ"[3].

სულ უმცროსი ქალიშვილი — ეკატერინე 1829 ან 1830 წელს უნდა იყოს დაბადებული. 1828 წლამდე რომ მას სამი შვილი ჰყოლია, ვიგებთ იონა ხელაშვილის მიერ (1828 წელს) გრიგოლისადმი გაგზავნილი წერილიდანაც. იგი ლოცავს გრიგოლს, — „მეუღლესა, სამი და-ძეთა შობით" (H №2226, 215v).

ქართული კულტურის ისტორიაში საკმაოდაა ცნობილი ივანე გრუზინსკი (1825-1880 წწ.). ივანე აღიზარდა პაჟთა კორპუსში, რომელიც 1847 წელს დაამთავრა. იყო კამერ-პაჟი, მსახურობდა ლეიბ-გვარდიის კავალერიათა პოლკში. ცოლად ჰყოლია გრაფინია პალენი, ცხოვრობდა რამდენიმე წელს ქ. ჟენევაში, შემდეგ კვლავ პეტერბურგში. იგი 1880 წლის 15 სექტემბერს გარდაცვლილა.

ივანე გრუზინსკი ახლოს იცნობდა ა. გერცენს და მის ოჯახს. ა. გერცენს გარკვეულწილად დახმარებაც აღმოუჩენია მისთვის ქ. ჟენევაში ვილის შეძენაში. არის აზრი, რომ ივანესაც გარკვეული

---

[1] ა. აბრამიშვილი, ლიტერატურული წერილები, გვ. 29.
[2] იქვე, გვ. 29.
[3] იქვე, გვ. 26.

მატერიალური დახმარება გაუწევია გერცენის ჟურნალისათვის ("Колокол").[1]

ივანე გრუზინსკის შესახებ ა. ცაგარელი გვაცნობებს: "მას ძალიან უყვარდა ქართული ხელნაწერებისა და მხატვრული ძეგლების მდიდარი ფონდი, რომელიც მან მემკვიდრეობით მიიღო და თვითონაც შესამჩნევად გაამდიდრა"[2].

ივანე გრუზინსკიმ იოანესეული ბიბლიოთეკა 1880 წელს გადასცა პეტერბურგის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას.

ივანე გრიგოლის ძეს მიუძღვნა პ. იოსელიანმა თავისი ცნობილი მონოგრაფია "ცხოვრება გიორგი მეცამეტისა". პ. იოსელიანს ჯერ განზრახული ჰქონია თვით იოანესათვის გაეგზავნა შრომა, მაგრამ შემდეგ გადაუფიქრებია, მ. ბროსესათვის გაუგზავნია და უთხოვია: "გთხოვ, განიხილო და მერედ გადასცეთ უგანათლებულესს იოანე გრუზინსკის"[3]. წიგნზე კი მიუწერია: "მათს უგანათლებულესობას მეფისა გიორგი XIII ძის იოანეს ძის ძეს იოანე გრიგორის ძეს გრუზინსკის... მეფე გიორგი XIII იყო პაპისა თქუენისა მამა, ამისთვის თქუენ, ვ[ითარც]ა უფროსსა პირმშოსა სახლისა მისისა შთამომავალსა და მემკვიდრესა, — გიძღვნი ცხოვრებასა ამას მისსა"[4].

გრიგოლის ქალიშვილი — ქეთევანი ცოლად ჰყავდა სუმბათაშვილს და ცხოვრობდა თბილისში.

1883 წლის ერთ-ერთი კრებული, რომელიც შედგენილია ვ. კარბელაშვილის მიერ, იხსენებს გრიგოლის უფროს ვაჟს, დავით გრუზინსკის, რომელიც, როგორც ჩანს, 1883 წელს ისევ ცოცხალია. სხვადასხვა სახის "ცნობები (სვიმონ ტაბიძეზე, ბაგრატ ბატონიშვილზე, ალექსანდრე ნეველის ლავრაზე და სხვა) მიბრძანა დავით ბაგრატიონ-გრუზინსკიმ 1883 წ." (A №1278, 8 v).

გრიგოლის ოჯახი ასტრახანში დიდ სივიწროვეს განიცდის. რუსეთში ჩასვლისას გრიგოლს 1812 წლის 18 ივნისიდან დაენიშნა

---

[1] Л, Абрамишвили, Герцен и Иван Грузинский Багратиони, «Литературная Грузия,» 1962, 8, გვ. 91-92.

[2] А. Цагарели,. Сведения о помятниках грузинской письменности, вып. 1, СПБ, 1886, გვ. XI.

[3] პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 281.

[4] იქვე, გვ. 284-286.

სამი ათასი მანეთი წელიწადში[1]. ეს შემოსავალი მისი ოჯახის მინიმალურ მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებდა. გრიგოლის ოჯახი ასტრახანში დაქირავებულ სახლში ცხოვრობდა და დანიშნული 3 000 მანეთის გარდა არავითარი შემოსავალი არ ჰქონდა. პეტერბურგის ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული ერთ-ერთი ცნობის მიხედვით: გრიგოლის ოჯახი განიცდის უკიდურეს სიღატაკეს. არ გააჩნია არავითარი საშუალება თავისი ორი მცირეწლოვანი ვაჟის გასაზრდელად[2].

გაჭირვება უფრო გაიზრდებოდა, როცა ორ წელიწადში კიდევ ორი ბავშვი მიემატა მის ოჯახს. ამიტომაა, რომ გრიგოლის ოჯახის ეკონომიკური სივიწროვის შესახებ შედგენილი მოხსენებითი ბარათები საკმაოდაა წარდგენილი სახელმწიფო დეპარტამენტში.

1827 წელს გრიგოლისათვის კიდევ დაუმატებიათ სამიათასი მანეთი, რაც ოდნავ შელავათს თუ მისცემდა მის უნუგეშო მატერიალურ ყოფას. გაჭირვების მიუხედავად, გრიგოლს ვალის აღება და სესხით სხვათა შეწუხება არ ახასიათებდა. იონა ხელაშვილი ასე მიმართავს მას: "მხოლოდ ნაქონებისა შემოსავლითა ცხოვრება თქუენი, რომელთაცა კმაყოფილებთ, რომელსა გსძაგთ ვასხისა მიღება და მით ცხოველეობა" (H №2226, 125 v).

გრიგოლს, როგორც მამისეული ქონების ერთადერთ მემკვიდრეს, არაერთხელ უცნობებია თავისი გაჭირვება იოანესათვის და დახმარება უთხოვია. იოანეს შვილთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა. ჰქონდა საკუთარი სახლი, დავითისაგან (ძმისგან) დატოვებული თანხა[3], იგი სახელმწიფოსაგან მეტ დახმარებას იღებდა, ვიდრე გრიგოლი. მაგრამ არც მისი მდგომარეობა იყო სახარბიელო. არაერთხელ უთხოვია იოანეს სახელმწიფოსათვის ერთდროული დახმარება. გარდაცვალებისას მას არავითარი თანხა არ დაუტოვებია[4]. დასამარხი ხარჯი სახელმწიფოს გაუღია. ასეთ შემთხვევაში იოანე ისედაც დიდად ვერ დაეხმარებოდა ვაჟს, ხოლო ბოლო წლებში გრიგოლს შემოსწყრა და საერთოდ უარი განაცხა-

---

[1] ЦГИА П, ф. 1263, оп. 1, д. 514, გვ. 1007.
[2] იქვე, გვ. 1009.
[3] იქვე, გვ. 1007.
[4] ЦГИА П, ф. 1409, оп. 2, д. 521, გვ. 2.

და მისთვის ქონების მემკვიდრეობით გადაცემაზე. ერთ-ერთ საბუთში ამის შესახებ ვკითხულობთ: მისი მამა (იოანე — ნ. ბ.) მასზე უმიზეზოდ გამწყრალი, ცდილობს თავისი ქონება დაუმტკიცოს თავის გერს ოსიპ ივანეს ძეს[1].

მამის გულგრილობა გრიგოლს ადრევე შეუმჩნევია. ერთ-ერთ ლექსში გრიგოლი მამას მიმართავს: "აწ რას მიბრძანებ, არ ვიცი, მე, თქვენსა მორჩილებულსაო."

იოანეს გაწყრომის მიზეზი არ სცოდნია გრიგოლს. ეს მისი ლექსებიდანაც ჩანს:

"რა შეგცოდე, რა გეწყინა, ამაზე ვწუხ უცებებით,
შემცოდესა დაუდებენ დანაშაულს მიზეზებით.
პირველ ჰბრძანე, მერმე ჰრისხდი,
მეც შევიქმნე მცირის შვებით"

(S №378, 27 r)[2]

სიცოცხლის ბოლო წლებიც გაჭირვებაში გაუტარებია გრიგოლს. 1829 წლის ბოლოს გრიგოლის მეუღლე მთავრობისაგან თხოულობს დახმარებას[3]. 1830 წლის მაისში მისი თხოვნის საპასუხოდ უცნობებიათ, რომ მას არ მიეცემა დახმარება იმ მოტივით, რომ იგი არ ეკუთვნის წარმოშობით სამეფო გვარეულობას.

ცხოვრების გასაუმჯობესებლად გრიგოლს ყველა გზა მოეჭრა: არც მამის მემკვიდრეობა, არც მთავრობის დახმარება. ასე უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი პოეტი აცხადებს:

“... სიცოცხლე მჭირს მეტად მწარის”, “პურსა ვთხოვ ჩემსა ციერსაო”.[4]

როგორც ჩანს, ცხოვრების ბოლო წლებში იგი თავს შეუძლოდ გრძნობდა. 1830 წლის 22 ივლისს იონა ხელაშვილისადმი გაგზავნილ წერილში წერს: “ცოტა შეუძლოდ გახლავარო” (S №388, 26 v). 1830 წლის სექტემბერში იგი გაციებულა და მალევე გარ-

---

[1] ЦГИА П, ф. 1263, оп 1, д. 514, გვ. 1006.

[2] ლექსი გამოქვეყნებულია, იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, გვ. 516.

[3] ЦГИАП, ф. 1284, оп. 14, д.70, გვ. 2.

[4] თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, გვ. 517.

დაცვლილა. ერთი ცნობის მიხედვით: "Сын грузинского царевича Иоанна, Астраханского казачьего войска подполковник князь Григорий Грузинский, прибывший сюда для приведения в порядок дел родителя его, после восьмидневной простудной болезни, скончался здесь 22-го сентября.»[1]

გრიგოლი დაკრძალული ყოფილა ალექსანდრე ნეველის ლავრაში, იქიდან მისი ნეშტი გადაუსვენებიათ იმავე ლავრაში არსებულ წმ. ლაზარეს სახელობის სამარხში (დახურულ შენობაში). ერთი საფლავის ქვა ჰფარავს მას და მის მეუღლეს[2], რომელიც გარდაცვლილა პეტერბურგში 1875 წელს, 29 ნოემბერს. იქვე, ზემოთ, გრიგოლის მამის, იოანეს საფლავია.

როგორც ჩანს, გრიგოლის ოჯახს მისი გარდაცვალების შემდეგაც უჭირდა, თუმცა ობლებს, შეძლებისდაგვარად, ეხმარებოდნენ ახლობლები. მათ ცოტაოდენი მემკვიდრეობაც რგებიათ. 1838 წლის ერთ-ერთ ხელნაწერში ვკითხულობთ: "ჩვენ, მეფის გიორგის ძეთა, მეფის ძე ბაგრატს, თეიმურაზს, მიხაილს, ილიას, ოქროპირს, ირაკლის და ჩვენი ძმის იოვანეს შვილიშვილებს, გრიგოლის ობლებს, დაგვრჩა ჩვენი საკუთარი მამული და მემკვიდრეობით თავის საყოფელი ქარვასნრა, საქართველოში, ტფილისის ქალაქში მახლობელი სიონის სობორისა მდგომარე" (S №1759, 18 v). შემოსავლის ნაწილს გრიგოლის ობლებსაც უგზავნიდნენ.

ასე ძნელი და რთული ცხოვრების გზა ხვდა წილად გრიგოლ ბაგრატიონს.

მიუხედავად ამისა, მას მაინც უპოვია დრო შემოქმედებითი მუშაობისათვის და არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი ნაწარმოები შეუმატებია ქართული ლიტერატურისათვის.

---

[1] ЦГИАП, ф. 1409, оп. 2, д.532, გვ. 18.

[2] Петербургский некрополь, 1, გვ. 118.

გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედება

გარდამავალი ხანის მწერლობაში შეინიშნება ძირითადად ოთხი ტენდენცია:

1. აღმოსავლური მოტივები მკრთალად, მაგრამ მაინც განაგრძობენ არსებობას[1].
2. შეინიშნება კლასიცისტური მწერლობისათვის დამახასიათებელი ელემენტები და მოტივები[2].
3. განვითარდა და დაიხვეწა რომანტიზმის წინათ ჩასახული ელემენტები[3].
4. ამ პერიოდში აშკარად იჩინა თავი რეალისტურმა ტენდენციებმა (არჩილ მეფის, თეიმურაზ I, დავით გურამიშვილის მიერ დამკვიდრებული "მართლის თქმის" საფუძველზე). ქართული რომანტიზმი რეალური ცხოვრების ნიადაგზეა წარმოქმნილი. მას რეალიზმთან "ისეთი სპეციფიკური მხარეც აკავშირებდა, რომელიც სხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი არ ყოფილა — პატრიოტული მოტივი, გულისტკივილი სამშობლოს ხვედრის გამო"[4].

ეპოქის ლიტერატურული ცხოვრების მაჯისცემა აშკარად იგრძნობა გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედებაშიც. მან, მიუხედავად რთული, სიძნელეებით აღსავსე ცხოვრების გზისა, მრავლად დაგვიტოვა სამშობლოსა თუ სიყვარულის თემაზე შექმნილი ლექსები და პოემები, პროზაული ნაწარმოებები, დიდი რუდუნებით შედგენილი ხელნაწერი ანთოლოგიები.

---

[1] მ. კაკაბაძე, გარდამავალი ხანის პოეზია და ქართული რომანტიზმის საფუძვლები, "ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", III, გვ. 3.

[2] დ. ლაშქარაძე, ევროპეიზმი ქართულ ლიტერატურაში, გვ. 162.

[3] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 521.

[4] შ. საკაძე, ლიტერატურული მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხი ჟურნალ "ივერიაში". წიგნში: "ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები", III, თბ., 1979, გვ. 125.

ხელნაწერი მემკვიდრეობა. გრიგოლ ბაგრატიონის ხელნაწერი მემკვიდრეობა ძირითადად დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილებაში, მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში და სხვა სიძველეთსაცავებში.

უნდა აღინიშნოს, რომ გრიგოლ ბაგრატიონის ნაწარმოებები ძირითადად ავტოგრაფული სახითაა ჩვენამდე მოღწეული. რომ არა მის მიერ შედგენილი კრებულები, გრიგოლ ბაგრატიონის მხოლოდ შვიდიოდე ლექსი თუ შემოგვენახებოდა სხვა ხელნაწერთა წყალობით.

გრიგოლ ბაგრატიონის ავტოგრაფული ხელნაწერებია: საქართველოს მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H №2130 კრებული, პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში ერთ-ერთ ბეჭდურ წიგნთან შეკინძული მცირე ზომის კრებული და H №2178 ხელნაწერი — "მოგზაურობა პეტერბურგიდან ვილნომდე" (ამ ხელნაწერზე დაწვრილებით ქვემოთ).

კიდეებშემოცვეთილი, დასვრილი, ნაკლოვანი სახითაა ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი E №79 (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი), რომელიც ასევე გრიგოლ ბაგრატიონის ხელითაა ნაწერი (გალექსილი "ქართლის ცხოვრება"). ეს ხელნაწერი ამჟამადაც დაკეცილი, რვეულის ყდაშია ჩადებული.

გრიგოლ ბაგრატიონის ლექსებს სხვათა მიერ შედგენილ ხელნაწერებშიც ვხვდებით. ესენია:

1. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის S №3686 ხელნაწერი (მოთავსებულია გრიგოლ ბაგრატიონის ლექსები: "სევდამ მომხვია", "დროცვლილო ბულბულო", "ხელმწიფის ძმის მოძღვრის ქალზე", ანბანთქებები ("ათინად ბრძნულად გაზრდილი"), ოთხი ხანა ანბანთქება, გამოცანები, სატირა, სტეფანე მუშრიბოვზე).

2. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი M №5-ში (ხელნაწერში გვხვდება შემდეგი ლექსები: ანბანთქება "ათინად ბრძნულად გაზრდილი",

“ხელმწიფის მოძღერის ქალზე”, გამოცანები, სატირა სტეფანე მუშრიბოვზე); E №114-ში (გამოცანები).

3. თითო-თითო ლექსი გვხვდება სხვადასხვა კრებულში: S №155 (ოთხი ხანა ანბანთქება), S №303 (“უწყალო ტრფიალე-ბამ”), H №2226 (“როს იკითხვიდე”), მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში იოანე ბატონიშ-ვილის კოლექცია №358 (“გულფიცხელი მუხანათობს”).

გრიგოლ ბაგრატიონის ხელნაწერი მემკვიდრეობის გაცნობისას გარკვეულ სიძნელეს ქმნიდა ის გარემოება, რომ ამ პერიოდში ცნობილია ამავე სახელისა და გვარის (გრიგოლ იოანეს ძე ბაგრა-ტიონი) სხვა მოღვაწეც. სხვათა შორის, ორივეს დედას ქეთევანი რქმევია. ამ ორი მწერლის კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდ-რეობა სამეცნიერო ლიტერატურაში ყოველთვის გამიჯნული არაა. მაგალითად, ე. თაყაიშვილს ერთ-ერთ რუსულ წიგნში[1] მოაქვს ცნობა გრიგოლ ბაგრატიონზე, მაგრამ არაა დაკონკრეტებული, რომელ გრიგოლზეა საუბარი. ტ. რუხაძის წიგნის “ქართულ-რუ-სული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVIII სს.”[2] საძიებელში გრიგოლ იოვანეს ძე ბატონიშვილის გასწვრივ მოტანილი ცნობები ეკუთვნის ორივე გრიგოლს (მუხრანელსაც და ბატონიშვილსაც). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის VII ტომ-ში[3] ავტორად თხზულებისა “მოთხრობა ივერიისათვის” დასახელე-ბულია გრიგოლ ბაგრატიონი, მაგრამ ნათლად არ ჩანს, თუ რომე-ლი გრიგოლ ბაგრატიონი იგულისხმება და სხვა.

ზოგიერთი ცნობა გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელის შესახებ: დაიბადა 1782 წლის 30 იანვარს, სოფელ ხაშმში. მამამისი — იო-ანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი (1757-1801) საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ერეკლე მეორის კარზე. იოანეს

---

[1] Е. Такаишвили, описание рукописей, II, III, Тб., 1906-1912, გვ- 691.

[2] ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ურთიერთობების ისტორიიდან (XVI-XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 359.

[3] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლექცია, VII, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგვაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუ-თათელაძემ და ს. ჭანკიევმა, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1973, გვ.46, 70.

ხელი მოუწერია 1783 წლის ცნობილ ტრაქტატზე. ამავე წელს ერეკლე მეფემ იგი დანიშნა სახლთუხუცესად (დავით ორბელიანის ნაცვლად), დედამისი — ქეთევანი (1764-1840), ერეკლე მეორის ასული, პოეტური ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული. ცნობილია მისი ლექსები.

გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელს დაუწერია პოემა "გრიგოლიანი", მასვე ეკუთვნის "მოთხრობა ივერიისათვის", იგი მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა — თარგმნიდა რუსულიდან ქართულად და პირუკუ.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი, გიორგი XII შვილიშვილი (მამით სამეფო გვარეულობის წარმომადგენელი) ჩვენს წიგნში იწოდება ბატონიშვილად, მეორე, დედით სამეფო შტოს წარმომადგენელი — ბაგრატიონ-მუხრანელად.

ხელნაწერი მემკვიდრეობა გრიგოლ ბატონიშვილისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმთავრესად ავტოგრაფული ხასიათისაა. მართალია, გრიგოლ ბაგრატიონის რთული ცხოვრების გზა არ იძლეოდა მყუდრო შემოქმედებითი მუშაობის საშუალებას, მაგრამ მაინც უთავებია მას თავისი თუ სხვათა ლიტერატურული მემკვიდრეობის შეკრება, გადაწერა, ერთ მთლიან წიგნად ჩამოყალიბება-შედგენა, რაც თავისთავად საკმაოდ შრომატევადი საქმეა.

საერთოდ, ქართველი ემიგრანტი მწერლებისათვის ნიშანდობლივია, რომ ისინი არ კმაყოფილდებოდნენ "თანა წარტანილი" წიგნებითა თუ ხელნაწერებით და მათ საკუთარი ხელით შედგენილ კრებულებს უმატებდნენ. ამრავლებდნენ ქართული ლიტერატურის ნიმუშებს, ამდიდრებდნენ მშობლიურ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. კრებულთა შემდგენნი, ქართული მწერლობის ეს დიდი მოამაგენი, დროსა და ენერგიას არა ზოგავდნენ, რათა მოსმენილი თუ წაკითხული "ლექსი თუ ამბავი" ჩაეწერათ ან გადაეწერათ, თვითონაც ჰქონოდათ, სხვისთვისაც გაეცნოთ. მრავალი ძეგლი ქართული მწერლობისა ასეთ კრებულთა წყალობით შემოგვენახა.

კრებულების შემდგენლები მასალას ძირითადად იღებდნენ მასზე ადრე შექმნილი სხვა ასეთივე კრებულიდან, ცალკეული ხელნაწერებიდან, უმატებდნენ საკუთარ ნაღვაწს (თუ ასეთი ჰქონდათ) და ქმნიდნენ ქართული მწერლობის უძვირფასეს ძეგლებს.

ასეთი კრებულები "ერთგვარობას არ ამჟღავნებდნენ არც მასალის სისრულითა და მისი გადმოცემის სისწორით, არც ავტორთა შერჩევითა და არც მათზე მითითების სიზუსტით"[1]. კრებულთა სხვადასხვაგვარობას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მათი შემდგენელი ზოგჯერ არაკომპეტენტური, ამ საქმისათვის შემთხვევითი პირები იყვნენ, რომელთა მიზანი ვიწრო, ინდივიდუალური ხასიათისა იყო — ჰქონოდათ საკითხავად ის ნაწარმოებები, ლექსები თუ სიმღერები, რომლებიც მათ მოსწონდათ, რომლებზედაც მათ ხელი მიუწვდებოდათ. ამ პირთა ნაწერი შეცდომებისაგან დაზღვეული ვერ იქნებოდა. მათთვის ძირითადი იყო ნაწარმოები და ამიტომ ხშირად ავტორის მოხსენიების გარეშე შეჰქონდათ მასალა კრებულში. ზოგჯერ უთითებდნენ ავტორს, თუმცა ხშირად მათ დასახელებაშიც ცდებოდნენ. მიუხედავად ამისა, "ჩვენ მათიცა გვეამების", რადგან ესეც ჩვენი მწერლობის ისტორიაა.

ზოგიერთი კრებულის შემდგენელი უფრო მნიშვნელოვან ამოცანას ისახავდა — შეეკრიბა ქართული მწერლობისა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშები გარკვეული მიზანდასახულებით — არ დაჰკარგოდათ ქართველებს თავიანთი წინაპრების მიერ ნათქვამი "ყურთა და გულთა საამო" ლექსი, ამბავი თუ ყურადსაღები აზრი, რომ არ "აღხოცილიყო ენა ქართველთა". ამ კრებულთა შემდგენელნი მასალის შეკრებასთან ერთად მის ავტორსაც ასახელებდნენ შეძლებისდაგვარად. თუმცა შეცდომები, მათთანაც გვხვდება. ასე მაგალითად: დავით რექტორის (1745-1824) ანთოლოგიაში თეიმურაზ მეორის ლექსი მიკუთვნებული აქვს თეიმურაზ პირველს. მასვე მეფე ვახტანგისათვის მიუკუთვნებია გიორგი თუმანიშვილის ერთი ლექსი[2]. ასევე შეცდომითაა რამდენიმე ლექსის ავტორი დასახელებული გრიგოლ ბაგრატიონის კრებულში (ამაზე ქვემოთ).

---

[1] ლ. ქუთათელაძე, დავით რექტორისეული ანთოლოგია 1821-1823 წწ., "მრავალთავი", IV, თბ., 1975, გვ. 100.

[2] S №1512, 40r. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, S კოლექციისა. შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებული ა. ბაქრაძის, ე. მეტრეველისა და მ. შანიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1962, გვ. 261-262.

ორივე კატეგორიის შემდგენლები მასალის შერჩევა-დალაგებაში საკუთარ (ან სხვა შემთხვევაში, დამკვეთის) გემოვნებასა და სურვილს ემყარებიან. ამდენად, ხელნაწერი კრებულები მეტ-ნაკლებად მეტყველებენ შემდგენელთა ლიტერატურულ გემოვნებაზე; თუმცა ზოგჯერ სასურველ მასალას მოკლებულნი იყვნენ და კრებულში ის შეჰქონდათ, რასაც პოვებდნენ, რაზეც ხელი მიუწვდებოდათ. დავით რექტორი გადმოგვცემს: "მეც შევკრიბე, რომელიც ვჰპოვე და აქა ერთად შევჰკრიბე და აღვსწერე" (S №1512, 246r). გიორგი ავალიშვილიც გვაუწყებს: – კრებულში ის მასალა შევიტანე, "რაც ოდენ ვჰპოვე თქმულებიო" (S №303; 15v).

კრებულებში დაცულ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს თხზულების მეცნიერულად შესწავლისა და გამოცემის საქმეში.

ძველი ქართული მწერლობის გარდამავალ პერიოდში ხელნაწერი კრებულები შეუდგენიათ გრიგოლ ბაგრატიონს (1818-1819 და 1825-1830 წწ.), დავით რექტორს (1821-1825 წწ.), გიორგი თუმანიშვილს (1825-1826 წწ.) და სხვ.

გრიგოლ ბაგრატიონს შეუდგენია ორი ხელნაწერი ანთოლოგია, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ, კერძოდ 1880 წელს, მისმა ვაჟმა, ივანე გრუზინსკიმ სხვა მრავალ წიგნსა თუ ხელნაწერთან ერთად პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკას გადასცა. ამ ხელნაწერების ნაწილი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 29 აგვისტოს დადგენილებით 1923 წლის 13 ივნისს საქართველოს გადმოეცა[1]. გრიგოლ ბაგრატიონის ერთი ხელნაწერი კრებული, რომელიც შეკინძულია ვახტანგისეული "ვეფხისტყაოსნის" მეცხრამეტე ცალთან, დარჩა პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში. მეორე, შედარებით სრული კრებული გრიგოლისა, დაცულია აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H №2130).

გ. ბაგრატიონის მიერ შედგენილი კრებულები წარმოადგენენ ხელნაწერ ანთოლოგიებს, რომლებიც ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან.

---

[1] ა. აბრამიშვილი, ლიტერატურული წერილები, გვ. 267.

პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი ანთოლოგია ზომით, მასალის შემცველობით, შედარებით მცირეა, ამიტომ მას პირობითად მცირე ანთოლოგია ვუწოდეთ. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ანთოლოგიას კი, — დიდი ანთოლოგია.

მცირე ანთოლოგია შედგენილი და ვახტანგისეულ "ვეფხისტყაოსანთან" შეკინძული უნდა იყოს 1818-1819 წლებში. "ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, გრიგოლ ბატონიშვილის ხელით წიგნზე დასმული თარიღი 1818 წელი და მეორე მხრივ, წიგნთან აკინძული და მისი აღდგენისას მასზე დახარჯული ქაღალდის ფურცლების ჭვირნიშნები: "AO 1815", "AO 1817", "PRO PATRIA" და კიდევ, ადამიანთან ზურგშექცევით, უკანა ფეხებზე წამომჯდარი ლომის ფიგურა, რომელიც ალნიშნავს ფაბრიკის მფლობელების ინიციალებს, მათ ღერბსა და თვით ქაღალდის გამოშვების წლებს"[1].

მცირე ანთოლოგია მოიცავს 40 გვერდს. მასში მოთავსებულია ოცდათოთხმეტი ლექსი. აქედან ცხრამეტი თვითონ გრიგოლისაა, თხუთმეტი — სხვადასხვა ავტორისა. კრებულში შეტანილია ბესიკის, საიათნოვას, იონა მროველის, დავით რექტორის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და სხვათა ლექსები. ლექსების გვერდით გვხვდება მოსწრებული თქმანი (ხორგუაშვილის), რაც კრებულის მრავალფეროვნებაზე მიგვანიშნებს.

მცირე ანთოლოგიაში მოთავსებული ლექსებიდან ზოგიერთი ცნობილია და დაბეჭდილია სხვადასხვა შრომებში[2].

რაც შეეხება თვითონ გრიგოლ ბატონიშვილის აქ მოთავსებულ ლექსებს, ნაწილი ცნობილია და დაბეჭდილი (თუმცა სხვა სახელითა და გვარით), ნაწილი კი — უცნობია.

კერძოდ, ამ კრებულში მოთავსებული გრიგოლის ცხრამეტი ლექსიდან გამოქვეყნებულია ორი:

1. "თქმული გრიგოლ ბატონიშვილის მიერ დავით ბატონიშვილის ლექსის ხმაზე "გამიფრინდა სიხარულის ფრინველი" რომ იყო თქმული" ("დროცვლილო ბულბულო, იგლოვდი მწარედ").

---

[1] ა. აბრამიშვილი, ლიტერატურული წერილები, გვ. 14-15.

[2] იქვე, გვ. 15.

2.მისგანვე თქმული მუსტაზადი ("სევდამ მომხვია გულსა ბრჭყალები").

ეს ლექსები 1863 წელს გამოუქვეყნებია დავით ჩუბინიშვილს ქრესტომათიაში[1]. აქ მეორე ლექსის ავტორად პეტრე ლარაძეა (ყარიბი) მიჩნეული.

1895 წელს იგივე ლექსები გამოაქვეყნა გ. სკანდაროვმა "სალხინო საზანდარში"[2]. მან პირველი ლექსი ("დროცვლილო ბულბულო"...) მიაკუთვნა პეტრე ლარაძეს, ხოლო მეორე ("სევდამ მომხვია"...) — შიო მეჭიანურეს (ყარიბს).

მუსტაზადის ("სევდამ მომხვია"...) ერთი სტროფი ა. ხახანაშვილს გამოუქვეყნებია "ქართული სიტყვიერების ისტორიაში", როგორც ილია ბატონიშვილის ლექსი.

ასეთი მრავალფეროვნებაა გრიგოლ ბაგრატიონის ლექსების ავტორთა დასახელებისას ბეჭდურ გამოცემებში. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ხელნაწერებში? სამწუხაროდ, აქაც არაა ერთგვარობა. "დროცვლილო ბულბულოს" ავტორი დიდ ანთოლოგიაში (H №2130, 66 v-67 r) გრიგოლ ბაგრატიონია, S №3686-ში — პეტრე ლარაძე (ყარიბი).

იგივე ლექსი მოთავსებულია გრიგოლისეულ მცირე ანთოლოგიაში (30r). S №3686 ხელნაწერში ლექსი ასეა დასათაურებული: "ლარაძე პეტრე ყარიბისაგან თხზული, დავით ბატონიშვილისაგან ლექსისმიერი". H №2130 კრებულში: "ბატონიშვილის გრიგოლისაგან თქმული, "გამიფრინდა სიხარულის ფრინველის ხმაზე".

მცირე ანთოლოგიაში: "თქმული გრიგოლ ბატონიშვილის მიერ დავით ბატონიშვილის ლექსის ხმაზე "გამიფრინდა სიხარულის ფრინველი" რომ იყო თქმული".

---

[1] დ. ჩუბინოვი, ქართული ქრესტომათია, ან გამოწერილნი სტატიები სხვათა და სხვათა ჩინებულთა მწერალთაგან, ნაწ. II, სპბ., 1863, გვ. 21 და 122-123.

[2] გ. სკანდაროვი, სალხინო საზანდარი ანუ უქმ-დროების შემაქცევარი სიმღერების კრება ძველთა და ახალთა მწერლებისა, ტფ., 1895, გვ.263-244 და 60-62.

ზემოთ მოტანილი ლექსის ავტორი პეტრე ლარაძეა თუ გრიგოლ ბატონიშვილი?[1] – ორივე XVIII საუკუნის გასულისა და XIX საუკუნის დასაწყისის მოღვაწეა. როგორც ვიცით, H №2130 და მცირე ანთოლოგია თვით გრიგოლის ხელით შედგენილი კრებულებია. გრიგოლი, ლექსების შეკრების ენთუზიასტი, სხვასაც სთხოვს: "ვისგანცა იყოს ნათქუამი, ანუ ნახუმარი, ანუ ნაოხუნჯარი, გთხოვთ სახელიცა მისი მოიხსენოთ, ვითარცა არს წიგნსა ამას შთაწერილი (H №2130, 4r). თავისი წიგნი, ამ მხრივ მას სამაგალითოდ მიაჩნდა (ეს ასეცაა, თუ არ გავითვალისწინებთ რამდენიმე უნებურ შეცდომას).

უეჭველია, ეს ლექსი გრიგოლ ბაგრატიონს ეკუთვნის, დაუწერია მას დავით გიორგის ძე ბაგრატიონის (1746-1826) ლექსის[2] ხმაზე (ამ ლექსის საზომით), თავისი ხელით შეუტანია ჯერ მცირე, შემდეგ დიდ ანთოლოგიაში და გვერდზე მიუწერია დავით ბაგრატიონის ლექსიც "გამიფრინდა სიხარულის ფრინველი".

რაც შეეხება მუსტაზადს – "სევდამ მომხვია", ეს ლექსი მოთავსებულია მცირე ანთოლოგიაში, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S №3686 ხელნაწერში (113 r -115 r), აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილებაში, (E №131 (12 r), პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელო-

---

[1] ტ. რუხაძე ამ ლექსის ავტორად ასახელებს გრიგოლ ბაგრატიონს და იგი სადავოდ არ ხდის ამ საკითხს. იხ. მისი ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 110.

[2] იგულისხმება დავით ბაგრატიონის ლექსი "თქმული მეფის ძის დავითისაგან სარდლის ქალს ეკატერინეზე", რომელიც სატრფიალო-სამიჯნურო ლირიკის ერთ-ერთი ნიმუშია. ალ. ხახანაშვილის აზრით, "ეს ლექსი დაწერილია სარდლის ქალს ეკატერინეზედაო" (იხ. მისი ქართული სიტყვიერების ისტორია, თბ., 1919, გვ. 416); ტ. რუხაძის აზრით, ამ ლექსის დაწერა გამოწვეულია 1812 წ. კახეთის აჯანყების დამარცხებით (ტ. რუხაძე, ქართველები რუსეთის 1812 წ. სამამულო ომში, გვ. 17.) არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ ლექსი დაწერილია ნაპოლეონის დამარცხების გამო. დავით ბაგრატიონის ეს ლექსი გამოქვეყნებულია, იხ. დ. ჩუბინოვი, ქართული ქრესტომათია, გვ. 122-123; გ. სკანდაროვი, სალხინო საზანდარი, ანუ უქმ-დროების შემაქცევარი სიმღერების კრება ძუელთა და ახალთა მწერლებისა, გვ. 62.

ბის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, იოანე ბატონიშვილის კოლექცია №44 (14 r).

დასახელებული ხუთი ხელნაწერიდან ოთხი (დიდი ანთოლოგია, H №2130, ხელნაწერები S №3686, E 131 და იოანე ბატონიშვილის კოლექცია №44 ილია ბატონიშვილს ცნობს ამ ლექსის ავტორად[1].

როგორც ვხედავთ, მცირე ანთოლოგიაში ლექსის ავტორია გრიგოლ ბაგრატიონი, დიდ ანთოლოგიაში — ილია ბატონიშვილი. რაშია საქმე?

მცირე ანთოლოგიაში ეს ლექსი გრიგოლის ერთ-ერთი სხვა ლექსის შემდეგაა მოტანილი და სათაურად აწერია “მისგანვე თქმული მუხამბაზი“ (23 r).

დიდ ანთოლოგიაშიც ჯერ გრიგოლის სხვა ლექსია მოთავსებული (“თქმული პეტერბურღსა შინა გრიგოლისაგან ანასტასიაზედ მუსტაზადი”), შემდეგ კი ეს ლექსი (“სევდამ მომხვია,” H №2130, 59v-60v). იგი მოთავსებულია ხელნაწერის სამ გვერდზე და სათაური ყველა გვერდზე გასდევს. ლექსი (“სევდამ მომხვია”) სამივე გვერდზე ასე სათაურდებოდა: “თქმული მასზედვე მისგანვე მუხამბაზი” ე. ი. აქ, ცხადია, “მისგანვე” ნიშნავს გრიგოლისგანვე. ეს სათაური წაშლილია ლექსის თავში მთლიანად და ზემოდან აწერია “მეფის ძის ილიასაგან”. მეორე და მესამე გვერდებზე ძველი დასათაურება ნაწილობრივაა გადაშლილი. წაშლილია სიტყვები “მასზედვე”, “მისგანვე” და დატოვებულია სიტყვები “თქმული... მუხამბაზი”. შუაში, ზემოდან წაშლილი სიტყვების თავზე, ჩამატებული აქვს შემდეგი: “მეფის ძის ილიასაგან”. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, გრიგოლს ჩაუწერია თავისი ლექსი და დაუსათაურებია კიდეც ავტორის მინიშნებით. გადაშლა სიტყვებისა და ბატონიშვილ ილიას ავტორად მიწერა შემდეგი დროისაა და არა პირვანდელი ჩანაწერი. ადვილი შესაძლებელია, სხვა ხელნაწერებში

---

[1] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ლექსს პეტრე ლარაძეს მიაწერს მ. კაკაბაძე. იხ. მისი გარდამავალი პერიოდის პოეზია და ქართული რომანტიზმის საფუძველი, “ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან”, III, გვ. 23.

ილიას ავტორად გამოცხადებას ეს შემდეგი დროის ნაყალბევი დაედო საფუძვლად[1].

ლექსი "სევდამ მომხვია" რომ უთუოდ გრიგოლს ეკუთვნის, ამას ისიც ადასტურებს, რომ მისი ლექსის ერთი სტროფი დიდ ანთოლოგიაში მოთავსებულ გრიგოლის სხვა ლექსშია ჩართული "მისგანვე მასზედუჩ მუხამბაზი" "წითელ ბაგეზედ გშვენის ხალები" (H №2130, 70 r), ხოლო ერთი სტროფიც – მის სხვა ლექსში "მასზედვე მისგანვე მუხამბაზი თქმული" – "პირსა მთვარესა შუენის ქებანი" (H №2130, 79v). ორივე ზემოდდასახელებული ლექსი გამოქვეყნებულია[2].

მუსტაზადი – "სევდამ მომხვია" – უცილობლად გრიგოლ ბაგრატიონისაა და არა სხვა ავტორისა, როგორც ამ ლექსის გამომცემელთ მიაჩნიათ. ამას მოწმობს მცირე ანთოლოგია, რომელიც გრიგოლის მიერაა შედგენილი, დიდი ანთოლოგიის პირვანდელი (გრიგოლისეული) დასათაურება და ამ ლექსის სტრიქონების გაბნევა გრიგოლის სხვა ლექსებში.

სხვა ლექსები გრიგოლ ბაგრატიონისა ამ კრებულიდან გამოქვეყნებული არაა.

შედარებით მოგვიანო ხანისაა დიდი ანთოლოგია. იგი შედგენილი უნდა იყოს არა უადრეს 1825 წლისა (ამას მოწმობს ქაღალდის ჭვირნიშანი) და არა უგვიანეს 1830 წლისა.

დიდი ანთოლოგია მოიცავს 180 ფურცელს. აქედან 149 ფურცელი ნაწერია, ხოლო 30 ფურცელი – დაუწერელი. იმ 149 ფურცელზეც გვხვდება ცარიელი გვერდები: 1 r – 3 r, 76v – 77v, 80v – 81 v, 89 r – 92 r, 99 v – 101 v, 114 r – 117 v, 124 r – 129 r, 138 r – 141 v.[3]

კრებულში წარმოდგენილია ოცდახუთზე მეტი ავტორი, სულ კრებულში 120-ზე მეტი თხზულებაა შეტანილი. აქედან გრიგოლი-

---

[1] ამ ლექსის ილიას ავტორობა სხვასაც დაუყენებია კითხვის ნიშნის ქვეშ და S №3686 ხელნაწერები გადაუშლია ფანქრით, იხ. S №3686, 113r.

[2] ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 145-147.

[3] ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ლ. მეფარიშვილის მიერ, ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1949, გვ. 82.

სია ოცდათორმეტი (ამ ლექსებიდან გამოცემულია მისი ხუთი ლექსი). ნაწერია გრიგოლ ბატონიშვილისათვის დამახასიათებელი წვრილი ასოებით, გაკრული, ნაჩქარევი ხელწერით. რამდენიმე გვერდზე 87 v და 88 r — ნაწილობრივ, 111 v — 112 r გვხვდება განსხვავებული ლამაზი კალიგრაფია.

კრებულში შეტანილია თეიმურაზ I, თეიმურაზ II, ბესიკის, პეტრე ლარაძის, დავით რექტორის, ქეთევან ბატონიშვილის, მაჩაბელა საზანდრის, ა. ჭავჭავაძისა და სხვათა ლექსები.

მრავლადაა კრებულში ხუმრობები, სიტყვამოსწრებული თქმანი.

ანთოლოგია შეიძლება გავყოთ ორ ნაწილად: პოეზიისა და პროზის განყოფილებად. მართალია, გრიგოლს ასე არ დაუყვია, მაგრამ კრებულის სტრუქტურა ამის საშუალებას იძლევა. ჯერ ძირითადად ლექსებია ჩაწერილი (მხოლოდ ერთგან 28 v გვერდზე შეტანილია ჭაბუას ორი მოსწრებული თქმა). პოეზიის ნიმუშები გრძელდება 113 v-მდე.

პროზის განყოფილება 118-დან იწყება, თუმცა აქაც გვხვდება პოეზიის რამდენიმე ნიმუში (იესე მოძღვრის გლოვა, ა. ჭავჭავაძისა და გრიგოლის ჩახრუხაული სტროფები, 142 r — 146 r).

კრებული შეკრულია და მუყაოს ყდაშია ჩასმული.

კრებულს დართული აქვს წინასიტყვაობა. გრიგოლ ბაგრატიონს მისი შედგენისას გარკვეული მიზანი დაუსახავს, რაც კრებულის წინასიტყვაობაში ნათლად მოჩანს: "მე, მეფის ძის ძე გრიგოლ, დიდის გულსმოდგინებით ვეცადე, რომ შემეკრიბა ძუელთაგან თქმული მუნასიბნი ანუ სიმღერის ლექსნი, ანუ ზმანი, ანუ იამბიკონი, ანუ ოხუნჯობანი, რაიცა ძალმედვა — ვეცადე; ან ვის რა უთქუამს ერთმანეთისათვის ხუმრობა-ოხუნჯობა, მასხარაობა და თქვენცა გევედრებით, კითხუელ-მსმენელნო, თუ გაგონებით ანუ იცოდეთ ლექსი ანუ ზმანი, ანუ ოხუნჯობა, ჩასწეროთ წიგნსა ამას შინა, რათა არა დაეკარგოსთ ქართუელთა ენა და ლექ[ს]ი ანუ ხუმრობა თვისი... ვინადგან იქნება წიგნსა შინა შთაწერილი, ამისთვის არღა შესაძლებელ არს დაკარგუად ლექსისა, გინა ხუმრობისა, გინა ოხუნჯობისა. ამის გამო გთხოვთ გულსმოდგინებით, რათა არა უარჰყოთ მოხსენება ჩემი და ლექსი იგი ანუ ხუმრობაები იგი შთაწერეთ და ვისგანცა იყოს ნათქვამი ანუ ნაოხუნჯარი, გთხოვთ,

სახელიცა იმისი მოიხსენოთ, ვითარცა არს წიგნსა ამას შთაწერილი" (H №2130, 4 r).

ამ პერიოდის არც ერთ კრებულს ასე ნათლად ჩამოყალიბებული წინასიტყვაობა არა აქვს დართული. ამ წინათქმაში მისი შემდგენლის მიზანდასახულება გამოკვეთილადაა ჩამოქნილი და წარმოდგენილი. აქედან ნათლად ჩანს, რომ გრიგოლ ბაგრატიონს ფრიად საპატიო მოვალეობა უკისრია — შეუკრებია ლექსები, ოხუნჯობანი თუ სხვა "რაიცა ძალედვა" და სხვებისთვისაც უთხოვია, თქვენც ჩაწერეთ, თუ კი რამე უწყითო. ეს ყველაფერი პატრიოტული მიზნისათვის დაუქვემდებარებია, "რათა არა დაეკარგოსთ ქართუჩლთა ენა და ლექსი ანუ ხუმრობა".

დამახასიათებელია, რომ გრიგოლი "კითხუჩულ-მსმენელთ" აფრთხილებს: "უკეთუ ინებეთ მოხსენება ჩემი და ლექსი იგი ანუ ხუმრობები იგი შთაწერეთ, უეჭველად მოიხსენიეთ ავტორი, ვისგანცა იყოს ნათქვამი" (H №2130, 4 r).

თვითონ გრიგოლი თუ რამდენად იცავს ავტორის დასახელების ტრადიციას, ეს კარგად ჩანს მისი ანთოლოგიიდან. საფიქრებელია, გრიგოლის თხოვნით, მასში ჩაუწერიათ "საათლამას გუარზედ თქმული ლექსი იარალისაგან (111 r —112 v)". ამ სათაურის შემავსებელი ცნობები გრიგოლს იქვე მიუწერია: "შაშიაშვილის, გიორგი პაიჭაძეზე", აქ უკვე გარკვეულია, რომ ლექსი ეკუთვნის იარალი შანშიაშვილს, მიძღვნილია გიორგი პაიჭაძისადმი.

საკუთრივ მის მიერ შეტანილი ლექსების ავტორებს გრიგოლი ყოველთვის ასახელებს, მაგრამ გვხვდება შემთხვევა, როცა ავტორი ლექსისა არაა მოხსენიებული. გრიგოლი ამის მიზეზს ზოგჯერ გვითვალისწინებს.

ასე მაგ. "სხუა და სხუა იამბიკო" ("მბადმან არსთამან თვით არვისგან ბადულმან") ვერ ვსცან ვისი თქმულია" (H №2130, 12v).

ერთ-ერთ გვერდზე ვკითხულობთ: "ესეც არ ვიცი ვისი ნათქვამი იამბიკო არის" ("დამწყები აწლა შაირი სიტყუაობისა," H 2130, 15 v).

ასეთივე შინაარსისაა სხვა მინაწერიც: "არ ვიცი ეს ლექსით შესხმა ვისგან არის მეფის ძის იოანესადმი მირთმეული დღესა

ქრისტეშობისასა" ("ქონებისა ხარ საუნჯე, ელვის მომფენი ზეცითა," H №2130, 44 v).

ზოგჯერ კრებულში ავტორის შეცდომით დასახელების შემთხვევაც გვხვდება. ასე მაგალითად:

1. მაჯამა მეფის ვახტანგისაო, — გვაცნობს გრიგოლი (H №2130, 5 r). სინამდვილეში კი ეს მაჯამა ეკუთვნის არა ვახტანგს, არამედ თეიმურაზ I და შეტანილია მის თხზულებათა კრებულში[1].

2. ვახტანგსვე მიეკუთვნება თეიმურაზის ანბანთქება (H №2130, 8r). "ალახვენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო"[2].

შესაძლებელია გრიგოლამდე შეცდომით იყო ავტორის სახელი მოტანილი და ეს არევ-დარევა ამან გამოიწვია. თვითონ გრიგოლი ავტორსაც ასახელებს და მის ნაწერთან დაკავშირებულ სხვადასხვა ცნობებსაც უხვად გვაწვდის. მოგვაქვს მაგალითი:

"თელავს ოდეს მეფე თეიმურაზმა აღდგომა დღეს წირვა მოისმინა და პური მიირთო და ქალაქს წამობრძანდა და გომბორზე რომ მობრძანდა, ერთი თელაველი გლეხის ქალი წინ შემოეყარა, მოეწონა, მეტად ლამაზი იყო და ხელშიაც იმ ქალს კალათა ეჭირა და უბრძანა ლექსი ესე:

"ა, ქალო, ვაშლი წითელი, ხელთ რომ გიჭირავს კალათა,
შენმა წარბმა და წამწამმა მე გული ჩამიკალათა".

(H №2130, 12 r)[3].

ანდა: "ოდეს ბესარიონ გაბაშვილსა და ჭაბუა მდივანბეგსა ლაპარაკი და სამდურავი მოუხდა ერთმანეთთანა, მაშინ, რადგან ჭაბუა კუზიანი იყო და ურიგოდ აგებული, ბესარიონმა ეს ანბანთქება დაუწერა და მეფე გიორგის მიართო" (H №2130, 24 r — 25 v).

---

[1] თეიმურაზ პირველი, სრული კრებული, ა. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1939, გვ. 113.

[2] იქვე, გვ. 149.

[3] ეს სტრიქონები ხალხურ ლექსში ასე იკითხება: "ხელში გიჭირავს კალათა, შენმა თვალმა და წამწამმა მე გული გამიხალვათა (ერეკლე მეფე და გლეხის გოგო). იხ. ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 53.

აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი: ა. ბარამიძის აზრით, "გრიგოლ ბაგრატიონი ცდება იმაში, ვითომც ბესიკმა ეს ლექსი გიორგი მეფეს მიართო, ლექსი დაწერილია ბესიკის ქართლიდან გაძევებამდე 1777 წლამდე (გიორგი გამეფდა 1798 წელს), ბესიკს ლექსი მიურთმევია ან გიორგისათვის ბატონიშვილობაში, ან ერეკლე მეფისათვის"[1].

მართალია, ბესიკი გიორგი მეფეს ბატონიშვილობის პერიოდში მიართმევდა ლექსს, მაგრამ მაშინ, როცა გრიგოლ ბაგრატიონს შეჰქონდა ეს ლექსი ანთოლოგიაში, გიორგი უკვე მეფედ იხსენიებოდა და ბატონიშვილად, საფიქრებელია, ამიტომ არ მოიხსენია.

ანთოლოგიაში ძვირფას ცნობებს იძლევა გრიგოლი თავის თანამედროვეთა შესახებ: "ჭაბუა მდივანბეგი დიდი საპატიო და მეცნიერი და შემაქცევარი კაცი იყო და მეფე ირაკლის დიდად უყვარდა და ხუმრობებიც იცოდა და მოსწრობა სიტყვისა მსწრაფლად და მარდად იცოდა. ამის გამო კურთხეულმა მეფემ ირაკლიმ უბრძანა: "ჭაბუავ, რატომ ბესარიონს მაგიერ ლექსს არ დაუწერო? – და მაშინვე, იმავ წამს მოახსენა: – შენი ჭირიმე, ბლიაძეს რა ლექსი გაეწყობაო. იქ მყოფთა დია ბევრი იცინეს" (H №2130, 27v).

საკმაოდ დიდ და მრავალფეროვან განმარტებებს ურთავს გრიგოლი საკუთარ ლექსებს: "ბატონიშვილები მეფის ძე მიხაილ, ილია და ო[ქ]როპირ იდგნენ ვასილის ოსტროვაში და იქიდამ აიყარნენ და მეშანცკში დადგნენ და ფარსადან ციციშვილი და ბანცულაშვილი იოსებ თან ახლდნენ. ვინაიდან ოქროპირს დარია ნიკიტიჩნა უყვარდა და ალექსანდრე ბაგრატიონსაც უყვარდა იგი (დარია იყო რუსის ქალი და თეიმურაზ ბატონიშვილმა თავისი მეუღლისათვის მოჯამაგირედ შეიყუანა სახლში) და ოდეს გამოვიდნენ მეფის ძენი მეშანცკების სახლსა კუპცისა ვარვარინასასა, მაშინ მივსწერე მე, მეფის ძის ძემ გრიგოლმა ხუმრობა ესე ლექსი" (H №2130, 76 v – 68 v).

ხშირად ლექსის დაწერის დრო, ვითარება და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხი სწორედ ასეთი კომენტარის საშუალებით

---

[1] ბესიკი, თხზულებანი, ტექსტი, შენიშვნები, ლექსიკონი, ა. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1962, გვ. 257-258.

ხდება ცნობილი. "გრიგოლ ბატონიშვილის ნათქვამი მუსტაზადი, ოდეს პეტრეზაოდს იჯდა ტუსაღად, ქართველთადმი მისწერა" (H №2130, 28v). ამ დასათაურებიდან ირკვევა ავტორის ვინაობა, დაწერის დრო, ადგილი და ლექსის ადრესატი. ასეთ და სხვა მრავალ ძვირფას ცნობებს შეიცავს გრიგოლ ბაგრატიონის დიდი ანთოლოგია.

ბუნებრივია, ინტერესს იწვევს ის საკითხი, თუ რა ურთიერთმიმართებაშია მცირე და დიდი ანთოლოგია ერთმანეთთან? განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან თუ ერთი (მცირე) წარმოადგენს მეორის (დიდის) ნაწილს, ანუ მეორდება თუ არა მცირე ანთოლოგია უცვლელად დიდ ანთოლოგიაში?

ამ ორი ხელნაწერი კრებულის ურთიერთშედარებისას გამოირკვა, რომ მცირე ანთოლოგიის მასალა ძირითადად ნაცნობია დიდი ანთოლოგიისათვის, თუმცა, თავის მხრივ, მცირე დიდი ანთოლოგიისათვის უცნობ მასალასაც შეიცავს.

მცირე ანთოლოგიაში მოთავსებული ოცდათოთხმეტი ლექსიდან დიდში შეტანილია ოცდათორმეტი. ორი ლექსი დიდ ანთოლოგიაში (და საერთოდ, არცერთ სხვა ხელნაწერში) არ გვხვდება. ეს ორივე ლექსი გრიგოლისაა:

1. "მუხამბაზი მისგანვე თქმული" – "როს მესმა სახის სილამაზე და მშვენებანი" (5 სტროფი, სტროფში რვა სტრიქონია, გამონაკლისია I სტროფი), მცირე ანთ. 21 r – 22 r.

2. "თქმული ბატონიშვილის გრიგოლისაგან" –ანზე ვისი ყმა ხარ", ("ასურეთით ამერიკას მოვინებე მიმოსვლანი". 30 სტროფი) მცირე ანთ. 36 r – 40 r.

ლექსიდან – "მუხამბაზი მისგანვე თქმული" ერთი სტროფი გრიგოლს ჩაურთავს სხვა ლექსში ("მასზედვე მისგანვე მუხამბაზი თქმული"), რომელიც დიდ ანთოლოგიაშია მოთავსებული[1] (H №2130, 80 r) ("ვიცი მოკვდები, რას მატებ სულსა").

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ორი ლექსი საკმაოდ ახლოს დგას ერთმანეთთან. ერთნაირია ზოგჯერ ეპითეტები. მოვიტანთ მაგალითებს:

---

[1] ლექსი გამოცემულია, იხ. ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 147.

"მასზედვე მისგანვე": ვიცი შემკულა ატმის ფერითა...
"მუხამბაზი მისგანვე თქმული": ვიცი შემკულხარ ატმის ფერითა...
"მასზედვე მისგანვე": მზეო, იკმარე ჩემი ვნებანი...
"მუხამბაზი მისგანვე თქმული": მზეო, ეცადე ჩემს შებრალებას.

ორივე ლექსი სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათისაა და საფიქრებელია, ორივე ერთი ქალისადმია მიძღვნილი. თვით ეს სტროფებიც საკმაოდ ჰგავს ერთმანეთს:

"მასზედვე მისგანვე"

"მაისის ვარდო, ნამით ცურეულო,
შაშპრავ, ზამბახო, სოსანრეულო,
ზილფო, კავებო, გარდათხეულო,
მწუანის კორდითა შენართეულო"...

"მუხამბაზი მისგანვე თქმული"

"ბულბულო ტკბილო, შაშპრა, სოსანო,
იავ, ზამბახო, სურნელოსანო,
კავ, ზილფო, ნაზო, ნარგიზოსანო,
ლოყაზედ ხალო ალერსოსანო"...

მეორე ლექსი ("ასურეთით ამერიკას მოვინებე მიმოსვლანი") წარმოადგენს ანბანთქებას (ამაზე იხ. ქვემოთ), დაწერილია ასეთივე ტიპის ანბანთქებაზე ("ათინად ბრძნულად გაზრდილი, ანგლიად ვლიდი არესა" – (H №2130, 49 v – 53 v) ადრე.

ის ლექსები, რომლებიც ორივე ტიპის ანთოლოგიაშია მოთავსებული, სხვადასხვაგვარადაა დასათაურებული. ეს სათაურები თუმცა ძირითადად ერთნაირია, მაგრამ გარკვეული სხვაობაცაა მათ შორის.

მცირე ანთ.: "ანბანთქება "ანზე ვისი ყმა ხარ", ბატონიშვილის გრიგოლისაგან თქმული".

დიდი ანთ..: "თქმული ტუსაღობის ჟამს მეფის ძის ძის გრიგოლისაგან ანბანთქება "ანზე ვისი ყმა ხარ" პეტრეზაოდს ქალაქსა შინა.

მცირე ანთ.: "თქმული გრიგოლ ბატონიშვილის მიერ დავით ბატონიშვილის ლექსის ხმაზე "გამიფრინდა სიხარულის ფრინველი" რომ იყო თქმული".

დიდი ანთ.: ბატონიშვილის გრიგოლისაგან თქმული "გამიფრინდა სიხარულის ფრინუელის" ხმაზე.

მცირე ანთ.: "თქმული ბატონიშვილის გრიგოლისაგან სტეფან პავლიჩზე მუხამბაზი, დიდუბეში რომ წყალი ამოჰქონდა მუშიბოვს".

დიდი ანთ.: "თქმული ბატონიშვილის გრიგოლისაგან მუშრიბის შვილის სტეფანეზე, ოდეს მაშინით წყალი გამოჰქონდა დიდუბეში და სოსია მეჭურჭლიშვილმა გაუცუდა სტეფან პავლიჩს თავის ხელოვნება და იმ სოსიამ სხვა მაშინები გამართა ჭალასა და ეს სტეფანე კაპიტანი იყო და ჭიანური კარგად იცოდა".

მცირე ანთ.: "გაბაშვილზედ მუხამბაზი, ოდეს ჯარიდამ მოვიდა, თქმული მეფის ძის ძის გრიგოლისაგან იოსებ გაბაშვილზედ მუხამბაზი".

დიდი ანთ.: "თქმული ავთანდილ თუმანიშვილისაგან ნათქუამი მუხამბაზი იოსებ გაბაშვილზე, რადგან ორნივ დავით ბატონიშვილს ახლდნენ, ვინადგან გაბაშვილი იოსებ ფრანცუცის დროს ჯარში შევიდა და აფიცრობა მისცეს, ესე იგი კარნეტობა და წავიდა გაბაშვილი ფრანცუცების საომრად და როდეს იქიდან მობრუნდა იგი, მაშინ ჩხუბი უყო გაბაშვილმა ამ თუმანიშვილს და კიდეც გალახა ძალიან და ამ თუმანიშვილმა ცემის მაგიერად ეს ლანძღვის ლექსი დაუწერა, რადგანაც გაბაონთ ვირებს ემახიან ძველთაგან და მეტივენიც ყოფილან ადრიდგან და საქსონიაშიც იყო" (65 v —66 r). ჩანს, რომ ის მასალა, რომელიც ორივე ანთოლოგიაში გვხვდება (გრიგოლ ბაგრატიონისა), დიდში უფრო ფართო განმარტებებითაა წარმოდგენილი, ვიდრე მცირეში. ასეთივე სხვაობა შეინიშნება სხვათა ნაწერებთან დაკავშირებით.

მცირე ანთ.: "მაჩაბელა საზანდრის ნათქუამი მუხამბაზი, ოდეს დიმიტრი მდივანმა წაიყუანა თავის ქორწილისათვის საზანდრათ."

მცირე ანთ.: "ანბანთქება ბესარიონ გაბაშვილმა ჭაბუა მდივანბეგს რომ დაუწერა".

დიდი ანთ.: "ოდეს ბესარიონ გაბაშვილისა და ჭაბუა მდივანბეგსა ლაპარაკი და სამდურავი მოუხდათ ერთმანეთთანა, მაშინ

რადგან ჭაბუა კუზიანი იყო და ურიგოდ აგებული, ბესარიონმა ეს ამბანთქება დაუწერა". ლექსის დასათაურებაში მოხმობილი ცნობები ერთგან მოკლედაა წარმოდგენილი, მეორეგან კი – შედარებით ვრცლად. კერძოდ, მცირე ანთოლოგიაში უფრო მოკლედაა ცნობები გადმოცემული. დიდი ანთოლოგია კი უხვად მოიცავს ლექსთან დაკავშირებულ ცნობებს. მოვიტანთ მაგალითს. ალექსანდრე ჭავჭავაძის ერთი ლექსის შესახებ ("საწუხმან ხმამან, საკმაოდ კმამან, შამცნო მთოვარის განლეულობა"[1] (გვ. 31) მცირე ანთოლოგიაში ნათქვამია: "ჩახრუხაული უთხრა ალექსანდრემ". შემდეგ მოტანილია თვითონ ლექსი. აქ, ამ დასათაურებიდან ვერ ვიგებთ, თუ ვის უძღვნა ავტორმა ეს ლექსი, ან რა გარემოებასთანაა ამ ლექსის დაწერა დაკავშირებული. ამის შესახებ გრიგოლ ბაგრატიონი დიდ ანთოლოგიაში, ამ ლექსის წინასიტყვაობაში გვაუწყებს: "ოდეს ალექსანდრე ჭავჭავაძე შევიდა თავის მამიდასთან კნეინა დარეჯანთან და კნეინა იგი იყო თავმოხვეული, ქვეშაგებში იჯდა ავად რამე და უქეიფოდ იყო და თავისმა ძმისწულმა ალექსანდრემ მოახსენა ჩახრუხაული ლექსი ესე" (45 r).

როგორც უკვე ირკვევა, მცირე ანთოლოგიაში ცნობები უფრო მოკლედაა – დიდში კი უფრო ვრცლადაა გადმოცემული. ეს ითქმის მთელი კრებულის შესახებ, თუმცა გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, რომ პირიქითაა, მცირეში განმარტება უფრო სიტყვაუხვია, დიდში კი – შედარებით მცირე:

მცირე ანთ.: "ოდეს კონსტანტინე ბატონიშვილმა თავისი ცოლი გაუშვა ანასტასია აბაშიძის ქალი და იმ ქალის მენენიცი მოვიდა ანასტასიაობა და მე ბატონიშვილმა გრიგოლმა მივსწერე ეს ლექსი კონსტანტინეს მაგიერათ ანასტასიას ("ალვად სრულსა, კოკორ სხმულსა, მისთვის ეშხი არად მწვისა").

დიდი ანთ.: "ეს ჩახრუხაული სხვისაგან ნათქუამია".

რაც შეეხება მოსწრებულ თქმებს, ანუ "ხუმრობა-ოხუნჯობათ", მათაც გრიგოლი უცვლელად არ იმეორებს დიდ ანთოლოგიაში. ამბავი, მოსათხრობი ძირითადად იგივეა, მხოლოდ გადმოცემულია სხვადასხვა სიტყვებით. აქაც უფრო ვრცლად დიდი ანთოლოგია წარმოგვიდგენს მასალას:

---

[1] ლექსი გამოქვეყნებულია, იხ. ა. ჭავჭავაძე, თხზულებანი, გვ. 115.

მცირე ანთ.: "კურთხეული მეფე ირაკლი მდევარზე წაბრძანდა და კახნი და ქართველნი თავადნი თან ახლდნენ, დავით ციციშვილი — სიძე მეფისა, სარდალი წითელის კაბით თეთრ ტაიჭზე მჯდომი წინ მიუძღოდა. ამ დროს ხორგუაშვილი იქ იყო და ბატონმა მეფემ დაუძახა ხორგუაშვილს და ჰკითხა ამ სახით: — გკითხავ, ვინ არს წითლოსანი, თეთრ ტაიჭსა რომე ზისა? პასუხი უგო ხორგუაშვილმა: — გკადრებ, სარდალ მოურავი, სიძე არსო სიმაღლისა".

დიდი ანთ.: "ბატონი მეფე ერეკლე დღესა ერთსა მდევარზე წაბრძანდა და თავის სიძე ციციშვილი სარდალი თან ახლავს. წითელი კაბა აცვია და თეთრ ტაიჭსა ზედა ზის და მეფეს წინ უძღვის. ამ დროს ხორგუაშვილიც თევდორე იქ ახლავს. და მეფემ უბრძანა ხორგუაშვილ[ს], ხორგუაშვილი დიდი სიტყვაწყლიანი კაცი იყო და უბრძანა თევდორე ხორგუაშვილს ლექსითა:

ქ. — კითხავ, ვინ არის წითლოსანი, თეთრ ტაიჭსა რომე ზისა?

და პასუხიც უგო მეფესა მაშინვე ხორგუაშვილმა:

ქ. გკადრებ, სარდალ მოურავი, სიძეაო სიმაღლისა.

დიდი წყალობა უყო მეფემან".

ეს ყველაფერი იმის მანიშნებელია, რომ მცირე ანთოლოგია უცვლელად არ მეორდება დიდში. ე. ი. მცირეს სიტყვასიტყვით განმეორება დიდ ანთოლოგიაში არ ხდება. თუ მცირე ანთოლოგიაში არსებული მასალა ზუსტად გამეორდებოდა დიდში, მაშინ თავისთავად ცხადია, მცირე ანთოლოგიის ღირებულება შედარებით ნაკლები იქნებოდა. მაგრამ ზემომოტანილი არგუმენტები ნათელყოფს მცირე ანთოლოგიის საკმაოდ დამოუკიდებელ ხასიათს.

როგორც აღვნიშნეთ, მცირე ანთოლოგია შედგენილი უნდა იყოს 1818-1819 წლებში, დიდი — 1825-1830 წლებში. ჩანს, რომ გრიგოლ ბატონიშვილს ჯერ კიდევ ადრეულ წლებში განუზრახავს ხელნაწერი ანთოლოგიის შედგენა. შეუკრებია მას დავით რექტორის, ბესიკის, ა. ჭავჭავაძისა თუ სხვათა ლექსები და ხუმრობები, დაურთავს საკუთარი ნალვაწი და დაუწყია ამ მასალის ერთ ხელნაწერში მოთავსება.

როგორც მისი ბიოგრაფიიდანაა ცნობილი, მას ხან ერთ ქალაქში უწევს ცხოვრება, ხან მეორეში. შესაძლებელია, სათანადო პირობების უქონლობის გამო, იგი კრებულზე მუშაობას ველარ ას-

რულებს და უხდება განზრახულ ანთოლოგიაზე მუშაობის შეწყვეტა. მიზანი კი მას მართლაც ფართო ჰქონდა (ამას მოწმობს ლექსების გვერდით ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეტანა). დაუმთავრებელი ხელნაწერი ცალკე წიგნად აღარ შეუკრავს, იმ დროისათვის მას აღუდგენინებია ვახტანგისეული "ვეფხისტყაოსანი" და ეს თავისი ნაშრომი შიგ ჩაუკინძავს. არც ისაა გამორიცხული, რომ ეს კრებული სხვა პირის მიერ იყოს აქ შეკინძული. შესაძლებელია, კრებული უფრო დიდი მოცულობისაც იყო (კრებულს არა აქვს დასაწყისისა და დასასრული გვერდების მანიშნებელი რაიმე, ისე წყდება, რომ საფიქრებელია, იგი გრძელდებოდა), მაგრამ "ვეფხისტყაოსნის" აკინძვისას ის ნაკლულოვანი სახით ჰქონდა შემკინძველს და ასევე ჩაურთავს წიგნში.

ამ კრებულზე მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, როგორც ჩანს, გრიგოლი კვლავ აგროვებდა მასალას. შეიდი-რვა წლის განმავლობაში იგი კრებდა სხვადასხვა ლექსებსა თუ მოსწრებულ თქმას და სათანადო დროის გამონახვისას ადრე განზრახული მიზნის განხორციელებას — ანთოლოგიის შედგენას — კვლავ შედგომია. ოღონდ ისე, რომ წინათ დაწყებული კრებული კი აღარ გაუგრძელებია, ან აქედან მასალა პირდაპირ კი არ გადაუტანია, არამედ ახალი, დამოუკიდებელი, უფრო დიდი ზომის კრებულის შედგენისათვის მიუყვია ხელი.

საფიქრებელია, გრიგოლ ბაგრატიონს დიდი ანთოლოგიის შედგენისას მცირე ანთოლოგია ხელთ აღარ ჰქონდა. ეს რომ ასე ყოფილიყო, თუ იგი მიაჩნდა დასრულებულ, სრულიად დამოუკიდებელ კრებულად, მისგან მასალას ასე უხვად არ შეიტანდა დიდ ანთოლოგიაში (ოცდათოთხმეტი ლექსიდან ოცდათორმეტი დიდშია), შეადგენდა ახალ, (მასალით) არსებითად განსხვავებულ მეორე კრებულს, ხოლო თუ მცირე ანთოლოგია არ მიაჩნდა დასრულებულ, ცალკე კრებულად, მაშინ:

1. მასში არსებულ მასალას მთლიანად შეიტანდა დიდ ანთოლოგიაში. იგი ამბობს: "რაიცა ძალმედვა, შევკრიბეო", სხვებსაც სთხოვს, თქვენც ჩაწერეთ, რაც იცოდეთო, და რომ არაფერი ვთქვათ ლექსებზე დართულ არსებითი ხასიათის ცნობების გამოტოვებაზე, საკუთარ ორ ლექსს მაინც არ დატოვებდა გადაუწერელს.

2. ლექსების დასათაურებას იგი პირდაპირ გადმოიღებდა, ყოველ შემთხვევაში დიდი სხვაობა არ გვექნებოდა (თუ იმას დავუშვებთ, რომ დიდში განავრცო ცნობები და ამიტომაცაა სხვაობა, ხომ გვაქვს შემთხვევები, როცა მცირეში მოცემული ცნობები დიდში შეკვეცილადაა წარმოდგენილი).
3. ხუმრობა ან მოსწრებული თქმანი ძირითადად იგივეა, მხოლოდ განსხვავებული სიტყვებით არის გადმოცემული, რაც აგრეთვე გვაფიქრებინებს, რომ გრიგოლს დიდი ანთოლოგიის შედგენისას მცირე ხელთ აღარ ჰქონია. დიდი ანთოლოგიის შედგენისას მას ადრე მოპოვებული მასალით უსარგებლია, რის საფუძველზეც მცირეა შედგენილი; დაურთავს მისთვის შემდეგ წლებში შეკრებილი ლექსები თუ ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშები, საკუთარი ორიგინალური თხზულებები; წაუმძღვარებია ამ მასალისთვის წინასიტყვაობა, ჩაურთავს თავისუფალი ფურცლები სხვა გადამწერთათვის და ცალკე წიგნად შეუკრავს.

დიდი ანთოლოგიის შედგენისას რომ გრიგოლს მართლაც ხელთ არა ჰქონია მცირე ანთოლოგია, ამას ერთი გარემოებაც გვაფიქრებინებს. მცირე ანთოლოგიაში შეტანილია ერთი ლექსი, რომელიც ასე სათაურდება: "თქმული მეფის ძის გრიგოლისაგან იოსებ გაბაშვილზე მუხამბაზი ოდეს ჯარიდამ მოვიდა" (31r). ავტორი გადაშლილია, თუმცა მაინც იკითხება. ამ ლექსის დაწერის ისტორიისა და ავტორის ვინაობის შესახებ გრიგოლი დიდ ანთოლოგიაში გვამცნობს: "თქმული ავთანდილ თუმანიშვილისაგან ნათქვამი მუხამბაზი იოსებ გაბაშვილზე, რადგან ორნივ დავით ბატონიშვილს ახლდნენ, ვინაიდან გაბაშვილი იგი იოსებ ფრანცუცის დროს ჯარში შევიდა და აფიცრობა მისცეს, ესე იგი კარნეტობა და წავიდა გაბაშვილი ფრანცუცების საომრად და როდეს იქიდან მობრუნდა იგი მაშინ ჩხუბი უყო გაბაშვილმა ამ თუმანიშვილსა და კიდეც გალახა ძალიან და ამ თუმანიშვილმა ცემის მაგივრად ეს ლანძღვის ლექსი დაუწერა. რადგანაც გაბაონთ ვირებს ეძახიან ძველთაგან და მეტივეენიც ყოფილან ადრიდგან და საქსონიაშიც იყო" (H №2130, 65 v — 66 r).

მაშასადამე, გრიგოლი ერთგან ავტორად თავის თავს ასახელებს, მეორეგან კი ავთანდილ თუმანიშვილს, რაშია საქმე? შეიძლება კი ვიფიქროთ, გრიგოლმა აღნიშნული ლექსი ჯერ თავად მიიწერა, თავისი თავი გამოაცხადა ავტორად, შემდეგ კი უხერხულობა იგრძნო და ნამდვილი ავტორი გამოაცხადა?

ვფიქრობთ, აქ უფრო შემდეგი გარემოებაა საგულისხმო: ძველ ქართულ მწერლობაში, განსაკუთრებით კი, გარდამავალ ხანაში, ზოგჯერ ამა თუ იმ მომხდარ ამბავზე პოეტი სხვის მაგიერ წერდა ლექსს (სხვისი დაკვეთით, ან საკუთარი ინიციატივით). დავით რექტორი გადმოგვცემს: "ბატონიშვილებმა დავით და იოანემ ილაჯი გადამიწყვიტეს, მზეჭაბუკ მდივანბეგს ამგვარი მისწერეო და მივჰსწერე".

თვითონ გრიგოლსაც დაუწერია ასეთი ლექსი: "მე, ბატონიშვილმა გრიგოლმა, მივსწერე ეს ლექსი კონსტანტინეს ; მაგიერათ ანასტასიას" — გვიცხადებს ერთგან. ან ისევ გრიგოლის ანთოლოგიიდან მაგალითი: ერთ ქალს "ქალაქში დაუწერეს ბიჭებმა ფულინოვის მაგიერ მოთქმა" (H №2130, 58 r). ჩვენს შემთხვევაშიც მსგავს ფაქტს უნდა ჰქონდეს ადგილი. გრიგოლმა, იცოდა რა ავთანდილ თუმანიშვილისა და იოსებ გაბაშვილის ჩხუბის ისტორია, ისიც იცოდა, რომ — "გაბაშვილები ძველთაგან მამა-პაპით მეტივენი ყოფილან" და ახლა "აფიცრის ტანსაცმელში იპრანჭებიან", შეთხზა ლექსი ავთანდილ თუმანიშვილის ნაცვლად, შეიტანა თავის მცირე ანთოლოგიაში და კიდეც აღნიშნა საკუთარი ავტორობა. შემდგომ კი, იგრძნო რა ამ ლექსის ავტორობის უხერხულობა (ლექსში მწვავე სატირაა), უბრალოდ, წაშალა თავისი სახელი. დატოვა სათაური "გაბაშვილზედ ნათქვამი". ნამდვილი ავტორი კი აღარ გამოაჩინა. დიდი ანთოლოგიის შედგენისას ავტორად ავთანდილ თუმანიშვილი წარმოგვიდგინა.

გრიგოლ ბაგრატიონის მიერ შედგენილი მცირე (1818-1819) და დიდი (1825-1830) ანთოლოგიები ქართული მწერლობის ძვირფასი მასალების მომცველი კრებულებია.

ასეთი გამოკვეთილი მიზანდასახულობის, ასეთი ჩამოქნილი სახის და წინასწარგანზრახულობის ანთოლოგია გრიგოლ ბაგრატიონამდე არ არსებობდა. "მან კარგად იცის ჩაწერის წესები, აგრეთვე მშვენივრად ესმის ხალხური სიტყვიერების მნიშვნელობა და ფასი ენის განვითარებისათვის, თავისი დროის პირობებზე შეკრების ტექნიკაც სწორად არის გათვალისწინებული"[1], — აღნიშნავენ სპეციალისტები.

---

[1] მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I, თბ., 1875, გვ. 98-99.

გრიგოლის ანთოლოგიიდან მოჩანს ქართული არისტოკრატიული წრის მიზნები, ოცნებები და იმედები.

ამ ანთოლოგიებმა დიდი როლი შეასრულეს თავისი დროის ქართულ ლიტერატურულ წრეებში. ასეთ წრეებში იღებდა ნათლობას ყველა იმ დროს შექმნილი ნაწარმოები, აღნიშნავს ნ. მახათაძე[1]. უეჭველია, ამ წრის წარმომადგენლები კითხულობდნენ, ეცნობოდნენ, სწავლობდნენ და იწერდნენ ამ ანთოლოგიებში მოთავსებულ მასალას. გრიგოლის თანამედროვენი დიდად არიან დავალებული ამ ანთოლოგიებში არსებული მასალით[2].

ანთოლოგიებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. მათ საფუძველზე ხორციელდება ბევრი პოეტის ლექსების მეცნიერული გამოცემა, მრავალი საკვლევი საკითხი ამ კრებულში პოულობს გასაღებს: H №2130 ხელნაწერი მეტისმეტად ძვირფას კრებულს წარმოადგენს, რომელიც მრავალ დღემდე უცნობსა და საყურადღებო მასალას შეიცავს გარდამავალი პერიოდის (XVIII-XIX) ქართული ცხოვრებისა და კერძოდ, ლიტერატურის ისტორიისას... თხზულებათა შემკრები და გადამწერი გრიგოლ ბატონიშვილია, რომელიც საკმაოდ ნაყოფიერ დამოუკიდებელ ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა" აღნიშნავენ ბესიკის თხზულებათა გამომცემლები[3].

ასევე ფასეულია ეს ანთოლოგიები თეიმურაზ პირველის, საიათნოვას[4], ბესიკის, პეტრე ლარაძის, დავით რექტორის, ა. ჭავჭავაძის თუ სხვათა შემოქმედებით დაინტერესებულ პირთათვის[5].

---

[1] ნ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, თბ., 1967, გვ.12.

[2] მრავალი ლექსი ამ ანთოლოგიიდანაა მის თანამედროვე ხელნაწერ კრებულში შეტანილი.

[3] ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, ა. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1932, გვ. 168-169.

[4] "საიათნოვას ლექსები იოანე ბატონიშვილისეულ ხელნაწერებში მხოლოდ ერთ ნიმუშშია, ხელნაწერი გრიგოლ ბატონიშვილის ხელნაწერს წარმოადგენს", — სწერდა ა. შანიძე ი. გრიშაშვილს 1918 წელს (იხ. ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, თბ., 1918, გვ. 60); გიორგი თუმანიშვილის აქ მოთავსებული ლექსები მხოლოდ ამ ხელნაწერმა შემოგვინახა (86 r-v); 111v-112r.

[5] ბესიკის ზოგიერთი ლექსი მხოლოდ ამ ხელნაწერების მიხედვითაა გამოცემული, იხ. ბესიკი, თხზულებანი, გვ. 148.

კრებულში მრავალი უნიკალური ხასიათის ცნობაა მოწოდებული (ჭაბუა მდივანბეგსა თუ სხვებზე).

თავის მხრივ, ეს ანთოლოგიები, მათში შეტანილი მასალა მოწმობს, რომ გრიგოლ ბაგრატიონი იყო ქართული მწერლობის დამფასებელი, მოამაგე და ღირსეული მემკვიდრე.

პატრიოტიზმი. სამშობლოდან მოცილებამ, ნათესავ-მეგობრებს მოწყვეტამ, პოლიტიკური ძალა-უფლებისა და სოციალური მდგომარეობის შერყევამ წარმოშვა გულგატეხილობის, სევდის მოტივები, რაც კიდეც აისახა ემიგრანტთა შემოქმედებაში. ამ ხანის მწერალთა ნაწერებში ნათლად იგრძნობა რომანტიკული პოეზიის სპეციფიკური ხმები.

რომანტიზმის საწყისების წარმომშობი მიზეზები ემიგრანტთა შემოქმედებაში იყო როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური ხასიათისა: "რუსეთში შექმნილი იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო ქართული ემიგრაცია აღმოჩნდა არასასურველ მდგომარეობაში. სამშობლოდან გადახვეწას დაემატა ნივთიერი სივიწროვეც. ამ გარემოებამ კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ემიგრანტთა შემოქმედებაში რომანტიზმის საწყისებს"[1], - წერს კ. კეკელიძე.

ქართველი ბატონიშვილები დასტირიან თავიანთ მწარე ხვედრს და მიტოვებული სამშობლოს გახსენებითაა იქარვებენ შემოწოლილ დარდსა და ნაღველს. სამშობლოს მოცილებული მამულიშვილები თავიანთ განცდებს უმეტესად მოკლე ლირიკულ ლექსებში აყალიბებენ. ეს საერთოდ დამახასიათებელი იყო ემიგრანტი მწერლებისათვის: "ემიგრანტი მწერლების შემოქმედების სპეციფიკურმა კილომ, მოტივმა, გამოხატულება ჰპოვა შესატყვის ფორმაში, ახალი თემების დასამუშავებლად, რომლებშიც გადმოცემული იყო პიროვნების ინტიმური გრძნობა-განწყობილებანი, საჭირო გახდა ლექსის ახალი სახეები, ფორმები. ვრცელი და გრძელი ლექსების ნაცვლად, თავისი განწყობილებების გადმოსაცემად ემიგრანტი მწერლები მიმართავენ მოკლე ლირიკულ ლექსებს"[2].

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 318.

[2] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II (XII-XVIII სს.), თბ., 1966, გვ. 530.

გრიგოლ ბაგრატიონს, რომელსაც წილად ხვდა ემიგრანტის ცხოვრება, პატრიოტულ თემაზე მრავალი ნაწარმოები შეუქმნია. სამშობლოს თემაზე შექმნილი მისი თხზულებები შეიძლება ასე დავყოთ:

ლირიკა

ა. პეტროზავოდსკში დაწერილი ლექსები;
ბ. შემდგომი პერიოდის ლექსები.

ეპოსი

ა. გალექსილი "ქართლის ცხოვრება";
ბ. "იესე მოძღვრის გლოვა".

ლ ი რ ი კ ა

როგორც გრიგოლ ბაგრატიონის ბიოგრაფიიდანაა ცნობილი, მან ერთი წელი პეტროზავოდსკში გაატარა. აქ მას მრავალი ლექსი დაუწერია, ეს ლექსები უმეტესად პატრიოტული ხასიათისაა, გვხვდება სათავგადასავლო მომენტების შემცველი სტროფებიც — ისევ სამშობლოს მოშორების წუხილით ნაკარნახევი. პეტროზავოდსკის ციკლის ლექსები იმ სინანულს, დარდსა და განცდებს გადმოგვცემს, რაც პოეტში სამშობლოდან დაცილებას გამოუწვევია. გრიგოლ ბაგრატიონის პატრიოტულ ლექსებში იგრძნობა უსაზღვრო სიყვარული მშობლიური მიწისა, ქართველი ხალხისა.

ამ პერიოდის მისმა ლექსებმა "საგანგებო თემატიკა შექმნა ე.წ. გარდამავალი ხანის ლირიკაში"[1], აღნიშნავს ნ. მახათაძე. პატრიოტული ხასიათის ლექსებში, რომლებიც პეტროზავოდსკშია დაწერილი ("ცამან ჩრდილოთით", "სევდამ მომხვია"), პოეტის რომანტიკული განწყობილებებია გადმოცემული.

პეტროზავოდსკშია დაწერილი ლექსები ("მსმენნო სალბუნი", "მუსტაზადი", "თარი ბექაბაშის ხმაზედ").

გრიგოლ ბაგრატიონი თავის ერთ-ერთ ლექსში საკუთარი სვებედის უკუღმართობაზე მოთქვამს და ბიოგრაფიულ მომენტებს გადმოგვცემს ("მსმენნო სალბუნი").[2] დედის იმედად იზრდებოდა იგი, მაგრამ წუთისოფლის ქარბორბალა მის თავზეც დატრიალდა და მწარე დღეები გაუთენა:

"დედისა გული შემტრფოდა, ვით ჰქონდა ჭირნახულია,
ღმერთს მავედრებდა ნიადაგ ლაწვზედა ცრემლდასხმულია,
ჩემზედა ჰქონდა გონება და გული შეწირულია,

---

[1] ნ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, გვ. 107-108.

[2] გრიგოლის ეს ლექსი "თქმული საქართველოს მეფის ძის ძის გრიგოლისაგან თავის ტუსაღობის ჟამსა, ოდეს შვეთის კერძო პეტრეზაოდ წოდებულსა ქალაქსა შინა, როცა ზაზა ენდრონიკოვმა მიტყუებით მიიყვანა ლეკთაგან", ოცდათორმეტი სტროფია, მოთავსებულია მხოლოდ ერთ ხელნაწერში (H №2130, 45 v — 48 v).

მას ჟამსა ქარმან ბორბალმან დაჰქროლა მასვე არესა,
ვსთქვი, ჯავრი ესე დედასა მიმიცემს დღესა მწარესა
(H №2130, 47 v).

გრიგოლს უსიამოვნებისაგან თავის არიდების მიზნით მთისათვის მიუმართავს, მთას შეჰხიზნებია: "მას შემთხვევასა მივრიდე, მივმართე მთათა მხარესა", — აცხადებს იგი. მაგრამ მისდა მოსაცთუნებლად გამოჩნდა "ფოკა ვინმე მტარვალი... ფლიდი, ეშმაკი, მანქანა ჯოჯოხეთს დაფსკერებული... ზაზა სახელდებულად", რომელსაც მიზნად ჰქონდა გრიგოლის "შეპყრობა სიტყვითა".

ზაზას, ფიცის განსამტკიცებლად, გრიგოლის დასარწმუნებლად ყველა ღონე უხმარია, ცრემლიც ბლომად დაუღვრია და თანაგრძნობის სიტყვებიც მრავლად წარმოუთქვამს. ბოლოს ბატონიშვილი დაურწმუნებია, რომ მისი მშობლები ნამდვილად ცოცხლები აღარ იყვნენ. შეძრწუნებული გრიგოლი იმასღა ნატრობს — "მიწა ვიხილო მშობელთა, ეს არის ჩემიღა ლხინები" და მორჩილად მიჰყვება ზაზას.

ზაზა გზად მეტად გამხიარულებულა, რადგან გრიგოლის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, "რაცა სწადდა, ეგრეცა ჰქნა", — მას გრიგოლი მიუყვანია თელავში მარკიზ პაულიჩთან. მარკიზს გრიგოლისთვის განუცხადებია რუსეთში მისი გაგზავნის აუცილებლობა. თბილისში მოსულ გრიგოლს შეუტყვია "მშობელთა უვნებლობა", პოეტი მიმხვდარა ზაზას ორგულობას, მაგრამ გვიანღა იყო ყოველივე და პოეტი "ცრემლითა ცხელითა" იჯერებს გულს:

"უხსნელსა ზღუასა შთამაგდო ბედკრულმა ზაზამ ხელითა,
პეტრეზაოდსა პყრობილი ვჰსტირი ცრემლითა ცხელითა,
არავინ მივის ნუგეში დღე, არცა ღამე ბნელითა,
ზაზასი მესმის ჰსცხოვრობსო საქმითა საკიცხელითა"
(H №2130, 48 v).

გრიგოლი ანდერძივით უბარებს შთამომავლობას:

"გაფუცებ ყოველთა მსმენელთა, დავითის სახლის შვილებსა,
თუ ოდეს ღმერთმან ინებოს და მიხუდეთ თქვენს წადილებსა,

ღუთისათვის მოიგონებდეთ სისხლსა უბრალოდ ღვრილებსა
პარტონის მკულელი ვით ღირდეს, მიეცით მახვილს წვდილებსა"
(H №2130, 48 v).

გრიგოლს სწამს, რომ ზაზას არ შერჩება ასეთი სიბოროტე, მართალია, იგი გრიგოლის "შეპყრობით ჯილდოსა მოელის", "მაგრამ ეკითხვის უთუოდ ეგზომ სიცრუით ფიცია", რადგან "ზესთა მსაჯული ყოველთად, მრწამს, მოსამართლე მტკიცია". მართლაც, როგორც თვითონ გრიგოლი გადმოგვცემს, ზაზასათვის არავითარი ჯილდო არ გადაუციათ.

ესაა წმინდა ბიოგრაფიული ხასიათის ლექსი და, ვფიქრობთ, ერთ-ერთი პირველიც რუსეთში ცხოვრების პერიოდის ლექსებიდან. აქ გრიგოლი გვაცნობს პეტროზავოდსკში მოხვედრის მიზეზს და მასთან დაკავშირებულ ამბებს.

მართალია, ეს ლექსი გრიგოლის სათავგადასავლო მომენტებითაა სავსე, მასში გრიგოლის საკუთარ უბედურებაზე, ბედუკუღმართობაზე მოთქმა-ჩივილია, მაგრამ მისი სევდა მარტო პირადული არ არის. იგი სხვებსაც ხედავს სამშობლოდან მოცილებულთ, მისსავე ბედში მყოფთ და მკითხველთ სთხოვს, "შეგბრალდეთ, გულები შეიტკივნეთ"... "დიდის სასკიპტროს სახლის შვილები სად ვიდევნებით დაქსაქსულები". პოეტს საკუთარ უბედურებასთან ერთად ქართული სამეფო სახლის დაშლა-დაქსაქსულობა აწუხებს. ამდენად, მის სევდას პატრიოტული სარჩული უდევს და მხოლოდ პიროვნული არაა.

დიდ ანთოლოგიაშივე მოთავსებულ ერთ ლექსში[1] ("ცამან ჩრდილოითით"...) გრიგოლის პესიმისტური განცდებია გადმოცემული.

ეს იყო პოეტის გულგატეხილობის ხანა, მისი ცხორების ყველაზე მძიმე პერიოდი. პოეტი უეცრად სამშობლოს გარეთ მოხვდა, რამაც ძალზე დაამწუხრა. იგი ქართველებს მიმართავს:

---

[1] ლექსის სათაურია: "გრიგოლ ბატონიშვილის ნათქუამი მუსტაზადი", შედგება შვიდი სტროფისაგან (H №2130, 28 v – 29 r).

"ეჰა, მოძმენო, ეჰა, ძმანო, თქვენ რად ხართ ლულით,
რად არ იქნებით განღვიძებით, გონებით სრულით[1]"

(H №2130, 28 г).

მას თავისი ყოფა ზღვაში ჩავარდნილისათვის მიუმსგავსებია და ქართველებს იმასღა შესთხოვს:

"გახსოვდეთ მაინც, გვიგონებდეთ სიყვარულ ძმურით,
თქვენ იხარებდეთ, ჩვენ კარგულნი ვიქნებით ურვით."

(H №2130, 28 г).

პოეტის მწუხარებას ბუნებაც იზიარებს, მისნი სულდგმულნიც პოეტის სულიერი განცდის შესაბამისად გვევლინებიან, მისმა მძაფრმა ადამიანურმა მწუხარებამ ბუნების ძალთა თანაგრძნობა დაიმსახურა:

"მზენი მნათობნი, აწ ბინდულნი ერთად ყრილობენ,
ველარცა ვარდნი შეთვისულნი ძველებრ შლილობენ,
მათნი კოკორნი მოწყუწტილან, ხშირად ჭკნულობენ,
ვერც თვისთა თანა შექცევასა მოხარულობენ"

(H №2130, 28 г).

სხვა ქვეყანაში, "სხვათა არესა" სიარულით პოეტი გაბეზრებულა:

"მოგძუაგდა თავი მიმოსვლითა სხუასა არესა,
ერთა მუდარა და შეხვეწნა კარის კარესა,
ოი, ვით შევხვდი ამისთანას შესაზარესა,
სიცოცხლე ტკბილი თქვენდა გვაქუნდა, გაგვამწარესა"

(H №2130, 28 г).

---

[1] ეს რეფრენია და ყველა სტროფის ბოლოში მეორდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ რეფრენში გამოხატული აზრი ეხმაურება ილიას შემოქმედების კრედოს – ერის გამოღვიძებას, ერის სწორი გზისკენ შემობრუნების მოწოდებას

(„ეჰ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი,
როსღა გველირსოს ჩვენ გაღვიძება?").

პოეტი თანამოძმეთ არა ერთგზის აფრთხილებს:
"მაგრამ მლიქვნელნი გატყუებენ შავისა პურით
თუმც გიცინიან ლაზღარობით, არს ცეცხლის დება,
თუმცა გვაძლევენ მცირე რასმე, არს ბოლოს ვნება"
(H №2130, 29 r)

გრიგოლი ტკბილად იგონებს "ერთა ქართველთა, ვითა ძმათა". ტკბილად აგონდება ქართული პურ-მარილი, მისტირის "საყვარულს მოძმეთაგან კარგულსა" და გულმოკლული მოთქვამს.

პოეტი თავსდატეხილ ყველა უბედურებას წუთისოფლის უკულმართობას მიაწერს და ამბობს: "აწ დავაბრალებ ჩვენსა სვესა სოფლისგან ქმნულსა" (28 v).

სხვა სტროფებშიც: "ქცევა სოფლისა და ბრუნვა ჩვენზედ ბედისა"[1] (28 v) არის ყველაფერში დამნაშავე.

ალბათ ამიტომაც იყო, რომ სწორედ აქ, პეტროზავოდსკში დაწერილ სხვა ლექსში ცრუ და გაუტანელ სოფელს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

"ჰი, რა ძნელი ხარ, სოფელო, აყოლა შენი ძნელია,
ჰი, მაბერე უკამოდ და ღონე გამომელია,
ჰი, მაშორე ჩემს თემსა, აღარ ვარ ქართლში ქველია"
(H №2130, 53 v).

ამ ლექსშიც უნუგეშოდ მყოფ პოეტს მარტო საკუთარი უბედობა როდი აღონებს, იგი წერს იმის გამო, რომ "მლიქუნელნი ატყუებენ" ქართველთ, მის მოძმეთ და მისი ნატვრა ერთია: "ნეტამც თქვენ შვება გეცესთ რამე, ვისმინოთ ყურით". ქართველთა შვება, მისი შვება, მისი ტკივილის მალამოც იქნება. აქაა გრიგოლის ღრმა პატრიოტიზმი.

---

[1] აქ უნებურად გვახსენდება ვახტანგ VI ლექსი "სალბუნად გულისა", სადაც პოეტი იგონებს რა ქართველებს, ქართულ პურ-მარილს, შემდეგ თავის "შესაწუხარს, შესაზარავს" დღეებს გვიხატავს, რაც "სოფლისგანა არის რამ დასაცალია". ამ ლექსთან ნათესაობა გრიგოლის სხვა ლექსებიდანაც ნათლად ჩანს (ამაზე ქვემოთ). რაც იმის მანიშნებელია, რომ გრიგოლის შემოქმედება გარკვეულად ენათესავება ვახტანგის პოეზიას.

იგი საკუთარ თავს ზვარაკად მიიტანს სამშობლოს კეთილდღეობის სამსხვერპლოზე. ამას მოწმობს მისი სიტყვები: "თქვენ იხარებდეთ, ჩვენ კარგულნი ვიქნებით ურვით", რომელსაც ყოველი სტროფის ბოლოს იმეორებს. ქართველთა ბედნიერებას მონატრებული პოეტი საკუთარზე არც ფიქრობს, მხოლოდ იმას შესთხოვს თანამემამულეებს, რომ "გახსოვდეთ მხოლოდ", გვიგონებდეთ ძმური სიყვარულითო.

გრიგოლ ბაგრატიონი ჰუმანისტი პატრიოტია, იგი საკუთარ თავზე მაღლა აყენებს სამშობლოს, თავის ერს. მისი საწუხარ-სატკივარია ის, რომ არ ეჭნეთ ქართველთ "დღეთ შემოკლება".

პატრიოტულ თემებზე დაწერილ სხვა ლექსებშიც პოეტს გულს უკლავს ის გარემოება, რომ სამშობლოდან შორს უხდება ყოფნა. ლექსში "ბატონიშვილის გრიგოლისაგან თქმული თარი ბექაბაშის ხმაზედ, "პეტრეზაოდსა შინა", აქაც პოეტის სევდიანი განწყობილებებია გადმოცემული. მშობლიურ მხარეს დაცილებამ პოეტი ისე დაამწუხრა, სიკვდილიც კი ანატრებინა. პოეტმა მშვენიერი ლექსით გამოიტირა "წყეული სვე", რომელიც "ქართლისა ტკბილსა არესა" გამოაკლო და ამით უსაზღვრო მწუხარებამდე მიიყვანა:

> "ბედკრულსა შემთხვევას შევხვდი მწარესა,
> მოვაკლდი ქართლისა ტკბილსა არესა,
> სატრფოს, დედასა – ტკბილმლობარესა,
> აწ ვიგლოვ პყრობილი მყინვართ მხარესა,
> ერთგულთა თან ზრდილთა მოყურად მკმარესა"
>
> (H №2130, 29 r).

პოეტი სინანულით მოთქვამს:

> "ჰსჯობდა მამულისთვის მოკვლა თავისა,
> მტრისგან არ მიმელო ფიცი ზავისა,
> ტყვეობით რა ვნახე – კიდე ავისა?"
>
> (H №2130, 29 v).

მარტოდ დარჩენილი პოეტი საკუთარ თავს ეკითხება:

"— აწ, თაო, რად იგლოვ თვალცრემლიანი?"
მისი პასუხი ღრმა პატრიოტული შინაარსისაა:
"— ვინადგან დაჰკარგენ ვარდნი, იანი,
ქართლის ბაღ-წალკოტთა კარნი ლიანი,
მასშიგან შექცევა საწად-სვიანი"

(Н №2130, 29 г).

აქ ნათლად ჩანს, გრიგოლის გლოვა ქართლის დაკარგვას, მისგან მოცილებას გამოუწვევია. სამშობლოს სანახები, "ქართლისა მიწა-მშობელი", "სამოთხე ქვეყანაა" მისი ცრემლებისა და წუხილის მიზეზი. პოეტის პესიმიზმი სამშობლოს მოცილების გამო უკიდურესობამდე მიდის, წარსულის სიტკბოება, სიდიადე, "ყრმანნი ძმებრ ზრდილ-მზრდელი" წარმოუდგა თვალწინ, მერე აწმყოს შეხედა თვალებში და მწარედ ამოთქვა:

"ვსტირ თავსა ჩემსა, ვღვრი ცრემლს ღვარესა,
ესე სჯობს, ვთხრიდე თვით სამარესა".

ეს სტრიქონები კი რეფრენად დაურთო ყველა სტროფს ექსტაზის გასაძლიერებლად და თავისი უნუგეშო მდგომარეობის ხაზგასმით წარმოსაჩენად.

პოეტი კიდევ ერთხელ იხსენებს მას, ვინც იგი ამ დღეში ჩააგდო: "ორგულმან ზაზამ მცა დღეს მწუხარესა".

ლექსის ბოლო სტროფში კი, პოეტი ისევ თავისი ქვეყნის მომხიბლავ სურათებს უბრუნდება და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ტირილი და ცრემლის ღვრა ამაოა.

"სოფლისა სამოთხე — ქვეყანა შენი,
ბუნებით კეთილი — ზნით ნაშვენი,
მუნებრ ქალ-ყმანი — მზეებრ ნაშვენი
დაჰკარგე, რაღას სტირ ცრემლ მონაშენი".

პოეტი ამ ლექსში უიმედობის, სასოწარკვეთილების ღრმა მორევშია, იგი უკიდურესად ღრმა მწუხარებას განიცდის.

ლექსის დასასრულს მოსალოდნელი იყო გამძაფრება ამ ემოციისა, მაგრამ პოეტი ასე არ იქცევა, იგი საკუთარ თავს უწყრება, ამხნევებს: "...რაღას სტირი ცრემლ-მონაშენი"-ო.

გრიგოლ ბაგრატიონის პეტერბურგში დაწერილი ლექსები სრულყოფილი პოეტური ნაწარმოებებია, შეიმჩნევა მხატვრული ოსტატობა, რაც, თავის მხრივ, იმის მანიშნებელია, რომ პოეტს მანამდეც, საქართველოში ყოფნის პერიოდშიც ექნებოდა დაწერილი რამე, მაგრამ მისი ბედუკუღმართი ცხოვრების გამო ეს ლექსები, როგორც ჩანს, არ შემონახულა. ჩვენ მხოლოდ მისი რუსეთში ცხოვრების პერიოდში დაწერილი ლექსები მოგვეპოვება. ის კი ძნელი საფიქრებელია, ასეთი პოეტური ქმნილებები კალმის ერთი მოსმით დაეწერა რუსეთში ჩასვლისთანავე.

შემდგომი პერიოდის ლექსები. ძველი ქართული მწერლობის არა ერთსა და ორ მოღვაწეს მოუხდა რუსეთში ცხოვრება. მათ თან სდევდათ მშობლიურ მიწა-წყალზე ზრუნვა და ფიქრი. რუსეთში სხვადასხვა დროს მოხვედრილი მამულიშვილებისათვის სამშობლოს ბედი მეტად მტკივნეული იყო. მათ ნაწარმოებებში ყველაზე აქტუალური თემა მამულის სიყვარულია. პოეტურ ნაწარმოებებში სამშობლო ხან აშკარად, ხან ალეგორიული ფორმითაა წარმოდგენილი. პოეტები მას თავიანთ გულისსწორად თვლიან, სატრფოდ სახავენ, თვითონ კი მასზე მომღერალ, მისთვის დამწუხრებულ მიჯნურად გვევლინებიან. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველთაგანი ვახტანგ მეექვსეა, რომელმაც რუსეთის მიწაზე პოვა სამუდამო განსასვენებელი. მან შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში სამშობლოს ალეგორიული, სატრფოს სახით წარმოდგენა. კ. კეკელიძის თქმით, ვახტანგი "იგავთ მოყვანით" ეალერსება კეკლუც სამშობლოს, ამ შემთხვევაში ის ამტკიცებს ჩვენს მწერლობაში ალეგორიულ-სიმბოლისტურ მიმართულებას"[1]. ვახტანგ VI პირველი პოეტი იყო საქართველოში, ვინც გამახელებელ გულისსწორად, სატრფოდ დაისახა სამშობლო.

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 604.

ემიგრანტული პოეზია, რომელიც ძირითადად ქართული ლიტერატურული ტრადიციებით იკვებებოდა, მრავლად იძლევა სამშობლოს თემაზე დაწერილ ლექსთა ნიმუშებს, რომლებშიც სამშობლო სატრფოს სახითაა წარმოდგენილი, ხოლო პოეტი — მისთვის დამაშვრალ, მის გამო გულლახვარსობილ მოტრფიალედ.

გარდამავალი ხანის ერთ-ერთ ლექსში დროის ცვალებადობით შეწუხებული ბულბული მწარედ მოთქვამს — სევდას მოუცავს მისი გონება, რადგან მისი სატრფო — ვარდი სხვასთან ნავარდობს, სხვის კვალს მიჰყვება. პოეტი მიმართავს:

> "დროცვლილო ბულბული, იგლოვდი მწარედ,
> ყეფა განამრავლე ვისა და ვისა.
> რადგან ვარდსა უმზერ სხვის კვალს მრებარედ,
> მგონებ გვაჯი შეგწვავს ვისა და ვისა"

(H №2130, 66 v).

პოეტი გარს ევლება თავის გულისსწორს, ჭიკჭიკით და გალობით ატკბობს მას, მაგრამ მის ვარდს რაყიფთან გაუჩაღებია "ალერსი-ტკბობა" და ოხვრის მეტი გზა არ დარჩენია ცეცხლმოდებულ "ტკბილმსტვენს".

> "ცუდ გვექმნა გარს ვლება, ჭიკჭიკით ტკბობა,
> ვარდმან სხვად ინება იგ ნავარდობა,
> სტირდე, რაყიფთან აქვს ალერსი-ტკბობა,
> სახმილი მოგიდვა ვისა და ვისა,
> ქვე ცის სფეროს უდრიდ, სხვა ჰმსგავსსა არა,
> ხმობდი, მზე აცუდა, მთვარე დაჰფარა,
> რად აწ მიჯნურის კვლა არ შეიზარა,
> ამად ოხვრა გმართებს ვისა და ვისა"

(H №2130, 66 v).

ბულბულს უნდა, რომ ვარდი გონს მოიყვანოს, დაარიგოს, შეასმინოს თავისი ურვით ნათქვამი:

"ეჰა, ვარდო, ნაზო, სურნელ-დატკბობილო,
ფეროვნად მდიდარო, კოკობად შლილო,
მწარის ბულბულისა ჩრდილ მოსაგრილო,
ილმე გვრგვინვით ხმობა ვისა და ვისა.
შეგბრალდეს ტკბილმსტვენი მკვდრად მიდებული,
ნუ ხარ მკვლელად მისა მოსწრაფებული,
ისმინე ურვით თქმა ვისა და ვისა"

(H №2130, 66 v).

ეს ლექსი მოთავსებულია ორ ხელნაწერში (H №2130, 66 v - 67 r და S №3686, 136 v -137 r), ერთგან გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონია დასახელებული ლექსის ავტორად, მეორეგან — პეტ-რე ლარაძე (ყარიბი), ამ ლექსის ავტორი რომ ნამდვილად გრი-გოლ ბაგრატიონია, ამის შესახებ უკვე ვიმსჯელეთ ანთოლოგიების განხილვისას.

ეს ლექსი უშუალო დადასტურებაა სიყვარულისა, რომლითაც გრიგოლ ბატონიშვილი დაკავშირებულია სამშობლოსთან, მოთქვამს და ოხრავს სატრფო — სამშობლოსაგან გულდათუთქული პოეტი. და ეს მისი გოდება ისეთ მხატვრულ დონეზეა შესრულებული, რომ არ შეიძლება არ

"შეგბრალდეს ტკბილ-მსტვენი მკვდრად მიდებული,
საბრალო მტირალი, ცეცხლ-მოდებული".

პოეტის გულისტკივილი ალეგორიულ ფორმებს ისეა შერთუ-ლი, რომ ერთი შეხედვით, შესაძლოა, სატრფოზე გახელებული ხმით მყეფარი ალმოსავლური ბულბულის კვნესაც კი მოგვაგონოს. მეორე მხრივ, ვარდი — სამშობლო ოსტატურადაა შენილბული. მათ მიღმა კი (ბულბულსა და ვარდს მიღმა) მოჩანს აჩრდილი — მწუ-ხარე, "მტირალი" პოეტისა და მისი სათაყვანებელი სამშობლოსი.

ესაა ერთ-ერთი მშვენიერი ლექსი ამ ხანის ქართულ მწერლო-ბაში. ლექსი გამოირჩევა შინაგანი ემოციური დინამიკით, სიღრმით, რომელიც იმდროინდელი საზოგადოების ინტერესსა და მოწონებას იმსახურებდა.

იხილავს რა ამ ლექსს, მ. კაკაბაძე აღნიშნავს: "ლექსის პირვე-ლი ორი სტროფი თავისი უშუალობით, სიმართლით, მაღალი პოე-ტური განცდით სრულიად განსაკუთრებულია, იგი კარგად შეესა-

ბამება ეპოქალურ განწყობილებებს, დროის ცვალებას და საზოგადოებაში ჩაგუბებულ სევდას"[1].

აქვე უნდა შევჩერდეთ იმ მსგავსებაზე, რომელიც შეინიშნება გრიგოლ ბაგრატიონის ზემოთმოტანილ ლექსსა და აკაკი წერეთლის "ალმართ-ალმართს" შორის, ა, ბარამიძე სავსებით სამართლიანად თვლის ვახტანგ მეექვსეს აკაკის წინამორბედად. ორივეს სატრფოდ დაუსახავს სამშობლო, თვითონ მისთვის მწუხარე მოჯნურად წარმოგვიდგებიან და ალეგორიული ფორმით უმღერიან სათაყვანებელ მხარეს. მის ბედზე შეჭირვებულთ ქართული ლიტერატურისათვის შესანიშნავი ლექსები შეუმატებიათ.

გრიგოლი, განათლებული ოჯახის შთამომავალი, ძველი ქართული მწერლობის ძეგლების მცოდნე და მოამაგე, უეჭველია, კარგად იცნობდა ვახტანგ მეექვსის შემოქმედებას და, როგორც ჩანს, განიცდიდა კიდეც მის კეთილისმყოფელ გავლენას. მის შემოქმედებაში უთუოდ ჩანს კვალი ვახტანგის პატრიოტული ლირიკისა, იმ მძაფრი განცდებისა, რომლებიც ცრემლებით აწერინებდა მას საგალობელს ლისის ტბის შემოგარენისა თუ დიდგორის ველის სიზმარეულ ადგილებზე, ცალკეულ სანახებსა თუ მთლიანად ხატად სატარებელ სამშობლოზე.

თავის მხრივ, არც გრიგოლის შემოქმედება დარჩენილა უყურადღებოდ. მისი ანთოლოგიები ქართული მწერლობით დაინტერესებულ პირთათვის საკმაოდ ცნობილი ხელნაწერებია. არ არის გამორიცხული, რომ აკაკი წერეთელი იცნობდა ამ ხელნაწერებს. სავარაუდოა, რომ იგი ხელნაწერებს გაეცნო პეტერბურგში ყოფნის

---

[1] მ. კაკაბაძე, გარდამავალი პერიოდის პოეზია და ქართული რომანტიზმის საფუძვლები, წიგნში ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, გვ. 23. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ საკითხზე ჩვენ დაწვრილებით შევჩერდით წერილში "ერთი ქართული ლექსის გამო" (იხ. საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 86, №1, თბ., 1977, გვ. 221-224), სადაც ნათლად იყო ნაჩვენები, რომ ლექსი ეკუთვნის გრიგოლ ბაგრატიონს (და არა პეტრე ლარაძეს, როგორც მ. კაკაბაძეს მიაჩნია) და ისიც, რომ ამ ლექსთან ახლო ნათესაობა აქვს აკაკი წერეთლის ლექსს "ალმართ-ალმართ", რაც მკვლევარს ყურადღების გარეშე დარჩენია.

პერიოდში იოანე გრიგოლის ძე ბაგრატიონის ოჯახში დაცულ იოანესეულ წიგნსაცავში.

საილუსტრაციოდ შევჩერდეთ ზოგიერთ ადგილზე: ერთგანაც და მეორეგანაც პოეტი-მიჯნური შეცბუნებულია, რადგან მისი სატრფო სხვასთანაა, სხვას ემონება, სხვასთან ნავარდობს. ის სხვა ერთგან მტერია, მეორეგან — რაყიფი.

ვარდმან სხვად ინება იგ ნავარდობა,
სტირდე, რაყიფთან აქვს ალერსი, ტკბობა

(გ. ბაგრატიონი).

გადვიხედე, ვნახე, რომ სხვას ჰმონებდა!
გამიკვირდა! ვსთქვი: — მტერს როგორ მონებდა?

(აკაკი).

ხედავენ რა სატრფოს გზასაცდენილს, ორივე პოეტი აფრთხილებს მას — ნუ ენდობა მტერს. გრიგოლ ბაგრატიონის ლექსში ბულბულმა მოუმატა ყეფას სხვის კვალს გაყოლილი სატრფოს მოსაბრუნებლად:

„ყეფა განამრავლე...
რადგან ვარდსა უმზერ სხვის კვალს მრებარედ".

აკაკი ამბობს:

მივაძახე: "ჭინჭრებში ნუ ვარდები!
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!"

ორივე შემთხვევაში ვხედავთ, რომ სატრფო არ უსმენს მიჯნურს და პოეტიც საუკუნოდ ოხვრასა და სევდას ემონება:

"ცუდ გვექმნა გარს ვლება, ჭიკჭიკით ტრფობა,
ვარდმან სხვად ინება იგ ნავარდობა,
რად აწ მიჯნურის კვლა არ შეიზარა,
ამად ოხვრა გვმართებს ვისა და ვისა"

(გ. ბაგრატიონი).

"არ მისმინა მწუხარებით დადაგულს,
მით დამასო საუკუნოდ დანა გულს"
(აკაკი).

ამ მსგავსების ჩვენებით სულაც არ გვინდა იმის თქმა, თითქოს აკაკიმ გრიგოლ ბაგრატიონის ამ ლექსის გავლენით შექმნა თავისი ლექსი. შესაძლოა ეს ანალოგია მხოლოდ იმის დასტურად გამოდგეს, რომ XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები ეცნობოდნენ და აფასებდნენ ქართულ ხელნაწერებში შემონახულ ძველი ქართული მწერლობის ნიმუშებს და რომ ახალი ქართული ლიტერატურა ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციების მემკვიდრეა.

გრიგოლ ბაგრატიონმა სამშობლო ალეგორიული ფორმით წარმოგვიდგინა სხვა ლექსებშიც („მისგანვე თქმული მუხამბაზი" — „სევდამ მომხვია გულსა ბრჭყალები"). ამ ლექსის შესაძლო ავტორობის შესახებ ანთოლოგიების განხილვისას უკვე ვისაუბრეთ, ამიტომ აქ ამაზე აღარ შევჩერდებით (აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ S №3686 კრებულში, რომელიც საკმაოდ გვიანდელი ხანის კრებულია, 113 r — 115 v გვერდებზე მოთავსებულ ამ ლექსს აწერია: „თქმული მეფის ძის ილიასაგან მუხამბაზი" (გადახაზულია ფანქრით). შემდეგ მოსდევს გრიგოლის ლექსები (ანბანთქება, გამოცანები, მუხამბაზი და სხვ). მომდევნო გვერდზე მოტანილია მისივე ლექსი „დროცვლილო ბულბულო" — ავტორად პეტრე ლარაძეა გამოცხადებული. ე. ი. გრიგოლის ლექსების წინ მოთავსებულია მისივე ლექსი და ილია ბატონიშვილისეულადაა გამოცხადებული. ასევეა ლექსების ბოლოშიც, იქაც მისი ლექსია, ავტორად პეტრე ლარაძეა მიწერილი. მიმოვიხილავთ ლექსს:

„სევდამ მომხვია გულსა ბრჭყალები
ზედ დამრთო ჭირნი მალის მალები,
მარად მიოხავს გულსა ძალები,
ამაოდ მდინეს ცრემლთა თვალები"
(H №2130, 59 v).

მართალია, ლექსში სიტყვა სამშობლო არსადაა ნახსენები, მაგრამ სატრფოს ცნების ქვეშ უთუოდ იგულისხმება.

პოეტის სევდა უსაშველოა, რადგან არავინ გამოჩნდა მისი შემ-ბრალებელი და ნუგეშის მიმცემელი:

“არა სად ვინ ჩანს ჩემი მბრალები,
რომელმან ესე ცეცხლის ალები
დამშრიტოს, გულსა მასხას წყალები
და მით მიკურნოს ლაწვნი ნალები”
(H №2130, 60 r).

პოეტი უბედო სვისაგან შეწუხებული ევედრება მას (მიჯ-ნურს):

“ისმინე ჩემი მოხსენებული,
მოატკბე ჩემდა უწყალო გული”
(H №2130, 60 r).

მაგრამ მისი ვედრება სატრფომ არ შეისმინა:

“უგულებელსჰყო ჩემი ვედრება,
მით მომიმატა ოხვრილს ცეცხლსდება”
(H №2130, 60 r).

მხატვრული ოსტატობითაა გადმოცემული პოეტის უნუგეშო ყოფა შემდეგ სტრიქონებში:

“არ მაქვს სავანე, არც ნავთსადგური,
მებრძვის ხუჭდრისა ცვლილება, შური,
ბნელად მჩანს დღე და ცისა ლაზური”
(H №2130, 60 v).

მისი ხილვა, მისი ამბის მოსმენის სურვილიდა ასულდგმულებს პოეტს:

“ხილვა მისი არს ჩემდა საწყური.
სმენად მის ჰამბის მზად მაქვან ყურნი”
(H №2130, 60 v).

ესაა ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი გრიგოლის პატრიოტულ ლირიკაში. "ეს ლექსი შეიძლება მივიჩნიოთ იმ ნაწარმოებთა შორის, რომელიც იძლევა ლიტერატურულ მასალას XIX საუკუნეში რომანტიკოს პოეტებისათვის დევნილი გმირის სახის წარმოსაქმნელად"[1], – აღნიშნავს მ. კაკაბაძე (მკვლევარი აღნიშნულ ლექსს ლარაძისეულად მიიჩნევს).

ამ ლექსში მარტოსულობის, ობლობის ის მძაფრი განცდებია, ის ღრმა დრამატიზმია, რაც შემდეგ უფრო მკვეთრი აკორდებით აჟღერდა ნ. ბარათაშვილის ობოლი სულის მოთქმა-გოდებაში.

ამ ლექსის გმირი თითქოს წინასახეა ნ. ბარათაშვილის მერანზე ამხედრებული დევნილი გმირისა. ყური დავუგდოთ გრიგოლ ბაგრატიონს:

> "მიმოვიქცევი ყოველგნით დევნილი
> .
> წამალს ვეძიებ ჭირთკვეთებული".

ნ. ბარათაშვილის გმირთან კი, დაბნეული მიმოქცევა კი არა, უკვე "ბედის სამზღვარზე" გარდასული მხედრის შემართებული მოწოდება-კივილა ისმის: "გასწი, მერანო"...

გრიგოლის გმირი მარტოა, მარტოსულია, არავინა ჰყავს ჭირის გამზიარებელი ან ნუგეშის მცემელი:

> "ესრეთ უბედო სხვისაგან ქმნული,
> ვარ არავისგან ნუგეშცემული".

უფრო მეტიც, იგი უახლოესი ადამიანებისაგანაც გარიყული და დავიწყებულია:

> "მოყვანსო, თქუენგანც დავიწყებული
> ვკუდები, ცეცხლი მწვავს მძლედ-მიდებული".

---

[1] მ. კაკაბაძე, გარდამავალი ხანის პოეზია და ქართული რომანტიზმის საფუძვლები, წიგნში: ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, გვ. 22.

ახლობლებისაგან მოწყვეტილია და ყორანთა სავალალო ნ. ბარათაშვილის გმირიც. მარტოობისა და ობლობის განცდის მწვავე ნაღველმა გარკვეულად გაიელვა ამ ლექსის სხვა სტრიქონებშიც ("არ მაქვს სავანე, არც ნავთსადგური, მებრძვის ხუედრისა ცვლილება, შური"), რომელიც უფრო მკვეთრად და დიდებულად ნ. ბარათაშვილის უკვდავ სტრიქონებში გადმოილვენთა.

აღნიშნული პარალელებითა და საერთო მოტივების ჩვენებით ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვსურს, რომ გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედებაში საწყისი სახით არის მოწოდებული ზოგიერთი ის მოტივი, თემა თუ შეხედულება ან პოეტური ასოციაცია თუ წარმოსახვა, რაც შემდგომი დროის მწერლობაში, რომანტიკოსებთან უფრო ღრმად, დახვეწილად და ხატოვნად შემეცნებულ-გააზრებული წარმოგვიდგება.

ეს ლექსი გარკვეული ტენდენციითა და პოეტური გამოსახვის მანერით ახლოს დგას ლექსთან "დროცვლილო ბულბულო", რაც კიდევ ერთი არგუმენტია იმისა, რომ ლექსი "სევდამ მომხვია" გრიგოლ ბაგრატიონს ეკუთვნის.

მოვიტანთ ადგილებს:

"დროცვლილო ბულბულო":
"ვარდმან სხვად ინება იგ ნავარდობა,
სტირდე, რაყიფთან აქვს ალერსი, ტკბობა".
"სევდამ მომხვია":
"ისმინე ჩემი მოხსენებული,
მოატკბე ჩემდა უწყალო გული,
უგულებელსყო ჩემი ვედრება,
მით მომიტანა ოხერილს ცეცხლს დება".

ამ ლექსთან გვახსენდება აკაკის სტროფი:

„მივაძახე, ჭინჭარში ნუ ვარდები!
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!"
არ მისმინა მწუხარებით დადაგულს,
მით დამასო საუკუნოდ დანა გულს".

როგორც ვხედავთ, მსგავსება აშკარაა.

დიდ ანთოლოგიაში ამ ლექსის სათაური ყოფილა „თქმული მასზედვე, მისგანვე მუხამბაზი“. „მასზედვე“, იგულისხმება ვინმე ანასტასია, რადგან მისდამია წინა ლექსი მიძღვნილი. ესეც, ჩვენი აზრით, ლექსის თემატიკის შენიღბვის მიზნითაა გაკეთებული. გრიგოლ ბაგრატიონს სამიჯნურო ლირიკაში თითქმის ყველგან ახასიათებს სატრფოს მშვენებათა წარმოჩენა. შექებულია მისი „ხალი ალერსოვანი“, „შავნი თვალნი“ თუ მისთანანი. იგი არსად არაა ისეთი მოკრძალებული მეხოტბე სატრფოსი (თუ კი ის მართლაც ამ სტროფში რეალურ ქალს გულისხმობს და არა სამშობლოს), რომ მის გარეგნულ სილამაზეზე, მომხიბლაობა-მოკაზმულობაზე არ მიგვაქცევინოს ყურადღება და არ ინატროს მასთან ყოფნა-შეხვედრა. აქ კი, ამ ლექსში სატრფოს მხოლოდ სიტყვა მიჯნური და ერთგან ხსენებული ვარდი წარმოსახავს. ესენიც, ჩვენი აზრით, უთუოდ სამშობლოს ალეგორიული გამოხატვის მიზნითაა ნახმარი.

გრიგოლ ბაგრატიონი ამ ხანის ლექსებში ვახტანგ VI პოეზიის მოტივების გამგრძელებელია, თავის მხრივ, მისმა პოეზიამ შემდეგი ხანის პოეტების ნაწერებში პოვა გამოძახილი.

გრიგოლ ბაგრატიონის პატრიოტულ ლირიკაში იგრძნობა თავისი ქვეყნისა და მშობელი ერის ძლიერი სიყვარული. პოეტი სამშობლოს ყოველთვის საკუთარ თავზე მაღლა აყენებს და უცხოობაშიც მის ბედზე, მის უკეთეს მერმისზე ოცნებობს. სწორედ მისმა სიყვარულმა შთააგონა პოეტს პატრიოტული ლექსები, რომლებშიც მხატვრულ ფერებშია წარმოდგენილი „სოფლისა სამოთხე ქვეყანა“.

ᲡᲐᲢᲠᲤᲘᲐᲚᲝ-ᲡᲐᲛᲘᲯᲜᲣᲠᲝ ᲚᲘᲠᲘᲙᲐ

გარდამავალი ხანის პოეზიაში განსაკუთრებით მრავლად გვხვდება სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათის ლექსები. ამ ხანის პოეტები მგზნებარებით ალსავსე ჰიმნებს უძღვნიან სიყვარულს. ამ თემაზე ლექსები უწერია გარდამავალი ხანის თითქმის ყველა მოღვაწეს. იყვნენ ისეთი პოეტებიც, რომელთა შემოქმედება მხოლოდ სამიჯნურო პოეზიით შემოიფარგლება.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდამავალი ხანის პოეზიის სამიჯნურო-სატრფიალო მოტივები უმეტესწილად ე. წ. "ბესიკური პოეზიის" ერთხელ უკვე ნაცად ხერხებსა და ფორმებს იმეორებდა. ბესიკს იმდენად ბაძავდნენ, რომ ბესიკის "სახელი ცდუნების საგანი ხდებოდა. ის იყო საუკეთესო პროტოტიპი და ყოველი მელექსე თავის პირდაპირ მოვალეობად თვლიდა სანუკვარი პოეტის წაბაძვას, განმეორებას"[1].

მაგრამ ბესიკის მიმდევართა შორისაც განსხვავება იყო. იყვნენ ეპიგონები, რომელთა ხელში "დაკნინდა ბესიკის მძაფრი დრამატიზმით დატვირთული ლექსი და უხეირო, დარდიმანდულ მონოლოგებად გადაიქცა"[2]. ზოგიერთ მიმდევართან, მართალია, ბესიკისებურია სიყვარულის განცდა-გააზრება, მაგრამ ლექსში გარკვეული ორიგინალობა მაინც იგრძნობა.

გრიგოლ ბაგრატიონს, რომლის შემოქმედებითი საქმიანობა რუსეთში უკვე ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ საფუძველზე ვითარდებოდა, არა ერთი და ორი ლექსი დაუწერია სატრფიალო-სამიჯნურო თემაზე.

სატრფოს მომხიბვლელ გარეგნობას აღტაცებაში მოჰყავს პოეტი:

"ბულბულო, ტკბილო, შაშპრა, სოსანო,
კავ, ზილფო, ნაზო, ნარგიზოსანო,
ლოყაზედ ხალო ალერსოსანო,

---

[1] ბესარიონ გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძის და ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1932, გვ. 170.
[2] ს. ცაიშვილი, ბესიკი, თბ., 1962, გვ. 4.

ბანოვანთ შორის უტურფოსანო...
ვიცი შემკულხარ მოსართავად ატმის ფერითა,
ნარინჯნი გესხნეს, მითი დავბნდი მყის შეცქერითა"
(მცირე ანთოლოგია, 21 r)

ქალის სილამაზე, მისი გარეგნული ხატებაა წარმოჩენილი გრიგოლის სხვა ლექსებშიც. პოეტი ორიგინალური ეპითეტებით ამკობს ლექსის ლირიკულ გმირს:

"მზის უმჯობესო, მშუშნიერო, ჰაერთა მნათო,
ბანოვანთ დისკო, კეკელკაო, ნარნართა თაო,
მანგ-მოსილებით მოხდომილო, რიდ მოსართაო,
მელნისა ტბანი, გარსხდომილნი, ზღუა შესართაო"
(H №2130, 58-59 r).

პოეტის სატრფო ყველასაგან გამორჩეულია, შეუდარებელია. მის სილამაზეს დაუტყვევებია პოეტის გული, მიჯნურის მკვლელი ისრით მოუნუსხავს და განუგმირავს იგი:

"მაისის ვარდო — ნამით ცურეულო,
შაშპრავ, ზამბახო, სოსან რეულო,
ზილფო, კავებო, გარდათხეულო,
მწვანის კორდითა შენართეულო.
მშვილდო, ქამანდო, მოზიდებულო,
ისარო, გულსა გახიდებულო" (H №2130, 80 r).

მისი სილამაზით აღტაცებული პოეტი არ მალავს, რომ ტყვეა სიყვარულისა და სატრფოსთან შეყრაა მისი წამალი, მხოლოდ ამას შეუძლია მისი განკურნება. ტრფობით ცეცხლმოდებულს არ შეუძლია არ უთხრას სატრფოს:

"მზეო, ეცადე ჩემს შებრალებას,
რომე მალირსე მე შეწყალებას" (მცირე ანთ. 21 v–22 r).

ამქვეყნიურ ტკბობაზე ოცნებობს გრიგოლის ლირიკული გმირი სხვა ლექსებშიც:

“მზეო, იკმარე ჩემი ვნებანი,
ეს ჟამ გულისა უკურნებანი,
ერთხელ მაღირსე შენთან ხლებანი,
მეცა ვიყნოსო კოკრთა შენთა სურნელებანი“ (H №2130, 80 г).

სიყვარულის ასეთივე გაგებაა გრიგოლის ზოგიერთ სხვა ლექსშიც (“როს განგიცადე”, მცირე ანთ. გვ. 5 და სხვ).

გრიგოლი სატრფოს აფრთხილებს, რომ ყველაფერი წარმავალია, წარმავალია სილამაზეც, ჭკნება, იფერფლება მშვენიერებაც და ადამიანი უნდა ესწრაფოდეს დატკბეს ამ ცხოვრებით, ამსოფლიური სიამოვნებით, რადგან თვით ეს სოფელიც წარმავალია. სანამ დროა, ადამიანმა უნდა იფიქროს სიამოვნებაზე, ასეთია პოეტის აზრი.:

“მეტი რა წაგყვეს მილულებულსა,
შავმან რად ჭამოს შენი ტრფობანი” (მცირე ანთ. 22 г).

ან:

“ვიცი, მოკუდები, რას მატებ სულსა,
რად ვის დაუჭერ მაგ ტანსა მკულსა,
რად არ იბრალებ ისარცემულსა“ (H №2130, 80 г).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთივე სიტყვებით აფრთხილებს სატრფოს ქართველი რომანტიკოსი პოეტი ა. ჭავჭავაძე. მის ლექსებში გამოთქმული აზრი გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს გრიგოლის ამ ლექსის შინაარსობრივ მხარესთან. მხედველობაში გვაქვს ა. ჭავჭავაძის ლექსები: „გლახ თვალთა შენი“[1], „სახე შენი როს ვიხილო“[2].

[1] ა. ჭავჭავაძე, თხზულებანი, გვ. 43.
[2] იქვე, გვ. 73.

„ხომ გსმენიან სხვათ მკულება,
მათ სახეთა ბებკულება,
ვფუცავ, შენც ის გეგულება.
....
ვიდრე დრო გაქვს, ისიამე,
გულს რომ გქონან, ის ია მე,
ვიტყვ, წესია, ის იამე,
გეაჯები, შემიბრალო და სხვა".

გრიგოლ ბაგრატიონის სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებში აშკარაა ბესიკური პოეზიის გავლენა. იგი ბესიკის პოეტური მემკვიდრეობის თავისებურ გავლენას განიცდის როგორც სიტყვის არტისტული ფლობით, ემოციათა სიღრმით, ასევე ეპითეტებითა და ზოგჯერ სალექსო საზომითაც კი.

გრიგოლის ლექსებში ვხვდებით თვით ბესიკის სახელსაც კი, რომელსაც აუცილებლად "ტკბილთან" მისადაგებით ხმარობს. მისი სატრფო იმითაც არის საქები, რომ იგი აგონებს პოეტს "ბესიკსა ტკბილსა, თვალ-ჟუჟუნას, მზედ დანერგულსა" ("ანა ასტრახანელზე" H №2130, 79 r). სხვა ლექსშიც შესამკობი არსება წარმოადგენს "ბესიკს დატკბილებულსა" ("მაია ბატონიშვილზე" H №2130, 76 v -77 r).

გრიგოლიც ბესიკისდაგვარად პოეტურ ფსევდონიმად, სიმბოლოდ იყენებს ყარიბს[1]: "მითხრა, ყარიბო, ვის მამსგავსე, რად ხარ ხელია"(H №2130, 64 v-65 r); "ყარიბთათვის კათათვის დღეო" (H№2130, 85v-86 r).

მართალია, გრიგოლის ლექსებში აშკარაა ბესიკის პოეზიის გავლენა, მაგრამ გრიგოლი მისი უნიჭო მიმბაძველი როდია. ეს გავლენა ბესიკის პოეზიასთან სიახლოვით აიხსნება. გრიგოლი კარგად იცნობდა ბესიკის ლექსებს, მისი პოეზიის ნიმუშები გრიგოლს მრავლად წარმოუდგენია მის მიერ შედგენილ ანთოლოგიებში.

---

[1] ყარიბი საკმაოდ გავრცელებული ფსევდონიმი და სიმბოლოა, მას იყენებდნენ პეტრე ლარაძე, მირიან ბატონიშვილი, გიორგი თაზიშვილი და სხვანი.

ბესიკური პოეზიის მომხიბვლელობას თავისთავად ბევრი ლექსი შთაუგონებია გრიგოლისათვის. ბესიკისეულ ეპითეტებს იგი თავისებურად წარმოგვიდგენს. ზოგჯერ თვითონაც ქმნის ახლებურ, ორიგინალურ ეპითეტებს:

"აზიელთა მთვარევ, პირით მდიდარო,
ჩრდილოელთა მზევ, არ გყავს სადარ" (H№2130, 35 r).

გრიგოლი ლექსებს უძღვნის ხან ანასტასიას, ხან ვარვარას, ხან "დარია ივანუნას", ხან მადათას ქალს და ა. შ. ქალის სილამაზის საქებრად იგი თხზავს მუხამბაზებსა და მუსტაზადებს, ანბანთქებებსა და შაირებს. ქალი მისთვის არამარტო მიჯნურია და მისი გრძნობების გამზიარებელი, არამედ არსებობენ ლამაზი ქალები, რომლებიც იპყრობენ მჭვრეტელის გულს, ატყვევებენ მის გონებას და პოეტიც ხოტბას ასხამს მათ მომხიბლავ გარეგნობას თუ შინაგან ღირსებას. დამახასიათებელია, რომ გრიგოლი ლექსებს წერს უცხო ქალებზეც, რომელთა სილამაზით გამოწვეული აღტაცება ვერ დაუფარავს და ლექსად გამოუთქვამს ("თქმული მეფის ძის გრიგოლისაგან ვისმეს ქალს ერთზე "სიხარულო მობრძანდის" ხმაზე", "ანბანთქება მისგანვე თქმული უცხო ერთს ლამაზ ქალზე, შაირი"). აქ, უეჭველია, აშუღური პოეზიის გავლენაა. ამ შემთხვევაში გრიგოლის სატრფიალო-სამიჯნურო ურთიერთობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ სილამაზის მხატვრულ შეგრძნება-აღქმასთან. სილამაზეს პოეტის გული დაუტყვევებია. იგი ბულბულივით მომღერალ სატრფოდ წარმოგვიდგება:

"ბულბული მტირალი გიგონებს მკულსა,
მისდა სანუგეშოდ დაცანიშნულსა,
რაყიფმან მიმილო, ვგავ ბერებულსა.
ტუჩკუპიდონებულო, პირად მთუარე ვსებულო,
ხმა სირონიზებულო, იავ სურნელებულო და
ჩრდილოელთა აცვიფრებ, გამთვარებულო" (H №2130, 86 r).

გრიგოლი ყოველთვის თავის სატრფიალო თავგადასავალს კი არ გადმოგვცემს, არამედ მისი ლექსების ლირიკული გმირი რომე-

ლიმე ქალის სილამაზეს მოუხიბლავს და გველაპარაკება ამ გმირის გრძნობაზე. ერთ-ერთ ლექსში გრიგოლი "ვანუშა ბედკრულის" განცდებზე აგებს ლექსს და მის მაგიერ ასხამს ხოტბას მის სატრფოს ("ხელმწიფის ძმის მოძღუარის ქალზე", სხვაგან "კონსტანტინეს მაგიერათ" სწერს ანასტასიას ქების სტრიქონებს).

თავისებური მხატვრული ოსტატობით გადმოგვცემს გრიგოლი სატრფოს უეცარი გამოჩენით გამოწვეულ განცდებს: მოლხენით მჯდარი უეცრად სევდამ შეიპყრო, თავბრუსდამხვევად იმოქმედა მასზე სატრფოს ხილვამ:

"სევდამ მომიცვა, ვჯე მოლხენით, გულით შვებულად,
თავს მეცა ესრეთ უწყალობით, გავხე ვნებულად,
გრიგალი მეცა მყნოსველ მექნა, ვიქმენ რებულად,
მიმოვიხედე, მთვარეს შევხვდი პირბადრებულად.
მელნისა ტბიდან ისარი მკრა გულსა სვებურად"
(H №2130, 63 г).

ამ ხილულმა სიტურფემ პოეტი უნებურად მიიზიდა თავისკენ: "კოკორთ ვამსგავსე, მისკენ წავე მოსწრაფებულად".

მრავალ საქებ სიტყვას უძღვნის პოეტი მას, მაგრამ მის ყურადღებას ვერ იპყრობს:

"არც თუ მომხედა, გიშრის თუალით, ვერც ხელი ვახე,
ვერც ბაგე ძოწი განვიცადე, მე გავხე ვით ხე,
ამისი მხედი ამოვსტირდი, გავხე გუნმულად"
(H №2130, 63 г).

პოეტს უნდა რომ ეახლოს მას, მაგრამ მისი სიტურფით შებოჭილი ვერ ბედავს:

"მთუარე განიძრა, გული ჰყუნბის, ელუა აშუქნებს,
ძოწეულ ზილფი მხარგაშლილი ტურფად აშუქნებს,
მანგი წინ ჰკრთების, ნარნარობა მეტად აშუქნებს,
წელი წერწეტი, ალვის მსგავსი ტანსა აშუქნებს".

პოეტი გაკვირვებულია: "ნეტამც მაუწყა, მთუარე არის თუ მზის შვილია?"

ბოლოს, მისი სიტყვების შემდეგ ქალი თანაგრძნობას უცხადებს პოეტს, იგი აღტაცებულია:

"მითხრა, ყარიბო, ვის მამსგავსე, რად ხარ ჴელია,
ვიცი, ნარნარი ჩემი წელი შენი მკულელია,
ეგრეთ ბაგენი ვარდის ფერნი ტკბილად მზმელია,
მე ვიქებ თავსა, შენ გეთნევის ჩემი ქმნულია,
ოდეს ეს მითხრა მყის შევიქმენ განმშვენებულად"
(H №2130, 64 r).

მაგრამ პოეტის „განშუქნება" დიდხანს არ გაგრძელებულა. მის მეორე ლექსში („მისგანვე მასზედვე მუხამბაზი") ვხედავთ, რომ მისი სატრფო რაღაცაზე შემომწყრალია მასზე, რასაც პოეტი დიდად განიცდის. მისთვის სიყვარულის ცვალებადობით გამოწვეული ტკივილი ძნელად ასატანია, იგი იმ რანგის მიჯნურს ეკუთვნის, რომელსაც სატრფოს პატარა გულცივობაც სასოს უკარგავს:

„ისმინე ჩემი მოხსენებული;
რაზეც გამხადე დაღონებული,
პირველად იყავ შეგონებული,
ახლა რაზედ ხარ გაჯავრებული" (H №2130, 65 v).

„ესდენ ცეცხლმოდებული" მიჯნური „იმ სოფელს"-და იმედოვნებს სატრფოსთან შეყრას.

ფიცის გამტეხი, მოღალატე სატრფო მხილებულია გრიგოლის ერთ-ერთ ლექსში. ეს ლექსი ორ ხელნაწერშია მოთავსებული (H №2130, 74 v და იოანე ბატონიშვილის კოლექცია №358), სულ თერთმეტი სტროფია. გამოყენებულია რუსთველური დაბალი და მაღალი შაირი. №2130 ხელნაწერში ლექსს ასე აწერია სათაურად: „ეს ქუჩმო ლექსი რუსულის წიგნში ეწერა და მე მეფის ძის ძემ გრიგოლმა, გადმოვთარგმნე რუსულიდან ქართულად ისევ ლექსად პეტერბურხსა შინა". მეორე ხელნაწერში არაა აღნიშნუ-

ლი, რომ ეს ლექსი ნათარგმნია. საფიქრებელია, რომ ესაა გრიგოლის ორიგინალური ლექსი.

გრიგოლ ბაგრატიონის ანთოლოგიებში მოთავსებულია სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათის ორი ლექსი. პირველს ასეთი წინასიტყვაობა აქვს გაკეთებული: „ბონოპარტი ნაპოლეონ წამოვიდა რუსეთს საომრად და მოსკოვი აიღო (1 v), ეს ქუემო ლექსი ბონოპარტის ცოლს მიუწერია, კეისრის ქალსა, თავის ქმრის იმპერატორის ბონოპარტესათვის და რუსების გაზეთში ეწერა ლექსად. და მე, მეფის ძის ძემ გრიგოლმა, ვთარგმნე ისევ ლექსა[დ] რუსულიდამ ქართულად, თარგმნილი რუსულიდამ ქართულად, ცოლისაგან მიწერილი ქმრისადმი".

მეორე ლექსია ნაპოლეონის პასუხი ცოლთან „მოსკოვიდამ მიწერილი". ორივე ლექსი ღარიბია ლექსიკური მასალით, დარღვეულია ტონალობა, რითმა, რიტმი. მდარეა მათი მხატვრული ღირებულება.

პოეტი მოგვითხრობს, რომ ქალი ჯერ ერთგულებას უცხადებს ვაჟს, მაგრამ მალე ივიწყებს ყოველივეს და სხვას დაუწყებს ტრფიალებას.

„... მითხრა, გული ჩემი შენს იქითა არა რბოდეს,
სიყვარულსა შენსა ჩემგან ბედნიერ ხარ — ხშირა მხმობდეს,
მაჩვენებდა კაეშანსა, ხვაშიადსა ყოვლს მითხრობდეს,
მეცა ვიყავ მისთვის მკუდარი, გული ჩემი მას ერთვოდეს,
სიყვარულისგან ვგონებდი, სხვა არვინა ჰყავს აროდეს,
მყისად იხილა ჩვენება, ტრფიალი სხვა უჩნდებოდეს,
აწ დამივიწყა უწყალოდ, გული მისთვისვე კვდებოდეს,
მარის მეორე შეიტკბო, აწ მისთვის მარად ხდებოდეს"
(H №2130, 74 v).

გახელებული პოეტი სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალას შესთხოვს შველას:

"სიყვარულო, გევედრები, შენ მიაგე მაგიერი,
რისთვისამცა მომიძულა და თვით იქნა შმაგიერი"
(H №2130 75 r).

პოეტის ამ გადაწყვეტილებას, მის აღშფოთებასა და მრისხანებას ბუნებაც იზიარებს:

“ხმაურობენ აწ ღელვანი ჩემს წინაშე მომდინრობით,
მრისხანები, სასტიკები, განმრავლებით ჩემზედ ცნობით,
ეგრეთ სხივი დაფარულნი ღრუბელთ ზედან მოკიდებით,
თქვენცა ცისა სიბნელითა შეიქმნებით შელონებით”
(H №2130 75 r).

აქ პოეტის რომანტიკული სულის ემოციებია გამჟღავნებული. მას და ბუნებას შორის ჰარმონიაა. ის, რაც ადამიანმა ვერ გაიგო, ბუნებამ შესანიშნავად ალიქვა და პოეტის განცდათა ცვალებადობის შესაბამისად ამოქმედდა. მისმა მწუხარებამ ყოველივე გააქვავა: “მდუმარედ არს ყოვლი მხარე, უდაბნო მთა და ველია”.

პოეტი ვერც ბუნებამ დაამშვიდა, მისი ბოლო ამოძახილი უიმედოა: “აწ წარწყმდა ჩემი ცხოვრება, ყოვლი, რაც მქონდა სრულობითო,” — აცხადებს იგი.

გრიგოლს ორი სატრფიალო ლექსი მიუძღვნია ვარვარასადმი: “სუფ ჩემი იქმნა წყეული, ოდეს მომშორდა ვარვარა” და “ამისგანავე მასზედუფ მუხამბაზი ანბანთქებით”. პირველ ლექსში ვარვარას გარეგნული სილამაზეა ხოტბაშესხმული:

“კავნი კოწოლად კოწიწებული,
ლოყა ლაშ ლალით ლამაზებული” და ა. შ. (H №2130, 94 r).

საერთოდ, ასეთი ტიპის ანბანთქებაში სტრიქონის ყველა სიტყვა ანბანის ერთსა და იმავე ასოზე იწყება. ზოგჯერ ანბანთქების სტრიქონი, ზოგიერთი პოეტის ლექსში, ბუნდოვანია სავალდებულო ტრაფარეტის დაცვის გამო. გრიგოლი ხედავს რა ლექსში ასეთ საშიშროებას, იშვიათად, მაგრამ მაინც არღვევს ამ წესს:

“თმანი თანჰსწორად გრუზად თხზეული,
ირისი იგურდივ თასპებული”(H №2130. 94 r).

ან:

"ლოყა ლაშ ლალით ლამაზებული,
მელნის ტბას მსხდომნი მაყვლოვნებული" (H №2130. 94 r).

ან:

"ზილფსა ზარიფად ზანანებულსა,
წსრეთ ვემონოთ წლუარებულსა" და სხვა (H №2130. 94 r).

ვარვარასადმი მიძღვნილ მეორე ლექსში გრიგოლი გამოხატავს სატრფოსთან განშორებით გამოწვეულ გულისტკივილს, დასტირის თავის ბედს:

"ვაჲ, ბედო ჩემო, გმობილო, სიკვდილსა მიმეც ვარვარა,
ვაჲ, სიცოცხლე სიარმედ რად შემიცვალე, ვარვარა,
ვაჲ მე, მოცილებული ვტირი, სადა ხარ, ვარვარა,
ამად ვსტირ, ნუთუ არ მომხვდეს მე სიცოცხლითა ვარვარა"
(H №2130, 92 v).

გრიგოლი გმობს თავის ბედს იმის გამო, რომ მან სატრფოსთან განაშორა – "სუფ ჩემი იქნა წყეული, ოდეს მომშორდა ვარვარა", – აცხადებს იგი.

გრიგოლმა კარგად იცის, რომ გრძნობიერება ზოგჯერ გონებას იმორჩილებს, იმონებს და გრძნობას აყოლილი მიჯნურებისაგან განსხვავებით იგი სატრფოს უცხადებს: "მე შენს მონებას, შენს სიყვარულს შევდგომივარ გონებით სრულითო". პოეტს ერთგვარი შიშიც კი იპყრობს, სატრფოს მეტისმეტმა მომხიბვლელობამ გრძნობასთან ერთად გონებაც არ მოსტაცოს: "ვიცი, მოცასწყლავ შენის რხევით ჩემსა გონებას", – წერს იგი, მაგრამ მისი თხოვნაც ისაა, რომ შეიბრალონ, როგორც ჭეშმარიტი მიჯნური.

გრიგოლი თავისი გულისსწორის ერთგულია, მისთვის არავინ არსებობს სატრფოს გარდა. "რად ვიხილო სხვანი ბანოვანებიო", – ამბობს იგი ("დარია ივანუნაზე").

სევდა-მწუხარებას დამონებული პოეტი სატრფოს უხმობს მკურნალად. თუ იგი ვერ გაუგებს პოეტს და არ განკურნავს მას, მაშინ დრომ, ჟამმა უნდა მისცეს შვება. ამიტომ მიმართავს პოეტი დროს, რომ შეუმსუბუქოს მიჯნურისაგან მიყენებული დარდის სიმძიმე:

"მკურნალისაგან არ მაქვს მე გემა,
მყობადო ჟამო, მომეცი შვება,
ნამყოს აკმარე აწ ჩემი ვნება,
მაკმარე ესდენ ცეცხლის მოდება"(H №2130, 64 v).

პოეტს მიაჩნია, რომ სოფელი მუხთალი და გაუტანელია. ყოველივე უბედობა პოეტზე ცრუ, მუხანათმა სოფელმა მოაწია:

"სოფელმან ცრუმან ეს რა მიქნა, დამწუა სრულობით,
მინდა შევიქმნე, ზეცა ვიქმნე ყოვლთვის ღულობით.
არ მშორდებოდეს ეშხი მწუწლ — დარაზმულობით.
თუ არ მიბრალებ, სხივი შემწვავს არა სრულობით"
(H №2130, 59 v).

სატრფოსთან დაცილებას პოეტი „განგების ძალას" მიაწერს: „ეს გუარ ჩემნი ტანჯვანი, მპსჯავრმან ესრეთ ინება". მისი აზრით, ადამიანის ცხოვრებას სვე-ბედი განსაზღვრავს სოფლის ბრუნვასთან ერთად: „ქცევა სოფლისა და ბრუნვა ჩვენ ზედა ბედისა" წარმართავს ყოველივესო, -აღნიშნავს პოეტი. ამ აზრს ავითარებს იგი ზოგიერთ სხვა ლექსშიც:

„წყეულ სვე ჩემი დამამხობელი,
მესისხლედ მექმნა დამამცრობელი" (H №2130, 70 r).

ის, რაც ადამიანს გზად ხვდება, განპირობებულია წუთისოფლის დაუწერელი კანონებით. სვე, ბედი ადამიანს უცილობლად განუსაზღვრავს ყოველივეს და ადამიანი ყოველივე თავს დატეხილის წინაშე უძლურია, - ფიქრობს პოეტი და აცხადებს: „აწ დავაბრალებ ჩვენსა სვესა სოფლისგან ქმნულსა".

გრიგოლის სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებში აშკარაა ალორძინების ხანის ლირიკისათვის დამახასიათებელი სოფლის გმობის სტრიქონები, რაც რუსთველის უკვდავი პოემიდან იღებს სათავეს.

სიყვარულით ცეცხლმოდებული პოეტი ზოგჯერ ყოველგვარ იმედს კარგავს, სასოწარკვეთილებას ეძლევა და სატრფოსთან "იმ ქვეყნად" შეხვედრაზეღა ოცნებობს:

"შემოგვედრებ სულს, თუ მყოფ სამარეს,
რადგან არ ღირს მყავ სულად შენს არეს,
იმ სოფელს ველირსო მაგ პირსა მთვარეს" (H№2130, 65 r).

იმსოფლიური ნეტარება პოეტისათვის ერთადერთი ნუგეშიღაა. მხოლოდ იქლა შეიძლება ჰქონდეს იმ სიამის იმედი, რომელსაც ამქვეყნად ვერ ეღირსა. სატრფოსთან იმქვეყნად შეყრაზე ოცნებობს გრიგოლი სხვა ლექსშიც:

"სიცოცხლე ჩემი შენ იყავ, ნუგეშად მყვანდი, ვარვარა,
ცხოვრება წარსულთ მიარმე, ამ სოფლად შემქენ, ვარვარა,
იმ სოფლად მაინც განგიცდი, მუნც, ვითა გინდა, ვარვარა,
შენგნით მოკლულსა გრიგოლსა, გნებავს, აცოცხლებ, ვარვარა"
(H №2130, 92 v).

გრიგოლი, ერთი მხრივ, სატრფოს გარეგნული თვისებების მეხოტბეა, მასთან შეყრის სურვილით გახელებული მიჯნური ოცნებობს ამქვეყნიურ სიტკბოებაზე. ამ რიგის ლექსებით ბატონიშვილი ბესიკისა და მის თანამედროვეთა გამგრძელებელია. გრიგოლის ლექსებისთვის დამახასიათებელი ხდება აშუღური პოეზიის მთელი რიგი ნიშან-თვისებებისა — ქალის თანაგრძნობაზე დამყარებული ყოფნა-არყოფნის საკითხი, სატრფიალო ლექსების სასიმღერო ხმაზე წერა და სხვა.

მეორე ციკლის ლექსებში კი, სასოწარკვეთილი და სასომიხდილი იმქვეყნიურ ნეტარებაზე ოცნებობს, კრულს უწოდებს სვეს, სოფელს — ცრუსა და გაუტანელს, უნდოს. აქ გრიგოლი ალორძინების ხანის ლირიკის მემკვიდრეა და რომანტიკულ განწყობილებებს ამჟღავნებს.

გარდამავალ ხანაში მრავალგვარი სპარსულ-არაბული საზომი შემოსულა ჩვენში და გარკვეული ცვლილებაც განუცდია. გახშირდა მუხამბაზები, მუსტაზადები და სხვა. მუხამბაზური ლექსის წერა იმდენად იყო გავრცელებული, რომ "ყველა ცდილობდა, ნიჭიერი თუ უნიჭო, რომ შეექმნა საკუთარი ნაწარმოები"[1].

იოანე ბატონიშვილი გადმოგვცემს: "გახშირდა სპარსთა ხმებისა საკრავნი და სიმღერანი და ამის მიბაძვით ეცადნენ რაოდენნიმე გვამნი და გააკეთეს ქართულის ლექსებით ხმასა ზედა სპარსთასა და დაუკრავდიან ჩონგურსა და სხვათა საკრავთა ზედა და დაუმღერდიან და აწცა არს ხშირად ესე ჩვენშია, ხოლო პირველ შემომღებელნი ამა ხმისანი ქართულად იყვნენ სომეხთ მოსაკრავენი საათლამად წოდებული და სხვანი; მერეთ ბესარიონ გაბაშვილი, პირველი მეხოტბე და უცხო მთხზველი, ესეცა დაშვრა და გააკეთა სხვათა და სხვათა ხმებსა ზედან სიმღერისა ლექსები, ამასთან, თვით მეფის ძეთაცა და თავადაზნაურთა და სხვა მწერალთაც"[2].

აქ იოანე, ალბათ, გრიგოლ ბატონიშვილსაც გულისხმობდა. გრიგოლს დაუწერია მუხამბაზები: "მადათას ქალზე", "მისგანვე მასზედ" და სხვ. მუსტაზადი: "ანა ასტრახანელზე".

გრიგოლი სხვადასხვა სასიმღერო ხმაზე წერდა ლექსებს. მას სპარსულ ხმაზეც დაუწერია ლექსი — "თქმული მეფის ძის ბატონიშვილის გრიგოლისაგან ხელმწიფის ძმის მოძღვარის ქალზე". აქვე მიუთითებია სასიმღერო ხმა "შაინაზე ითქუმის შაფშურმასავით".

სხვადასხვა "ხმაზეა" შეთხზული მისი სხვა ლექსებიც[3].

დამახასიათებელია, რომ გრიგოლის სატრფიალო ლირიკაში მეტი ყურადღება ქალის გარეგნობაზეა მიქცეული, მის "ლელწამ წელზე", "ალვა ტანზე", "ვარდისფერ ბაგეზე" და ა. შ. მაგრამ, ამავე დროს, განსხვავებით თავისი ზოგიერთი წინამორბედი პოეტისაგან (რომლე-

---

[1] ი. გრიშაშვილი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 315.

[2] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1935, გვ. 296.

[3] "ვიხილე ტურფას" ხმაზე, "ვიშ, რა გვიამას" ხმაზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ "ვიხილე ტურფა"ეკუთვნის სტეფანე ფეშანგოვს, "ვიშ რა გვიამა", — თ. ქობულოვს. ორივე ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. გ. სკანდაროვი, სალხინო საზანდარი, გვ. 88-89 და 231-232.

ბიც მხოლოდ ქალის გარეგნობას ამკობენ) იგი სატრფოს სულიერ სამყაროსაც ასხამს ხოტბას. მის სატრფოს გარეგნულთან ერთად მოსავს შინაგანი სიმშვენიერეც. გრიგოლმა ყურადღება გაამახვილა ქალის შინაგან, სულიერ სამყაროზეც. პოეტმა გარეგნულ სილამაზეს მიუსადაგა შინაგანი სიბრძნე, განსწავლულობა და ხოტბის საგანი ასე ორმხრივად შემკული წარმოგვიდგინა.

როგორც ცნობილია, აღმოსავლელი პოეტებისათვის ქალი ამქვეყნიური ტკბობისთვისაა მოვლენილი და, ამდენად, წინაა წამოწეული მისი მათრობელი გარეგნობა, გარეგნული სამკაულები; მართალია, გრიგოლი სპარსულ მოტივებზე წერს ლექსს, მაგრამ იდეურად მათგან განსხვავებულ პოეზიას ქმნის.

პოეტი მოკრძალებული მიჯნურია. არც ისეთი მკვეთრი პოეტური საღებავებით ხატავს სატრფოს, როგორც ეს აღმოსავლელ პოეტებს ჩვევიათ და, ამასთანავე, მის სულიერ ღირსებებზეც ამახვილებს ყურადღებას. მისი სატრფო არის "რიტორულად მოუბარი", "ებანთაცა ხშირად მწვრთნელი", მას ახასიათებს ბრძნული საუბარი, "მსმენელთათვის გადარევა". იგი გამოირჩევა თავაზიანობით ("თავაზით ნება-ნებათა") სალმიანობით, გარდა ამისა, მისი მჭვრეტელნი იხილავენ სხვა "მრავალთა კეთილობასა".

გრიგოლის სხვა ლექსებშიც ხოტბის საგანი გამოირჩევა "ყოფა-ქცევით" ("მაია ბატონიშვილზე"), "ტკბილად მოუბრობით" ("ვისმეს ქალზე ერთზე").

მკვლევარები რომანტიკოსი პოეტის, ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ აღნიშნავენ: "ალ. ჭავჭავაძე სატრფიალო ლექსებით მრავალგზის ენათესავება წინა პერიოდის მწერლებს, მაგრამ გარკვეულად განსხვავდება მათგან, პირველ ყოვლისა კი, სიყვარულის სულიერი მხარის წინ წამოწევით"[1].

სიყვარულის სულიერი მხარის წინ წამოწევა გრიგოლ ბატონიშვილის ლექსებში აშკარაა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამით იგი ა. ჭავჭავაძის წინამორბედია. გრიგოლის ლექსებში პირველად გაისმა უზადო გარეგნულ თვისებებთან ერთად სატრფოს სულიერი მხარის შესამკობი ეპითეტები. ახასიათებდნენ რა მე-19 საუკუნის

[1] ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, თბ., 1972, გვ. 75.

ქართველ რომანტიკოსებს, მკვლევარები აღნიშნავენ: "მათი დამსახურება და ახალი ნიუანსის შეტანა სიყვარულის გრძნობის გადმოცემაში ის იყო, რომ სულიერ მხარესაც მაღალი უფლებები მოუპოვეს, ტრფობისა და ხოტბის საგნად აქციეს... ისინი შენატრიან ქალის როგორც გარეგნულ, ისე სულიერ სილამაზეს"[1]. ეს ახალი ნიუანსი უკვე გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედებაში შეინიშნება. ვფიქრობთ, გრიგოლ ბაგრატიონი უნდა ჩაითვალოს ქართველ რომანტიკოსთა იმ ღირსეულ წინაპრად, რომელმაც ქალის გარეგნულ სილამაზეს გაუწონასწორა მისი შინაგანი, სულიერი სიდიადე.

გრიგოლის სატრფო იმდენად გამორჩეულია, რომ მხოლოდ პოეტი უძლურია ღირსეულად შეამკოს. ამიტომაც, იგი ქვეყნის ბრძენთ მოუწოდებს დასახმარებლად:

"მზემან მისმან, არა ძალმიძს, რომ ვსთქუა მისი ქება სრულად,
შეყრილ იყვნენ ქვეყნის ბრძენნი, სოლომონცა მისთვის მკულად,
ანუ ღომერ მეცნიერი, ისიც დაშვრეს ხანდაზმულად,
ვერ აღწერონ ქება რამე, ვერც სიტყვა თქვან დამალულად"
(H №3686, 125 г).

გრიგოლი სხვაგანაც უხმობს ჰომეროსს სატრფოს საკადრისი ქების სათქმელად: "თუ ღომერი დასწერს შენს ქებას გადაღებულადო" (H №2130, 64 г).

ვფიქრობთ, აქ გრიგოლი გარკვეულად დავალებულია ძველი ქართველი პოეტებისაგან. ასევე იქცეოდნენ გრიგოლის წინამორბედი პოეტებიც. აღნიშნავდნენ, რომ თვით საქვეყნოდ ცნობილი ბრძენნიც კი უძლურნი იყვნენ მათი სატრფოს საკადრისი ქების სათქმელად. განსაკუთრებით ხშირად იხმობდნენ ანტიკური ხანის ბრძენთ (ჰომეროსს, პლატონს, დიონისე არეოპაგელს და სხვ.) დასახმარებლად. ასეა ჩახრუხაძის, შავთელის, რუსთველისა და სხვათა თხზულებებში.

გრიგოლის სატრფიალო-სამიჯნურო ლირიკაში უამრავი მოხდენილი შედარება გვხვდება:

---

[1] ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 74.

"ვითარცა მაისში დაშვენდეს ხეო,
ეგრეთვე ტფილისში ამოხუალ მზეო"

მისი სატრფო:

"ყოველთა მჭურეტელთ ბადეს უგებს
ვით ბულბულს მახე" და ა. შ.

გამოყენებული აქვს ალიტერაცია:

"გულისა გული დაგული ლახურით დასჭერ"...
"ბაბილურად ბალახში ბედხამ ბაგავს ბაგით".

"დისკოდ თხზულ დალალ დასით,
გიშრად გუგა მწვავსა ამით".

გრიგოლი მრავალ სალექსო საზომს იყენებს. მუხამბაზებსა და მუსტაზადებთან ერთად იგი ლექსებს წერს ტრადიციული რუსთველური შაირით ("ალვა ბუტკი გულსა დალად ერხევ ვარდად ზრო ლვებით"), ჩახრუხაული ლექსით ("ალვად კრულსა, კოკორ სხმულსა, მივის ცეცხლი არად მწვისა"), ფისტიკაურით ("ჩახრუხაული ფისტიკაურად"), ძაგნაკორულით და სხვა საზომებით.

გრიგოლს უწერია შერეული საზომითაც ("ხელმწიფის ძმის მოძღუარის ქალზე"). აქ პირველ ორ სტროფში ჩახრუხაული საზომია გამოყენებული, მომდევნო ოთხ სტროფში — თექვსმეტმარცვლიანი რუსთველური შაირი. მისი ლექსები ბესიკის ლირიკული ლექსების საზომისაგანაც არის დავალებული.

გარდამავალ ხანაში მრავლად იყენებდნენ რეფრენს — რიტმულ მინამღერს. გრიგოლის სატრფიალო ლექსების უმეტესობა რეფრენულია. რეფრენად გამოყენებულია ზოგჯერ პირველი სტროფის პირველი ორი სტრიქონი ("მაია ბატონიშვილზე"), ზოგჯერ კი რეფრენულია სტრიქონიც და სტროფიც:

"ოდეს მოარულობს მანგნი ჰკრთებიან, კეკელა მარდო,
სინაზის მჭვირვალნი მყისუწ ბნდებიან, კეკელა მარდო,
რად ვიხილო სხუანი ბანოვანები, კეკელა მარდო.
მანუგეში შვენოდა, მომღიმარი შვენოდა,
ბაგე — ლალი შვენოდა, თუალ-ყუყუნი შვენოდა,
ინდონი ჰკვირობენ მომღიმრობასა, კეკელა ვარდო".

აქ გვხვდება სტრიქონული რეფრენი ("კეკელა ვარდო") და სტროფული რეფრენი ("რად ვიხილო").

ასევე რთული რეფრენია ლექსში "ვინმეს ქალს ერთზე":

"ტუჩკუპიდონებულო, პირად მთუარე ვსებულო,
ხმა სირონიზებულო, იავ სურნელებულო და
ჩრდილოელთა აცვიფრებ, გამთვარებულო"

(H №2130, 86 r).

გრიგოლი მრავლად იყენებს მუხამბაზურ რეფრენებს.

თემატიკით, "სოფლის" გმობით, ზოგჯერ ლექსიკით და სალექსო საზომითაც გრიგოლის სატრფიალო-სამიჯნურო ლირიკაში ნაწილობრივ შეინიშნება რუსთაველის პოეზიის გავლენა. იმქვეყნიურ ნეტარებაზე ოცნებით, მიჯნურობის ვარდბულბულიანური წარმოსახვით გრიგოლი აღორძინების ხანის მემკვიდრეა. სატრფოს გარეგნული სილამაზის მკობით, პოეტური მეტყველებით თავისი ეპოქის თანადროულია, აშუღური და ბესიკური პოეზიის გამგრძელებელია. სატრფოს სულიერი სილამაზის მკობით, ლექსის ტრაფარეტული ნორმების დარღვევის ცდით იგი რამდენადმე XIX საუკუნის რომანტიკოსების წინამორბედია. ამდენად, მის შემოქმედებაში, მის სატრფიალო ლირიკაში შერწყმულია ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის ტრადიციები.

გალექსილი "ქართლის ცხოვრება". გრიგოლ ბაგრატიონს გარდა ლირიკული ლექსებისა, პატრიოტულ თემაზე საკმაოდ ფართო პოეტური ტილოებიც შეუქმნია. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილებაში დაცულ ერთ-ერთ ხელნაწერში (E №79)[1] მოთავსებულია გრიგოლ ბაგრატიონის პოემა, რომელშიც გალექსილია "ქართლის ცხოვრების" ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტი. ამდენად, პოემას პირობითად შეიძლება ეწოდოს გალექსილი "ქართლის ცხოვრება".

როგორც გრიგოლ ბაგრატიონის ბიოგრაფიიდანაა ცნობილი, მას მონაწილეობა მიუღია "რუსთა ლაშქრობაში". სწორედ ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ჩასახულა იდეა ამ პოემის შექმნისა, რასაც პოემის წინასიტყვაობით ვიგებთ. ავტორი გვაცნობს ამ ნაწარმოების დაწერის დროს, ვითარებასა და მიზანს. იგი გადმოგვცემს: "წარვიდა რა რუსეთის მხედრობა პირისპირ ფრანციისა და მე მეფის ძე გრიგოლიცა ვმსახურობდი რუსეთის არმიას შინა და ოდეს პეტერბურხით მივიწივენით საზღვარსა ღერმანიისასა, მუნ შეგვხვდა ბრძანება ჩვენისა იმპერატორისა ალექსანდრესი, რათა ღვარდი[ი]სა მხედრობა მიეცეს მცირესა განსვენებასა და შევიცადეთ ღერმანი[ი]ს ქალაქსა პრალას კვირა ორი და მე ვიარებოდი მას ქალაქსა შინა ქართულისა ტანისამოსითა და ეგრეთვე ქუდითა და ქართულისა ხლმითა" (1 r). ავტორის თქმით, იგი შესულა ბაღში, სადაც შეხვედრია "უცხოდ მორთული და მშვენიერი კაცი". როცა ამ უკანასკნელმა "სცნა ჩემი მეფედ ტომობა, შევატყვე, რომ განიხარა და მთხოვა და მომიწვია სადგომს თვის[ს]ა და მეცა გავყევ და მრქუა, რომ — მე გამიგონია ჩემს ქვეყანაში, რომ საქართველოს მეფის ძენი სრულ რუსეთში არიანო და მართალია თუ არაო". გრიგოლს უკითხავს მისთვის ვინაობა. "მან მრქუა: მე ვარ სახელად ლოფმან, კაცი ამერიკელი და მდიდარი აზნაური, გურა-

[1] ხელნაწერი საკმაოდ დაზიანებული სახითაა მოღწეული, მოყვითალო, კიდეებშემოცვეთილი, დახეული და ნაკლულევანი, სულ ხელნაწერი 8 გვერდს მოიცავს. თვითონ პოემა 118 სტროფია.

ნოვი ჩემი გვარი" (1 r). გრიგოლს თითქოს ამ კაცის თხოვნით გადაუწყვეტია "საქართველოს მაცხოვრებელთა ამბის" აღწერა.

ხელაღებით იმის მტკიცება, გრიგოლს გოფმან გურანოვი უეჭველად შეხვდა და მასთან საუბრის დროს აეშალა მშობლიური მიწა-წყლის გახსენების სურვილი, ძნელია. სამშობლოდან მოშორებულ ბატონიშვილს სხვისი შეკითხვების გარეშეც თან სდევდა ფიქრი მშობლიურ მთებსა თუ ველებზე, მდინარეზე თუ ტყეებზე, შეიძლებოდა სრულიად ბუნებრივად გასჩენოდა სურვილი ამ მოგონებათა ლექსად გადმოცემისა. ადვილი შესაძლებელია, გოფმან გურანოვი პოეტის მიერ შეთხზული პიროვნება იყოს. ლიტერატურაში არა ერთი და ორი შემთხვევაა იმისი, რომ ავტორი არარსებულ, გამოგონილ პიროვნებას ასახელებს, მას მიაწერს თავისი ნაწარმოების თემასა თუ იდეას, მის მონაყოლად ან მის ჩანაწერად მოაქვს ლიტერატურაში საკუთარი ნაწარმოები. ვფიქრობთ, თვით გრიგოლს დაებადა სურვილი თავისი სამშობლოს, მშობლიური ხალხის ისტორია, წარსული თუ აწმყო გადმოეცა ლექსად, თორემ არა გვგონია, რომ "მისი ქართულად დაწერილი თხზულება გასაგები ყოფილიყო გუროვისათვის"[1].

შესაძლოა, გრიგოლი ამ შრომით ისახავდა იმ მიზანს, რაც მან გოფმან გურანოვის სიტყვებად მოიტანა თავის თხზულებაში: "რომელ შრომა ჩემის მეცნიერებისა არა წარხდეს და სიარული არა გაცუდდეს, რომელ მწადს შემდგომად სიკვდილისა ჩემისა დარჩეს აღწერილნი ჩემგან და ნახულნი ქვეყნისა ისტორიანი იკითხებოდეს" (1 r)[2].

პოემის პირველი შვიდი სტროფი იმის ახსნაა, რომ ქართლი ღვთისმშობლის წილხვდომილია:

---

[1] ლ. კეკელიძე, გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრება და შემოქმედება, კრებულში: ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, IV, გვ. 28.

[2] ადგილები ტექსტიდან ყველგან მითითებულია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილების ხელნაწერ E №79-დან. ქვემოთ ვუჩვენებთ მხოლოდ გვერდის ნომერს.

"იესო ქრისტემ თვის დედას უძღვნა
ღვთისმშობლისათვის დაიდო წულად,
რადგან ღვთის დედის ხელი ფარავდა,
ჰგავს ქართლი სრულად იყო შემკულად"
(1 v).

იგივე აზრი პოემაში მრავალგზისაა განმეორებული და ხაზგასმული:

"ქართველთა ერნი ღვთის მშობლისაგან ვიყავით
ყოვლნი შვილად ხმობილნი.
ღვთის დედას ვხადდით მშობელად, ჩვენდა,
მისით ვიყავით ყოვლთვის მკობილნი".

ღვთისმშობელი იცავდა და იფარავდა ყოველთვის ქართველებს, "მისი უფლისწულები" კი სამაგიეროდ თაყვანს სცემდნენ მას, "მის საყდარსა ლოცულობდნენ კრძალვით, რიდით", აღნიშნავდნენ მისი სახელწოდების დღეს (ღვთისმშობლობას).

"წელიწადში ერთხელ მოვა ღვთისმშობლისა დაბადება,
შევიყრებით ქართველთ ერნი, მუნ ვისმინოთ მისი ქება,
სასოებით მივეგებით, თაყვანსა ვცემთ, გვცეს კურნება,
და მღვდელმთავარი მუნ გვიწირავს, საყდარში გვსუას ქადაგება"
(1 v).

ესაა ტრადიციული დღესასწაული — ღვთისმშობლობა, რომელსაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ზეიმობენ დღემდე.

აქვე გრიგოლი აღნიშნავს — წინათ ერთობა, ერმანეთის სიყვარული იყო ქართველთა შორის:

"გვიყვარდა ქართველთ ერთმანეთი ვითარც ძმათა
და სხვათ[ა] დობილნი" (1 v).

პოემის პირველივე სტროფში ქართლის ქების სტრიქონებია:

"პირველად ქართლი უქე მზიანსაო", — აცხადებს თვითონაც. თუმცა ეკრძალება ქართლის ქება, რადგან ძნელი აღსაწერია მისი მშვენება: "ვით გიქო ქართლი, არ ითქმის ენით, რომ გაქო სრულად", — ეუბნება პოეტი გოფმან გურანოვს.

წელიწადის სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი მომხიბლაობა ენიჭება მის მშობელ მხარეს.

"გაზაფხულზედ — ხილი ბევრი, ზაფხულ — პური პოხიერი,
შემოდგომას — ბევრი ღვინო და ბაღები ყურძნიერი
და ზამთარიცა არა ცივი, ალაგ-ალაგ ზომიერი" (2 r).

გრიგოლი იგონებს ათასგვარი თევზით სავსე მდინარეებს — მტკვარსა და ალაზანს. იგი ერთგვარ სპეციალურ ცოდნასაც ავლენს თევზთა ჯიშების დასახელებისას (თევზის თოთხმეტამდე სახეობას იცნობს).

მთა თუ ბარი, ტყე თუ ველი უებრო სილამაზითაა წარმოდგენილი. გრიგოლი დაუზარებლად ჩამოთვლის მშობლიურ ტყეში ნანახ ხეთა სახელებს, აქებს მოხისისა და ტირიფონის ველს, მუხრანისა და დიღმის მინდვრებს. ქართლის ტყე-ველს ამშვენებენ მრავალგვარი ფრინველები და ცხოველები, არწივი თუ მიმინო, შევარდენი თუ ბერბერუკი. ირემ-ჯეირანთა გვერდით კურდღელი და ციყვი დანავარდობს. ბარაქიანია ქართლის მიწა. ხილით უხვია ქართლი: ყურძენი, მსხალი, ღოღნოშო თუ ხეჭეჭური, ბოსტნეულიც ასევე უხვად მოდის ქართლში, მას არ დავიწყებია თვით "გოგრა, მიმსგავსო საზამთროს, მიწი[ს] ვაშლისა ძმობილი".

მშობლიური სანახების წარმოჩენას ერთგვარი აღტაცებული ტონი ახლავს, ყველაფერი საუცხოო ფერებშია წარმოდგენილი. მიწის ბარაქიანობასთან ერთად ჰაერიც ზომიერია:

"საქართველოა ვით კარგი, დარი იცის მშვენიერი,
ზამთარიცა არა ცივი, ალაგ-ალაგ ზომიერი" (1, v).

აქ უნებურად გვახსენდება ვახტანგ VI, რომელმაც პოეტურ ფერებში აამეტყველა მაისის თბილისი:

"რა სჯობს მისის თფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა,
მწვანედ ღელავდეს გარემო, ცის ცვარი მასზედ ესხასა"[1].

იგივე მომაჯადოებელმა ქართლის ჰაერმა ათქმევინა მასაც:

"სამოთხის მსგავსი ჰაერით გულს ჭირი მოლხინებოდესო".

ვახტანგ მეექვსემაც დიდებული საგალობელი სტრიქონებით უმღერა ქართლის დაუვიწყარ სანახებს. მასაც "ტყვეობის ჟამინდელი სულის შემხუთავ ატმოსფეროში უზომო სიამეს ჰგვრიდა მშობლიური ქვეყნის სურათების შორით მოლანდება... რა დაავიწყებდა თრიალეთის ამწვანებულ მთებს, ფარავნის მთას, კოჯრის აგარებს, შამბიანს, "ბრდღვიალა" კალმახებით სავსე მდინარე ქციას... ქართლის ატეხილ ჭალებს, უნაპირო მინდვრებს და ველებს, იქაურ კაკბებს, ხოხბებს, შვლებსა და ხარ-ირმებს"[2]. მისი "სალბუნად გულისა" თუ "მაჯამა" ერთნაირი ტკივილებით იგონებს "მუნებურ შექცევანს".

ნუ გიკვირთო, აცხადებს იგი (ასევე იქცევა გრიგოლიც), თუ ქართლის შეუდარებელი ადგილების "ქება ვერ ვთქვათ ახლა სრული".

მშობლიური, კამკამა ქართული წყაროს გემოს თვით შარბათიც ვერ დაავიწყებს. მოვუსმინოთ გრიგოლს:

"... მდინარენი, უფრო ბევრი წყაროები,
სასმელადცა გემრიელი, ავადმყოფის მარგებელი,
სად რომ ვიყო, იგივ მახსოვს, მე ვარ ყოვლთვის მისი მქები" (1 v).

---

[1] ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1975, გვ. 51.
[2] იქვე, გვ. 10.

ვახტანგს:

„ბროლისა მსგავსნი წყარონი, ციმციმით მოსდინებოდეს,
ცუდი ცდა არის გაყრილსა სხვით გული დაედებოდეს"[1].

ხომ სულ სხვადასხვა ეპითეტებით ამკობენ პოეტები მშობლიურ წყაროს, მაინც იგრძნობა ამ სტრიქონებში შინაგანად ის საერთო, რაც ამ წყაროს გემოსთან ერთად ჩაუტანებია ორივე პოეტს და რასაც სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული ჰქვია, რომელსაც გრიგოლისათვის წარმოუთქმევინებია: „სად რომ ვიყო, იგივ მახსოვსო". გაცოცხლებული წარსულის სურათები სულს ისე შემონთებია, რომ ვახტანგს ამოუკვნესია:

„ეს მიკვირს და როგორა სძლებს, არ ეყრების გვამსა სული?"[2]

იგივე ცეცხლი შემონთებია გრიგოლს:

„ამ თემის მკარგსა, იფიქრე, რა ცეცხლი გულსა მქონია,
რადგან ამ თემის კაცი ვარ, ჯავრი მით მომიფონია" (2, V).

უცხო მხარეში გაყოლილი ღრმად ჩაჭედილი მშობლიური სურათების წამოშლა, მსგავსი ემოციების გამოვლენა სულაც არ გვგონია ერთის (ვახტანგის) პოეზიის მეორეზე (გრიგოლის პოეზიაზე) გავლენის შედეგი. ეს სიახლოვე (გრიგოლის პოემისა ვახტანგ VI-ის პოემასთან იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ პოეტებს სხვაგან, სიუცხოვეში უფრო მეტი სიტკბოთი და სიყვარულით ახსენდებათ ის, რაც უკვე დაკარგულად მიაჩნიათ და სიტკბოსთან შერეულ სევდიან ფერებში გვიხატავენ მას. ორივე იმ სათაყვანებელი მხარიდან იმხანად შორს იყო და ამან განაპირობა სევდით სავსე სტრიქონების დაახლოებით მსგავს ფერებში წარმოჩენა.

---

[1] ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1975, გვ. 28.
[2] იქვე, გვ. 34.

საერთოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ გრიგოლი კარგად იცნობ-და ვახტანგ მეექვსის პოეზიას, რაზეც ქვემოთაც გვექნება საუბარი.

საქართველოს ზოგადი დახასიათების შემდეგ გრიგოლი გადა-დის ისტორიული ამბის თხრობაზე.

თავისი ქვეყნის ისტორიის აღწერას პოეტი იწყებს ბიბლიური დავითისა და გოლიათის შებმით. მძლეთამძლე დავითი ღვთის ძა-ლის დახმარებით შურდულის ერთი გასროლით კლავს გოლიათს:

„შემოსტყორცნა მყის შურდული თავს დაასო ვითა ლაჯა,
გადაბრუნდა გოლიათი, მოკვდა მსწრაფლად, ველარ ბაღა" (3, v).

ამ გამარჯვების შემდეგ მეფე სთხოვს დავითს აირჩიოს საჩუ-ქარი სურვილისამებრ: "თვალი გინდა მარგალიტი, ანუ ალმას ოქ-როს დასად", სთავაზობს მეფე. დავითი ფიქრობს და ბოლოს უპა-სუხებს:

"მიბოძეთ ყმა და მამული, სადაც სამეფო იყვესო,
გამოირჩია ქართლი და დავით მეფედ აკურთხესო" (4 r).

გრიგოლი გრძნობს, რომ პოეტურ თხზულებაში ყველა მეფის ისტორიის გადმოცემა შეუძლებელია, ბევრი დრო სჭირდება:

"ვიცი, მეტად გაგრძელდება, მოუნდები ერთი წელი,
შემოკლებით მოგახსენო, რაცა ვიცი, მე ვარ მთქმელი" (4 r).

დავითის შემდეგ მეფობდა ბაგრატი, რომელიც უძლიერესი იყო: "ვით კატათა, ლომთა მსვრელი". პოეტი მას ახასიათებს, რო-გორც მოსამართლეს, ბრძენს. გვარად ბაგრატიონები ჩვენ მისგან გვეწოდა. ბაგრატის მეფობის ხანა იყო საქართველოს ძლიერების ხანა:

"ჩვენის შიშითა ოსმალთა ფაშანი ვერრას იტყოდა,
ჩვენი ცხოვრება სხვათ მეფეთ მათ ბევრგზის უნატრებია".

გრიგოლი ვრცლად ჩერდება უფრო გამოჩენილ, სახელოვან მეფეებზე. ცალკე გამოყოფს თამარის მეფობის ხანას. ამ ნაწილს ცალკე სათაურსაც უკეთებს: "გამოჩენა თამარ დედოფლისა". იგი თაყვანისცემითა და კრძალვით მოგვითხრობს მის ძლიერებაზე:

"მან განავრცო საქართველო, აზიელნი ბევრ გზის სდევნა,
თვის მამულსა შეუმატა, სხვათ ქალაქებს უწყო წვევა,
ოსმალთ მხარე აზრუმამდინ, სულ დაიპყრა გადმოდენა,
აზიისაც თავრიზამდინ, გაიერთა, გარდახვევნა" (4 v).

თამარ მეფეს მრავალნი მორჩილებდნენ.

"მას ეჭირა ოთხი კუთხე თვისის გარჯითა და ღვთის ძალით.
მისნი ყმანი მის ბრძანებას ასრულებდნენ სიხარულით, არა ზარვით".

ცხრა მილიონი ჰყავდა თამარს თავისი "ხმლითა დაჭერილი ხალხი". ყველა ქვეყნის მეფე პატივს სცემდა, მაგრამ ხან გამოჩნდებოდა მის წინააღმდეგ ამხედრებული რომელიმე მეფე და თამარიც მზადმყოფი ხვდებოდა. ერთხელ ოსმალთა მეფემ "წარმოგზავნა დიდი ჯარი". ეს თამარ მეფემ მყის შეიტყო, "მანც შეყარა მთა და ბარი, აზრუმს წინა მიაგება თვის სარდალი ამირბარი". ამ ბრძოლის შედეგს გრიგოლი რამდენიმე სიტყვით გადმოგვცემს: "მუნ შეებნენ, დაამარცხეს, ამოსწყვიტეს, დასცეს ზარი".

ამირსპასალარად მხარგრძელი იყო, რომელმაც ამ გამარჯვებით დიდი სიხარული მოუტანა მეფეს, ხალხს:

"ქართლის თავადი, სარდალი, მხარგრძელად წოდებულია,
მას მიეგება მეფე წინ და ხალხი დარაზმულია" (5 r).

დიდი ალტაცებით შეხვდა გამარჯვებულს ხალხი:

„როს მოახლოვდა ტფილისსა სარდალი გამარჯვებული,
წინ მოეგებნენ სომეხნი და ქართველთ ღვდელნი რებულნი" (5 r).

ისე ცოცხალია დახატული სურათი, თითქოს თვალნათლივ ვხედავთ გამარჯვებული ჯარის შემოსვლას თბილისში. გვესმის ის ყიჟინა, ის ალტაცება, რასაც ვერ მალავდნენ "ჯამბაზები, მომხტომნი მალაყებზედო". აივნებზე დარბაისელი ხალხი გადმომდგარა. მდაბიონი კი ფეხდაფეხ მისდევენ გამარჯვებულებს:

"მას მიეგებნენ მრავალნი, მოთამაშენი ხელზედა,
ბანთაზედ მაყურებელნი, ეგრეთვე მსხდომნი პჭეზედო,
მდაბიო ხალხი ჰკოცნიან სარდალ[ს], მომავალს, ხელზედო".

ხელში აყვანილი მოჰყავდათ ამ ბრძოლის გმირი — მხარგრძელი. მეფემ დიდი მეჯლისი გადაიხადა. გამარჯვების ზეიმი და შემდეგ ლხინი გრიგოლს დეტალურად აქვს აღწერილი. აი, იმდროინდელი მოლხენის ეპიზოდი:

"მთელსა კვირას ლხინი იყო და შექცევა ღვინის სმისა,
ბევრნი კარგი მგალობელნი და წარმოთქმა გალობისა,
ამას გარდა საზანდარი და დამკვრელი ტკბილის ხმისა,
გაიყარა ნადიმობა, ოხუნჯობა და თქმა ზმისა" (5 v).

ეს სურათი თავისთავად გვიჩვენებს ქართული ლხინის სურათს. ქართული სუფრა უსისტემო ღრეობისა და უთავბოლო სმის ადგილი როდი იყო. ზომიერ ჭამა-სმასთან ერთად სრულდებოდა გალობანი, შეჯიბრება "სიტყუამარჯუეობა" ოხუნჯობასა და ზმების წარმოთქმაში.

გვახსენდება აკაკი წერეთლის "თორნიკე ერისთავში" დახატული ქართული სუფრის ადათ-ჩვეულებები: შეიყრებოდა "საქართველოს ყოველ კუთხით" ქართველი ერი, ილხენდნენ და მღეროდნენ ერთხმად "მრავალჟამიერსა".

"მთვრალობა და "სადღეგრძელო"
სათვითოო არ იცოდნენ;
ჩვენი ლხინი რომ ენახათ,
სირცხვილითაც დაიწვოდნენ".
მათ მოლხენის დროს ჩვეოდათ:

ზომიერი ჭამა და სმა...
მოილხინეს, გაშაირდნენ
და ერთმანეთს სტყორცნეს მათ ზმა.
ორაზროვან სიტყვებისა
გაიმართა გამოცანა"...

ასე მრავალფეროვანი და საინტერესო იყო ქართული ტრადიციული სუფრა.

გრიგოლის პოემაში ასახული ბრძოლის სურათი "ქართლის ცხოვრების" ისტორიული მასალის მხატვრული ამეტყველებაა. ამ ბრძოლის შესახებ "ქართლის ცხოვრებაში" ვკითხულობთ: "მუნ დააწყუეს რაზმი ქართველთა და მუნ წინამბრძოლად იყო ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი, და ახალციხელი შალვა და ივანე და სხუანი თორელნი და ერთ-კერძო აფხაზნი და იმერნი, და ერთ-კერძო ამერნი და ჰერი-კახნი, და ვითარ იხილეს სულტანი — ცხენი ააჩქარნეს და მიმართეს. ხოლო ვითარ იხილნეს სპარსთა, რამეთუ აუზიდავად მიდიოდეს, დაავდეს სადგომი მათი და სიმაგრეთა მიმართეს, რამეთუ მოავლინა მათ ზედა ღმერთმან შიში დიდი, ხოლო ქრისტიანეთა იხილნეს რა მათ წინაშე გაქცეულნი, მიეტევნეს, და არა უტევნეს წარსვლად, არამედ გარეგამოცვნეს.

და იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი და მოაწყდეს ორგანითვე ურიცხუნი, ხოლო უმეტეს სულტნისა სპანი მოისრვოდეს"[1].

მოვიყვანთ მაგალითებს გრიგოლის პოემიდან და "ქართლის ცხოვრებიდან". ორივეგან სულთანი ესხმის თავს ქართველებს. იკრიბებიან მათ წინააღმდეგ საბრძოლველად "ერთ კერძ იმერ-აფხაზნი, ერთ კერძ ჰერ-კახნი".

გრიგოლის თქმითაც, შეიყარა:

"ქართველ-კახელნი და ლეკნი, თუშ-ხევსურ, სრული ფშავლობით,
აფხაზ-მეგრელნი, ჯიქელნი, გურია, იმერთ მშვალობით" (5 r).

[1] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1959, გვ. 137.

გრიგოლი მხარგრძელს გვისახელებს ამ ბრძოლაში ქართველების მთავარსარდლად. მხარგრძელი გმირულად იბრძვის "ქართლის ცხოვრების მიხედვითაც".

გამარჯვებული ქართველები "შემოვიდნენ მხიარულნი, მუნიდამ ტფილისს დიდითა შუება-სიხარულითა", — ვკითხულობთ "ქართლის ცხოვრებაში".

გრიგოლთანაც:

"როს მოახლოვდა ტფილისსა სარდალი გამარჯვებული,
წინ მოეგებნენ...
მაღლისა ხმითა მყვირალნი, ვითა არს ჩვეულებული" (5 v).

თამარ მეფემ:

"დიადი გასცა საუნჯე გლახაკთა ზედან დიანი".

ასევეა ისტორიულ წყაროშიც — თამარი უხვ საბოძვარს გასცემს გამარჯვების შემდეგ: "თამარცა მწყალობელი არა გარნა სამეფოთა თვისთა, არამედ საბერძნეთისათაცა", მან მონაზონთაც კი "მისცნა ურიცხუნი ოქრონი და წარავლინნა".

"შეიქნა მშვიდობა, არვისთან გვქონდა შლილობა,
იყო ლხინი და შექცევა, ყოველდღე დარაზმულობა" (4 v).

მაგრამ ერთხელაც მეფე ავად გახდა. დიდმა ურვამ შეიპყრო ქართველები, მან დაადგინა თვის წილ მემკვიდრე (ოღონდ, ვინ დაადგინა, არ ჩანს — ნ. ბ.), თვითონ კი გარდაიცვალა:

"ავათ გახდა დიდი მეფე, ჩვენ შეგვექნა დიდი ურვა,
ხალხთა ჯავრით გულს ეყრებათ ყოვლთ შეექნათ ოფლის წურვა,
მეფემ შექმნა ანდერძობა, ჯარი შეკრბეს, ადასტურა,
დაადგინა თვის წილ მეფემ, მე ნუ მტირთ მე, ნუ ვინ, ნურა" (5 v).

ანალოგიურად, "ქართლის ცხოვრებაში" ვკითხულობთ: "ხოლო სანატრელსა თამარის თვისითა ხელითა დაედვა გვირგვინი ძისა თვისისა გიორგისათვის".

ჩანს, გრიგოლ ბაგრატიონი კარგად იცნობს "ქართლის ცხოვრებას", რომელიც, საფიქრებელია, მისი განათლებული ოჯახის ერთ-ერთი სამაგიდო წიგნი იყო. ისტორიული ამბის თხრობისას იგი ემყარება ამ მატიანეში მოტანილ ფაქტებს, მხოლოდ არა ისე, რომ მას მონურად მისდევდეს, არამედ ავსებს (მაგ. მხარგრძელის პიროვნების, როგორც ბრძოლის მთავარსარდლის გაიდეალება, გამარჯვებულთა ზეიმი და ლხინი), უმატებს ახალ ეპიზოდებს, მაგრამ მაინც ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის მართალ სურათებს გვიცოცხლებს თვალწინ.

გრიგოლს კარგად სცოდნია, რომ "საქართველოს მეფენი ბევრჯერ დიდად ამაღლებულნი და ნებისაებრ თვისისად ბრძანებულნი, ბევრჯერ ჟამთა და დროთა ცვალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევიათ, თორემ მართებული არა უქნევინებია რა"[1]. ამიტომაა, რომ ყველა მეფეთა ისტორიაზე არ ჩერდება, მხოლოდ აღნიშნავს:

"ბევრთა მეფეთა იმეფეს, თითქმის ასორმო[ც]ათამდე,
ხან გვიჯდის მძლავრი მეფეი, ხან გლახა, სუსტი, ავადე".

ვიდრე ერეკლე მეფე გამოჩნდებოდა. მანამდე კი მრავალი ჭირი გადაიტანა ქართველმა ხალხმა, მრავალი შემოსევა და აოხრება განიცადა მტარვალთაგან. ასეთები იყო თემურ-ლენგისა და შაჰაბასის შემოსევები (გრიგოლი ცალკე ქვესათაურებით გამოყოფს: "გამოჩენა ლანგ თემურისა", "გამოჩენა შაჰაბაზისა").

თემურ-ლენგმა მრავალი ქვეყანა დაიპყრო და ააოხრა, მათ შორის საქართველოც:

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 479-480.

"მოიწია სპარსთა ჯარი მეტისმეტად უმრავლესი,
მყის ხანი ჰქმნა თვისის ჯარის სიმრავლითა უფოთლესი".

გრიგოლის თქმით, ზღვაში ქვიშა არ იქნებოდა იმდენი, რაც მუსლიმთ მებრძოლები ჰყავდათ. "შეიქმნა ომი სასტიკი", "თითო ქართველს ოცი სპარსნი ებრძოდიან ვითა მთვრალთა". მიუხედავად ამისა, მაინც მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ, თუმცა ბოლოს იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ და მეფემ თავისი ჯარითურთ მუხრანს შეაფარა თავი:

"წამოვიდა უკან მეფე, ქართლის ჯარი ყველა კრებით,
ჩვენ დაგვაკლდა ბევრი კაცი აზნაური, თავადები,
ვინც ცოცხალი გამოვიდა: აქებიან იმას ქებით,
და მეფე მუხრანს დაღრეჯილი მუნ გადმოხდა ველარ შვებით" (7 v).

პოემის ამ ქვეთავში აღწერილი შაჰ-აბასის შემოსევა 1614 წლის კახეთის აოხრების ისტორიული სურათია.

ეს აჯანყება გრიგოლს თავისებურად აქვს აღწერილი: შაჰ-აბასთან დამარცხების შემდეგ ქართველები ისევ "მოკრბეს საომრად". მეფემ მოუწოდა "არაგვ-ხევსურ-თუშთა-ფშავთა", და "ქართველნი კვალად ომს ბედვენ". შაჰ-აბასი განრისხდა ამ ცნობის მოსმენაზე. მუსლიმმა მტარვალებმა "სულ ააოხრეს სოფლები, დაწვეს მუხრანი ხმლითა". პირველად ქართველებმა სძლიეს, მაგრამ "დაუთვალავი მოვიდა თათრისა ჯარი", მალე ქართველები უკუიქცნენ, მეფე ფშავში გაიქცა, შაჰ-აბასმა გადაწყვიტა მეფეს იქაც მისდევნებოდა, რადგან ეწადა "მეფის მოკვლა ძალითა". როდესაც ფშაველებმა გაიგეს ეს ამბავი, "საქმე ჰყვეს საშურველია", ქუდზე კაცი გამოვიდა და საბრძოლველად მოსახერხებელი ადგილი აირჩიეს. "ფშაველთ ხეობა მაგარი, კაცთაგან შეუვალია", — ამბობს გრიგოლი. მათ შეარჩიეს ისეთი ადგილი, რომელსაც მხოლოდ ერთი მხრიდან ჰქონდა ვიწრო მისავალი.

როდესაც შაჰ-აბასის ჯარი შევიდა ამ „ვიწრო გზით". „იმ დროს იდროეს ფშაველთა"და ჩასაფრებულები წამოიშალნენ, გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. პოეტი ხატოვნად გადმოგვცემს:

„შეიქმნა ომი სასტიკი, მჭვრეტელთა მოსანდომია,
ფშაველნი გაშმაგებულნი იბრძოდნენ ყოვლნი მდომია,
დაჰკარ და მოჰკალ, შეჰკარი, შეიპყრე,
ხელს ხმალი მოსახდომია“ (8 v).

ქართველთა უპირატესობა აშკარაა. ასეთ შეერთებულ ბრძოლას უეჭველად გამარჯვების სურათით დაგვირგვინებდა პოეტი, მაგრამ ხელნაწერი აქ წყდება, დანარჩენი გვერდები ამ ხელნაწერისა, ჩანს, დაკარგულია. რომ ნამდვილად სხვა გვერდებზედაც გრძელდებოდა პოემა, ამას მიგვანიშნებს 8v-ზე გაკეთებული გადატანის ნიშანი (გადასატანი ორი სიტყვის ცალკე გამოწერა). გარდა ამისა, პოეტს განზრახული ჰქონდა გადმოეცა „ყოველივე გადასავალი ჩვენისა მეფისა საქართველოსა და ეგრეთ საქართველოს მცხოვრებთა ამბავი წარსულში და „აწმყოსა დროთა შინა“, აქ კი თხრობა თეიმურაზ მეფემდეა მიყვანილი, ე. ი. განზრახული არაა გასრულებული.

პოემა რეალისტური ტენდენციითაა გამსჭვალული. თვითონ გრიგოლი თავიდანვე აცხადებს: „რაცა ვიცი, მე ვარ მთქმელიო“. მართლაც, გრიგოლ ბაგრატიონის პოემა ფაქტიურ ისტორიულ მასალას ეყრდნობა ძირითადად, თუმცა იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფაქტებისადმი მონურ მორჩილებას როდი ავლენს. "ქართლის ცხოვრებაში" თუ სხვა მატიანეებში დაცულ ისტორიულ ფაქტებს იგი ზოგჯერ ავრცობს, ზოგჯერ სხვაგვარად, თავისებურად წარმოგვიდგენს. მაგალითად, შაჰ-აბასთან ქართველების დამარცხების ძირითად მიზეზად მტერთა სიმრავლეს და ამის გამო უთანასწორო ბრძოლას თვლის და არაერთგზის აღნიშნავს — მათი ჯარი "მეტის მეტად უმრავლესი" იყოო. მტერთა "სიმრავლემან დაამარცხა ჩვენი ჯარი, ჩვენი მეფეო".

განსაკუთრებული სიყვარულით გვიხატავს გრიგოლი ქართველ მეფეებს თამარს, გიორგის, თეიმურაზს თუ სხვებს. მათთან ერთად ყურადღების გარეშე არ რჩება ხალხი, ქართველობა, რომელიც წარმოდგენილია როგორც ყოველთვის მეფისა და სამშობლოს ერთგული. როდესაც მეფე მოუწოდებთ, ისინი ყოველთვის დარაზმულები, მონა-მორჩილნი მზად არიან მის სამსახურად — "ქუდზედან კაცი" გამოდის სამშობლოს გასაჭირში ყოფნის ჟამს. ისინი ერ-

თმანეთის ერთგულნი და მოყვარულნი არიან: "გვიყვარდა ქართველთ ყოვლთ ერთმანეთი, ვითარცა ძმას და სხვათა დობილნი". ქართველთა შორის იყო "ერთსიტყვა, ერთხმობა". ასე გაიდეალებულად წარმოგვიდგენს გრიგოლი მისი საყვარელი ხალხის წარსულის სურათებს, ასე გვიხატავს ქართველ ხალხს, რომელთა ყველაზე დიდი მტერი იყო ის შუღლი და შინა შფოთვა, რაც ერთმანეთის მიმართ ჰქონდათ. ის შინააშლილობა, რასაც დავით გურამიშვილმა "ქართლის ჭირი" უწოდა.

თუ პოემაში ქართველთა მიმართ სიმპათია და სიყვარული იგრძნობა, მტრის მიმართ გამოხატულია დიდი ზიზღი და სიძულვილი. მრისხანე თემურ ლენგი თავის ჯარს ასე აფრთხილებს:

"ბაგრატიონს დევნე ასე, არსად იყოს მათი სული,
თუ ცოცხალსაც დაიჭერდე, მე მომართვი მათი წული,
ანუ მეფე-დედოფლითურთ ჩემ წინ იდგას ხელშეკრული,
მე მათ მყისად შუა გავსჭრი, ანუ დაგმონ თვისი რჯული" (6 r).

ასევე, მტარვალთა მიმართ ზიზღს ამძაფრებს პოეტის მიერ ნახმარი ეპითეტები:

"აღრინდა დიდი შაბაზ, ვით მურა, ქოფაკ-მკბინარე".

უმსგავსო, უსამართლო საქმეების ჩამდენთ პოეტი ასეთი სიტყვებით იხსენიებს: "სისხლისმღვრელი", "მუქარაობს ვითა მთვრალი". სისხლისმსმელი მეფეების აღსასრული ქართველებს გარდა სხვათაც სიხარულს ჰგვრის:

"სპარსელთა მოკლეს ლანგ-თემურ, მათში შეიქმნა ღრეობა" (6 r).

პოემაში გრიგოლი საქართველოს წარმტაც ბუნებას ხატოვნად გვიშლის თვალწინ:

"ვარდგაშლილზე ხმით მყეფარი მთის ბულბული,
იადონი უმჯობესი, ყოვლის ხმისა დამტკბობელი,
ყაზარული შაშვი მსტვენი, მოლაღური მიჯნურთ მკვლელი" (2 v).

პოეტი, სადაც უნდა იყოს, არ ივიწყებს სამშობლოს:

"მისი სურვილით დამტკბარნი, ჩვენ მისთვის გვტრფიან გულები,
არ დავივიწყებთ, ჩვენ, სად ვიყვნეთ დაფანტულები" (1 v).

"არის მინდორი დიადი ბალახით მშვენიერები".

პოეტს ემარჯვება მხატვრული ტილოების ხატვა:

"ამა ტყეს და მინდორს შუა ნადირები არის მრავლად.
ირემ, ჯერან, შველი, კანჯარ, ჯიქი, დათვი, ვეფხი მალად" (2 r).

მხატვრულად სრულყოფილ სურათებთან ერთად პოემაში ზოგჯერ სუსტი პოეტური ადგილებიც გვხვდება. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ჩამოთვლის დროს.

საერთოდ, თხზულება კომპოზიციურად შეკრული ნაწარმოებია, აქვს წინასიტყვაობა, სადაც მოკლედ მოხაზულია პოემის ჩარჩო, ძირითადი ხაზი, რაზედაც თხზულებაა აგებული. ერთვის წინათქმა (პროლოგი). დაყოფილია ქვეთავებად: ქართლის ზოგადი დახასიათება, მისი ისტორიული წარსული, გამოჩენა თამარ დედოფლისა, გამოჩენა ლანგ-თემურის, გამოჩენა შაჰ-ბაზისა, რომლებთან დაკავშირებულ ბრძოლებზეცაა აგებული პოემის ისტორიული ნაწილი.

გრიგოლის ენა ხალხურ სასაუბრო ენასთან ახლოსაა. პოეტი ხალხურ გამოთქმებსაც იყენებს პოემაში: "თავს დავაქციო ბანია", "რა ცეცხლი გულსა მქონია" და სხვა.

პოეტს ემარჯვება მხატვრული შედარებები: "ქართველნი ასე აოხრა, თითქოს დაგვიშრო წყალია"; "აღრინდა დიდი შაბაზ, ვით მურა, ქოფაკ მკბინარე" და სხვა.

მართალია, პოეტი რეალისტურ სურათს გვიხატავს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ზოგჯერ მძლავრობს სუბიექტური ფაქტორი, იგრძნობა სინამდვილიდან გადახრა. თუმცა, ძირითადი ხაზები მაინც რეალისტური თვალთახედვით აქვს დამუშავებული.

მიუხედავად მცირერიცხოვანებისა, ქართველები საბოლოოდ იმარჯვებენ, ეს კი იმიტომ ხდება, რომ სამართალი მათ მხარესაა, ქართველებს ესხმიან თავს და ისინი იცავენ თავიანთ მიწა-წყალს.

ასეთი იყო ისტორიული ვითარება, ასეთი იყო პოეტის მრწამსიც: "ბოროტსა სძლია კეთილმან"...

პოემაში გატარებულია ის აზრი, რომ ადამიანს საკუთარ ძალასთან ერთად უნდა ჰქონდეს ღრმა რწმენა, რის გარეშეც გამარჯვება შეუძლებელია. როდესაც დავითი გოლიათთან შებმას გადაწყვეტს, იგი ამბობს:

"მე ჩემის ღვთითა მას ვძლიო, დღე დავუბინდო მზოვანი".

ქართველებიც იმარჯვებენ მტერზე "თვისის გარჯით, ღვთისა ძალით".

პოემის სტილი მშვიდია და უბრალო ჩვეულებრივი ამბების თხრობისას, აგზნებული და ემოციური, — ბრძოლის სურათების გადმოცემისას. ესეც გრიგოლ ბაგრატიონის პოეტურ დახელოვნებაზე მიგვანიშნებს.

"იესე მოძღვრის გლოვა". ეს თხზულება მხოლოდ ერთი ხელნაწერითაა ცნობილი (H 2130, 142 r — 145 v). მიძღვნილია იესე მოძღვრისადმი[1], რასაც ამ თხზულებას დართული წინასიტყვაობიდან ვიგებთ: "იმერთ მეფე სოლომონ გარდააგდეს ოსმალში და გარდაჰყუა თან თვისი მოძღუარი იესე მღუდელი და მე-

[1] იესე (ილარიონ) ყანჩაშვილი (ყანჩაველი) მეფე სოლომონ მეორის (1790-1815) მოძღვარი იყო და ტრაპიზონშიც ახლდა მას. მეფის გარდაცვალების შემდეგ რუსეთს გაემგზავრა იმერეთის დედოფალთან. საფიქრებელია, გრიგოლ ბატონიშვილს ამ დროს შეხვდა და თავგადასავალიც მაშინ მოუთხრო. იგი უკანასკნელად ათონზე ცხოვრობდა და მნიშვნელოვან მოღვაწეობას ეწეოდა. სხვა მრავალ ქართველ მოღვაწესთან ერთად დაუცხრომლად ზრუნავდა ივერთა სავანისა თუ სხვა მონასტრის გადასარჩენად, ამასთანავე, იგი არის მრავალი ხელნაწერის გადამწერი: "მარგალიტი" (K №187), მამათა "სწავლანი" (A №612), "სამოთხე" (A №1705) და სხვა. მან შეადგინა კატალოგი — "ქართული წიგნების სახელები ივერიის მონასტერსა შინა მდებარეთა მთაწმიდან", რომელიც მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტია. "თუ არ ჩავთვლით ლონდონის ბიბლიური საზოგადოების წარმომადგენელ პინკერტონს, რომელსაც ათონზე აღუწერია რამდენიმე ქართული ხელნაწერი, ი. ყანჩაშვილი პირველი მწიგნობარია, რომელმაც შედარებით სრული ცნობები მოგვაწოდა ათონზე შემონახულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაზე", — აღნიშნავდა პროფ. ლ. მენაბდე.

ფე იგი სოფლის ჩვეულებით გარდაიცვალა ოსმალოს ქვეყანაში და მიაყვანინა /მ/ღ/ვ/დელი იგი დღესა აღსრულებისასა მისისასა და აღუარა ჩვეულებრივი აღსარება და მი/ი/ღო წმინდა ხორცი და სისხლი მცხოვრისა და აღსრულდა მეფე იგი სოლომონ და მოძღუარი იგი მოვიდა ჩემთანა და მიამბო მეფისა მის გარდაცუალების ამბავი და თავის დედ-მამის გამოსალმების ამბავიც და მეცა ამბავი იგი აღვსწერე ლექსად და თუ ღუდელი იგი ვითარი მისცა მეფემან სასწავლებელში, ან ვითარ აკურთხებინა და თავისა მოძღურად ვითარ დაიდგინა და მე, გრიგოლ ბატონიშვილმა, სანკტპეტერბურღში ლექსად გავაკეთე, ვინაიდგან მღუდელი იგი მცნობი იყო ჩემი პირველივე და მეგობარი და ოდეს მღუდელი იგი შემდგომად მეფისა მოვიდა მამულადვე სად ვერცაღა იხილა მამა, ვერცაღა დედა და ვერცაღა და-ძმა და ცოლი და ნათესავნი და თვისტომნი, რადგანც დაეხოცა იგინი ჭირს. და ვითარც გამოესალმა მღუდელი იგი საფლავს მშობელთასა და დაუტევა მღუდელობა და შეუდგა სახესა ნათლისმცემლისასა და წარვიდა სინამთად, რათა მოწაფისა თვისის მეფის სოლომონისათვის ილოცოს და მეუღლის თვისისათვის და მშობელთა თვისისათვის" (142 v).

ეს წინასიტყვაობა მრავალ საკითხს ჰფენს შუქს. აქ ნათლად ჩანს, რომ ამბავი თავად არ შეუთხზავს გრიგოლს, არამედ მას მხოლოდ გაულექსავს იესე მღვდლის მონათხრობი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იესე მღვდელს თავისი თავგადასავლის პოლიტიკური ნაწილი უამბნია გაბრიელ მოძღვრისათვის, რომელიც შემდეგ დაიბეჭდა კიდეც[1]: "1864 წელში ათენის მთაზედ გარდაიცვალა ერთი შესანიშნავი მოღვაწე მეფის სოლომონ მეორის დროისა. ეს შესანიშნავი მოღვაწე იყო ბერი ილარიონ ყანჩაველი. ეს ილარიონი მღვდლობაში იწოდებოდა იესედ: ის იყო სოფელ ალავერდიდან (შორაპნის მაზრაშია); იმისი მონათესავენი დღესაც . ბევრი ცხოვრობს ხსენებულ სოფელში. იესე დეკანოზი იყო სოლომონ მეფის მოძღვარი და მეფის ყოველივე თავგადასავალი დაწვრილებით იცოდა. იესე დეკანოზმა გარდაცვალების დროს უამბო ყოველივე თავის მოძღვარს – გაბრიელს. გაბრიელმა ყოვე-

---

[1] "მწყემსი", 1890, №10, გვ. 8-10; №11, გვ. 5-6; №13, გვ 8-11; №14, გვ. 14-16; №15-16, გვ. 9-13.

ლივე იესესაგან ნაამბობი ჩვენ გამოგვიგზავნა და მოგვწერა: "რადგანაც იესე დეკანოზის სამსახური მეფესთან თითქმის ნახევრად პოლიტიკურ და დიპლომატიურ საქმეებს შეეხება, ამისათვის საჭიროდ ვრაცხ იმერეთის მეფის და სამეფოს საქმეები, რომელნიც იმან მე, გაბრიელს გადმომცა, ქვეყანას ვაცნობო", — გვაუწყებს გაბრიელი.

იესეს ორივე მონაყოლი უმთავრესად სოლომონ მეორის სამეფო კარის ამბებს შეეხება. გაბრიელ მოძღვრისათვის მას ძირითადად აუხსნია სოლომონ მეორის ოსმალეთში გადახვეწის მიზეზი. გარდა ამისა, დაწვრილებით ჩერდება იქ მისი ცხოვრების პირობებზე და შემდგომ მოვლენებზე. თხზულება წყდება იმ ადგილას, სადაც საქმე შეეხება სოლომონ მეორის კვლავ რუსეთთან, იმპერატორ ალექსანდრესთან დაკავშირებას. გაბრიელი გადმოგვცემს: "მას არ შეხვდა დაბოლოვება ამა ამბისა, რადგანაც ის დიდი ხნიდან იტანჯებოდა გულისტკივილითა და ავადმყოფი უამბობდა ხანდახან ზემო დაწერილს: შემდეგ ჩაწვა ლოგინში და გარდაიცვალა ჩყიე წელსა"[1].

გრიგოლის პოემა უფრო ბიოგრაფიული ხასიათისაა. იგი ორ ნაწილადაა გაყოფილი. პირველ ნაწილში სოლომონ მეორის ოსმალეთში გადახვეწა, მისი აღსასრული და მოძღვრის განცდებია აღწერილი. აქვეა იესეს ცხოვრების ბიოგრაფიული მომენტები.

მეორე ნაწილში ("მოთქმა მღვდლისა მისგან და გამოსალმება მშობელთა საფლავისა") გადმოცემულია სოლომონ მეორის მოძღვრის — იესეს გლოვა, რომელსაც სამშობლოში მობრუნებისას მშობლები, ცოლ-შვილი და ყველა ახლობელი "აღხოცილი დახვდა".

წინასიტყვაობაში პოემის ორივე ნაწილის მოკლე ანოტაციაა მოცემული. პირველი ნაწილი მოიცავს პერიოდს "ოდეს იმერთ მეფე მეორე სოლომონ გარდააგდეს ოსმალოში"... ვიდრე "აღსრულდა მეფე იგი სოლომონ"[2]. მეორე ნაწილი იწყება: "ოდეს მღუდელი

---

[1] "მწყემსი", №15-16, გვ. 12.

[2] გრიგოლის პოემაში ეს პერიოდი მეტისმეტად ზოგადი და არაფრისმთქმელია სოლომონ II-ის დროინდელ პოლიტიკურ ამბებთან დაკავშირებით. უფრო ვრცლად ეს გაბრიელის მონათხრობშია გადმოცემული.

იგი შ[ემდგომა]დ მეფისა მოვიდა მამულადვე თვისად"... ვიდრე "და-უტევა მლუდლობა და შეუდგა სახესა ნათლისმცემლისასა და წარ-ვიდა სინამთად, რათა... ილოცოს".

პოემის დასაწყისში ავტორი ადიდებს ღმერთს, რომელიც ქვეყ-ნის შემქმნელი და "კაცთა მბადია" ("შევსწირო ქება პირუმლად ღმერთსა მას ცხოველმყოფელსა").

ძველ ქართულ მწერლობაში არა ერთი და ორი მაგალითი გვხვდება, როცა ავტორი ღვთის ქება-დიდებით იწყებს თხზულებას (რომ არაფერი ვთქვათ "ვეფხისტყაოსანზე", რომელსაც გრიგოლი კარგად იცნობდა). გრიგოლის თხზულების დასაწყისში აშკარაა მათი გავლენა. პოეტი ცდილობს რამდენიმე სტრიქონში ჩამოაყა-ლიბოს ღვთის ყოვლისშემძლეობის იდეა. შესადარებლად მო-ვიხმობთ IX საუკუნის ერთ-ერთ ლექსს, გრიგოლის პოემის ერთ-ერთ სტროფთან ერთად.

„რამეთუ ცათა შემოქმედი და ანგელოზთა დამბადებელი
და ქვეყანისა დამამტკიცებელი და ზღუათა დამამყარებელი
და ხელმწიფებით განმგებელი ხარ ყოველთა ქმნულთა შენთა"[1].

გრიგოლ ბატონიშვილი:

„შემოქმედ ცისა, ქუეყანისა და ეგრეთ კაცთა მბადებლისა
ზღუათ მაფუძნებელს, სამყარო, მზე, მთოვარ,
ვარსკვლავეთ მფლობელსა,
მეუფე ხარ დასთა ხერუფიმთ, სერაფიმთ ძალთა მფლობელსა"
(H 142 v).

ეს მაგალითი იმაზე მეტყველებს, რომ გრიგოლი კარგად იც-ნობდა ძველ ქართულ სასულიერო ძეგლებს, ჰიმნოგრაფიის ნიმუ-შებს.

ღვთისადმი მიმართვის შემდეგ გამოცხადებაა ნაწარმოების მთა-ვარი მოქმედი პირის — იესე მოძღვრისა. იგი თავისი მშობლების უფროსი ვაჟიშვილია:

---

[1] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 103.

"მშობელთა ჩემთა უფროსად ვიყავ მედ უხუცესია,
ძმათა და დათა შორისცა, მათში ვჩნდი უკეთესია.
მიმცეს მშობელთა სამღუდელოდ, მასწავლეს ჰსწავლა ესეა,
რათა მშობელთა ჩემ მიერ შვება ჰხუდესთ სულით მზესია"
(142 г).

მშობლები იესეს მღვდლად განწესებით იმედოვნებდნენ მისგან "რაიმე მწობას", დახმარებას. მალე იგი მღვდლად აკურთხეს და შეარქვეს სახელი იესე. როდესაც მისი მღვდლად კურთხევა მეფემ გაიგო, იხმო და სამეფო კარის მღვდლად დაადგინა. მეფე ბევრ წყალობას დაჰპირდა, მათ შორის "სხუა მღვდლებზე ამაღლებასაც" და მღვდელიც იმედოვნებდა, "მშობელთა და ნათესავთა დიდთა შეწბას მივაგებო", მაგრამ:

"სოფლისა ჟამ[მ]ან მოსულმან ჰყო მეფე გადავარდნილად[1],
უცხოსა თემსა ყარიბად მეც თანა გარდაყოლილად" (143 г).

უცხოობაში ყოფნა ვერ აიტანა მეფემ, სევდამ დაჩრდილა და დაასევდიანა მისი გული.

აღსასრულის ჟამს მეფემ[2] იხმო თავისი მოძღვარი, აღსარება უთხრა და ერთგულებისათვის მადლობაც უძღვნა:

---

[1] შეუძლებელია გრიგოლს დაწერილებით არ სცოდნოდა ის ამბები, რამაც აიძულა სოლომონ მეორე ოსმალეთს შეხიზნოდა და რის შესახებაც (იმავე იესეს მონათხრობიდან) შემდეგ გაბრიელ მოძღვარი გადმოგვცემს, მაგრამ იგი განგებ გვერდს უვლის პოლიტიკურ მოტივს და ამ ზოგადი ფრაზით გვაცნობს სოლომონის გადახვეწის ამბავს.

[2] იესე მოძღვარი დაწვრილებით მოგვითხრობს იმ სივიწროვეს და აუტანელ გაჭირვებას, რასაც სოლომონ მეორე ოსმალეთში განიცდიდა: ემინ-ფაშამ "სადღაც ძველ ყაზარმაში დააყენა, იქ ის შვიდ წელიწადს ზამთარში თოვლისა და წვიმის ქვეშ იტანჯებოდა. მეფისთვის დანიშნულ ხარჯიდგან და აგრეთვე ფულიდგანაც ნახევარს თავისთვის ინახავდა" (ემინ-ფაშა, ნ. ბ.). ციტატა მოტანილია: "მწყემსი", №14, გვ. 15. ამგვარმა უგემურმა ყოფამ შეაჭირვა სოლომონი. შეუძლებელია, გრიგოლს ამის შესახებ არაფერი სცოდნოდა იმავე იასესგან, მაგრამ პოეტი მხოლოდ უცხოობაში ყოფნის, სამშობლოდან მოცილების სიძნელეზე საუბრობს, რასაც ისევ პოლიტიკური მოსაზრებით აკეთებს.

"მიბრძანა: ვიცი, გედების შენ გულსა ჩემთვის ალები,
გადმომყევ გადმოვარდნილსა, ჰყავ მეტი ზომიერები,
აწ მივალ, ღმერთს ვჰსთხოვ ვედრებით, მან შეგზღოს მეგიერები,
და სულით სუფევდე, ხორცით გყოს, იქმნე მოწამეთ დარები"
(143 v).

მეფე გარდაიცვალა, "მეფისაგან დატევებული" მოძღვარი მობრუნდა უკან "იმერეთს". საზარელი სურათი იხილა აქ მოძღვარმა. სახლი დახვდა აოხრებული, არავინ შეეგება ჩვეულებისამებრ. მეზობელს ჰკითხა შინაურების ამბავი და საშინელი პასუხი მიიღო: "ჭირმა მოცასრა, არავინ დაშთნენ" ცოცხალნი. აქ მთავრდება იესეს თავგადასავლის პირველი თავი.

პოემის მეორე ნაწილი — "გლოვა და მოთქმა იესე მოძღვრისა" — წარმოადგენს თავს დატეხილი უბედურებით გამოწვეულ გლოვას და მოთქმას. თხზულების ეს ნაწილი მოთქმა-დატირებაა ცალკეული გარდაცვლილი პირისა თუ პირებისა, რომელთაც შენდობა-მოხსენება ეკუთვნოდათ იესე მოძღვრისაგან. ამდენად, თუ პოემის პირველი ნაწილი ძირითადად სათავგადასავლო მომენტებით იყო დატვირთული და მოძღვრისა და მისი პატრონის ბიოგრაფიულ ეპიზოდებს გადმოგვცემდა, მეორე ნაწილი სამგლოვიარო ჟანრის თხზულებაა.

გლოვის ჟანრის საფუძველი მშობლიური ნიადაგია, უძღიდრესი ფოლკლორი და ქართული საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრება. ასევე მისი წყაროა ბიბლიური, ბიზანტიური და სხვა უძველეს ქრისტიანულ ერთა გოდების ჟანრის ნიმუშები.

"საქართველოს ძველი და ახალი ისტორიის გარდამავალ ხანაში რთული პოლიტიკური ვითარების დროს ჩვენი სამგლოვიარო ლიტერატურა მხატვრული ნაწარმოების დონეს აღწევს. რა თქმა უნდა, ამ სრულყოფილ ხელოვნებას წინ უსწრებდა და ნიადაგს უმზადებდა უძველესი ქართული ტრადიციები, კერძოდ, აღორძინების პერიოდის ჩვენი აყვავებული მწერლობა, რომლის წიაღში

მძლავრად გაისმის სოფლის სამდურავისა და სიცოცხლით უკმარისობის სევდიანი ხმა"[1].

სამგლოვიარო ჟანრის ნიმუშები უმეტესად გალექსილია. ხშირად ეს თხზულებები გლოვის რიტუალთან იყო უშუალოდ დაკავშირებული. გარდაცვლილის გლოვის დროს უკვეთდნენ სამგლოვიარო ნაწარმოებებს.

დამახასიათებელია, რომ სამგლოვიარო ჟანრის თხზულებები შეიცავენ ბიოგრაფიულ დეტალებს საგლოვი პირისას და გადაჭარბებულ ხოტბას მისი ხასიათისა თუ ჩვევებისას. ცალკეა მოთხრობილი მის მიერ ჩადენილი საგმირო თუ საქები საქმენი, რამაც მსმენელში თანაგრძნობა უნდა გამოიწვიოს.

გრიგოლის ამ თხზულებაში არსად გვხვდება გადაჭარბებული ხოტბა-დიდება, არ იგრძნობა პანეგირიკული, ზვიადი ტონი, რაც ხშირად ახასიათებს ასეთი ჟანრის თხზულებებს. აქ უფრო მშრალადაა ყველაფერი გადმოცემული, თუმცა გლოვა-მოთქმა საკმაოდ მძაფრი სურათებითაა შელამაზებული. თხზულებაში გვხვდება განმეორების რიტორიკული ხერხი, რაც ასე უხდება გლოვის ჟანრს:

"შემრწუნდი, სულო, შემრწუნდი: ვერ ექმენ მათდა ზეოდა,
ვერცა ცოცხალთა აამე, ვერც მიცვალებულთ ზეოდა,
ვაიმე, მათთვის შევიქენ ვითა ურგები ხეო და,
აწ მომიტევეთ, მომეცით მე კეთილ გზისა სვეო და" (145 r).

გლოვა სავსეა სინანულისა და პატიების გამომხატველი სიტყვებით:

"აწ, თაო, მოსთქვი სატირი, ყოველთგან მოშორებული,
მამაო დავით, მშვიდობით, ველარ გიხილე შვებული,
მშვიდობით, დედავ, მშობელო, ჩემთვის ყოველდღე ვნებულო,
ტკბილო, ზრდად ჩემდა გარჯილო, მარიამ სახელდებულო"
(H 144 v).

---

[1] ლ. მოწენიძე, სამძიმრის წერილები, კრებულში: ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, V, თბ., 1973, გვ. 91.

გოდების ჟანრში ავტორები ხშირად თავსდატეხილ უბედურებას თავიანთი შეცოდების საპასუხოდ მიიჩნევდნენ. ისინი მოთქვამდნენ, რომ ეს უბედურება მათი ცოდვათა საზღაურია. ასეთი ტენდენციაა გატარებული მრავალ თხზულებაში.

"იესე მოძღვრის გლოვაში" კი ასე არაა. აქ თვითონ პიროვნება უცოდველია; სოლომონ მეფე ისე გარდაიცვალა, "ბრალი არ ჰქონდა" არაფერი. თვითონაც, იესე, არის "მღუდელი ღთიანი". ეს თავსდატეხილი ჭირი კი სოფლის სიმუხთლის გამოა, სოფელი "ექმნა მტერულად" და ამან გამოიწვია მისი ყველა "დიდი ვნება".

პოემის დასასრულს მეფე-პატრონისაგან, მშობელთაგან, ცოლისა და და-ძმებისაგან "დატევებული" მღვდელი მიდის "სინას მთაზედ ნათლისმცემლის მონასტერში", რათა ილოცოს მათთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც თხზულება ფაქტობრივ მასალაზეა აგებული, იმდენად ადვილი დასადგენია მისი დაწერის თარიღი.

ცნობილია, რომ იესე მოძღვარი სოლომონ მეორის გარდაცვალების შემდეგ, ე. ი. 1815 წლის შემდეგ, რუსეთს გაემგზავრა იმერეთის დედოფალთან, 1821-22 წლიდან კი მან "დაუტევა მღუდელობა და შეუდგა სახესა ნათლისმცემლისასა და წარვიდა სინამთად". მაშასადამე, იგი რუსეთშია 1816-1821 წლებში. ამ წლებში ექნებოდა მას ურთიერთობა გრიგოლ ბატონიშვილთან, რომელსაც შემდეგ უამბო თავისი ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი. გრიგოლს ეს თხზულება დაუწერია 1825 წლამდე, რადგან ამ წლიდან იგი ადგენს დიდ ანთოლოგიას, სადაც შეაქვს ეს თხზულება. აქედან, საფიქრებელია, იესე მოძღვრის გლოვა დაწერილია 1821-1825 წლებში.

პოემაში შეინიშნება რუსთველის გავლენა: დაწერილია თექვსმეტმარცვლოვანი რუსთველური შაირით, შესავალი ღვთის ქებით იწყება, ამას მოსდევს გამოცხადება მთავარი მოქმედი პირისა. მეფე იმერეთისა არის "მორჭმული, განგებიანი, მოწყალე", სამართლიანი (ისევე როგორც მეფე როსტევანი):

"ტკბილმან პატრონმან, ბატონმან, მორჭმულმან, განგებიანმა,
მოწყალე, ობოლთ გამზრდელმან, სამართალმოსწრაფემან".

გრიგოლი მეფეს ახასიათებს, როგორც „ბრძენსა, ენაწყლიანს", რაც როსტევან მეფის ეპითეტებია.

მეფე სოლომონის სიკვდილი ჟამთა ქმნულია. გრიგოლის სტრიქონებში: "განვიდა მეფე ამ სოფლით, იხილეთ ჟამთა ქმნულები", — „ვეფხისტყაოსნის" სტრიქონის: „გარდავლნეს, განვლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა" , — აზრი იკითხება. ეს ორი სტრიქონი ახლოს დგას ერთმანეთთან ლექსიკური შემადგენლობითაც. რუსთველისებური გაგება სოფლის მიუნდობლობისა — „ყოვლნი შენნი მინდობილნი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა", — გრიგოლთან თავისებურადაა გადმოცემული:

„ვინცა მიენდოს სოფელსა, ჰგუანდეს ეშმაკის მხარესა".

სწორედ მუხთალმა სოფელმა შეამთხვია იესეს ორივე უბედურება (მეფე პატრონს მოაშორა და მშობლებიც „სიკუდილსა მწარეს შერთო").

„სოფელი მექნა მუხთალად, მაშორა მეფის არესა,
მშობელთა ჩემთა სენი ჰსცა, შერთო სიკუდილსა მწარესა".

მუხთალი სოფლის გაუტანლობამ წარმოშვა იესეს გლოვა. მაგრამ მარტო სოფელი როდია შემცოდე, დამნაშავეა თავად დრო, ჟამიც მუხთალია:

"დრომან მუხთალმან მამთხვია დიდსა ვნებასა", — ათქმევინებს პოეტი გმირს.

სხვაგანაც:

"სოფლისა ჟამმან მოსულმან... ჰყო მეფე გადავარდნილად და მეც თანა გარდაყოლილად".

თხზულებაში შეინიშნება დრამატული სიმძაფრე, რაც ხშირად პოეტური განმეორებისა და მიმართვის ხერხების მომარჯვებით არის წარმოჩენილი.

თხზულება საინტერესოა როგორც გლოვის ჟანრის ერთ-ერთი ნიმუში გარდამავალი პერიოდისა.

გრიგოლის პატრიოტულ ლირიკაში დამუშავებულია ის მოტივები, რითაც გრიგოლ ბაგრატიონი სხვა პოეტებთან ერთად საფუძველს უმზადებს ახალ ქართულ ლიტერატურას. პატრიოტულ ეპოსში მწერალი განიცდის ქართველი კლასიკოსების: რუსთაველის, თეიმურაზ I და სხვათა კეთილისმყოფელ გავლენას.

სამოგზაურო-მემუარული ჟანრი "მოგზაურობა პეტერბურგიდან ვილნომდე"

რუსეთის ცხოვრება ყველაზე უფრო ფართოდ აისახა ქართული ლიტერატურის გარდამავალი ხანის სამოგზაურო ჟანრის თხზულებებში. ცნობილია, რომ ამ ჟანრმა სწორედ XVIII მოიპოვა პოპულარობა როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე რუსეთსა და საქართველოში.

სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. ერთი სახის მოგზაურობათა ცენტრში დგას თვით ავტორი, მთხრობელი, ამსახველი და მისი განცდები, მეორეხარისხოვანია ობიექტური სამყარო, ასასახველი, მოსათხრობი. მეორეგან ობიექტური სინამდვილე, ნანახი, გაგონილი წინა პლანზეა, მხილველი ნაკლებ აქტიურობს საკუთარი თავის წარმოსაჩენად, საკუთარი განცდებისა და აზრების გადმოცემისას სიტყვაძუნწია.

ქართულ ლიტარატურაში გავრცელდა უმთავრესად ისეთი "მოგზაურობანი", რომლებიც ორივე უკიდურესობას გაურბიან. აღწერილია საგნები და მოვლენები, მაგრამ ავტორი ამ საგნებითა და მოვლენებით აღძრულ საკუთარ განცდა-გრძნობებსაც გადმოგვცემს.

გარდამავალ პერიოდამდე ქართველებს რუსეთის შესახებ მხოლოდ ერთი სამოგზაურო ნარკვევი ჰქონდათ – "ამბავნი პეტერლოფისა", რუსეთის ცხოვრებაზე სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებები შექმნეს გაბრიელ რატიშვილმა, თეიმურაზ ბატონიშვილმა, რაფიელ დანიბეგაშვილმა და სხვ.

სამოგზაურო ხასიათის თხზულებაა გრიგოლ ბაგრატიონის "მოგზაურობა მეფის ძის გრიგოლისა 1815 წ. ნაპალეონის რუსეთზედ მოსვლის დროს". ეს თხზულება მოღწეულია ერთი ხელნაწერის სახით, რომელიც დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის H №2178 ხელნაწერში (1 r– 5 v).

თხზულება მოთავსებულია ხუთ გვერდზე, დაწერილია გრიგოლისათვის დამახასიათებელი ნაჩქარევი, "გაკრული" ხელით.

შესავალ-წინასიტყვაობაში ავტორი გადმოგვცემს: "ოდესცა ვმსახურობდი რუსეთისა იმპერატორსა ალექსანდრეს რუსეთსა მხედრობასა თანა და შემთხვევისა გამო მოუხდა რუსეთისა ხელ-

მწიფესა ფრანციასთანა აშლა და გალაშქრება 1815 და მეცა, რადგან მუნ ვმსახურობდი და წარმოგვგზავნეს მთლიან ლვარდია ქვეითნი და ცხენოსანი პეტერბრუხით და მე, მეფის ძის ძემ გრიგოლმა, რაჲცა ენახე თვალითა ჩემითა საკვირველი ანუ სანახავი, ამას ქვევით დაიწერება" (H №2178, 1 r).

აქ ჩანს, რომ გრიგოლს მონაწილეობა მიუღია 1815 წელს ნაპოლეონის წინაალმდეგ გამართულ ლაშქრობაში.

თხზულება დაუმთავრებელი, ნაწყვეტი სახითაა ჩვენამდე მოღწეული. შთაბეჭდილებების გადმოცემა იწყება იქიდან, როდესაც მოვიდნენ "პეტრებრუხით ლეიბ-ყაზახის ლვარდიის ჯარითურთ" და მთავრდება ვილნოში (ვილნიუსში) ყოფნით გამოწვეული განცდების გადმოცემით. ამიტომ, პირობითად ნაწარმოების სათაურად მიღებულია "მოგზაურობა პეტერბურგიდან ვილნომდე"[1]. საფიქრებელია, ბატონიშვილმა ან რაღაც მიზეზის გამო ვერ დაამთავრა ნაწარმოები, ან დაასრულა, მაგრამ იმ ნაწილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, დაიკარგა.

თვითონ თხზულება იმ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ავტორს თავისი განზრახული საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანა. გრიგოლი მეტად სერიოზულად მოჰკიდებია ამ ნაწარმოებზე მუშაობას. დაუწერია წინასიტყვაობა, სადაც მოკლედაა გადმოცემული რომელ პერიოდს ეკუთვნის თხზულება, აღნიშნულია ზუსტი თარიღი, ავტორის ადგილსამყოფელი წერის დროს, მიზანდასახულება. გარდა ამისა, მას თავდაპირველად განუზრახავს დაეთარიღებინა ჩანაწერები, პირველად ასეც აკეთებს (ივლისის 1). შემდეგ ეს პრინციპი დარღვეულია, უეჭველია, უდროობისა და პირობების უქონლობის გამო. ყოველივე ამის შემდეგ არა გვგონია ბოლომდე არ მიეყვანა (თუ, რა თქმა უნდა, რაიმე არსებითი ხასიათის ხელისშემშლელი მიზეზი არ ჰქონდა). აქ უფრო მეორე მიზეზია საგულვებელი — თხზულების ნაწილს იგივე ბედი ეწია, რაც არა ერთსა და ორ ქართულ ხელნაწერს, — იგი დაიკარგა.

როგორც ნაწარმოების შესავლიდან და შემდგომი მსჯელობიდან ჩანს, გრიგოლს მიზნად დაუსახავს არა დეტალური აღწერა

---

[1] ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, გვ.97.

მის მიერ ნანახი გეოგრაფიული პუნქტებისა თუ მოვლენებისა (ეს იქნებოდა უფერული, მშრალი გეოგრაფიული აღწერა და არა მხატვრული ნაწარმოები, რის შექმნასაც ავტორი ფიქრობდა), არამედ საინტერესო, ან, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, "საკვირველი ანუ სანახავი" ადგილების აღწერა. გრიგოლი არაერთგზის გვაუწყებს: "მივედით სოფელსა ერთსა, მუნ არარა მინახავს საკვირველი", ან: "ამას ქალაქსა შინა დავყავით დღე ერთი და არცა რა მუნ მინახავს საკვირველი". ანდა, უფრო დამახასიათებელი: "მუნ დუცინის ქალაქსა შინაცა ვერა ვნახე რა საკვირველი, რომელ დამეწერა".

ერთ-ერთ "საკვირველ ამბად" გადმოგვცემს გრიგოლი ქონდრისკაცის ამბავს, რომელიც, მისი თქმით, ისეთი "დაბალი იყო, თავი ჩემს მუხლთანა ჰქონდაო", ხოლო ცოლი მისი "დია, დია ლამაზი ქალი და ჩემზე მაღალი იყოო".

მთელი თხრობის მანძილზე იგრძნობა, თუ როგორ ზედმიწევნით აზუსტებს ან ცდილობს დააზუსტოს ავტორი გადმოსაცემ ცნობებს: "მივედით საიდამცა მდინარე ნარვა გამოდის, რომელიც არს საშინელი ტბა, სიგრძე აქვს 330 და სიგანე 165 და არის სულ ტბა ესე რიყიანი და გემრიელი სასმელი წყალი, რომელიცა უკეთესი გემო წყლისა აღარ ითქმის... ტბასა ამას ჰქვიან ოზირა პსკოვა" (2 r).

ავტორი ითვალისწინებს ქართველ მკითხველს და რომ მისთვის უფრო გასაგები იყოს, ნაცნობ ადგილებს უთითებს: "მდინარე ესე იქნების ორი და მტკვრისოდენი" (1 v).

განსაკუთრებით დიდხანს ჩერდება გრიგოლი ვილნიუსში ყოფნისას ნანახზე. გრიგოლს ბრძანებით დაკისრებული მოვალეობა შეუსრულებია, "მას უკან საქმე არარაი მქონდა თვინიერ შექცევისა და მივეც ჩემს ჯარსა ბრძანება, რომ არ იმთრალონ და არ იჩხუბონ".

ოთხი დღე გაუტარებია გრიგოლს ამ ქალაქში. ამ ხნის განმავლობაში მან ბევრის აღწერა მოასწრო. გრიგოლი ქალაქის გარეგნულ სახეზეც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის და მის მცხოვრებთა ჩაცმულობასა და ზნე-ჩვეულებებზეც გვესაუბრება: "არის ვილნოსა ქალაქი დაბლობში, სამ კუთხიდგან აქვს სულ გორები ტყიანი და ერთიდგან მდ. ვილლა". "თეატრი არაფერი, ვითარც შევადრი პეტ-

რებრუხისა მუშიკთა თეატრთა ოდესცა ყველიერში". ჩანს, გრიგოლს ქალაქის კულტურაც დიდად აინტერესებდა.

თხზულებაში ავტორი დაწვრილებით აგვიწერს ქალაქის მცხოვრებთა ჩაცმულობას. "და ვილნოსა შინა მცხოვრებნი ურიანი არიან მოარულნი კაცნი მათნი ცუდისა ტანისამოსითა და დიდითა წვერითა და თმითა და ზევიდამ აცვიათ ვითარცა სომხისა ტერტერათა შავი ანაფორანი და ზოგთა დაკეცილი მხარზედან უძევსთ" (5 v). მამაკაცებთან შედარებით, ქალები უკეთესად იცვამენ: "მკერდნი მათნი ჩადრითა და ქოშებით და აქვთ თავნი შეკრულნი დიდისა კოპითა და ყელთა ზედა აქუსთ ყოველთა სარალუჯი მარგალიტისა" (5 v).

გრიგოლი იქაურ მცხოვრებთა წეს-ჩვეულებებზეც ამახვილებს ყურადღებას: "ოდეს მკუდარი მოუკვდებათ, მიიტანებენ მკვდარსა მას და ჩაასვენებენ ზემოხსენებულსა ხვრელსა შინა და გაამწესებენ მიწისა და კედლის პირსა და წააფარებენ ჩვეულებისამებრ ქვასა. ოდეს მის გობონასა გვერდსა გაივლი, ვერა სცნობ თუ ეს გობონი სასაფლაო არს. ასე გეგონება, რომ ერთი დიდი სასახლე არის" (5 r).

მოგზაური გზადაგზა საოხუნჯო შემთხვევებსაც აღწერს ("გოროდნიჩის ამბავი, ყაზახების პოპზე" და სხვ.).

პოლონეთში შესვლისას გრიგოლი მოგვითხრობს მის ადგილმდებარეობაზე, მცხოვრებთა სტუმართმოყვარეობაზე: "ოდეს შემოვედით პოლშის მამულსა, დია უცხო მდებარეობა ადგილისა არის წყლიანი, გორებიანი, ალაგ – მინდორი და ალაგ ტბა. და დია უცხო აზნაურნი ყოფილან პოლშისანი. საცა მოვედით, სულ დაგვხვდნენ აზნაურნი ყოველს სტანციასა ზედა და მიგვიღებდნენ ტკბილისა გულით და გვიმასპინძლდებიან" (2 r).

უცხოობაში ყოფნისასაც მშობლიური ადგილები აგონდება გრიგოლს (მდ. ნარვის შედარება მტკვართან და სხვ.). იქაურებს ქართველ ხალხს ადარებს: "ბუნებითი მცხოვრებნი პოლშისანი არიან ვითარცა ქართველნი – მოარულნი კაბითა, სარტყელითა და ჩიძლეცვნითა, ესე იგი ჩახჩურებითა და ჩოხა-ბარმითა მოარულნი ვითარცა ბუნებით ქართველნი" (5 v).

ნაწარმოებში გვხვდება ბუნების სურათების მხატვრული აღწერა: "და მდინარე ესე ჰყოფს ქალაქსა ორად და შუასა ადგილსა

ქალაქისასა არის გორა ამოსული და მას ზედა ციხე ძველებური ნაშენი და თუმცა პატარა არს ქალაქი, მაგრამ დია მშვენიერი არის".

ავტორი მიმართავს მხატვრულ ხერხებს, შედარებებს, ჰიპერბოლას: "კლდე იგი, იქნება სიმაღლით 12 ადლი და შიგან კაცი ისე გაიელი, როგორც მდელოზედ"; "და მდინარე ესე გარდმოხუის მას კლდესა, რომელიცა ასე დუღს წყალი იგი, რომ წინწკალი ნახევარს ვერსზე დაასველებს კაცსა".

გრიგოლ ბატონიშვილის ეს მოგზაურული ჩანაწერები, როგორც ჩანს, უშუალო შთაბეჭდილებების შემდეგ კეთდებოდა, შემდეგ კი საჭირო იყო მისი ერთ მთლიან თხზულებად ჩამოქნა, გაწყობა, ავტორის მხატვრულ-ლიტერატურული გემოვნების მიხედვით ჩამოძერწვა, რაც გრიგოლს ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, ჩანს, არ გაუკეთებია.

მკვლევარ ტ. რუხაძის აზრით, თხზულებაში "მოიკოჭლებს ენა... ამბების აღწერის მეთოდი მეტად უსუსურია"[1]. საფიქრებელია, რომ ეს არის "იმ ხასიათის ნედლი მასალა, რომელსაც დღესაც აკეთებს ხოლმე უბის წიგნაკში უცხო ქვეყანაში ჩასული კაცი და რომლის შემდგომი გადამუშავების საფუძველზე იქმნება "მოგზაურობა"[2].

თხზულებაში გვხვდება რუსიციზმები: ღუარდია, გოროდნიჩი, პოპი, ატაჟი, სტანცია, პესოქი და სხვ.

"მოგზაურობა პეტერბურგიდან ვილნომდე" საინტერესოა როგორც სამოგზაურო ჟანრით დაინტერესებულ პირთათვის, ასევე ძველი ქართული ლიტერატურის შემსწავლელთათვის.

სატირულ-იუმორისტული ჟანრი. ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში ელემენტების სახით არსებულმა სატირამ და იუმორმა აღორძინების ხანაში, კერძოდ კი XVIII საუკუნიდან, განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია. სატირულ-იუმორისტუ-

---

[1] ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, გვ. 108.

[2] ლ. კეკელიძე, გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრება და შემოქმედება, კრებულში: "ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები", IV, გვ. 27.

ლი ტენდენციების არსებობაზე არჩილის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის შემოქმედებაში მიუთითებს გრ. კიკნაძე[1].

სატირულ-იუმორისტული ჟანრის დამწყებად ქართულ მწერლობაში ბესარიონ გაბაშვილს მიიჩნევენ. ეს "ჟანრი ბესიკმა პირველად შემოიტანა პოეზიაში. ეს, თუ გნებავთ, ერთგვარი რეაქცია იყო ზვიადი ეპიკური მწერლობის წინააღმდეგ, რომლის არსებობას ჯერ კიდევ ამართლებდა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება და აზროვნება"[2]. ბესიკის მიმდევრები გარდამავალ ხანაში ამ ჟანრშიც მრავლად გამოჩენილან. შეიქმნა უამრავი სატირული ნაწარმოები. მახვილსიტყვაობა "სავალდებულო ელემენტი იყო მაშინდელი მგოსნისათვის... მჭრინავი, "ლიზლური" სიტყვის, მსუბუქი ეპიგრამების, კალამბურებისა და ანეგდოტების, კიცხვითი შესხმის და საცინელი შაირის კულტი ყვაოდა"[3].

გაჩნდა უამრავი ნიმუში მახვილსიტყვაობისა: "შაირი ხუმრობითი", "ოხუნჯობითი ლექსი", "გიობითი", "კიცხვითი", ზმები და სხვ., რომელთა მიზანი იყო საკიცხავის სააშკარაოზე გამოტანა, მკაცრად განქიქება და ამ საშუალებით ბრძოლა მის წინააღმდეგ.

ცხოვრებისეული მანკიერებების მხილება სატირისა და იუმორის მასაზრდოებელი წყაროა. "სატირასა და იუმორში ნათლად ისახება საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი საჭირბოროტო საკითხი. ის უშუალო ანარეკლია იმ ბრძოლისა და ჭიდილისა, რომელიც მისი თანამედროვე საზოგადოების წიაღში მიმდინარეობს"[4].

ეს ჟანრი გააფართოვეს და უფრო წინ წამოსწიეს ბატონიშვილებმა. ბაგრატიონთა გვარეულობის წარმომადგენელთაგან თითქმის არცერთი არ დარჩენილა, რომ არ შეექმნა ამ ჟანრის ნიმუში. სატირული ლექსები მრავლად უწერიათ დავით, მირიან, გრიგოლ ბატონიშვილებსა და სხვებს.

---

[1] გრ. კიკნაძე, ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბ., 1972, გვ. 93-99.

[2] ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1940, გვ. 420.

[3] გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1956, გვ. 338.

[4] ლ. კეკელიძე, სატირა და იუმორი XVII-XVIII სს. ქართულ მწერლობაში, თბ., 1967, გვ. 3.

გრიგოლ ბაგრატიონი, "როგორც სატირიკოსი, ცალკე შესწავლას მოითხოვს"[1], — აღნიშნავდა ტ. რუხაძე. მართლაც, გრიგოლის სატირული ნაწარმოებები ან სატირულ-იუმორისტული ადგილები მის თხზულებებში, ასევე მის კრებულებში შეტანილი უამრავი ამ სახის მასალა[2] ნათლად მეტყველებს — გრიგოლ ბაგრატიონი სატირულ-იუმორისტული ნიჭით უხვად ყოფილა დაჯილდოებული.

მის თხზულებებში გვხვდება ე. წ. შესაქცევარი, საოხუნჯო ადგილები: "მივედით იამბურლის ქალაქსა, მე მეგონა, რომ ეს იამბურლის ქალაქი დიდი რამ იქნებოდა მეთქი, ოდეს მივედით მოგვეგება წინ ერთი დაპანვლილი კაცი, ბერი, კბილი არც ერთი არა ჰქონდა. ვკითხე ჩემს ამხანაგსა აფიცერსა, ეს ბერი კაცი ვინ არის მეთქი? მან მითხრა: ეს ამ ქალაქის გოროდნიჩიაო. გავიცინეთ ორთავ და ერთმანეთს უთხარით: როგორიც ქალაქია, იმისთანა გოროდნიჩიცა ყავსო" (H №2178, 1 v). აქ უნებურად გვახსენდება ქართული ანდაზა: "როგორიც — ერი, ისეთი — ბერი".

"მოგზაურობაში" გრიგოლი ისეთ ამბებსაც გვთავაზობს, სადაც თვითონ ქმნის სატირულ სიტუაციას: "საყდარსა შეველ წირვასა ზედან ნაბდითა და ოდეს ხალხმა იქაურმა დამინახა, ერთმანეთს ეუბნებოდნენ: აი, ყაზახების პოპიო და ჩვენ აფიცრები ვიცინოდით და მოდიოდა ხალხი და ხელზე მემთხვეოდა ხოლმე და მეცა ჯვარს ვსწერდი და ხელს ვაძლევდი და უმეტესად ვიცინოდით" (H №2178, 1 v).

გრიგოლის მახვილი თვალი ადვილად ამჩნევს კომიკურ სიტუაციას და იქნებოდა იგი ლაშქრობაში თუ სხვადასხვა შეკრებაზე, ახერხებს ამის ჩაწერას (ძალიან დაბალი კაცისა და სამჯერ თუ მეტჯერ მაღალი ცოლის შესახებ, ძროხის ორი ცურის ამბავი და სხვ.).

იუმორისტულია გრიგოლის მიძღვნანი ძიძებისადმი.

მიხეილისადმი:

---

[1] ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 145.

[2] გრ. კიკნაძე, ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბ., 1972, გვ. 94.

"მეფის ძეს, ბიძას მიხეილს ხელს ვკოცნი მოშიშებითა,
ღმერთმან გცეს დღენი მრავალნი, სუფევდე განდიდებითა,
ოსტროვით გამობრძანება თქვენი დღეს ვცანი შუღბითა,
ოსტროველთ მზენი ჰსჭმუნვიან თქვენითა მოშორვებითა"
(H №2130, 67 v).

ილიასადმი მიძღვნილ სტროფში ვკითხულობთ:

"მეფის ძესა ილიასა ვერვინ სწორებს მისი ფარდი,
მაგრამ თვის ძმას ოქროპირსა არას უშლის ბულბულს ვარდი,
მეცხრეს სადმე ლინიასა ოქრომ მღერა თურმე ნარდი,
ალექსანდრე ბაგრატიონს რათ მიელო ნაზი, მარდი"
(H №2130, 68 v).

გრიგოლ ბაგრატიონი მხტვრულად აგვიწერს თავისი წრის იმ "მხიარულ გაპაექრებებს, შეჯიბრებებსა და ექსპრომტებს, რომლებიც ავსებენ და იუმორით აფერადებენ ყოველდღიური ცხოვრების ეპიზოდებს"[1].

დაცინვის ობიექტად გაუხდია გრიგოლს მუშრიბიშვილი სტეფანე[2], რომელსაც "მაშინით წყალი გამოჰქონდა დიდუბეში". მას გამოსჩენია კოლეგა-მეტოქე, რომელმაც "გაუცუდა სტეფან პავლიჩს თავისი ხელოვნება". სტეფანე სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩენილა, რადგან "სოსიამ სხვა მაშინები გამართა დირსი-ჭალასა":

"მეჭურჭლოვმა სტეფანეს გულს მოუდო ალები,
სტეფანეს ჯავრისგან გაუშავდა ხალები,

---

[1] ნ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, გვ. 159.

[2] "მუხამბაზი" მოთავსებულია ოთხ ხელნაწერში, რომელთაგან ორი თბილისშია დაცული (H №2130, S №3686). ორი სანკტ-პეტერბურგში (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის განყოფილებაში M №5 და მცირე ანთოლოგიაში). ლექსი თორმეტი სტროფისაგან შედგება, სტროფებს ბოლოში ერთვის ორსტრიქონიანი რეფრენი: "დოხტურ გეურქ-აღასა ხელი კარგა შეუწყე, ჩულურეთში ბაღები ლაზათიან მოუწყენ".

ქრთამიც ბევრი დახარჯა, თავს დაიდო ვალები,
მეჭურჭლეს წაუხდინოს დირსი ჭალის ჩარხები,
საწყალ ჩვენს სტეფანესა აღარა აქვს ძალები" და ა. შ.
(H №2130, 62 v).

ბოლოს გრიგოლი ასე მიმართავს სტეფანეს:

"სტეფანე, ჭიანურზე მუდამები დაიწყე,
რუსეთში წასასვლელად გუდა-შარათ გაიწყე,
რაც რომ მუნ განიხილო, შენს მეგობრებს აუწყე"
(H №2130, 61 v).

ეს სატირა რეფრენული სტროფებითაა აგებული, რეფრენი აძლიერებს დაცინვას.

ლექსში "მსმენნო სალბუნი" გრიგოლმა გააშიშვლა ზაზას (ზურაბიშვილი) უწმინდური ბუნება, იგი მცირე სარგებლობის მიღების მიზნით ათასნაირ ტყუილს კადრულობს:

"კამბეჩოვანსა აღზრდილმან ზაქმან ზაზამან წყეულმან,
პატრონის ორგულობაზედ სანიადაგოთ ჩვეულმან,
იუდას მსგავსად ვერცხლისა მოყუარებითა ძლეულმან,
ანგაარებით განთქმულმან კერპთ მსახურებით სნეულმან"
(H №2130, 46 v).

ზაზას პიროვნება ქართულ მწერლობაში გაკიცხვის საგნად სხვა დროსაც ქცეულა. ზაზაზე სატირა დაუწერია პეტრე ლარაძესაც.

გრიგოლ ბაგრატიონს მწვავე სატირული ლექსი დაუწერია იოსებ გაბაშვილზე[1]. გრიგოლი იოსებ გაბაშვილს უფრო იმიტომ კიცხავს, რომ ისინი ადრიდან მეტოვეები ყოფილან, იოსები "ფრანცუ-

---

[1] ეს ლექსი მოთავსებულია დიდ ანთოლოგიაში H №2130, 65 R - 66 V და მცირე ანთოლოგიაში 31 v – 33 v, ლექსი შედგება ექვსი სტროფისაგან, სტროფში რვა სტრიქონია, რეფრენად აქვს "სალამალექ კარნეტო, რისთვის მოგიწყენია, მინდა ღირსად შეგამკო, ქება შენი მსმენია".

ცის" დროს ჯარში შევიდა და აფიცრობა მისცეს, ახლა "შარფ-სერთუკშია" გამოწყობილი. გრიგოლი იუმორით მიმართავს: "მინდა ღირსად შეგამკო, ქება შენი მსმენია".

გრიგოლი მწარედ კენწლავს გაბაშვილს:

"არ შეგშვენის რუსობა, ანუ რისთვის ჰქენია,
სჯობდა ისევ გვარისებრ ტივად გეკრა ხენია"
(H №2130, 65 v).

პოეტი მოუწოდებს გაბაშვილს, გაიხსენოს მამა-პაპის ხელოვნება:

"არ გიხდება სერთუკი, თვალთა ცრემლი მდენია,
სჯობს ისევ მამა-პაპათ მოიგონო ზნენია" (65 r).

გრიგოლი ლექსში რუსულ-აღმოსავლური სიტყვების ჩართვით ამძაფრებს და "კიდევ უფრო მეტ კომიკურ ყურადღებას აძლევს სატირულ ლექსს"[1].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ლექსი ახლოს დგას დავით ბატონიშვილის ლექსთან "რა იქნება, ჩვენც ვიყოთ სენატორი"[2]. დავით ბატონიშვილიც დასცინის მას, ვისაც საკუთარი ეროვნული სახე დაუკარგავს, ვინც:

"დასეირნობს სერთუკით და ქაბოთი,
ბაკენბარდი ყბას მიუკრავს წებოთი".

ამავე თემაზეა შექმნილი დავითის სხვა ლექსებიც ("ეშიკაღას მობრძანდება ჩანითა").

გრიგოლ ბაგრატიონმა ზემოგანხილულ ლექსში კერძო ხასიათის მიზეზი გამოიყენა საფუძვლად იმისა, რომ ემხილებინა ისინი,

---

[1] ლ. კეკელიძე, სატირა და იუმორი XVII-XVIII საუკუნის საქართველოში, გვ. 146.
[2] ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია, II, თბ., 1928, გვ.280-281.

ვისაც ადვილად შეუძლია საკუთარის უგულებელყოფა, ვისთვისაც ცოტას ნიშნავს ეროვნული, მშობლიური. ეს გარემოება, როგორც აღვნიშნეთ, ამ ხანის სხვა პოეტებსაც აღელვებდათ. მათ თავიანთი გულისტკივილი სატირულ ლექსებში გაუმჟღავნებიათ, ისინი დასცინიან თავბრუდახვეულ, უგვან თანამემამულეებს. მათ მიმართ ზიზღს აღგვიძრავენ, ხოლო დაცინვის ობიექტთ გამოსწორებისკენ მოუწოდებენ.

გრიგოლ ბატონიშვილს, როგორც ვიცით, ახლო ურთიერთობა ჰქონია იონა ხელაშვილთან. იგი დიდი პატივისცემით იხსენიებს თავის წერილებში იონა ხელაშვილს. იონაც, თავის მხრივ, სიყვარულითაა გრიგოლის მიმართ გამსჭვალული. მიუხედავად ასეთი გულთბილი დამოკიდებულებისა, გრიგოლს იგი გაუკილავს და უკადრისი სიტყვებითაც მოუხსენიებია. ამისი მიზეზი შემდეგი ყოფილა; როდესაც გიორგი მეფის ძემ თეიმურაზმა პეტერბურგში, თავის სასახლეში ეკლესია გამართა, იონა მიიყვანა მწირველ-მლოცველად და მოძღვრად. იონა, როგორც მოძღვარი და მღვდელი, ემსახურებოდა აგრეთვე სრულიად იმერეთის დედოფალს მარიამსაც. გრიგოლს ეს ამბავი არ მოსწონებია და სატირა მიუძღვნია მისთვის: “ოდეს თეიმურაზ ბატონიშვილიდამ იონა ხელაშვილი ბერი განვიდა და იმერელ მეფის მეუღლეს მარიამ დედოფალთან შევიდა და დედოფალმა თავის უპრავიტელს ანუ ნაზირ სოგრატ ამაშუკელს მიაბარა — ამ ბერს კარგი პატივი მიაპყრო და ყური უგდეო და მე, მეფის ძის ძემ გრიგოლმა, ვსცან ესე ამბავი ასტრახანს და ასტრახანიდამ მივსწერე ხსენებულს იონა ბერს ეს ლექსი, რომელიც იგი იონა ბერი ცუკიას გაზრდილი იყო და იმე/რ/ლებთან შევიდა და იმისთვის მივსწერე ლექსი ესე”. გრიგოლი სასტიკად ლანძღავს იონა ხელაშვილს, მატყუარას და “იუდებრ გამცემელს” უწოდებს მას:

“ვითომ სიბრძნესა ჩემულობს, იქცევის ვითა ცუკია,
კუნკულით ღმერთსა ატყუებს, სიბრძნის ტყუილა ცრუკია,
შავისა ანაფორითა ჯორზედ არს შესაკუკია,
ამგვარის საქმის მოქმედი ცეცხლშია დასახრუკია”
(H №2130, 96 r -97 v).

ასეთი მკაცრი განაჩენი გამოაქვს ბოლოს გრიგოლს.

როგორც მათი გვიანდელი მიმოწერიდან ჩანს, გრიგოლსა და იოანეს შორის ისევ აღდგენილია კეთილი ურთიერთობა (H №2226, 215 v).

გრიგოლის ეს ლექსი ეხმაურება პოეტი ქალის, მარიამის სატირას "დაბრძანდი მიწის სკამზედა".

მარიამის აღნიშნული ლექსი მოთავსებულია გრიგოლის ანთოლოგიაში. მიძღვნილია დავით რექტორისადმი "ანჩისხატის დეკანოზის სოლომან ალექსიძის სახელზედ დაწერილი":

"დაბრძანდი მიწის სკამზედა,
გვერდით მოისვი ცუკია,
უსჯულო, ულვთო წარმართი,
პლუტი, გაქნილი, ცრუკია,
ავყია, ლაშებ-გართხმული,
ვირზედა შესაკუკია" (H №2130, 21 v).

მარიამის უკმაყოფილება და ამგვარი გალიზიანება იმას გამოუწვევია, რომ – "ბევრი შეუფერებელი და სასირცხვო ლექსები დაუწერია დავით რექტორსო", – წერს ა. ხახანაშვილი[1]. ამის შესახებ გრიგოლიც გადმოგვცემს – "ყველას ლანძღებდა ცუკია იგი".

როგორც ვხედავთ, გრიგოლ ბაგრატიონი სატირულ-იუმორისტულ ნაწერებში კიცხავს როგორც პირად მტრებს, ასევე მათ, ვისაც მისთვის პირადი უსიამოვნება არ მიუყენებია, მაგრამ საზოგადო ზიზღს იმსახურებს.

გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედებითი მუშაობის ერთ-ერთი მიზანი სატირულ-იუმორისტული ნაწერების შეგროვებაც ყოფილა. ამ მხრივ მისი კრებული საკმაოდ ბევრ მასალას მოიცავს. უეჭველია, ბატონიშვილს სატირულ-იუმორისტული ხასიათის მასალა ისევე საინტერესოდ და აუცილებლად მიაჩნდა მკითხველისათვის, როგორც სხვა სახის ლიტერატურული ნიმუშები. ამიტომაცაა,

---

[1] ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, გვ. 559.

რომ იგი მრავლად კრებს "ხუმრობა, ოხუნჯობა, მასხრობებს" და სხვებსაც ამისაკენ მოუწოდებს.

გრიგოლ ბაგრატიონის ანთოლოგიაში ვხვდებით ბესიკის, მარიამ ბატონიშვილის, ჭაბუა ორბელიანისა და სხვათა სატირულ ლექსებს. აქვეა ლუარსაბ თარხანის, თევდორე ხორგუაშვილის, ოთარის, ლევან ბატონიშვილის, ერეკლე მეფისა თუ სხვათა ხუმრობები.

სწორედ ამ კრებულმა შემოგვინახა მრავალი ხუმრობა თუ მოსწრებული თქმა, ამ "ხუმრობებით" იმდროინდელი არისტოკრატიული წრის ყოველდღიური ცხოვრების ზოგიერთი მომენტი თვალნათლივ წარმოგვიდგება.

"დღესა ერთსა მეფე ერეკლე ალგეთში სანადიროდ წაბრძანდა და ჭაბუაც თან წაიყვანა და ალგეთის ჭალაში ჯელგა შეაშუშბინა და თავადები კარგ ცხენზე მჯდომი აქა-იქ დააყენა, რომ ირემი თუ გამოვარდეს, არ წაგივიდესთო. ჭაბუაც ერთ ალაგ წყლის პირზე დააყენეს. მორევი იყო, საცა ჭაბუა იდგა. ზედ მორევის პირზე იმ ჟამში ირემი ჭაბუას წინ გამოვარდა, გაუფრთხა ცხენი და შენი ჭაბუა შიგ ამ მორევში ჩაავდო. ირემი ამ ჯოჯოხეთას მინდორზე გავიდა. ამ დროს ივანე აბაშიძე გამოუდგა ირემს. ჭარმაგს ცხენზე იჯდა. ამ ჯოჯოხეთას მინდორზე მოეწია და დაჩეხა ხლმითა ირემი იგი (ჯოჯოხეთას ამ ალაგს იმიტომ ეძახიან, რომ სულ ქვიანი და ჭინჭულის გორა არის და ძნელი ცხენის გასაჭენებელი) და ივანემ რომ იმ ძნელს ალაგს ცხენი არ წამოაქცია და ირემი დაჩეხა ხლმითა, წავიდნენ, ირემი მოიტანეს. მეფეს მიულოცეს და ჭაბუა ამოათრიეს წყლიდან. და ეს თავადები დასცინოდნენ, ბატონს მოახსენებდნენ, შენი ჭირიმე, ჰსწორედ ჭაბუასავით მოკლა ირემიო ივანე აბაშიძემა, ჰსწორეთ ჭაბუასავით გააჭენა ცხენიო. ჭაბუამ უთხრა — რას გიკვირთო, ეშმაკმა[1] ჯოჯოხეთში ცხენი გააჭენაო, რა გასაკვირვებელი არისო, დია დიდი იცინეს"(128 v).

დიდ ანთოლოგიაში გრიგოლს საკმაოდ ბევრი საინტერესო მოსწრებული თქმა ჩაუწერია: "დღესა ერთსა მეფის ირაკლის ძენი

---

[1] „აბაშიძეები რადგანაც მაცდურები არიან და კაცის მომტყუშბელნი არიან, იმისათვის ეშმაკებს უხმობდნენ ქართუშლნი", — ასეთ შენიშვნას ურთავს გრიგოლი ამ ჩანაწერს.

იულონ, ალმასხან და მირიან ყაბახზე სასეირნოთ დადიოდნენ და თავადაზნაურიც ბევრნი ახლდნენ და იმ დროს ხორგუაშვილი წინ შემოეყარათ და უბრძანა იულონ ბატონიშვილმა: – ხორგუაშვილო, ყაბახი მოუხნავთო[1]. დიდად ეწყინა ხორგუაშვილსა და პასუხ უგო: – შენ რომ შვილი დარჩი მამაშენსა, ნეტავ სასახლეც არ მოახვნევინოთო, თორემ ყაბახს კი ნუ ინაღვლებო" (132 v).

გრიგოლს უხვად ჰქონდა ცნობები სხვადასხვა ამბავზე. "დღესა ერთსა დიდმარხვისასა ბატონიშვილი გიორგი და ჭაბუა მდივანბეგი სადილათ ერთად იყვნენ და სუფრა რომ აიღეს და ამ ჟამს ივანე აბაშიძის ძმა, სვიმონ აბაშიძე შევიდა. ბატონიშვილმა გიორგიმ უბრძანა: – ბატონო სვიმონ აბაშიძე, დღეს სადილათ რა მიირთვიო? სვიმონს უნდა მოეხსენებინა – ისპანახი გეახელიო, ისპანახი ველარა თქუა და მოახსენა: – შენი ჭირიმე, ისპანს გიახელო: ჭაბუამ გაიცინა და წამოიძახა: "შენმა მზემ, ქალაქის ქუჩაც გეყოფოდა, არამც თუ ისპანიო. დია მრავალი იცინეს" (131 v).

გრიგოლმა კარგად იცოდა, რომ ხუმრობა და მოსწრებული თქმა გარკვეულ ნიჭზე იყო დამოკიდებული, რომ ყველას არ შეეძლო მოსწრებული პასუხის ან სახუმარო ამბის შეთხზვა. ამაზე მოგვითხრობს იგი ერთგან: "ჭაბუას უთხრა თავისმა შაგირდმა ონისიმე მღვდლის შვილმა, ეგნატემ, ესეც მასწავლეო, როგორც სხუა მეცნიერება მასწავ[ლ]ეო, რომ ვინც რა მითხრას, მეც ეგრე მალე შენსავით სიტყუა მოვასწროო. ჭაბუამ უთხრა, შე ვირო, რა ვიცი, რა დროს რომელს სიტყუას და მუნასიბს გეტყვიანო – ეგ ულუფი შენ უნდა გქონდესო" (134 v).

სწორედ გრიგოლის კრებულმა შემოგვინახა ცნობა, რის საფუძველზეც ვლინდება ბესიკისა და ჭაბუას უთანხმოების, წინააღმდეგობის მიზეზი. ამდენად, ამ ცნობას უნიკალური მნიშვნელობა აქვს: "... კურთხეულმა მეფემ ირაკლიმ უბრძანა: "ჭაბუავ, რატომ ბესარიონს პასუხს არ დაუწერო?" მაშინვე, იმავე წამს მოახსენა: "შენი ჭირიმე, ბლიაძეს რა ლექსი გაეწყობაო".

---

[1] "იმ ხორგუაშვილსა დიდად ეწყინებოდა ხოლმე ვინც ეტყოდა – "ყაბახი მოუხნავთო", – ასეთი შენიშვნა აქვს დართული ამ ხუმრობას გრიგოლის მიერ.

გრიგოლს ჩაუწერია ზმებიც: "მეფე ერეკლესთან გიორგი თარხანი და ჭაბუა ნარდის თამაშობას მოჰყუნენ, როცა თარხანი მოიგებდა და დავს ზმით იტყოდა: გ უ დ ა ვ ! ჭაბუა ჩუმად იქნებოდა. იმ დროს, როცა ჭაბუა მოიგებდა, ისიც ეტყოდა ზმითვე: ი უ დ ა ვ! და მეფეს მათი ხუმრობა და ლაპარაკი დიდად იამებოდა"(131 v).

ანთოლოგიაში თუ სხვა ხელნაწერში წარმოდგენილი მასალით გრიგოლი წარმოგვიდგება ქართულ მწერლობაში "ერთ-ერთ დამწყებ შემკრებად" ქართული ფოლკლორული ნიმუშებისა. მის მიერ ჩაწერილ სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებებში, ზმებსა თუ სხვ. ნათლად იგრძნობა ხალხური ზეპირსიტყვიერების კეთილისმყოფელი გავლენა: ამბავთა დასაწყისი ("დღესა ერთსა"), ან თხრობის სტილი ("წავიდნენ, ირემი მოიტანეს, მეფეს მიუყვანეს და ჭაბუა ამოათრიეს წყლიდან"; "გაუფრთხა ცხენი, შენი ჭაბუა შიგ იმ მორევში ჩაგდო").

მისი ენა ხალხურ სასაუბრო ენასთანაა დაახლოებული. ამბავთა დასასრულიც — "დია მრავალი იცინეს" — ხალხური ზეპირსიტყვიერების გავლენაა.

აღნიშნული მასალა საინტერესოა იმითაც, რომ აქ იმდროინდელი სამეფო კარის წარმომადგენელთა ცხოვრებისეული მომენტები თუ თვითონ პიროვნებები ჩვენ თვალწინ ცოცხლდებიან.

ანბანთქებანი

გარდამავალი ხანის ქართულ პოეზიაში მრავლად გვხვდება ანბანთქება, "ჩვეულებაში შემოდის ისეთი თხზულებების წერა, რომელნიც წარმოადგენენ ამა თუ იმ საგნის "ქებას" ან "შესხმას". შეიძლება ეს გამომახილი იყოს ხოტბითი პოეზიის განვითარების... განსაკუთრებით გავრცელებულია ანბანთქება, ხილთა ქება, სასახლის ქება"[1].

ქართულ ლიტერატურაში ანბანთქების შემომღებად ქეთევან დედოფალი (წამებული) ითვლება. კარგადაა ცნობილი ქართულ პოეზიაში ქეთევან დედოფლის ანბანთქება. ქეთევანის საქმიანობა (ამ მიმართულებით) განაგრძო მისმა შვილმა — თეიმურაზ პირველმა. მას შემდეგ, იშვიათი პოეტი იქნებოდა, ანბანთქება არ შეეთხზა, უფრო მეტიც — "არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი პოეტი, რომ არ შეეთხზა ახალი ტიპის ანბანთქება"[2].

ანბანთქების ჟანრის წარმოშობას ხელი შეუწყო აკროსტიხული ფორმის ლექსების არსებობამ, რომელიც მდიდრადაა წარმოდგენილი ქართული ჰიმნოგრაფიის ძეგლებში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ პერიოდში აღმოსავლური პოეზიის გავლენაც შეინიშნება. ქართველი პოეტები გატაცებულნი არიან აღმოსავლური პოეზიით, სადაც, თავის მხრივ, ძალზე გავრცელებული იყო ანბანთქებები, აკროსტიხები და ამგვარი სალექსო ფორმით დაწერილი ლექსები.

ანბანთქებაში ავტორის ყურადღება ლექსის ფორმაზეა მოქცეული, შინაარსი კი შეზღუდულია, რადგან ავტორი გარკვეული ჩარჩოთია შებოჭილი, "უფლება" არა აქვს ნებისმიერი ლექსიკური მარაგი გამოიყენოს.

აღორძინების ხანაში მრავალი ტიპის ანბანთქება შემოიღეს და დაამკვიდრეს. მაგალითად, სტრიქონის დასაწყისი ასოები იძლევა მთლიან ანბანს (ეს ანბანთქება პოეზიაში არჩილმა დაამკვიდრა. ან-

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 318.

[2] გ. მიქაძე, ნარკვევები ქართულ პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ.90.

ბანთქების ეს ფორმა გამოყენებული აქვს ვახტანგ იოსელიანს, ბესიკს, იოსებ გაბაშვილს, დავით რექტორს და სხვ.); ტაეპის პირველი ორი სიტყვა ალაგებს ანბანს რიგის მიხედვით ისე, რომ პირველი ტაეპის ორი სიტყვა ა-ნით იწყება, მეორის — ბ-ანით, მესამის — გ-ანით და ა. შ. ჵ-მდე (ასეთი სახის ანბანთქება ონანა მდივანს შემოულია); ტაეპის პირველი სიტყვა — ა-ნით იწყება, მეორე — ბ-ანით, მესამე — გ-ანით და ა. შ. ბოლომდე (ეს ფორმა პირველად სულხან-საბა ორბელიანს უხმარია). ამ სახის ანბანთქებას განსაკუთრებულ მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან ანბანის რიგის დამახსოვრება გაცილებით ადვილი იყო. ცნობილია აგრეთვე თეიმურაზ პირველის, ვახტანგ მეექვსის, დავით გურამიშვილის, დიმიტრი ორბელიანისა და სხვათა მიერ შემოღებული ანბანთქებანი.

გრიგოლ ბაგრატიონს თავის ლექსებში გამოუყენებია სამი ტიპის ანბანთქება:

1. ერთ სტროფში მთელი ანბანია მოთავსებული. სტროფის პირველი სიტყვა იწყება ა-ნით, მეორე ბ-ანით, მესამე — გ-ანით და ა. შ. ჵ-მდე.

გრიგოლ ბაგრატიონი ლექსის სათაურშივე განგვიმარტავს, რომ მთელი ანბანი ოთხ ტაეპშია მოთავსებული. "თქმული მეფის ძის [ძის] გრიგოლისაგან ოთხი ხანა ანბანთქება ოთ/ხ/ ტაეპში გამოყვანილი მთელი ანბანი სანკტპეტერბურღსა შინა ჩახრიხაული ფისტიკაურად. პირველი ლექსი".

"ამოდ ბაგითა, გულის დაგითა, ეშხ ვინა ზმიდეთ
ჱრთ თვით ინებით.
კავ ლამაზ მანგით, ნარგიზ ორ პუნგით, ჟუჟუნ რწყვის
ტროფობა უხვად ფინებით,
ქნარ ღუღუნობით, ყელ-შუბლ ჩინობით, ცა ძრწოდა წვითა
ჭირის ხდინებით,
ჴელის ხმარებით, ჰაშა ჯაჭვებით, ჰი არ მიკითხე, ჵი ვანებით"
(H №2130, 53V).

ასეთივე ტიპისაა ანბანთქება "იგივე ფისტიკაური მისგანვე".

“ამას ბრძანებ გუნდ დაწყობად, ესე ვითა ზომით ჱრთა,
თიფ იმ კრებით, ლომად მწყობრნი, ნავარდ ონართ პობით ჟღერთა,
რაზმ სტრფო ტურფათ, უცხოდ, ფაქიზ, ქება ღირს ჰყოფს
შვებად ჩემთა,
ცნობ ძალ-წევად, ჭაბუკთ ხდომად, ჴელთა ჯაჭვ ჰე შებითა”
(H №2130, 54 v -55 r).

ამ პრინციპზეა აგებული რამდენიმე სხვა ანბანთქებაც: “ამად ბულბულს გულსა დაღად ერჩდი ვარდსა ზეზე ჱბით” (54 R) და “ალვა ბუტკი გულსა დაღად ერხევ ვარდად ზრო ჱლვობით”[1].

2. პირველი ტაეპის ყველა სიტყვა იწყება ა-ნით, მეორისა — ბ-ანით, მესამის — გ-ანით და ა. შ. ანბანის ბოლომდე. ასეთი სახისაა გრიგოლ ბაგრატიონის თქმული “უცხო ერთს ლამაზ ქალზე”:

“ალკმული ალვა ალბუტკებით ამოდ აშვენს აერს ამით,
ბროლ ბალახში ბაბილურად ბესთამოს ბაგავის ბაგით,
გიშრად გუგა გარდაცმული, გულს განგმირავს გრიგლის გებით,
და დისკოდ დალად დათხზულ დასად დამაწყლულად
დამწუა დალით.
ესურვების, ესარების ედემს ელვად ეკრტებოდეს,
ვაშად ვნახე ვარჯნი ვაზად ვისით ვინმე ვაებობდეს,
ზარფი ზილფი ზე ზოსტევებ, ზაპები ზედ ზუმირობდეს,
და ჱსრეთ ვჰსჭკნები, აჰა, მისით, ჱრთა ჱრთგზის ჱსობოდეს”
(H №2130, 54 r).

---

[1] ეს ანბანთქება S №3686 ხელნაწერში მიკუთვნებული აქვს პ. ლარაძეს. კრებული გვიანდელია: “წარსულს კვირაში რომ ვახლდი თქვენს უგანათლებულესობას, ქაღალდები კი ველარ მოვიგონე თან წამომეღო და ზეპირ რაც მომაგონდა, ეს თქვენ მიერ გარდამოღებული და გალექსული თქვენი ბიძა მეფის ძე თეიმურაზ, 1837, დავსწერე და მოგართვი”. ე. ი. კრებული გვიანდელია. ეს სტროფი რომ ნამდვილად გრიგოლისაა, ჩანს იქიდანაც, რომ გრიგოლი გვეუბნება: “ოთხი ხანა (ე. ი. სტროფი — ნ. ბ.) ანბანთქება ოთხ ტაეპში გამოყუანილიაო”, ესაა გრიგოლის მეოთხე სტროფი ამ სახის (ოთხ ტაეპში მთელი ანბანი რომ იყოს მოთავსებული) ანბანთქებისა. ეს “ოთხი ხანა” ანბანთქება მცირე ანთოლოგიაშიც გრიგოლს მიეკუთვნება.

ასეთივე ტიპისაა მისი ანბანთქება, რომელიც ვარვარასათვის (მეუღლისათვის) მიუძღვნია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს ორი ანბანთქება, გარეგნულად ერთმანეთის მსგავსი (ორივე ერთი და იმავე ტიპის ანბანთქების ფორმითაა შეთხზული), თითქმის ერთსა და იმავე ეპითეტებზეა აგებული. მოგვაქვს ამ ორი ლექსიდან ახლოდ საგულებელი ადგილები:

"ალკმულს ალვა ალბუტკებით"...	"ალმკულს ალვასა აელუწბულსა"...
"ბროლ ბალახში ბაბილურად"	"ბალახშ ბაიას ბაბილებულსა"...
"გუგის გიშრითა გაელვებულსა"...	"გიშრად გუგა გარდაცმული"...
"დისკოდ დათხზულსა დალალებულსა"...	"დისკოდ დალად დათხზულ"...
"ზილფსა ზარიფად ზანანებულსა"...	"ზარფი ზილფი ზე ზოსტევებ"...
(H №2130, 64 r -55v).	(H №2130, 94 r -94 v).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი ანბანთქება ერთმანეთისაგან განსხვავდება სალექსო საზომით (ერთი თექვსმეტმარცვლიანი შაირითაა დაწერილი, მეორე — თერთმეტმარცვლიანი მუხამბაზური ლექსია), ადრესატით (ერთი დაწერილია "უცხო ერთ ლამაზ ქალზე", მეორე კი მეუღლისთვის მიუძღვნია").

3. პირველი სტროფის ყველა ტაეპი იწყება ა-ნით, მეორისა — ბ-ანით, მესამისა — გ-ანით და ა. შ. ანბანის ბოლომდე. ამასთანავე, ყველა სტროფს ერთი გარკვეული გეგმა აქვს, ყველა ემსახურება ერთ გარკვეულ მიზანს. ესაა ორიგინალური ანბანთქება, რომელსაც ეწოდება "ანზე სით მიხვალ?" ასეთი სახის ანბანთქება პირველად დიმიტრი ორბელიანს შეუქმნია[1]. თავად დიმიტრი გადმოგვცემს: "პირველი სიყრმის ნამუშაკები არის და არცა ვის ეთქუა" (H №1103, 1v-4 r). დიმიტრი ორბელიანის გადმოცემით, მესხებს ასეთი ანბანთქება ჰქონიათ, მხოლოდ პროზად: "ეს ანბანი სიტყუამარ-

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 677.

ჯუფობა მესხთა მუწლთაგანვე ამბვად ნათქუამი იყო ერთიმეორის შესაქცევად, აწ მე ლექსად შევაწყევ ანბანთქებადვე" (H №1103, 1 r--4 r). შემდეგ გვაცნობს იგი ამ ანბანთქების აგებულებას.

ასეთივე ანბანთქება დაუწერია მაია გაბაშვილს, რომელიც ამ ანბანთქების გეგმას ასე აყალიბებს:

"აწ ესე მინდა ანბანის გამოცანა ვთქვა ენითა,
ვის ვმონებ, ანუ რით წავალ, სახელად რა გვიხმენითა, —
მშვილდი რისა გვაქვს, ისარი ან რისა იხმარებითა,
ნადირს რას მოჰკლავთ, რაში ჰკრავთ, ქვეითად სდევთ
თუ ცხენითა".

იოანე ბატონიშვილი ამ სახის ანბანთქებაზე "კალმასობაში" გადმოგვცემს: "ანბანთქება მრავალგვარად არის... ერთგვარადცა არს ანბანთქება ქმნილი, ვითარცა ჰკითხავენ ერთიმეორეს "ანზედ ვისი ყმა ხარ, ან რა გქვიან, ან საიდან მოხვალ, ან სად მიხვალ, ან შვილდი რისა გაქვს, ან ისარი, ან რასა მოჰკლავ, ან რაში მოარტყამ ისარს, ვითარცა აქა ჩანს". და მოაქვს მაგალითი თავისი ვაჟის, გრიგოლის ანბანთქებიდან:

"ათინას ბრძნულად გაზრდილი ანგლიად ვლიდი არესა,
ადამ ვიახელ აბრაამს ამოდ და ლმობიარესა,
არყისა მშვილდი ხელთა მაქვს, აკაკის ისრით დარესა,
და ასკატსა აფსკას დავასვი მომვრინავს მყისად ჰაერსა.
ბაბილოვნით მოარულმან ბერლინს განვვლე გზასა ველად,
ბაგრატ ვიყმე ბარამ ლომსა მას ჭაბუკსა ქებულს ძველად,
ბორბნის მშვილდი ბრწამლის ისრით მოვიმარჯვე მსწრაფლად,
ხელად,
და ბაბრსა ბაყვი დავალეწე, სიკვდილს მივეც განწოლველად.

და ესრეთ სხვანი სრულიად ასე უნდა დასწეროს მნებებელმან ლექსით ამ გვარად ა-ნიდამ ჩ-ემდის"[1].

---

[1] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, I, გვ. 293.

ამ სახის ანბანთქებანი ყოფილა შემოღებული ლხინში ზმა-შაირობის დროს პასუხის მისაცემად.

ამგვარი ანბანთქების მიზანი მარტო ასოების რიგზე განლაგება არ ყოფილა. ის, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეული გეგმით იყო შედგენილი და ამდენად, ავტორისაგან პოეტურ დახელოვნებასთან ერთად, მოითხოვდა გარკვეული დარგის ცოდნას, სპეციალურ წვრთნა-განსწავლას.

"ასეთი ანბანთქებანი უმთავრესად იმ მხრივ წარმოადგენდნენ ინტერესის საგანს, რომ გვიჩვენებდნენ რამდენად შესწევდათ მათ ავტორებს გეოგრაფიის, ისტორიის, მითოლოგიის, ბიოლოგიისა და ბოტანიკის ცოდნა", — აღნიშნავს აკად. კ. კეკელიძე[1].

ანბანთქებების მრავალმხრივ მნიშვნელობებზე ამახვილებენ ყურადღებას სხვებიც: "საგულისხმოა საერთოდ ყველა ამ ტიპის ანბანთქება იმ მხრივ, რომ იგი გვიჩვენებს ავტორის გონებამახვილობას, მხატვრულ გემოვნებას, ლექსიკურ კულტურასა და, ამავე დროს, ერუდიციას, მითოლოგიის, გეოგრაფიის, ისტორიის და ბუნებისმეტყველების სფეროში. ამდენადვე იგი მაჩვენებელია თანადროული საზოგადოების კულტურული დონისა"[2].

ამ ტიპის ანბანთქებები დაგვიტოვეს ონანა მდივანმა, ბესიკმა, პეტრე ლარაძემ, გრიგოლ ბაგრატიონმა, ა. ჭავჭავაძემ და სხვ.

გრიგოლის ანბანთქება მოთავსებული იყო ხუთ ხელნაწერში (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H №2130, S №3686, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილება, M №5, E №131 და მცირე ანთოლოგია.

გრიგოლის დასახელებული ანბანთქება ბესიკის მსგავსი ტიპის ანბანთქების ("ანზე სით მიხვალ") წაბაძვაა. ბესიკისათვის "მიუბაძნია იოანე ბატონიშვილის ძეს გრიგოლს", აღნიშნავს აკად. კ. კეკელიძე[3].

მსგავსება აშკარაა:

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 676.
[2] ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გამოკვლევა და ტექსტები, თბ., 1936, გვ. 180-181.
[3] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 677.

ბესიკი	გრიგოლ ბაგრატიონი
"ათინად ბრძენთა გაზრდილი"...	"ათინად ბრძნულად გაზრდილი"...
"ბაბილონით მრებელმან"...	"ბაბილოვნით მოარულმან"...
"ზირაქს ზურგსა ზედან"...	"ზირაქა ზურგსა დავჯერ"...
"ჭანდრის მშვილდი"...	"ჭანდრის მშვილდი"...
"ცაცხვი მშვილდათ"[1]...	"ცაცხვი მშვილდათ"...

(H №2130, 115 r).

მიუხედავად ბესიკის გავლენისა, გრიგოლი ბრმა ეპიგონი როდია, მის ანბანთქებაში გვაქვს დამოუკიდებელი სახეები, გეოგრაფიული, ისტორიული თუ სხვა საგანთა სახელები აქ გრიგოლისეულია (და არა ბესიკისეული), მაგალითების მოხმობა მრავლად შეიძლება, რაც ავტორის განსწავლულობა-დახელოვნებაზე მიგვანიშნებს.

გრიგოლის ანბანთქებაში 37 სტროფია და ყველა ასოს მოიცავს, ბესიკისაში — 35 სტროფი. ბესიკთან არაა ჲ და ჵ ასოებზე შედგენილი სტროფები, გრიგოლთან ასეთი გვაქვს:

"ჲსპაანით ჲერიქოდ მივდიოდი მყისად გზასა,
ჲსარვოი ჲროდიონს ვმსახურებდი ვიყავ გზასა" და ა. შ.

ან:

"ჵრევნით მოვვლე ჵრათი, ვიარე ცოტა გვიანად,
ჵროდიმ მნახა შემიტკბო, ჵვსევიმ ვმონე ჭკვიანად" და ა. შ.

(H №2130, 116 r).

როგორც ჩანს, ანბანის ამ ასოებზე სტროფების შეთხზვა ძნელი ყოფილა და ამიტომაც ხშირ შემთხვევაში ერიდებოდნენ. "ვინაიდან ქართული ანბანის ზოგიერთ ასოზე სიტყვების მოძებნა მეტად ძნელი და შეუძლებელი იყო, ანბანთქების შემთხზველნი ყოველთვის როდი ახერხებდნენ მთელი ანბანის გალექსვას. მაგალითად, თავის ახალშემოღებულ ანბანთქებაში არჩილს ვერ გაულექსავს ჵ, ჳ და ჶ ასოები, რადგან პოეტ მეფეს ვერ მოუნახავს

[1] ბესიკი, თხზულებანი, გვ. 115-121.

სიტყვები დასახელებულ ასოებზე სტრიქონების გასაწყობად... ჱ ასოზე ანბანთქების გალექსვა გასჭირვებია ვახტანგ მეექვსესაც. ჲ ასოზე ხომ არცერთი ანბანთქება არ გვხვდება პაატა ბატონიშვილამდე. პაატა თვითონ აღნიშნავდა: "ამ მეფედ ანბანთქებაში ჲე არსად არს ლექსითა" ბესიკის ანბანთქებას "ანზე სით მიხვალ" ჰკლებია ჱ და ჵ ასოებზე სტროფები, რაც მერე დავით რექტორს შეუვსია".

გრიგოლის ანბანთქება ბესიკის ანბანთქებისაგან პოეტური საზომითაც განსხვავდება. გრიგოლს გამოყენებული აქვს შაირი და ჩახრუხაული საზომი და ბოლოს კიდევ ერთი მსგავსება – გრიგოლის ანბანთქებაც, ისევე როგორც ბესიკისა, ცრუ და გაუტანელი სოფლის გმობით მთავრდება:

"ჵი, რა ძნელ ხარ, სოფელო, აყოლა შენი ძნელია,
ჵი, მაბერე უკამოდ და ღონე გამომელია,
ჵი, დავკარგენ მშვილდი და ისარნი ბევრნი ძველია,
ჵი, მაშორე ჩემს თემსა, აღარ ვარ ქართლში ქველია"
(H №2130, 115 r).

მიუხედავად ბესიკის პოეტური ავტორიტეტისა, თავის მხრივ, გროგოლის ანბანთქებაც საკმაოდ გახმაურებულია. გრიგოლის ანბანთქებითაა დავალებული ა. ჭავჭავაძე:

გრიგოლ ბაგრატიონი	ა. ჭავჭავაძე
"კაკაბსა ვექმენ კუჭ-განპობელად"...	"კაკაბს კუჭი განუგმირე"...
"ტრედსა ვსტყორცნე, ტვინსა ეცა"...	"ტრედსა მოჰკლავ, ტვინს გაუგლი"...
"ციყვსა ცხვირსა ეცა მარჯვედ"...	"ციყვსა, ცხვირსა ეცემოდის..."
"ჴოჴობს ჴახას ვასობდი"... და ა. შ.	"ჴოხობს ხახას ვკარ"... და ა. შ.[1]

[1] ა. ჭავჭავაძე, თხზულებანი, გვ. 51-55.

მაგალითების მოხმობა კიდევ მრავლად შეიძლებოდა. ჩანს, ა. ჭავჭავაძე იცნობდა გრიგოლის ამ ანბანთქებას.

გრიგოლ ბაგრატიონის მცირე ანთოლოგიაში მოთავსებულია გრიგოლის ასეთივე ტიპის ანბანთქება ("ასურეთით ამერიკას მოვინებე მიმოსვლანი"). ეს ანბანთქება 31 სტროფისაგან შედგება. აკლია სტროფები შემდეგ ასოებზე: ღ, შ, ჴ, ჯ, ჳ, ჵ.

მართალია, გრიგოლი ცდილობს ეს ორი ანბანთქება ერთმანეთისაგან ცოტად თუ ბევრად განსხვავდებოდეს, მაგრამ მსგავსება საგრძნობლად დიდია, იმდენად, რომ ერთგანაც და მეორეგანაც გეოგრაფიული და სხვა სახელები ზოგჯერ ერთი და იგივეა. მოვიყვანთ რამდენიმე მეგალითს:

მცირე ანბანთქება:

"გრაკლისა მშვილდი გუნდისა ისრითა მოიწეოდეს,
გუგულსა გული გაუპე, ხშირ-ხშირად ველარ წიოდეს".

დიდი ანბანთქება:

"გრაკლისა მშვილდი მოვხარე, გუნდ ისრად ვაგე ფთიანად,
გუგულს გაფრენილს შევსტყორცნე, გულს ეცა, ექმნა ზიანად".

მცირე ანბანთქება:

"დაფნის მშვილდი გზაზედ ვსთალე დიდგულისა ისრით მდგარად,
დათვსა ვსტყორცნე — დაყვსა ეცა, სიკვდილი ხვდა განამწარად".

დიდი ანბანთქება:

"დიდგულისა მშვილდი ვსთალე, ისრად დაფნი ვაგე ხმელად,
დათვსა ვსტყორცნე, დაყვსა ეცა, მას დღე ექმნა წამსვე ბნელად".

ასეთი ზუსტი დამთხვევები არც ისე ბევრია, მსგავსება კი ამ ორ ანბანთქებას შორის აშკარაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ წყობის ანბანთქებები ტრაფარეტულ კითხვებზე იყო აგებული და ამიტომაც იყო, რომ სრულიად სხვადასხვა პოეტების ანბანთქებები ზოგჯერ მსგავს მასალას მოიცავდა.

მცირე ანბანთქება: "ასურეთით ამერიკას მოვინებე მიმოსვლანი", ჩანს, გრიგოლს ადრე დაუწერია, რადგან ეს ანბანთქება ნაკლულია, 31 სტროფია, შეიცავს რუსიციზმებს (ტიგრი, ოტკა), დიდი ანბანთქება კი: "ათინად ბრძნულად გაზრდილი ანგლიად ვლიდი არესა", სრულია, ოცდაჩვიდმეტივე ასოზე მოიცავს სტროფს, აქ არ გვხვდება რუსიციზმები.

გრიგოლ ბაგრატიონი ანბანთქებებს სხვადასხვა საზომით წერდა (ჩანრუხაულით, შაირით, ფისტიკაურით და ა. შ.). "ამორჩევა რომელიმე ფორმის არ არის სავალდებულო და არც საქებურია, ვინაიდან ამით მოლექსე ამტკიცებს, რომ მას აკლია ზინათი თავის სალაროში და სილალე თავის სარბიელზედ", — წერდა ი. გრიშაშვილი[1].

ანბანთქებანი იწერებოდა სასულიერო და საერო მოტივებზე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გრიგოლ ბაგრატიონის ყველა ანბანთქება სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათისაა (გარდა "ანზე სით მოხვალ"...) და ანბანის ქებასთან ერთად მიჯნურის ქებას შეიცავს (გვხვდება სოფლის სამდურავის შემცველი სტროფიც).

გრიგოლ ბაგრატიონის ანბანთქებები სრულყოფილი პოეტური ქმნილებებია, რომლებიც საინტერესოა ამ ჟანრით დაინტერესებულ პირთათვის.

---

[1] ი. გრიშაშვილი, თხზულებანი, III, თბ., 1972, გვ. 99.

აკროსტიხები

ქართულ სასულიერო პოეზიაში უძველესი პერიოდიდან მრავლად გვხვდება ურითმო (შიგადაშიგ — რითმიანი) ლექსი — იამბიკო. იამბიკოში რითმის ჩანასახს ვხვდებით ჯერ კიდევ X საუკუნეში (მიქაელ მოდრეკილი, სტეფანე სანანოისძე და სხვ.).

აკროსტიხული იამბიკო მიუძღვნა გრიგოლმა მამას[1]. ეს არის ალაგ რითმიანი, ალაგ ურითმო იამბიკო. სულ თვრამეტი სტროფია[2]. კიდურწერილობა აღნიშნავს: "უგანათლებულესს მეფის ძეს იოანეს გიძღვნი მეფის ძის ძე გრიგოლ ნაშრომსა თქვენსა, ძე თქვენი".

ეს აკროსტიხი ერთვის გაიოზ რექტორის მიერ რუსეთში ნათარგმნ ამბროსი მედიოლანელის თხზულებას, რომელიც გრიგოლს გადაუწერია.

გრიგოლი დღეგრძელობას უძღვნის მამას, ქება-დიდებით მოსავს მას. ამასთანავე უხსნის იმ გაჭირვებას, რომელშიც თვითონ იმყოფება:

"მე თქვენი ასტრახანს მოარული,
იკითხე მცირის, აპელატ ძველყოფილი,
ოდესცა ნახო შარფითა დაგლეჯილი,
ანუ კუტასით, ეგრეთვე დაძაფული"[3].

გალატაკებული და მეტისმეტად შეჭირვებული პოეტი მამას პირდაპირ უცხადებს:

---

[1] ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, გვ. 513-515.
[2] ამ იამბიკოს პირველი 16 სტრიქონი (კიდურწერილობა "უგანათლებულესს" მეორდება პეტრე ლარაძის მიერ თეიმურაზისადმი მიძღვნილ ლექსში (H №2130, 16 r). შესაძლოა, გრიგოლმა თავისი სტრიქონები პეტრე ლარაძის ლექსს (კიდურწერილობის გასაზრდელად) თვითონ მიუმატა, ანდა თავისაში ჩართო პეტრე ლარაძის სტრიქონები, მაგრამ გრიგოლის მიერ გადაწერილი თხზულება, სადაც ეს სტრიქონებია, უადრესია, ამიტომ, საფიქრებელია, გრიგოლს ეკუთვნის ეს სტრიქონები.
[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, გვ. 515.

"...თეთრი არა მაქუს ჰელად,
ეგრეთვე ჯიბეს არა რაჲ მეს მწელად".

გრიგოლს, რომელსაც გაიოზ რექტორის ხელნაწერი გადაუწერია, კარგად ჰქონია შეგნებული თარგმნის უდიდესი მნიშვნელობა. იგი ლოცავს გაიოზს, რუსული ენიდან წიგნების თარგმნისათვის:

"რუსთ ენისაგამ ქართულად მოუღიეს,
ოდესცა ნახო მისგანვე ნაწერი,
მარად ჯაფითა არის გარდმოღებული"[1].

გრიგოლი აქვე აღნიშნავს, რომ გაიოზის ხსენებული შრომა საკმაოდ დიდ ენერგიას მოითხოვდა გადამწერისაგან.

"არსცა წერითა წამკითხავთათვის ძნელი,
ჩემებრ ვინც ჰსწეროს ბაგრატიონთ გვარმა,
ერთგზის ქება ვარქუა, აროდეს დაუწუნო".

და მაინც, ამ ლექსის მიზანია მამას წარუდგინოს თავისი შრომა, ლოცვა-კურთხევა უძღვნას მას, თავისი გაჭირვებული ყოფა აუწყოს და დახმარება შესთხოვოს.

გრიგოლის ეს განზრახვა კარგად ჩანს მის მეორე ლექსში, რომელიც ამავე წიგნს ერთვის. ეს ლექსიც მამას ეძღვნება და აქაც მისი უნუგეშო ყოფის სურათებია მოცემული.

ლექსი თექვსმეტმარცვლიანი რუსთველური შაირითაა გაწყობილი. მოიცავს 17 სტროფს. ანდერძში ვკითხულობთ: "სრულვყავ წიგნი ესე ამბროსისა გადაწერითა, მე ცოდვილმა მეფის ძის ძემ გრიგოლ. ფურცელი წიგნისა ამის არის 132". ეს წიგნი გრიგოლს გადაუწერია 1821 წელს. ეს ლექსებიც ამავე წლით უნდა დავათარიღოთ.

პირველივე სტროფში აშკარაა რუსთველის გავლენა.

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, გვ. 514.

“დიდება შენდა სამ-მზეო, ღმერთო, სამებით ცნობილო,
მომეც ძალი და შეწევნა ღვთაებით განდიდებულო,
მიეც მეფის ძეს ივანეს წელთ სიგრძე, აღდგინებული,
მეცა მომხედე მწუხარეს, წყალობად მოსწრაფებული”.

შემდეგ პოეტი წიგნის გადაწერის ისტორიას გვაცნობს. თერთმეტ ივნისს დაუწყია გადაწერა, მაგრამ ორი თვე ვერაფერი დაუწერია, რადგან ციებამ “მისცა სიცხეს ცხელსა”. შრომა “ენკენისთვეს სრულყო”, თუმცა ამდენმა ჯაფამ “ამსგავსა ლულსა”.

გრიგოლი დასწრებია გაიოზის გარდაცვალებას. სიცოცხლის ბოლო წუთებში გაიოზს მისთვის დაუბარებია: ვიცი, მამაშენი მკრებელობს (წიგნებს), ჩემი თხოვნაა, “ჩემნი წიგნნი”, რომლებიც ფურცელ-ფურცელაა დაშლილი, “ბერთ მისცეს გადმოსაწერად”. გრიგოლი აღნიშნავს, რომ დიდი შრომაა საჭირო ამ “ერთმანეთში რეული” წიგნების დასალაგებლად. მთელი ნაწერი ფურცლები ერთ ზანდუკშია მოთავსებული და, ამდენად, ძნელი დასაწყობიც. მე თვითონ ხუთ თვეს მოვუნდი ერთი წიგნის აწყობას, — გადმოგვცემს გრიგოლი.

გურგენ ნაცვლიშვილს, გაიოზის დისშვილს, არ დაუჯერებია გრიგოლისათვის, რომ გაიოზმა ანდერძით მას ჩააბარა თავისი ნაწერები თუ წიგნები და გრიგოლს მოცილედ გამოსჩენია ამ მემკვიდრეობაში. გრიგოლი მამას სთხოვს უშველოს მას, — მისწეროს გურგენს, არ ახლოს ხელი წიგნებს. თვითონ ყველა ძალა უხმარია გურგენის საწინააღმდეგოდ: არ დავანებე, “არ მივეც, ვიხმარე ძალა ყოველი”, — აცხადებს გრიგოლი.

აქვე გადადის გრიგოლი მტკივნეულ საკითხზე, თუ რაზეა მამისი, იოანე ბატონიშვილი შემომწყრალი. ისევ და ისევ თავის გაჭირვებულ მდგომარეობას ახსენებს და დახმარებას შესთხოვს მას.

როგორც ჩანს, მის მიერ გადაწერილი წიგნი ლექსებითურთ გაუგზავნია გრიგლოს მამისათვის. არ ვიცით, იოანე დაეხმარა თუ არა შვილს მატერიალურად, ის კი ცნობილია, რომ გურგენ ნაცვლიშვილმა გაიოზის მთელი მემკვიდრეობა (მათ შორის წიგნები და ხელნაწერები), მიისაკუთრა. შემდეგ კი, ეს ხელნაწერები მან ასტრახანის ბიბლიოთეკას გადასცა.

H №2226 ხელნაწერში (143 r) მოთავსებულია უსათაურო რითმიანი იამბიკო, რომელიც "მეფის ძის ძე გრიგორს" ეკუთვნის და, როგორც მინაწერიდან ირკვევა, დაუწერია 1821 წლის 24 მაისს. ადრესატი უცნობია. მიძღვნილია სასულიერო პირისადმი, რომელსაც სთხოვს ლოცვის დროს მოხსენიებას:

"როს იკითხვიდე, მომიკითხვიდე,
ვინცა შეგივრდეს, მოიკითხვიდე,
ოლარი ყელსა ჩამოიკიდე,
კელიით განვედ, ჟამნი ხელთ იდე,
მუხლის მოდრეკით, პარაკლის მხდელად
ღვთისმშობლის წინა, ცრემლითა მღურელად.
როცა რომ ჰსწირო დაუზარელად,
მაშინ გთხოვ მექმნე მომხსენებელად". და ა. შ. (143 r).

გრიგოლის ეს იამბიკო სასულიერო პოეზიის ნიმუშია, რაც იმის ერთ-ერთი დასტურია, რომ ჰიმნოგრაფიული პოეზია ძველი ქართული ლიტერატურის დასასრულამდე გრძელდებოდა.

გამოცანები

გრიგოლ ბაგრატიონს, ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების დამფასებელსა და მოამაგეს, ეკუთვნის რამდენიმე გამოცანა. საზოგადოდ ცნობილია, რომ გამოცანები ლიტერატურაში ძირითადად ხალხურიდანაა შემოსული. ამდენად, თვით ეს ფაქტიც, რომ გრიგოლი წერს გამოცანებს, უთუოდ მისი შემოქმედების ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან სიახლოვეზე მეტყველებს.

გრიგოლს ეკუთვნის სულ სამი გამოცანა[1], რომელიც თითო სტროფიანი ლექსით შეუდგენია.

"სიბრძნე კმა არს, ვინც გამოსცნობს, ნივთსა ამას სახელდებით,
უვისოდცა ყოველნი არსნი წუხან დრტვინვით, უდებებით,
ვის გამოსვლას, სასძლოთ გამო, მოელიან მიგებებით,
ვინცა გვითხრას, რა არს ესე, ალვამაღლო იგი ქებით"
(S №3686, 127 r).

"კვლავ ამის კვალსა შემდგომი, ბრწყინავს პირბადე ბურვილი,
სიხარულს მოჰფენს, ვის სევდა გულზედა ჰქონდეს ხურვილი,
მისის მშვენებით დასტკბების მუშა, ოფლმონაწურვილი,
ამის სახელი ვინცა ჰსთქუას, მას აღუსრულდეს სურვილი"
(S №3686, 128 r).

"მათ შვილად აღსარებულთა, მრავალთა, დაუთვალავთა,
მათებრ უცხოთა შვენებით, გამოსვლით დაულალავთა,
ყოვლის კაცისა ნუგეშით, მწუხარებისა მლალავთა,
ნაძლევი მოგვეც, ვინც ჰპოვებთ მათ ქვეყნად დაუმალავთა"
(S №3686, 128 r).

---

[1] გრიგოლ ბაგრატიონის გამოცანები მოთავსებულია შემდეგ ხელნაწერებში: აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S №3686 (127r-128r); აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილება, M №5 (110r). ამ გამოცანებში გამოყენებულია რუსთველური მაღალი და დაბალი შაირი.

გამოცანების ახსნა გრიგოლს თავადვე მოუცია: "ახსნა: 1. მზე, 2. მთოვარე, 3. ვარსკვლავნი".

გრიგოლ ბატონიშვილს ისე დაულაგებია გამოცანები, რომ მზე და მთვარე მშობლებადაა გამოყვანილი და აზრობრივად მინიშნებულია, რომ ვარსკვლავები მათი შვილები არიან. აქ უნებურად გვახსენდება ხალხური ლექსი: "მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი, წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი".

საერთოდ, ზეპირსიტყვიერებაში თითქმის ყველა თემაზე შექმნილ გამოცანას თავისი ვარიანტები მოეპოვება. არსებობს მზისა და მთვარის თემატიკაზე შექმნილი ხალხური გამოცანების ვარიანტები. ზოგგან მზე და მთვარე ძმები არიან, ერთი ყმაა, მეორე — სიბერეს მიახლოებული:

"ერთ ქვეყანას ორთა ძმათა ორთავ ერთი ტახტი აქვთო.
ერთი მუდამ სიყრმეზე დგას, ერთს კი მარტო ტახტი აქვსო"[1].

ზოგიერთ ლექსში მზისა და მთვარის ძმებადაა აღიარებული ცა და ვარსკვლავები: "ერთს სოფელში ოთხთა ძმათა ერთმანეთის ფერი აქვსო"[2].

უფრო ხშირად კი, მზე და მთვარე მშობლები არიან, "წვრილ-წვრილი ვარსკვლავები" — შვილები.

ხალხური წყაროდანაა ნასაზრდოები გრიგოლის გამოცანები, რომლებიც საკმაო ოსტატობითაა შედგენილი. საერთოდ, გამოცანის შედგენა ერთგვარ სირთულესთანაა დაკავშირებული, რამდენადაც ავტორი ცდილობს გამოსაცნობის დამახასიათებელი ნიშანთვისებანი დამახასიათებელიც იყოს და ძნელად მისაკვლევიც, რადგან გამოცნობა სიბრძნის გამოსამჟღავნებელ საშუალებასაც წარმოადგენდა. ამიტომაა, რომ გამოცანაში ხშირად გვხვდება გამოთქმები: "გამოცანას მოგახსენებ, გამოიცან — სიბრძნე გაქვსო", ან, — "ერთისა ახსნას გიამბობ, გამოიცან — სიბრძნე გაქვსო"[3] და სხვა.

---

[1] მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1952, გვ. 336.
[2] იქვე, გვ. 338.
[3] იქვე, გვ. 339.

ხალხურთან ანალოგიით, გრიგოლსაც გამოცანაში ასეთი მიმართვა აქვს:

"სიბრძნე კმა არს, ვინც გამოსცნობს ნივთსა ამას"...

ამ გამოცანებიდან ჩანს, რომ გრიგოლი კარგად იცნობდა გამოცანის შედგენის ტექნიკას.

რუკა

გრიგოლ ბაგრატიონს, რომლის შემოქმედებიდან ნათლად ჩანს მისი ღრმად განსწავლულობა საქართველოს ისტორიაში, გეოგრაფიის სფეროშიც შეუტანია თავისი წვლილი. რუსეთის მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილებაში დაცულია "ქარტა საქართუწლოისა და მისთანა შერთულთა მჴარეთასა, თარგმნილი რუსულით ქართულად თ. მ. ძ. ი. ძ. გრიგოლის მიერ, წელსა ჩყკვ"[1] (P 15), (G 2), (C/bis); (P13, ხ).

ავტორ-შემდგენელი რუკისა არაა ცნობილი, ტექსტი ქართულად უთარგმნია გრიგოლს. "გარდმოხაზული იქმნა ქვასა ზედა პეტრე კალმაკოვის მიერ".

ესაა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნისა და, ნაწილობრივ, ირან-თურქეთის ჰიდროგრაფიული რუკა. "მასშტაბი ანუ ზომა ანგლიურის დიუმით არს აქა სამოცი ვერსი".

რუკის ზომაა 36X36. მხატვრობა აკვარელის საღებავებითაა შესრულებული.

აქ მოტანილი ნიშნები მრავალგვარია და მათი განმარტებაც საინტერესოა:

" ⬡ — ქალაქები ციხითურთ

Ō — ყასაბა

O — სოფელი

≈ — დიდი გზა ფოჩტისა

—..—..—.. — სამზღვარი სახელმწიფოისა

↑··· — სამზღვარი სათავადოთა, საერისთავოთა და სახანოთა. კამპასი (ყიბლა) ასე უჩვენებს ზღვაში მოგზაურთა და [რო] მელსედაცა მჴარეთა და კერძო იგი ყიბლისა, რომელიც მარადის ქცეულებს ჩრდილოეთად.

◎ — ქალაქი უციხოდ

---

[1] Р. Орбели, Грузинские рукописи Института Востоковедения АНСССР, 1, М-Л,1956, გვ. 79.

Ǒ – დაბა
☐ – სტანცია, ფოჩტის ცხენების სადგური
~ – ბილიკი ქვეითისა ანუ ერთ ცხენოსნისა."

როგორც ჩანს, ამ რუკას პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონია.

დასკვნა

გარდამავალი ხანის მწერლობა განუყოფელი ნაწილია ქართული ლიტერატურისა, იმ დიდი ეროვნული კულტურისა, რომელსაც ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში ქმნიდა.

გარდამავალი ხანის ლიტერატურული ცხოვრების მაჯისცემა აშკარად შეიგრძნობა გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედებაში.

1. გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედება პატრიოტული თემატიკითაა ნასაზრდოები.

2. გრიგოლის შემოქმედებაში აშკარაა რომანტიზმის საწყისები. მისი ლექსები სავსეა რომანტიკული განწყობილებებით.

3. შეინიშნება სინამდვილის რეალისტური ასახვის ცდა. რეალიზმი ჩანს როგორც არსებული მდგომარეობის შეფასებისას, ასევე ისტორიული წარსულის გახსენების დროსაც.

გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედებაში ძირითადად გამოხატულია:

ა. პიროვნული უბედობა, რაც გამოწვეულია დედისგან, მეგობრებისა და, უპირველესად, მშობელი ქვეყნისაგან მოცილებით.

ბ. ეროვნულ-პატრიოტული მოტივი. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს რუსეთთან შეერთებამ ქართველ მამულიშვილთა იმედგაცრუება და გულგატეხილობა გამოიწვია.

გ. ზოგადსაკაცობრიო იდეალები: წუთისოფლის ამაოება, სოფლის სამდურავი, რაც ელეგიური ტონით დაწერილ ლექსებში აქვს გადმოცემული.

დ. მის შემოქმედებაში სატრფიალო-სამიჯნურო მოტივი არსებითად წამყვანი მოტივია პატრიოტულთან ერთად. პოეტს სევდიან გულს უტკბობს და უხალისებს სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალა, სატრფოს სულიერი სიდიადე და ფიზიკური მშვენიერება, რომელსაც იგი თავის ლექსებში ხოტბას ასხამს.

გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედების პირველ პერიოდში ჭარბობს უმთავრესად პატრიოტულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებები. ამ თემაზე ქმნის იგი როგორც მოკლე ლირიკულ ლექსებს, ასევე ფართო ტილოებსაც. ამ მოტივზე შექმნილ ლექსებსა და პოემებში იგი გვევლინება სამშობლოზე, ქართველ ხალხზე, მის აწმყოსა და

მომავალზე მზრუნველ ადამიანად. ლექსების მთავარი თემაა სამშობლო, მშობელი ხალხი.

პატრიოტული ხასიათის თხზულებებში გრიგოლ ბაგრატიონი წინამორბედ კლასიკოსთა კეთილისმყოფელ გავლენას განიცდის (რუსთველი, ვახტანგ VI).

პოეტის განცდები ზოგჯერ ალეგორიული, შეფარული ტონითაა გადმოცემული — სამშობლო — სატრფოა, თვითონ კი, მასზე მომღერალი, მის ბედზე შეჭირვებული ბულბული.

სამშობლოდან მოცილებამ, უცხოობაში ყოფნამ წარმოშვა სევდიანი, პესიმისტური სტრიქონები, რაც რომანტიკული განწყობილების სათავესაც წარმოადგენს.

გრიგოლ ბატონიშვილის სატრფიალო-სამიჯნურო ლირიკა არსებითად ბესიკური პოეზიის გაგრძელებაა, მაგრამ გარკვეული ორიგინალობაც შეიმჩნევა. იგი არაა ბასიკის პოეზიის გადამმღერებელი, გრიგოლის ლექსები გამოირჩევა ორიგინალური ეპითეტებითა და მეტაფორებით. ამასთანავე, იგი სატრფოს ორმხრივად შემკულს წარმოგვიდგენს, რითაც იგი საკუთარ გზას იკაფავს ამ ხანის ლიტერატურაში, ეს გზა შემდეგ გააღრმავეს და გააფართოვეს XIX საუკუნის ქართველმა რომანტიკოსებმა.

გრიგოლ ბაგრატიონის სატირა შეეხო მათ, ვინც "ღალატით უსპობს ძმათ მშვიდობას", ვისი მრწამსიც მხოლოდ საკუთარი, პირადული ინტერესების წინ წამოწევა და დაცვაა. საზოგადო, ეროვნული საქმე კი მათთვის მეორეხარისხოვანია. გრიგოლის სატირული ლექსები ახლოს დგას მის თანამედროვე მწერალთა სატირასთან (დავით ბატონიშვილი, მარიამ ბატონიშვილი).

გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედება (ერთი მხრივ, წუთისოფლის ამაოება, სოფლის სამდურავის სევდიანი ტონალობით აღსავსე სტრიქონები, წარსულის გაიდეალებული სურათები, მარტოსულობა-ობლობის მწვავე განცდები, მეორე მხრივ — ბუნებისა და ადამიანის განწყობილებათა ჰარმონიულად წარმოჩენა და სხვა) გარკვეულ მოტივებს აწვდის შემდეგი დროის პოეტებს.

გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედებას იცნობენ ჩვენი დიდი კლასიკოსები: ილია და აკაკი.

გრიგოლ ბაგრატიონის სტრიქონები:

"ეჰა, მოძმენო, თქვენ რად ხართ ლულით,
რად არ იქნებით განღვიძებით, გონებით სრულით",

ვფიქრობთ, ახლოს დგას ილიას სიტყვებთან:

"ო, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება".

ეროვნული საკითხის მთელი სიმძიმით განცდა, მშობლიური ხალხის უკეთესი მერმისზე ზრუნვა და ფიქრი გრიგოლ ბატონიშვილის შემოქმედების მთავარი თემაა.

გრიგოლ ბატონიშვილის მიერ შედგენილი ხელნაწერი კრებულები მრავალ ძვირფას და უნიკალურ მასალას შეიცავს. ბესიკის, საიათნოვას, ა. ჭავჭავაძისა თუ სხვათა შემოქმედების მკვლევარნი გვერდს ვერ აუვლიან მის ხელნაწერ ანთოლოგიებს. ამ კრებულებმა დიდი როლი შეასრულეს იმდროინდელი ქართული ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლებაში. ანთოლოგიები ძვირფას კრებულებს წარმოადგენენ მეცნიერებისათვის, ქართული ლიტერატურით დაინტერესებულ პირთათვის. ისინი გარდამავალი პერიოდის (XVIII-XIX სს.) ქართული საზოგადოებრივი და, კერძოდ, ლიტერატურული ცხოვრების მრავალ დღემდე უცნობსა და საინტერესო მასალას შეიცავენ.

გრიგოლ ბაგრატიონმა რუსეთის არმიის ორ ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა. იქ მიღებული შთაბეჭდილებებია გადმოცემული სამოგზაურო ჟანრის თხზულებაში "მოგზაურობა პეტერბურგიდან ვილნომდე". ნაწარმოები მდიდარია რუსეთის ცხოვრების ამსახველი მასალებით.

გრიგოლ ბაგრატიონი უხვად წერს ხუმრობებს, ზმებს, მოსწრებულ ნათქვამებს.

პოეტის ენა ახლოსაა ხალხურ სასაუბრო ენასთან, გვხიბლავს მისი ლექსის მხატვრული უბრალოება. მის ლექსებში შეიგრძნობა ხალხური მოტივები, მრავალი ლექსი სასიმღეროა, რაზედაც მინიშნებულია თვით ლექსის სათაურშივე: "თარი ბექაბაშის ხმაზე", "შაინაზე ითქმის შაფშურმასავით" და სხვ.

გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედებაში გვხვდება მოხდენილი შედარებები, ჰიპერბოლა, ასონანსი, პოეტური გამეორება და სხვა მხატვრული ხერხები.

ყოველივე ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გრიგოლ ბაგრატიონი ადრეული ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია. მისი შემოქმედების ფესვები ძველ ქართულ მწერლობაშია საგულვებელი. წინამორბედთაგან მისი პოეტური მასწავლებლები არიან რუსთაველი, ვახტანგ VI, ბესიკი. ამავე დროს, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული თავისი თანადროული ცხოვრების ლიტერატურულ მაჯისცემასთან, მისი პოეზია ახლოსაა დავით ბაგრატიონის, მარიამ ბატონიშვილის, პეტრე ლარაძისა და სხვათა შემოქმედებასთან. მისი ნაწარმოებები ხასიათდება რიგი თავისებურებებით (როგორც იდეურ-მსოფლმხედველობრივი ასპექტით, ისე მხატვრული გამომსახველობის მხრივ), რომელიც სცილდება ამ პერიოდში გაბატონებულ ლიტერატურულ-ესთეტიკურ ტენდენციას. ქართველი პოეტების ზოგიერთი სტრიქონები თავისებურად გვაგონებენ გრიგოლ ბაგრატიონის ლექსებს.

გრიგოლ ბაგრატიონი თვალსაჩინო ადგილს იკავებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ა. ნაბეჭდი წყაროები:

1. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1932;
2. ბესიკი, თხზულებანი, ტექსტი, შენიშვნები, ლექსიკონი, თბ., 1962;
3. გრიშაშვილი ი. საიათნოვა, თბ., 1963;
4. გრიშაშვილი ი., თხზულებანი, III, თბ., 1983;
5. ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, თბ., 1975;
6. თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1939;
7. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, I, თბ., 1936;
8. კოტეტიშვილი ვ. ხალხური პოეზია, თბ., 1961;
9. ჟორდანია თ., ქრონიკები, თბ., 1967;
10. სკანდაროვი გ., სალხინო საზანდარი ანუ უქმ-დროების შემაქცევარი სიმღერების კრება ძუ ლთა და ახალთა მწერლებისა, ტფ., 1895;
11. საქართველოს ისტორიის მასალები, ჟურნ. "კრებული", თბ., 1872, გვ. 1-48;
12. ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია, II, თბ., 1928;
13. ქართული სამართლის ძეგლები (X-XIX სს), თბ., 1965;
14. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1959;
15. ქართული მწერლები რუსეთის შესახებ, თბ., 1962;
16. ჩუბინოვი დ., ქართული ქრისტომატია, ან გამოწერილნი სტატიები და სხვათა ჩინებულთა მწერალთაგან, სპბ., 1863
17. ჭავჭავაძე ა., თხზულებანი, თბ., 1940;
18. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, V, თბ., 1962;
19. Акты, Собранные Кавказской Археографической комиссией, 1, т 1866.
20. Бутков П., Материаы для новой истории Кавказа, СПБ., 1859.
21. Петербургский некрополь, СПБ., 1918.

ბ. ხელნაწერი წყაროები:

22. სანქტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციის ხელნაწერი №17;
23. სანქტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციის ხელნაწერი №26;
24. სანქტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციის ხელნაწერი №58;
25. სანქტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციის ხელნაწერი №205;
26. სანქტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციის ხელნაწერი №285;
27. სანქტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შცედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონისვილის კოლექციის ხელნაწერი №290;
28. სანქტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციის ხელნაწერი №292;
29. სანქტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციის ხელნაწერი №358;
30. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H №2130;
31. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H №2178;
32. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H №2226;

33. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორნელი კეკე-ლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი K №187;
34. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორნელი კეკე-ლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი S №3686;
35. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორნელი კეკე-ლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი S №155;
36. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორნელი კეკე-ლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი S №303;
37. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორნელი კეკე-ლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი Q №326;
38. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორნელი კეკე-ლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A №612;
39. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორნელი კეკე-ლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A №1705;
40. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორნელი კეკე-ლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A №1290;
41. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილება E №79;
42. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილება E №131;
43. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილება E №114;
44. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილება M №5.
45. Центральный государственный исторический архив Петербурга, ф. 1263, оп. 1, ед хр. 26.

46. Центральный государственный исторический архив Петербурга, ф. 1263, оп. 1, д. 514.
47. Центральный государственный исторический архив Петербурга, ф. 1409, оп. 1, д.521.
48. Центральный государственный исторический архив Петербурга, ф. 1284, оп. 14, ед. хр. 70.
49. Центральный государственный исторический архив Петербурга, ф. 1409, оп. 2, ед. хр. 532.

სამეცნიერო ლიტერატურა

50. აბრამიშილი ა., ლიტერატურული წერილები, თბ., 1968.
51. ასათიანი ლ., ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გამოკვლევა და ტექსტები, თბ., 1936.
52. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1972.
53. ბარამიძე ა., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1940.
54. ბარამიძე რ., უძველესი ლირიკული ლექსის ფრაგმენტი, "ლიტერატურული საქართველო, 8, VI, 1962, გვ. 4.
55. ბეპიევი ნ., ერთი ქართული ლექსის გამო, საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 86, II, 1977, გვ. 211-224.
56. გამეზარდაშვილი დ., ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, თბ., 1948.
57. გაწერელია ა., ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953.
58. დარჩია მ., გაიოზ რექტორი, თბ., 1972.
59. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
60. იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936.
61. კაკაბაძე მ., გარდამავალი პერიოდის პოეზია და ქართული რომანტიზმის საფუძვლები, "ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", III, თბ., 1979, გვ. 3-40.
62. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958.
63. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.

64. კეკელიძე ლ., გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრება ად მოღვაწეობა, "ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები," IV, თბ., 1973, გვ. 16-24.
65. კეკელიძე ლ., სატირა და იუმორი XVII-XVIII სს ქართულ მწერლობაში, თბ., 1967.
66. ლაშქარაძე დ., ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1977.
67. მახარაძე ა., ქართული რომანტიზმი, თბ., 1948.
68. მახათაძე ნ., ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, თბ., 1967.
69. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, I, თბ., 1961.
70. მენაბდე ლ., XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1973.
71. მეძველია კ., რომანტიზმის მოტივები აბორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაში, ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახ. პედინსტიტუტის შრომები, VII, 1947, გვ 73-115.
72. მიქაძე გ., ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974.
73. რუხაძე ტ., ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, თბ., 1939.
74. რუხაძე ტ., ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., 1949.
75. რუხაძე ტ., ქართველები 1812 წლის სამამულო ომში, თბ., 1942.
76. რუხაძე ტ., ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954.
77. რუხაძე ტ., ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960.
78. საძაკაძე შ., ლიტერატურული მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხი ჟურნალ "ივერიაში". "ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები", III, თბ., 1979. გვ. 125-149.
79. საქართველოს ისტორიის ნარკვევები,IV, თბ., 1973.
80. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი II (XVII-XVIIIსს), თბ., 1966.

81. ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, თბ., 1980.
82. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1973.
83. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1962.
84. ქუთათელაძე ლ., დავით რექტორისეული ანთოლოგია 1821-1823 წ. "მრავალთავი", IV, თბ., 1975, გვ. 100-121.
85. ქუთათელაძე ლ. იოანე ბაგრატიონი, მხატვარი, "საბჭოთა ხელოვნება", 1940, XII. გვ. 21.
86. შარაძე გ., თეიმურაზ ბაგრატიონი, II, 1974.
87. ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1952.
88. ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I თბ., 1975.
89. ცაიშვილი ს., ბესიკი, თბ., 1962.
90. ძოწენიძე ლ., სამძიმრის წერილები, "ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები," V, 1973. გვ. 91-107.
91. ხახანაშვილი ა-. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1919.
92. ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია V, თბ., 1949.
93. А. Абрамишвили, Герцен и Иван Грузинский – Багратиони, «Литературная Грузия,» 1962, N8.
94. Р. Орбели, Грузинские рукописи Института Востоковедения АНСССР, 1, М-Л,1956.
95. Е. Такаишвили, Описание рукописей, II-III, СПБ., 1906-1912.
96. А. Цагарели, Сведения о помятниках грузинскои письменности, вип. 1, СПБ., 1886.



პ ო ე ზ ი ა



ბატონიშვილის გრიგოლისაგან თქმული "გამიფრინდა სიხარულის ფრინუწელის ხმაზედ"[1]

დროცვლილო ბულბულო, იგლოვედი მწარედ,
ყეფა განამრავლე ვისა და ვისა,
რადგან ვარდსა უმზერ სხვის კუალს მრქებარედ,
ვგონებ გვაჯი შეგწუავს ვისა და ვისა.
ცუდ გექმნა გარს ვლება, ჭიკჭიკით ტრფობა,
ვარდმან სხუად ინება იგ ნავარდობა,
ჰსტირდე, რაყიფთან აქუს ალერსი, ტკბობა,
სახმილი მომიდუა ვისა და ვისა.
ქუწ ცის სფეროს უდრიდ, სხუა მსგავსს არა,
ხმობდი, მზე აცუდა, მთუარე დაჰფარა,
რად აწ მიჯნურის კულა არ შეიზარა,
ამად გმართებს ოხურა ვისა და ვისა,
ეჰა, ვარდო, ნაზო, სუნნელ და ტკბილო,
მწარის ბულბულისა ჩრდილ მოსაგრილო,
ილმე გრგვინვით ხმობა ვისა და ვისა.
შეგბრალდეს ტკბილმსტვენი მკუდრად მიგდებული,
საბრალოდ მტირალი, ცეცხლმოდებული,
ნუ ხარ მკულელად მისა მოსწრაფებული,
ისმინე ურვით თქმა ვისა და ვისა.

თქმული (მასზედვე მისგანვე) მუხამბაზი[2]

სევდამ მომხვია გულსა ბრჭალები,
ზედ დამრთო ჭირნი მალის მალები.
მარად მიოხავს გულსა ძალები,
ამაოდ მდინდეს ცრემლთა თუალები.
არა სად ვინ ჩანს ჩემი მბრალები,
რომელმან ესე ცეცხლის ალები
დამშრიტოს, გულსა მასხას წყალები
და მით მიკურნოს დაწვნი ნალები,
დღენი მომეცნეს სხუა ახალები.
სევდამ მომხვია გულსა ბრჭალები,
ზედ დამრთო ჭირნი მალის მალები.

ესრეთ უბედო სვისაგან ქმნილი,
ვარ არავისგან ნუგეშცემული,
ულხენის ჭირით დამძიმებული,
ვემუდარები გაშმაგებული:
ისმინე, ჩემი მოხსენებული,
მოატკბე ჩემდა უწყალო გული,
ვარდის შეხებად ღირს მყავ მკრძალები.
სევდამ მომხვია გულსა ბრჭალები,
ზედ დამრთო ჭირნი მალის მალები.

უგულებელს-ჰყო ჩემი ვედრება,
მით მომიმატა ცრემლით ცეცხლს დება.
შორს გამიფრინდა იგ სასოება,
რომლითა მაქუნდა მცირედი შვება,
გარე მომერტყნეს გლოვა და ტყება,
გლახ მიმღებიეს სრულად გონება,
არ ვბრალდი, სულთქმით ნამტირალები.

სევდამ მომხვია გულსა ბრჭალები,
ზედ დამრთო ჭირნი მალის მალები.

არ მაქვს სავანე, არც ნავთსადგური,
მებრძვის ხუცდრისა ცვლილება, შური.
ბნელად მჩანს დღე და ცისა ლაზური,
ხილუა მისი არს ჩემდა საწყური,
სმენად მის ამბის მზად მაქვან ყური,
რადგან ვარ მწარედ, ბედკრულ მიჯნური,
თუმცა მისგან ვარ შეუწყალები.
სევდამ მომხვია გულსა ბრჭალები,
ზედ დამრთო ჭირნი მალის მალები.

მიმოვიქცევი ყოვლგნით დევნული,
ვარ სურვილითა გახელებული,
წამალს ვეძიებ ჭირ კუცთებული,
თვით მკურნალისგან ვდნები სნეული,
მოყუასნო, თქუენგანც დავიწყებული,
ვკუდები, ცეცხლი მწვავს მძლედ-მხურვალები.
სევდამ მომხვია გულსა ბჭალები,
ზედ დამრთო ჭირნი მალის მალები.

გრიგოლ ბატონიშვილის ნათქვამი მუსტაზადი, ოდეს პეტროზაოდს იჯდა ტუსაღათ ქართველთადმი მისწერა[3]

ცამან ჩრდილოთით დაცაგუფარნა შავისა ღრუბლით,
ივერთა მზენი ველარ ბრწყინუჱნ ივერად ხშულით,
ჱეჰა, მოყმენო, ჱეჰა, ძმანო, თქვენ რად ხარ ლულით,
რად არ იქნებით განღვიძებით, გონებით სრულით.
ჩვენ ზღვასა შინა ჩაცვივნულნი ლიქვნითა კრულით,
გახსოვდეთ მაინც, გვიგონებდეთ სიყუარულ ძმურით,
თქვენ იხარებდით, ჩვენ კარგულნი ვიქნეჰით ურვით.

მზენი მნათობნი, აწ ბინდულნი, ერთად ყრილობენ,
ველარცა ვარდნი შეთვისულნი ძველებრ შლილობენ.
მათნი კოკორნი მოწყუჱტილან, ხშირად ჭკნულობენ,
ვერც თვისთა თანა შექცევასა მოხარულობენ.
თქვენნი მგონები თქვენდავე ვართ სიყუარულ ძმურით,
გახსოვდეთ მაინც, გვიგონებდეთ სიყუარულ ძმურით,
თქვენ იხარებდით, ჩვენ კარგულნი ვიქნებით ურვით.

მოგუძაგდა თავი მიმოსვლითა სხვათა არესა,
ერთა მუდარა და შეხვეწნა კარის კარესა,
ჵი, ვით შევხვდით ამისთანას შესაზარესა,
სიცოცხლე ტკბილი თქუჱნდა გვაქუნდა, დაგვამწარესა.
ამის სანაცვლოდ გვაგონებენ სიტყუას მწარესა.
თუ სარგებელი გეცესთ რამე, იყავით სურვით,
გახსოვდეთ მაინც, გვიგონებდეთ სიყუარულ ძმურით,
თქვენ იხარებდით, ჩვენ კარგულნი ვიქნებით ურვით.

ქცევა სოფლისა და ბრუნვა ჩვენზედ ბედის,
ეგრეთ ჩვენს შორის და თქვენდაცა მოთხრობა ყბედის,
გვიკვირს, რამან ჰქმნა შეთვისება ჭკვიანთა ბნედის?
მშობლურნი ზრდანი, ჩვენგან თქუმნნი, უტკბილეს დედის,
არ მოიგონებთ, მიგაჩნიათ პოვნად თქუმნ ბედის.
მაგრამ ლიქუნელნი გატყუმბენ შავისა პურით,
გახსოვდეთ მაინც, გვიგონებდეთ სიყუარულ ძმურით,
თქვენ იხარებდით, ჩვენ კარგულნი ვიქნებით ურვით.

აწ დავაბრალებ ჩვენსა სვესა სოფლისგან ქმნულსა,
ჩვენსა პურ-მარილს, ჩვენს სიყუარულს,
თქვენგან კარგულსა,
ერთა ქართველთა, ვითა ძმათა, ჩვენგან სწავლულსა,
ჩაგუყარნეს მწარედ ერთობილნი ზღვას შიგან სრულსა,
ველარა ვსცურავთ, დაცაგვბნიდა, მივეცით ლულსა.
ნეტამც თქვენ შვება გეცესთ რამე, ვისმინოთ ყურით,
გახსოვდეთ მაინც, გვიგონებდეთ სიყუარულ ძმურით,
თქვენ იხარებდით, ჩვენ კარგულნი ვიქნებით ურვით.

მანდ ძველთა კაცთა, ნამსახურთა გრქუმს თავადთ რაკი,
თუ სხუათა ვერჩთო, მოცაირლუმს ჩვენ სახლთა ბაკი,
არვინ უსმინეთ, დაცაჰკარგეთ ანგარიშ-ნაკი,
ბევრი ითვისეთ სნეულება, სხვა ბევრი მანკი,
მაგრამ მოსტყუვდით, რომ მოგიძღუნეს ყალბი თემლაკი.
თუ შეიმატებთ, ისარგებლეთ, არა ვართ შურით,
გახსოვდეთ მაინც, გვიგონებდეთ სიყუარულ ძმურით,
თქვენ იხარებდით, ჩვენ კარგულნი ვიქნებით ურვით.

ვგრძნობთ უარ მქონეთ უჩვენობით განცხრომა, შვება,
თუმც გიცინიან ლაზღარობით — არს ცეცხლის დება,
თუმცა გაძლევენ მცირეს რასმე — არს ბოლოს ვნება,

დაჩაგრული ხართ აღლმზომელთგან, არ გეთქმისთ ქება,
ჩვენ დავიმხენით, თქვენც გექნებათ დღეთ შემოკლება.
თუკი ხედავდეთ – გასვრილი ხართ შავისა მურით,
გახსოვდეთ მაინც, გვიგონებდით, სიყვარულ ძმურით,
თქუფნ იხარებდიფ, ჩვენ კარგულნი ვიქნებით ურვით.

ბატონიშვილის გრიგოლისაგან თქმული "თარი ბექაბაშის" ხმაზედ პეტრეზაოდსა შინა[4]

ბედკრულსა შემთხვევას შევხვდი მწარესა,
მოვაკლდი ქართლისა ტკბილსა არესა,
სატრფოს, დედასა გულლმობარესა,
აწ ვიგლოვ პყრობილი მყინვართ მხარესა,
ერთგულთა თან ზრდილთა მოყუსად მკმარესა.
ვსტირ თავსა ჩემსა, ვღვრი ცრემლს ღვარესა,
ესე სჯობს ვთხრიდე თვით სამარესა.

წყეული სვე, ჩემი დამამხობელი.
მესისხლედ მექმნა დამამცრობელი,
ქართლისა მიმილო მიწა მშობელი,
ყმანი ძმებრ ზრდილ-მზრდელ, ჩემნი მტრფობელნი,
ჯელთაგან მიმტაცა დღე საზარესა,
ვსტირ თავსა ჩემსა, ვღვრი ცრემლს ღვარესა,
ესე სჯობს, ვთხრიდე თვით სამარესა.

ჰსჯობდა მამულისთვის მოკულა თავისა,
მტრისაგან არ მიმეღო ფიცი ზავისა,
ტყვეობით რა ენახე, კიდე ავისა,
გმართებს, ყმანო, ჩაცმა ჩემზედ შავისა,

ჰსწუხდეთ, შეთის კერძო სად დამფარესა.
ვსტირ თავსა ჩემსა, ვღვრი ცრემლს ღვარესა,
ესე სჯობს ვთხრიდე თვით სამარესა.

— აწ, თავო, რად იგლოვ თვალცრემლიანი?
ვინადგან დაჰკარგენ ვარდნი, იანი,
ქართლის ბაღ-წალკოტთა კარნი ღიანი,
მას შიგ შექცევა საწად-სვიანი.
მუხანათს რად ენდევ, გველმკბენარესა?
ვსტირ თავსა ჩემსა, ვღვრი ცრემლს ღვარესა,
ესე სჯობს, ვთხრიდე თვით სამარესა.

სოფლისა სამოთხე — ქვეყანა შენი,
ბუნებით კეთილი, ზენით ნაშენი,
მუნებურ ქალ-ყმანი, მზეებრ ნაშვენი,
დაჰკარგე, რაღას სტირ ცრემლმონაშენი.
ორგულმან ზაზამ მცა დღეს მწუხარესა.
ვსტირ თავსა ჩემსა, ვღვრი ცრემლს ღვარესა,
ესე სჯობს, ვთხრიდე თვით სამარესა.

თქმული საქართველოს მეფის ძის ძის გრიგოლისაგან თავის ტუსაღობის ჟამსა ოდეს შვეთის კერძო დაპყარეს პეტრეზაოდ წოდებულსა ქალაქსა შინა, როცა რომ ზაზა ენდრონიკოვმა მოტყუებით მოიყვანა ლეკთაგან

ლექსი არს ჩახრუხაული[5]

მსმენნო, სალბუნი ესე თქმულები განიხილოთ
რა აქა თხზულები,
ჰსცანთ, სოფლის ბრუნვის მრავალ წყლულები,
ვითარ მწარე არს დარაზმულები,
ამისთვის გბრალდეთ ჩემთვის გულები, შეიტკივნეთ,
ჰსცანთ დაფარულები
და დიდის საკიპტოს სახლის შვილები სად ვიდევნებით
დაქსაქსულები.

შაირი

ერთიღა ვგებდი მამულსა ცხებულთა შთამოსრულია,
დედისა გული შემტრფოდა, ვით ჰქონდა ჯირნახულია.
ღმერთს მავედრებდა ნიადაგ, ღაწვზედა
ცრემლდასხმულია
და ჩემზედა ჰქონდა გონება და გული შეწირულია.
მას ჟამსა ქარმან ბორბალმან დაჰქროლა მასვე არესა,
ვსთქვი: ჟამი ესე დედასა მიმიცემს დღესა მწარესა,
მუნ ვატარებდი დროთა და კეთილად სანეტარესა
და მას შემთხვევასა მივრიდე, მივმართე მთათა მხარესა.
მაშინ ახალი იუდა გამოჩნდა ჩემდა რებული,
ბოროტი, მზრდელი სახლისა და ქცევად
მოსწრაფებული,

სხუა ფოკა ვინმე მტარვალი, კულა ჩემდა
განფიცხებული,
და ფლიდი, ეშმაკი, მანქანა, ჯოჯოხეთს დაფსკერებული.
ეშმაკი იგი თელავით მოვიდა ჩემ კერძ რებულად,
შევხედე, ვიცან, იყოცა ბრიყუ ზაზა სახელდებულად,
მრავლად ეწმასნა სიტყვანი, ვით იყო დარიგებულად
და ჩემთვის შეპყრობის სიტყვითა იტყოდა მოსწრაფებულად.
მე ლმობიერად ვისმენდი, უბნობდა კბილთა ჩენითა,
მეტყოდა მრავალგუარად და ფიცითა ზესთა ზენითა,
გველის ენასა იჩენდა ჩემთვის საკუდავად კბენითა
და ზოგჯერ უბნობდა გოდებით, ვხედევდი ცრემლთა დენითა.
სამგზის წყეული ისწრაფდა თემლაკზე განსყიდჳსადა,
თავის პატრონის ძისადა იყო ამ განზრახვისადა,
გულითა ჰსწადდა შთაღუპვა ჩემი კბოდესა ზღჳსადა
და თუ ნიჭს მიიღებს, რას დამდევს, ზედა მომაყრის ქუასადა.
მალ მეტყოდა, რად არ მისმენ, მამიშენის ჭირნახულსა,
თუ მიიღებ, გამდიდრდები, ამა ჩემსა დასახულსა,
სიტყუას ხმობდა სალმობელსა, ვერ მიუხდი
განზრახულსა,
და მაგრამ ჩემზედ, ბილწი იგი, ჰგუანდა ცეცხლსა
დაფარულსა.
ჩემთვის ცთუნებად მრავალნი სიტყუანი დამიფინა მე,
ზოგჯერ ცრემლს მრავლად ადგენდა და ზოგჯერ
მომილხინა მე,
ვგრძნობდი გველებრსა ენასა, ამისთვის მომეწყინა მე,
და სხუა არა უთხარ პასუხი, ოდენ თუალ ცრემლი მდინა მე.
დამაწყლულა უბნობითა უგუნურმან, სიტყუა მჩმახმან,
კულა მიმატა წყლული წყლულსა, რეგუჱნისა სიტყვის
მჩმახმან,
მითხრა მშობელთ ამოწყუჱდა, მით მომიცუა ვაგლახ ვამან

და არ წამოხუალ მათ დაჰხოცენ, პირს შემომდუა
ესე გლახმან.
რა ესე მესმა, ავენთე მშობელთა სიყუარულითა,
ვსთქვი, თუ მართალსა უბნობდეს არა პირითა გულითა,
მშობელთა ევნოს ჩემ მიერ და ესრეთ სიარულითა
და რად მინდა თავი ცოცხალი უმათოდ სიხარულითა.
ჩემგან სატრფონი, მშობელნი თუ მიხუდენ ჩემგან წყენასა,
რად მინდა სოფლის დიდება, სად რად მივეცე ლხენასა,
საგონებელსა მივეცი და თუალთა ცრემლთა დენასა
და მან ბილწმან ესრეთ მიხილა, მიეცა მაღლად ფრენასა.
კამბეჩოვანსა აღზრდილმან ზაქმან ზაზამან წყეულმან,
პატრონის ორგულობაზედ სანიადაგოდ ჩვეულმან,
იუდას მსგავსად ვერცხლისა მოყუარებითა ძლეულმან,
და ანგაარებით დანთქმულმან, კერპთმსახურებით სნეულმან.
რა ნახა ჩემი მეშუთადმი მიდრეკა, მიზიდულობა
და რომე სიყუარულითა მათით მემატა წყლულობა.
კულავ აღძრა ენა ცთუნებად, ჰყო მშვილდთა
მოზიდულობა,
და ბოროტს ვიცნობდი რამე ვყო, მძლეედა
გონება-ყრმულობა.
ჩემთა ერდგულთა სიტყუანი მკადრეს ვით ერდგულთ
წესია,
მითხრეს, პატრონო, სიტყუანი გუაქვს დია უმჯობესია,
მეშუთა თქუწნითა რა ევნოს, თუ არ განგება ზესია
და ზაზა გლალატობს, ეკრძალე, გფარავს იესო, მესია.
კულავეცა უთხარ, ზაზავ, ვიცი, ხარ მამიჩემისა ზრდილი,
მოიგონე სიყუარული, ნუ ხარ ცნობა გარდახდილი,
ენდრონიკოვთ მამა-პაპათ ჩემ წინაპართ
ვინ გადგსთ ჩრდილი
და ყრმას თუ მაცდენ, შეიქნები საუკუნოდ წარწყმედილი.
კულავ შემომფიცა გუშლმან და ძლიერის საფიცარითა,

არსთა მაარსით და არსით, ყოვლით დასამტკიცარითა,
პატრონისა ძევ, მირჩევდა სიტყვით არ უვიცარითა,
და თუ მამყუჩ, განკრთე, განჭკვირდე დიდებით საოცარითა.
თვით შენნი მეშუნი მიეცნენ შენის ხილვითა შვებასა,
იგინი იხსნა სიკუდილით, შენ მიხუდე განდიდებასა,
გიჯობს რჩევათა ჩემთადა შეუდგე განმზადებასა
და მომყე, წავიდეთ მშვიდობით, ვიაროთ ნება-ნებასა.
ზაზამ იხმარა ჩემზედა მზაკვრობა-ვერაგობანი,
სხუა და სხუა სიტყუას მეტყოდა, ჰსჩნდა
მისი ვერაგობანი,
ვერა მაცდუნა, გაუცუდა მას მისი ხელოვნებანი
და კულავ სხუჩბრ დამიწყო უბნობა, რა ჰსცნა უიმედობანი.
მაშინ მითხრა: მეფის ძის ძევ, აწ მართალს
გკადრებ მონადა,
მშობელნი შენნი დახოცეს, მით მაქუს
ცრემლთა ფონადა,
შენს საერდგულოდ მოვსულვარ, მათი მკლავს
გულსა ხსოვნა და
და შევძრწუნდი ესე მეორედ რა ბილწმან გამაგონა და.
დამიმტკიცა ფიცით ფლიდმან სასურუჩლთა
მეშუთ დახოცა,
დამარწმუნა ურჯულომან, მრქუა დღე მათი აღხოცა,
მეფიცოდა თავსა ცემით, ცრემლნი მრავლად მოიხოცა
და თუ მაცდუნებს თემლაკს ელის, ჭირნი ამად იასოცა.
რა შემატყო დაჭმუნება სამეფოსა სახლის მტერმან,
ჩემდა სამტროდ აღჭურვილმან და საკბენად
გუჩლებრ მზერმან,
სხვებრ დამიწყო საუბარი, უსწავლელმან,
ვირმან, შტერმან
და გული სრულად დამიწყლულა ლაყბობამან მის მიერმან.
მეკიდებოდა მშობელთა ცეცხლი წუად მოუთმინები,

თავსა ვეტყოდი, არ მოგცა სოფელმან, რაცა ინები,
ჭირნი მომეცნეს, დამეიწყდა მე კეთილი დღე, წინები
და მიწა ვიხილო მშობელთა ეს არს ჩემიღა ლხინები.
ზაზას უთხარ: წამოგყუჩბი, დავშთომილვარ
რადგან ობლად,
ჩემთა მეშუთა მიწა ვნახო, ვიქნე მათდა შემამკობლად,
მათზე საფლავზე დამაკალ, მივედ მტერთა მახარობლად
და საწადელი აღისრულე, ნიჭი იღე მათგან მრჩობლად.
წამოვედით გზასა ზედა, ზაზა იქნა მხიარულად,
რაცა ჰსწადდა, ეგრეცა ჰყო, ჩემზედა ჰყო
საქმე მტრულად,
ჯილდოსათვის იმედოვნებს, კბილთა იღრჭენს
დაფარულად
და ღმერთსა უნდეს, მუხანათი დაშთეს სრულად
განკიცხულად.
მარკიზი ვნახე თელავსა, დამხუდა ტკბილისა ენითა,
წასულა მაწვია ჩრდილოეთს, სწრაფა-სწრაფისა რბენითა,
ზაზას სრულ ექმნა წადილი, დაჯდა გულითა ლხენითა
და რას დამდევს, თუმცა მე მისგან ესრეთ აღვივსე წყენითა.
მარკიზი მეუბნებოდა მრავლისა იმედებითა,
პეტრებრუხს ილხენ მრავლითა კეთილით სახილუჩბითა,
მონარხსა ნახავ, ალგაესებს მრავლითა სანიჭებითა
და რას შეიმატდი აქა-იქ ცუდითა მორბედებითა.
თბილისში მოველ შევიტყვე მშობელთა უვნებელობა,
აღსრულდა მისი მტერობა, გამოჩნდა მისი გუჩლობა,
სახლსა დაადუა ნიადაგ ბაგრატიონთა მკულელობა
და მე ციმბირს მკარგა და თვითცა ჰხუდა
ნიჭთა უპოვნელობა.
უხსნელსა ზღუასა შთამაგდო ბედკრულმა
ზაზამ ხელითა,
პეტრეზაოდსა პყრობილი ვჰსტირი ცრემლითა ცხელითა,

არავინ მივის ნუგეში დღე, არცა ღამე ბნელითა
და ზაზასი მესმის ჰსცხოვრობსო საქმითა საკიცხელითა.
გაფუცებ ყოვლთა მსმენელთა, დავითის
სახლის შვილებსა,
თუ ოდეს ღმერთმან ინებოს და მიხუდეთ
თქვენს წადილებსა,
ღუთისათვის მოიგონებდით სისხლსა უბრალოდ
ღვრილებსა
და პატრიონის მკულელი ვით ღირდეს, მიეცით მახვილს
წვდილებსა.
მადლის განგებით ვსასოობ ჩემზედა სამართალსადა,
ზაზას სახლისა წულები უყენონ ჩემსა კუალსა და,
ჭურეტა აქუს ყოვლთა სიმართლით,
ყოველთა მხედთა თუალთა და
და ჰსცნას, ვითარ ტკბილ არს ტყუწობა
საწუთროს წარმავალსა და.
ჩემის შეპყრობით ჯილდოსა მიელის ზაზა ვიცია,
მაგრამ ეკითხვის უთუოდ ეგზომ სიცრუით ფიცია,
ზესთა მსაჯული ყოველთად მრწამს,
მოსამართლე მტკიცია
და ვერა რა ირგოს მხტომელმან, დარჩეს ვით ურა კვიცია.
მუხანათმან ტყვეობისა მომითხარა თუმცა მე ჭა,
ფსკერს შთამაგდო გამოუხსნელს,
ჩემზედ შექმნა ღიმით კრეჭა,
თვითცა დაშთა უსარგებლო, მით შეჰქმნია პირის ბღნეჭა
და მასნათისა ქეჩის ნაცვლად ქუწშ წაიგო ჩალის ნეჭა.
ზაზამ მაცდუნა ყმაწვილი, გამოუცდელი მაოცა,
შენთა მშობელთა დახოცენ,
მან თუალთა ცრემლი ახოცა,
ამა სიტყვით მომაღორა, სიტყუა ტკბილი აასოცა.
და ერთი ძე ბაგრატიონთა თემლაკისათვის ახოცა.
მინაწერი: "დასრულდა ტუსაღის მოთხრობა".

* * *

დიდება შენდა, სამ-მზეო, ღმერთო, სამებით ცნობილო,[6]
მომეც ძალი და შეწევნა ღვთაებით განდიდებულო,
მიეც მეფის ძეს, ივანეს, წელთ სიგრძე, აღდგინებულო
და მეცა მომხედე, მწუხარეს, წყალობად მოსწრაფებულო.
დოსითეოზ მღუდელ-მთავარსა რა მადლობა ვკადრო ამის,
მან მასწავლა ანბანთ-წერა, ყმაწვილობის ვიყავ ჟამის,
ბევრი მირტყა უწყალობით, დღე და ღამე, მინუტ-წამის
და არა ვიცი, რა მივართვა, ან რა უძღვნა ჩემდა ამის.
ათას რვაას ოცდაერთსა ვიწყევ წერად ამავ წელსა,
ივნისის თერთმეტს დავიწყე, ნაწერს შევხედი ძნელსა ხელსა,
ორ თვეს ვერ ვსწერე, ციება მე შემქმნიდა სიცხით ცხელსა,
და ენკენისთვესა სრული ვყავ, თუმცა მამსგავსა მე ლულსა.
გაიოზ ეპისკოპოზი ცხონებული ჰყოს ღმერთმან და,
სამას სამოცდა ხუთ წიგნი თარგმნა თვით მარტო ერთმან და
სულ საღმრთო, არსა საერო, ესე იკვიროს ერმან და
და სუფევდეს აბრაამთანა, ადიდა თვისმან სვემან და.
გაიოზის სიკუდილისა ვიყავ წინ კვირას ხმობილი,
მიბრძანა: ბატონიშვილო, ვარ სიკვდილს განმზადებული,
თუმც მამაშენი მკრებელობს, აქუს ბევრი წიგნი მკობილი
და ბერთ მისცეს გარდმოსაწერად, ფურცლებად არის წყობილი.
ამისთანა არ ექმნების, არვის ძალ-უძს გარდმოღებად,
ამისთანას მაღალ ფარსზე ვინ შეუძლოს შესწორებად,

უდაბნოელთ ბერთა კიდე ვინ თავს იდუას გასწორებად
და რადგან არის ფურცლად-ფურცლად,
დიდი უნდა ცოდვილობად.
არის ფურცლებად ნაწერი, ერთმანეთშია რეული,
ხუთ თვე ვეცადე ერთ წიგნზე, ძლივას შევაწყვე რვეული,
დიდ ჯაფას ნახავს, ვინც ხელ-ჰყოფს
მწერალნი შემეცნეულნი –
და ერთ ზანდუკშია ჩაყრილი ერთმანეთშიგან სვრეული.
აწ რას მიბრძანებ, არ ვიცი, მე, თქვენსა მოძულებულსა.
თქვენის გულისთვის გარჯილსა,
ხლოპოტით მოყივნებულსა,
გ'ურგენ გიახლათ ნაცვლის ძე, სურს ხილვა
თქვენი სწრებულსა
და არ დამიჯერა, რაც ვუთხარ, აწ ჰგავს
მხარდაბრუნებულსა,
თქვენცა მოსწერეთ წიგნითა, არ ახლოს წიგნებს ხელია,
ჩემდა არის-თქო, ბიძისგან ანდერძად დადებულია,
ეგე წიგნები ჩემთვის ჰყო გაიოზ, ცხონებულია,
და თორემ უბრობით აპირებს წაღებას, პირებულია,
ალექსი დეკანოზისა, არქიმანდრიტობს რომელი,
იმისგან არის ნათქვამი, გურგენ, რომელ არს მკმობელი,
იმისი წიგნიც მოვიდა აქ, არქიერთა მსწრობელი
და არ დავანებე, არ მივეც, ვიხმარე ძალი ყოველი.
ამას გვედრებ, არ გამიშვა, უნუგეშოდ, უწყალობით,
რა შეგცოდე, რა გეწყინა, ამაზედ ვწუხ უცებებით,
შემცოდესა დაუდებენ დანაშაულს მიზეზებით
და პირველ ჰბრძანე, მერმე ჰრისხდი,
მეც შევიქმნე მცირის შვებით.
ოდეს გაეგზავნე დალაქი, დედაჩემთანა რებულად,
მაშინ ვისესხე ორმოცი თუმანი მოსწრაფებულად,
გირაოთ ბეჭედი მთხოვეს და საათი ვყავ დებულად

და ორმოცდაათი თუმანი თქვენგანვე მოვლინებულად.
მყისვე მივეცი სარგებლით, არ დავაყოვნე ხანია,
ტყვენი დავიხსენ, რომელი აწ ჩემდა არის მზანია.
თვით ქალანთრისა ხელითა, ამას არ უნდა თქმანია
და ესტატეს თავსა დაუკრავ, იმან მობანოს თავია.
გევედრები, შეისმინო, მოხსენებად ესე კმარის,
ნუღარ მარებ მე ქვეითად, სიცოცხლე
მჯირს მეტად მწარის,
მომიბოძო მე ულუფა ხაზინაში წერად ამის
და განმინათლო გონებანი, ღრუბელი ჰყო ჩემთვის დარის.
პირველად ღმერთს ადიდებენ და მერმე მისთა წმიდათა,
გვედრებ არა მყო მტრის ენით, ნუღარ
მამსგავსებ წიდათა,
ყველა მოვკუდებით, ხომ იცით, ვერარას
ვირგებთ მინდათა
და მიბოძე, რაც ულუფა მე მოგახსენე ხშირათა.
ამის მეტსა ნუღარ ელი თქვენდა წიგნსა ჩემ მიერსა,
ამის მეტსა აღარ გკადრებ მოხსენებად წადიერსა,
ვით გენებოს, ჰქმენ ეგრეცა, ვითმენ, მიშვებ მე მშიერსა
და თუ გეკადრებათ ინებეთ, პურსა ვთხოვ ჩემსა ციერსა.
სამენენიკოთ მიბოძეთ, მე მყავით მოხარულია,
რომ შევიმოსო ახლითა, შევიქმნა მოხარულია,
პოლკს ვკამანდობდე, არას გთხოვ,
ვარ ცუდად ბერებულია,
და მომეცით ეგე ულუფა, სუ ცხენით მოარულია.

გრიგოლ

ანდერძი: "სრულვყავ წიგნი ესე ამბროსისა გარდაწერითა, მე, ცოდვილმა მეფის ძის ძემ გრიგოლ, ფურცელი წიგნისა ამის არს 132".

მინაწერი: ვწიგნი ესე ეკუთვნის მენგრელიის მთავრის ძეს (დავით დადიანს).

* * *

ურაოდენოდ უვითარომან მყოფმან,[7]
გონებით ზესთა-მხედველთა ვერ მისაწვდომ,
არსთ უსხეულთ წამის ყოფით მყო მექმან,
ნიავ-წვლილ ღრუბლით სინას გამომეტყუელმან.
ამრავალწელოს დღე ეს თქუენდა სოფლად სვლის,
თქუენ, დავითისა სქეს-ტომ იუდასით,
ლომო, გაბაონს მტილს ნორჩით იუდასით.
ელვებრ განმანათლო მუღთ სხვითა იუდასით,
ბნელს მყოფს მათენო, გეკუთა იუდასით,
უმიზეზ მყოფ განტყორცნილ იუდასით.
ლამპარ-პყრობილთა ბრძენთა მათებრ ქალწულთა,
ელვარესა მას ქროწილსა, შესულად მკულთა,
სულთა სასძლოთა განსასუენად აღტრფულთა,
სხდომილთ მას შინა ქრისტესგან კურთხეულთა,
ორღანოს ჰსცემით იქმენ მათდა მობაძავ,
მამაო, დავშვერ ორ-თვესა დღე-ღამობით.
ეგრეთვე ბერი იოსტოს არის მოწმად.
ფრიად მაღალსა ენაზედ მოუბარობს
იგი მოძღუარი, ეპისკოპოს ამბროსი,
საუკუნოდცა მისგან იქმენ კურთხეულ
ძე თქვენი, გრიგოლ, ასტარხანს მოარული,
ვეედროს შენთვის იესოს ღმერთსა ჩვენსა,
საუკუნომდე გეირგვინითა სუფევად.
იკითხე მცირით აპელად ძველ-ყოფილი,
ოდესცა ნახო შარფითა დაგლეჯილი,
ანუ კუტასით ეგრე დაძაფული,
ნიადაგ მზა არის ხელმწიფის სამსახურად.
ეგრეთ ბეჭედი, რომელ წარმოგივლინე,
სრულად მიბოძო, მყო ამით მოხარული,

ძნიად დაძვქლდნენ, თეთრი არა მაქუს ხელად.
ეგრეთვე ჯიბეს არა-რაი ძეს მწელად,
თქვენის იმედით არა ვმუშაობ ველად
ქება მოგითხრასთ, ვინც ისმენს ახლოს მყოფი,
ვინცალა მტერი, იმას შერცხვეს შენ მიერ.
ნება თქვენია, მომავლობს მენენიკი,
იყოს ახალი სამენენიკო ჩემთვის,
მადლმან საღმრთომან მომანიჭა მე ესე,
ესე ურწმუნოთ ბაასი ვიწყე წერად.
ფრიადცა ჰსდევენის ნოვატიანთა ცუდთა,
იგი ამბროსი, ვინ მედიონელეობს,
სომეხთ ბაასით ჰრჯულზე გამტყუნებულ ჰყოფს.
ძე მფარველ თქვენდა და ეგრეთ სული წმინდა
იყავნ თქვენთანა დღე-ყოველ განუშორად,
სამობით ღმერთი იგ იყოს აწ შენდა მფარად,
ძალთა სერაბიმთ და ხერამივთა ბრძანად,
ეგრეთ ეშმაკთა, ვინც ჰყოფს შემაზარად.
გძღვნიდეს სიმრავლეს დღეთა უანგარიშოდ,
როკუა და ლხინი არ მოგეშალოს სახლში,
იძლიო აროს, მტერს არცხვინო მალიად,
განძლიერებით სხვებზე აღმატებულად.
ოდეს მიგონებ მე, მონასა უხმარსა,
ლოცვას თქვჳნ წმიდას მე ნუ დავიწყებულ მყოფ.
გოლგოლთას ზედა ვის ჯვარცმულსა იტყვიან,
იგი გყუჩს მფარად დღე-ყოველ დაუფარად.
ძილად არ იქმნე ღვიძილით შემაზარად,
დამითა მცუჩლად მწოლარეს ძილსა შინა.
ვითარ ისრაილ იქმენ განდიდებულად,
ნიადაგ შვებით სუფევითცა მესმოდე,
იკითხევდეცა ხანდიხან ძესა შენსა.
ნეტარ გაიოზ, ამ წიგნისა მთარგმნელი,

არს ნამდვილ ნეტარ სუფევადცა მიწევნილ,
შრომით დამაშვრალ ამ საღმრთო წერილებზე,
რუსთ ენისაგან ქართულად მიუღიეს,
ოდესცა ნახოთ თვით მისგანვე ნაწყრი,
მარად ჯაფითა არის გარდმოღებული.
საუკუნოდცა განსვენებით სამოთხეს,
არსცა წერითა წარმკითხავთათვის ძნელი.
ჩემებრ ვინც ჰსწეროს ბაგრატოვანთ გვარმა,
ერთ გზის ქება ვჰრქუა, აროდეს დაუწუნო,
მაგრამ მასწავლა, წერით მყო განმართული,
სუფევითმცა არს არქიერ დოსითეოზ,
ამისთვის ჩემზე იგი შვრა მასწავლებლად.

მეფის ძის ძე გრიგოლ. იამბიკოსა ამის კიდურწერილობა არს ესე:

უგანათლებულესს მეფის ძეს იოანეს გიძღვნი მეფის ძის ძე გრიგოლ ნაშრომსა ჩემსა, ძე თქვენი.

* * *

როს იკითხვიდე, მომიკითხვიდე,[8]
ვინცა შეგივრდეს, მოკითხვიდე,
ოლარი ყელსა ჩამოიკიდე,
კელიით განვეთ, ჟამნი ხელთ იდე,
მუხლის მოდრეკით პარაკლის მხდელად,
ღვთის-მშობლის წინა, ცრემლითა მღურელად,
როცა რომ ჰსწირო დაუზარელად,
მაშინ გთხოვ მექმნე მომხსენებელად.
მისის მადლითა მე ვიქმენ მრთელად,
ოჯახის ჰატი ჩვენი არს ძველად,

მამა-პაპათა ყოვლთვის დამცუმლად,
თჳსსა მონასა, შემქმნისცა ვრცელად.

მეფის ძის ძე გრიგორ.
1821-სა მაისს 24.

თქმული მეფის ძის ძის გრიგოლისაგან ძაგნაკორული ლექსი[9]

დიდ არს დიდება, შენდა ლხინება,
ამაოს მისდევ ამ სოფელს რულსა,
გაქუს დაშვენება, არ ვისგნით ენება,
რად ცუდად ჰსთები, რომ აჰყევ კრულსა,
მიკვირს, გონება ეგ შენი ჰყვება ცუდ მოლიქნეთა,
რომ აძლევ გულსა
და მესმის და მესმის, მესმის და მესმის სიცილი შენი,
ფხიზელ და ლულსა.

მუხამბაზი მისგანვე თქმული[10]

როს მესმა სახის სილამაზე და შვენებანი,
მყის განვიზრახე, მისდა მაქენდეს აშიკობანი,
ბადრსა მთვარესა შენი სჯობდეს მორთულობანი,
თუმცა მხვედროდა ერთხელ დამით შენთან შვებანი,
ანუ მეყნოსა შენის გვამის სურნელებანი,
რადგან ფშეივ, ვარდო, გაფურჩვენილო, გვიყავ ხმობანი.

ბულბულო ტკბილო, შაშპრა-სოსანო,
იავ, ზამბახო-სურნელოსანო,

კავ-ზილფო-ნაზო ნარგისოსანო,
ლოყაზედ ხალო ალერსოსანო,
ბანოვანთ შორის უტურფოსანო,
მათში გიხდება კეკელობანი.
როს მესმა სახის სილამაზე და შვენებანი,
მყის განვიძრახე, მისდა მაქვნდეს აშიკობანი.

ვიცი, შემკულხარ მოსართავად ატმის ფერითა,
ნარინჯნი გესხნეს, მითი დავბნდი მყის შეცქერითა,
ვიცი, დავბნდები, თუ არა მყოფ მცირედ შვებითა,
იკმარე, მზეო, ნუღარ დამწვავ შენის ჭვრეტითა,
შემოგვედრებ სულს, შენგან არის დაწყლულებითა,
რადგან შენ ძალგიძს ჩემის სულის სალბუნებანი.
როს მესმა სახის სილამაზე და შვენებანი,
მყის განვიძრახე, მისდა მაქვნდეს აშიკობანი.

ვიცი, მოკვდები — რას მატებ სულსა,
რად ვის დაუჭერ მაგ კეთილ გულსა,
ან არ მაკმარებ შენთვის დაგულსა,
სადაფის კარსა რად არ განხმულსა,
მეტი რა წაგყვეს მილულებულსა.
შავმან შეჭამოს შენი ტრფობანი.
როს მესმა სახის სილამაზე და შვენებანი.
მყის განვიძრახე მისდა მაქვნდეს აშიკობანი.

მზეო, ეცადე ჩემს შებრალებას,
რომე მაღირსო მე შეწყალებას,
ანუ კვლავ ერთხელ თქვენთანვე ხლებას,
ნუ მისცემ ჩემს დღეს სიცოცხლის კლებას.
აწ მოისმინე მოხსენებანი.
როს მესმა სახის სილამაზე და შვენებანი,
მყის განვიძრახე შენდა მაქვნდეს აშიკობანი.

მისგანვე თქმული მახზედუწ მუხამბაზი[11]

წითელს ბაგეზედ შუწენის ხალები,
ეგრეთ წამწამ ქუწშ გიშრის თუალები.
თუმც ვებრალოდე მონამკრძალები,
ვინ გინდ კლდე იყოს ტინი, სალები,
ეშხით დაადნობს სხივის ძალები,
მისი შეხედვის მინუტ-წამები,
მეც მომახვედრა მწყულელი ბრჭალები,
არვინ გამოჩნდა ჩემი მბრალები.
წითელს ბაგეზედ შუწნის ხალები,
ეგრეთ წამწამ ქუწშ გიშრის თუალები.

არ მაქუს სავანე, არც ნავთსადგური,
მებრძვის სევდისა ცვლილება, შური,
ბნელად მჩანს დღე და ნათელ ციური,
ხილვა მისი არს ჩემდა საწყური,
სმენად მის ამბის მზად მაქუან ყური,
თუმცა მისგან ვარ შეუწყალები.
წითელს ბაგეზედ შუწნის ხალები,
ეგრეთ წამწამ ქუწშ გიშრის თუალები.

წყეულ სუწ ჩემი დამამხობელი,
მტრად გარდამექცა დამამცრობელი,
მთუარეს მაშორა, მექნა მცრობელი,
შორიდამ შემქნა მისდა მხმობელი,
ველარ შევიქმენ მასთან მჯდომელი,
აწ სენი მეცეს უკურნებელი.
წითელს ბაგეზედ შუწნის ხალები,
ეგრეთ წამწამ ქუწშ გიშრის თუალები.

აწ, თაო, იგლოვე თვალცრემლიანი,
რადგან დაჰკარგე ვარდნი, იანი,
იგი კეკელა ზამბახიანი,
მისის წალკოტის კარნი ღიანი.
მაშიგან ლხინი საწად-სვიანი,
დარი შემექნა ბურუსიანი,
მომეცა გლოვა განამრავლები.
წითელს ბაგეზედ შუმნის ხალები,
ეგრეთ წამწამ ქუშ გიშრის თუალები.

გვედრებ, მთიებო, რადგან მხდი სულსა,
რადგანც მირისხებ მაგ ტკბილსა გულსა,
რად არ მიწყალებ ისარცემულსა,
რაზედ მიარმებ სიცოცხლეს ტკბილსა,
სიკუდილს რად მაძლევ უწყალებულსა,
რად შეიმატებ მე ვგუანდე კრულსა,
ბედ ჩემსა დავგმობ ნამტირალები,
წითელს ბაგეზედ გშუმნის ხალები,
ეგრეთ წამწამ ქუშ გიშრის თუალები.

მისგანვე მასზედვე მუხამბაზი[12]

მზისგან მომედუა ცეცხლის ალები,
მას დაჰნატრიან ყოვლი ქალები,
მისის ეშხითა არ მაქვს ძალები,
მისგან შევიქმენ შეუბრალები.
დამწუარს მომხედე, შეგებრალები,
გნებავს, განმკურნავს შენი ხალები.

ისმინე ჩემი მოხსენებული,
რაზედ გამხადე დაღონებული,
პირველად იყავ შეგონებული,
ახლა რაზედ ხარ გაჯავრებული,
ჩემზედ შეიქმენ უწყალებული,
მაგრამ მიკვირს რომ რათ მემალები.
დამწუარს მომხედე, შეგებრალები,
გნებავს, განმკურნავს შენი ხალები.

მყობადო ჟამო, მომეცი შვება,
ნამყოს აკმარე აწ ჩემი ვნება,
მაკმარე ესდენ ცეცხლის მოდება,
დამასნეულებს ეგ შენი მკობა,
მკურნალისაგან არ მაქუს მე გება,
შენგნით ვილევი შეუბრალები.
დამწუარს მომხედე, შეგებრალები,
გნებავს, განმკურნავს შენი ხალები.

შენა გშვენიან მორთულობანი,
ტკბილ ჩანგის კურანი, აშიკობანი,
ეგრეთვე ტურფად ტანცაობანი
და სილამაზე პირბადრობანი,
მოარულს გშუენის კეკელობანი,
მე გჭურეტ სინაზეს განამკრძალები.
დამწუარს მომხედე, შეგებრალები,
გნებავს, განმკურნავს შენი ხალები.

შემოგვედრებ სულს, თუ მყოფ სამარეს,
რადგან არ ღირს მყავ სულად შენს არეს,
იმ სოფელს ვეღირსო მაგ პირსა მთუარეს,
ან სადაც იდგები სახლის წინ არეს,

მომეც ცნობანი დანამალები.
დამწუარს მომხედე, შეგებრალები.
გნებავს, განმკურნავს შენი ხალები.

თქმული მეფის ძის გრიგოლისაგან ასტარხანში მადათას ქალზე მუსტაზადი და მუხამბაზი[13]

სევდამ მომიცუა, ვჯე მოლხენით, გულით შეებულად,
თავს მეცა ესრეთ უწყალობით გავხე ვნებულად,
გრიგალი მეცა, მყნოსელ მექმნა, ვიქმენ რებულად,
მიმოვიხედე, მთუარეს შევხვდი პირბადრებულად.
მელნისა ტბიდგან ისარი მკრა გულსა სვებულად,
მკერდსა მოესხა ახალ, ნორჩნი აყუავებულად,
კოკორთ ვამსგავსე, მისკენ წავე მოსწრაფებულად,
ოდეს ვიხილე მე ახლოდგან იგი ქებულად.
ახალ სურნელნი ვარდნი უბეს მიკერებულად,
მშვილდთა მისთაგან მე შევიქმენ განხელებულად.

თუმც გავიცადე ელუარება მის პირთა სახე,
ყოველთ მჭურეტელთა ბადეს უგებს, ვით ბულბულს მახე,
აწ, გულო, დაბნდი სასაუბროდ, რადგან მზე ნახე,
მუშთარსა მანგი ტურფას შვენის პირისა სახე.
ბევრი ამგვარი ქება უთხარ, სხუაც ბევრი ვჩმახე,
არც თუ მომხედა გიშრის თუალით, ვერც ხელი ვახე,
ვერც ბაგე ძოწი განვიცადე, მე გავხე ვით ხე.
შევატყევ იყო მტკივნეული გულითა მჭმახე.
ამისი მხედი ამოვსტირდი, გავხე გუმმულად,
მშვილდთა მისთაგან მე შევიქმენ განხელებულად.

მთუარე განიზრა, გული ჰყუჩბის, ელუა აშუჩნებს,
ძოწეულ ზილფი მხარ-გადაშლით ტურფად აშუჩნებს,
მანგი წინ ჰკრთების, ნარნარობა მეტად აშუჩნებს,
წელი წერწეტი ალვის მსგავსი ტანსა აშუჩნებს,
ალმას ნაჭედი ბეჭედ-ლალი თითსა აშუჩნებს,
ვა, თუ არ მომხუდეს შეყრა მისი, ვინც დამამშუჩნებს.
მოდი, მივმართავ, განუცხადებ, არ გამაშავებს,
მაგრამ მეშინის, ვა თუ დამგმოს გაბასრებულად,
მშვილდთა მისთაგან მე შევიქმენ განხელებულად.

ბულბულო ტკბილო, შაშარა-სოსან, ყოვლთა თავადო,
იავ, ზამბახო, საყნოსელთა სურნელთა ვარდო,
კავ-ზილფო-ნაზო, მშვილდ-მოხრილო,
ინდთა ჯართ დარდო,
ლოყაზედ ხალო ალერსითა, მშვენთა მათ ფარდო,
ბანოვანთ შორის უტკბილესო, შენ დარდიმანდო,
მათში გიხდება შენ ტანცაობა, კეკელა, მარდო.
თუ ლომერ დასწერს შენსა ქებას გალაღებულად
მშვილდთა მისთაგან მე შევიქმენ განხელებულად.

თუმცა ვიხილე მომავალი ტურფა, ტკბილია,
ალვას მოება ფორთუგალი, უცხო ხილია,
ნეტამც მაუწყა: მთუარე არის, თუ მზის შვილია,
სულად გავგიჟდი, თანა გავყევ მიმავალია,
მითხრა: ყარიბო, ვის მამსგავსე, რად ხარ ხელია,
ვიცი, ნარნარი ჩემი წელი შენი მკულელია,
ეგრეთ ბაგენი ვარდის ფერნი ტკბილად მზმელია,
მე ვიქებ თავსა, შენ გეთნევის ჩემი ქმნულია,
ოდეს ეს მითხრა, მყის შევიქმენ განშვენებულად.
მშვილთა მისთაგან მე შევიქმენ განხელებულად.

თქმული მეფის ძის ძის გრიგოლისაგან ფუნტოვის ქალის დარია ივანუნაზე "ვიშ, რა გვეამას" ხმაზე ითქმის[14]

ქ. კიპარო, წვრილტანი მოარულობდი, კეკელა მარდო,
ზედ ვარდის კოკორნი მოცაშლილობდა, კეკელა მარდო,
რად ვიხილო სხუანი ბანოვანები, კეკელა მარდო,
მანუგეში შვენოდა, მოღიმარი შვენოდა,
ბაგე-ლალი შვენოდა, თვალ-ჟუჟუნი შვენოდა,
ინდონი ჰკვირობენ მოღიმრობასა, კეკელა მარდო.

ქ. ზილფი გარდაშლილთა თმანი გრძელობენ,
კეკელა მარდო,
ყოვლნი შენი მჭვრეტნი მოხარულობენ, კეკელა მარდო,
რად ვიხილო სხუანი ბანოვანები, კეკელა მარდო,
მანუგეში შვენოდა, მოღიმარი შვენოდა,
ბაგე-ლალი შვენოდა, თვალ-ჟუჟუნი შვენოდა,
ინდონი ჰკვირობენ მოღიმრობასა, კეკელა მარდო.

ქ. ოდეს მოარულობ, მანგნი ჰკრთებიან, კეკელა მარდო,
სინაზის მჭვირალნი მყისუჴ ბნდებიან, კეკელა მარდო,
რად ვიხილო სხუანი ბანოვანები,
მანუგეში შვენოდა, მოღიმარი შვენოდა,
ბაგე-ლალი შვენოდა, თვალ-ჟუჟუნი შვენოდა,
ინდონი ჰკვირობენ მოღიმრობასა, კეკელა მარდო.

ქ. მუხლისა სიმაღლე-მეწამულობა, კეკელა მარდო,
წვივისა ბმულობა, მარმარილობა, კეკელა მარდო,
რად ვიხილო სხუანი ბანოვანები,

მანუგეში შვენოდა, მოღიმარი შვენოდა,
ბაგე-ლალი შვენოდა, თვალ-ჟუჟუნი შვენოდა,
ინდონი ჰკვირობენ მოღიმრობასა, კეკელა მარდო.

ნებისა სიტურფე, ნაკუთიერება, კეკელა მარდო,
თითთა ქარუად თლილთა ბუდეშურობა, კეკელა მარდო,
რად ვიხილო სხუანი ბანოვანები, კეკელა მარდო,
მანუგეში შვენოდა, მოღიმარი შვენოდა,
ბაგე-ლალი შვენოდა, თვალ-ჟუჟუნი შვენოდა,
ინდონი ჰკვირობენ მოღიმრობასა, კეკელა მარდო.

თქმული მეფის ძის ძის გრიგოლისაგან სანკტპეტრებრუღსა შინა ანასტასიაზე მუსტაზადი[15]

ეშა, მთიებო, გევედრები მე განმანათლო,
მზის უმჯობეო, მშუენიერო, ჰაერთა მნათო,
ბანოვანთ დისკო, კეკელკაო, ნარნართა თაო,
მანგმოსილობით მოხდომილო, რიდ მოსართაო,
მელნისა ტბანი გარსხდომილნი ზღუა შესართაო,
ზამბახო, იავ, ნარინჯებით სუნოვან ვარდო,
ტკბილ-საყნოსელო, სუსამბარო, ეთეროვანო.
მე გლახ დამწუარსა შენის ეშხით მკლავ ნაზიანო.

უბედო ქმნილი შევსდგომივარ შენსა მონებას,
ვიცი, მოცაჰსწყლავ შენის რხევით ჩემსა გონებას,
როდის მაღირსებ საუბრისა ტკბილ გაგონებას,
მეც შევუდგები სიკუდილამდინ შენსა მონებას.
ნეტამც ვიცოდე, როდის მისცემ ჩემს გულს ფონებას,
ვარდთა კოკორთა სუნოვანთა მასთან კონებას.
ეს ჩემი აღთქმა შეისმინე მარგალიტ-სათო.
მე გლახ დამწუარსა შენის ეშხით მკლავ ნაზიანო.

სევდა ჩემს გულსა უმრავლდების დღე ყოველ ღამით,
შენსა სურვილსა ვერ ვშორდები მინუტებ წამით,
ოდეს მოარულს განგიხილავ, მე ვდნები ამით,
უნამეტნავეს პირსა თეთრსა, შეხამულს ხალით,
მასზედა წვრილად კოკორსავით ოფლს, მოსხმულს ნამით,
მე მაშინ ვგევარ მთლად გულთაგან დაჭრილსა დანით,
ამისთვის, მზეო, შევიქნები მე საკამათო.
მე გლახ დამწუარსა შენის ეშხით მკლავ ნაზიანო.

სოფელმა ცრუმან ეს რა მიქმნა, დამწუა სრულობით,
მინდა შევიქმნე, მეცა ვიქმნე ყოვლთვის ლულობით,
არა მშორდების ეშხი მწუწლი დარაზმულობით,
თუ არ მიბრალებ, სხივი შემწუავს ასე ქმნულობით,
ერთი მაღირსე ციებაგო ვსხდეთ ჩვენ მკულობით.
რად გინდა მოვკუდე, შენც გიწიოს ცოდუამ სულობით,
ასე ჰსჯობს, მზეო, არ გამწირო, არ მყო საბავთო.
მე გლახ დამწუარსა შენის ეშხით მკლავ ნაზიანო.

აწ გამიგონე, შეისმინე, დასწყნარდი გულით,
ეგრეთ მომხედე შენის ტკბილის ლამაზის სულით,
მე ხომ შევკრულვარ შენის მშვილდის თოკების ბმულით,
აწ დავბნედილვარ სიკუდილისთვის გონება ლულით,
რადგან გხადიან ყოვლნი ერნი, მზე, არსნი ხშულით,
ანასტასიავ, შეგდგომივარ გონებით სრულით,
მე, მეფის ძის ძე გრიგოლ, გვედრი, თავი თავ შემრთო.
მე გლახ დამწუარსა, შენის ეშხით მკლავ ნაზიანო.

"თქმული მეფის ძის ძის გრიგოლისაგან ვისმეს ქალს ერთზე "სიხარულო, მობრძანდის ჭმაზე"[16]

ოდეს განგიხილე ფერად შემკული, შე იმისთანავ,
ბანოვანთ შორის განმშვენებით, შე იმისთანავ,
ვარდი ზედ დამყნობით აკოკრებული, შე იმისთანავ,
ტუჩ-კუპიდონებულო, პირად მთუარე ვსებულო,
ხმა სირინოზებულო,
იავ სურნელებულო და ჩრდილოელთა აცვიფრებ,
განმთუარებულო, შე იმისთანავ.

როდეს პანაგით მოარული ხარ, შე იმისთანავ,
შენთა მხედთათვის სასურველი ხარ, შე იმისთანავ,
ტკბილ მოუბნობით იადონი ხარ, შე იმისთანავ,
ტუჩ-კუპიდონებულო, პირად მთუარე ვსებულო,
ხმა სირინოზებულო,
იავ სურნელებულო და ჩრდილოელთა აცვიფრებ,
განმთუარებულო, შე იმისთანავ.

მაკვირვებს მკლავისა ნაკვთიერება, შე იმისთანავ,
თითთა ზომიერთა ბუდეშურობა, შე იმისთანავ,
ძუძუთა კოკორთა შარავანდობა, შე იმისთანავ,
ტუჩ-კუპიდონებულო, პირად მთუარე ვსებულო,
ხმა სირინოზებულო,
იავ სურნელებულო და ჩრდილოელთა აცვიფრებ,
განმთუარებულო, შე იმისთანავ.

ბულბული მტირალი გიგონებს მკულსა, შე იმისთანავ,
მისდა სანუგეშოდ დაცანიშნულსა, შე იმისთანავ,
რაყიფმან მიმიღო, ვგე ბერებულსა, შე იმისთანავ,
ტუჩ-კუპიდონებულო, პირად მთუარე ვსებულო,
ხმა სირინოზებულო,

იავ სურნელებულო და ჩრდილოელთა აცვიფრებ,
განმთუარებულო, შე იმისთანავ,

ვითარცა მაისში დაშვენდეს ხეო, შე იმისთანავ,
ეგრეთუმ ტფილისში ამოხვალ მზეო, შე იმისთანავ,
მაგრამ ყარიბთათვის კათათვის დღეო, შე იმისთანავ,
ტუჩ-კუპიდონებულო, პირად მთუარე ვსებულო,
ხმა სირინოზებულო,
იავ სურნელებულო და ჩრდილოელთა აცვიფრებ,
განმთუარებულო, შე იმისთანავ.

გარწმუნებ ფიცითა, ლამაზ ქალებთა, შე იმისთანავ,
კოცნიდე ჩემ მიერ, შავთა თვალებთა, შე იმისთანავ,
ძუძუთა კოკორთა ტკბილად მკმარებთა, შე იმისთანავ,
ტუჩ-კუპიდონებულო, პირად მთუარე ვსებულო,
ხმა სირინოზებულო,
იავ სურნელებულო და ჩრდილოელთა აცვიფრებ,
განმთუარებულო, შე იმისთანავ.

აზიელთა მთუარევ, პირით მდიდარო, შე იმისთანავ,
ჩრდილოელთა მზეო, არ გყავს სადარო, შე იმისთანავ,
მე, ამ ლექსის მთქმელმა შენგნით ვიდარო, შე იმისთანავ,
ტუჩ-კუპიდონებულო, პირად მთუარე ვსებულო,
ხმა სირინოზებულო,
იავ სურნელებულო და ჩრდილოელთა აცვიფრებ,
განმთუარებულო, შე იმისთანავ.

თქმული მეფის ძის ძის გრიგოლისაგან თავის უფროსის ათამანის ცოლზე ასტარხანსა შინა, დიდი მოარშიყე იყო ის ქალი და მოდნიცა, რომ მთელი ასტარხანი იხოცებოდა იმისთვის, მას ქალსა ანა ეწოდა.

ქ. "ვიხილე ტურფას" ხმაზე ითქმის[17]

ახალი, ნორჩი, აყვავებულა სუნოვან ტკბილი,
ასტრახნის ქალაქს გარდაფენია სულ მისი ჩრდილი,
მისის წალკოტის ტკბილსაყნოსელი მოეკრიფოთ ხილი,
მარად და მარად მომღიმარობით არის ზრდილია.

ვეტრფოდეთ ხალსა მშუენიერსა ციება გულსა,
ბესიკსა ტკბილსა, თუალ-ჟუჟუნას, მზედ დანერგულსა,
მშვილდ—ქამანდ მოხრით, ინდთა სროლით წამწამებულსა,
იგი სურნელი უკვდავების დარიჩინია.

მისსა მჭურეტელსა რაღათა აქვს იმ სოფლის დარდი,
ხანდი ხანდარობს ასტარხანშია მაისის ვარდი,
არის სხუა რიგად მოციმციმე ხან დარდიმანდი,
მუშკი ამბარი მკერდსა უფშვის დარიჩინია.

მას შენატრიან მზე და მთვარე აქუს შუენებანი,
მარიხ-მუშთარი, ოტარიდ-ზოალ ჰკადრეს ქებანი,
მეტად აშუენებს მოდის კაბით მორთულობანი,
მე ვით შევიძლებ მისსა ქებასა, ვერც მაჩინია.

ღირსებით ვმონოთ ტკბილ სასურველსა ქალსა ანასა,
ანგელოს ხმითა მოღუღუნე გუასმენს ნანასა,
ვინ ეღირსება მშუენიერსა ამისთანასა,
ვამბობ მე, გრიგოლ, ჩემი არის თუალთა ჩინია.

მასზედვე მისგანვე მუხამბაზი თქმული[18]

პირსა მთუარესა შუქნის ქებანი,
შავის ხალებით მოვანებანი,
მისით მომეცა ცეცხლთა დებანი,
ლამის მიმიღოს მე გონებანი,
თუ დამიძვიროს ხმის მოსმენანი,
პირსა მთუარესა შუქნის ქებანი,
შავის ხალებით მოვანებანი.

ვიცი, შემკულა ატმის ფერითა,
ვარდნი ასხედან აკოკრებითა,
ნეტამც ველირსო მას შეხებითა,
იგი დღე შემქმნის გახარებითა,
ტკბილად ვემთხუჩვი ნეტარებითა.
ათას წელს მეცეს მაშინ რებანი.
პირსა მთუარესა შუქნის ქებანი,
შავის ხალებით მოვანებანი.

ვიწვი, ვიტანჯვი მგრგვლივ შენსა არეს,
ოდეს ვიხილავ მაგ პირსა მთუარეს,
აროს მაღირსებ შენ სახლთა კარეს,
არც მიდამოსა გარეგან გარეს,
თუ არ მაღირსებ საუბარს მკმარეს.
მაშინ მეცემის სენი, ვნებანი.
პირსა მთუარესა შუქნის ქებანი,
შავის ხალებით მოვანებანი.

მაისის ვარდო, ნამით ცურეულო,
შაშპრავ, ზამბახო, სოსან რეულო,
ზილფო, კავებო, გარდათხეულო,

მწუანის კორდითა შენართეულო,
მშვილდო, ქამანდო მოზიდებულო,
ისარო, გულსა გაზიდებულო,
შენის შვენების ვინ თქუას ქებანი.
პირსა მთუარესა შუქნის ქებანი,
შავის ხალებით მოვანებანი.

მზეო, იკმარე ჩემი ვნებანი,
ეს ჟამ გულისა უკურნებანი,
ერთხელ მაღირსე შენი ხლებანი,
მეცა ვიყნოსო კოკრთა შენთა სურნელებანი,
მითი მომეცეს სალბუნებანი.
პირსა მთუარესა შუქნის ქებანი,
შავის ხალებით მოვანებანი.

ვიცი, მოკუდები, რას მატებ სულსა,
რად ვის დაუჭერ მაგ ტანსა მკულსა,
რად არ მიბრალებ ისარ-ცემულსა,
სადაფის კარსა არ ჰყოფ ღებულსა,
ცეცხლს არ დამიშრეტ აცანთებულსა,
შავმან რათ ჰსჭამოს შენი ტრფობანი.
პირსა მთუარესა შუენის ქებანი
შავის ხალებით მოვანებანი.

ასე უბედო სვისაგან ქმნილი,
ვარ არავისგან ნუგეშცემული,
კუბიდონისგან ისარცემული,
ულხენის სენით დამძიმებული,
გეედრებ გრიგოლ, მყო შეწყალებული,
მაკმარო ესდენ მე დაბნედანი.
პირსა მთუარესა შვენის ქებანი,
შავის ხალებით მოვანებანი.

* * *

სუფ ჩემი იქმნა წყეული, როდეს მომშორდა ვარვარა,[19]
ცას მოწმენდილზე მზის სხივი ღრუბლით მეფერა, ვარვარა,
აწე ვცრემლოდინ ნიადაგ დღე ბნელად მექცა, ვარვარა,
ამად ვსტირ, ნუთუ არ მომხვდეს მე სიცოცხლითა ვარვარა.

ედემ ნაზარდი, კეკელა, ბანოვანთ თავი ვარვარა,
კეკლუცთა შორის უტკბოსი, პირ-ბადრებული ვარვარა,
შეიდნი ცთომილნი ჰეტყვიან, შენ დაგნატრიან, ვარვარა,
ამად ვსტირ, ნუთუ არ მომხვდეს მე სიცოცხლითა ვარვარა.

სამოთხის ბაღის ყვავილო, საყნოსად მაქუნდი, ვარვარა,
უფრჭვნელო ვარდის კოკორო, მზით გაფურჩენილო, ვარვარა,
ბულბული მოჰკალ უწყალოდ, მშობელთ გულ მიე, ვარვარა,
ამად ვსტირ, ნუთუ არ მომხვდეს მე სიცოცხლითა ვარვარა.

მაისის ვარდო, ნამით ცურეულო,
ყოველთ სანატრელო, ვარვარა,
იავ, ზამბახო, მყნოსელთა მაცოცხლებელო, ვარვარა,
პატმოსის ბაღის ხილები მკერდს გასხდეს კოკრად, ვარვარა,
ამად ვსტირ, ნუთუ არ მომხვდეს მე სიცოცხლითა ვარვარა.

ვისთან მივიდე მტირალი, ვინ მიპატრონოს, ვარვარა.
თუალთა ცრემლ-ჩამოდენილსა არ მიალერსებ, ვარვარა,
შენის ჭიკჭიკით უბნობას რად აღარ მასმენ, ვარვარა,
ამად ვსტირ, ნუთუ არ მომხვდეს მე სიცოცხლითა ვარვარა.

არსაით ნუგეშ ცემული რაზედ დამაგდე, ვარვარა,
მშობლისგან დაობლებული, შენგნით მეორედ, ვარვარა,
მომიგონებდე, გახსოვდე შენთვის მტირალსა, ვარვარა,
ამად ვსტირ, ნუთუ არ მომხვდეს მე სიცოცხლითა ვარვარა.

გული, საგული, დაგული, ლახურითა დასჭერ, ვარვარა,
ვაიმე შენსა გაყრილსა რა სული მიდგას, ვარვარა.
სიცოცხლე ჩემი შენ იყავ, ნუგეშად მყვანდი, ვარვარა,
ცხოვრება წარსულთ მიარმე, ამ სოფლად შემქმენ, ვარვარა,
იმ სოფელს მაინც განგიცდი, მუნც ვითა გინდა, ვარვარა,
შენგნით მოკლულსა გრიგოლსა გნებავს,
აცოცხლებ, ვარვარა.

თქმული მეფის ძის ძის გრიგოლისაგან მაია ბატონიშვილზე, ოდეს ყიზლარში ტყუვდ იყუნენ დავით ბაგრატიონის შვილის ქალს მაიაზედ

"მაღრიმ შენთან შექცევას" ხმაზე[20]

ვეტრფოდეთ მშუმნიერსა ვარდსა აყვავებულსა,
მაისში აკოკრებულს, ედემ-სურნელებულსა,
კამკამ პირის მშვენებით ახლად აღნორჩებულსა,
ციებაგსა შემკულსა ბესიკს დატკბილებულსა,
შეუვრდეთ ფერხთა მისთა კუალსა წაარებულსა.
ვეტრფოდეთ მშუმნიერსა ვარდსა აყვავებულსა,
მაისში აკოკრებულს, ედემ-სურნელებულსა.

რადგან ხარ დაუჭკნობი, დაუზარელი დიანა,
მყნოსველნი იყნოსებენ ნარინჯთ შენთ არ გვიანა,
ტრფიალთათვის სურნელობ ზამბახ-სუმბულიანა,
ინდთა ჯარნი რაზმულნი ძოწს ჰყურობენ სვიანა,
ზილფო, ბროლო, სარაზო, ნუ მკლავ უწყალებულსა.
ვეტრფოდეთ მშუმნიერსა ვარდსა აყვავებულსა,
მაისში აკოკრებულს, ედემ-სურნელებულსა.

ბაბილურად ბალახში ბედ სამსა ბაძავს ბაგით,
დისკოდ თხზულ დალალ დასად გიშრად გუგა მწევავს ამით,
მშვილდ-ქამანდით, მოხრილით, ისარსა გტყორცნის შორით,
მარგალიტ-კბილ-წყობილსა ლაწუსა ვჭურეტთ მცირეს ჟამით,
მელნის ტბის თუალებითა არა გუყოფს შეწყალებულსა.
ვეტრფოდეთ მშუმნიერსა ვარდსა აყვავებულსა,
მაისში აკოკრებულს, ედემ-სურნელებულსა.

შენს შემხედუმლს რათა აქუს, მიკვირს,
ამ სოფლის დარდი,
იერიქულსა მტილსა რადგან იშლები ვარდი,
ჩინ-მაჩინსა, ფრანციას, რუსეთს არა გყავს ფარდი,
ყოფა-ქცევით მიმოძურით, ყუმლაზე შენ ხარ მარდი,
რას მიხუდები სარგებელს ჩუმნ ვუხედავთ
ცეცხლადებულსა.
ვეტრფოდეთ მშუმნიერსა ვარდსა აყვავებულსა,
მაისში აკოკრებულს, ედემ-სურნელებულსა.

ულმობელო, მარიხო, დასჭერ ლახურით გულია,
თუ არ ჰკურნებ ამ წყლულსა, მიმეხდების სულია,
წყლულსა ამას ემპლასტრე, შენგნით არის წყლულია,
მოკვლისათვის ვინ გითხრას: შაბაშ, ტაშდაკრულია,
შენც მოგუხდება ნაცუალი გნახავთ ვალალებულსა.
ვეტრფოდეთ მშუმნიერსა ვარდსა აყვავებულსა,
მაისში აკოკრებულს, ედემ-სურნელებულსა.

თქმული მეფის ძის ბატონიშვილის გრიგოლისაგან ხელმწიფის ძმის მოძღურის ქალზე

შაინაზე ითქმის შაფშურმასავით[21]

თხემს ვარდნი კოწოწს კონწეულობით,
შვენოდეს სათნი ღვარჭნეულობით,
შარავანდობა შუბლ-ფეთქულობით ცისა მსგავსადა მჭირეეულობით.
მეწამულობა ლოყის მშვენობით, ბაგე-ბალახში კეკლუცაობით,
ვარდნი კოკობნი ახლად შლილობით,
მკლავნი ბუდეშურ კამკამულობით.

შვიდ მთიებულად, გაბადრებულად,
კრონოს უმჯობე აღბრწყინებული,
პირნაკვეთობა, სფეროს დარობა, ზოალცა მისგან დაწუნებული,
მშვილდ მუშაობით, ირისეობით, ისრებით გუგა დაფარებული,
ტან ყოვლადობით, კერძო ბმულობით,
მკერდს აფროდიტი ყირმიზებული.

ზროტანისა წერწეტობა, წერთნა და მისი ნაზად რევა,
დაკნინებით მოარული, კაფ-კაწაწთა მიმორხევა,
რიტორულად მოუბარი, მსმენელთათვის გარდარევა,
ებანთაცა ხშირად მწერთნელი მომწონს მისი ყოფაქცევა.

მჭვრეტნი იხილავთ მას ზედან მრავალთა კეთილობათა,
სხუა საჭურეტელად ტურფათა, სხუა ტკბილხმა მუსიკობათა,

ქალთა და ყმათა შემკულთა, მათ შიგან ტანცაობათა,
გშვენოდა მისგან სალამი, თავაზით ნება-ნებათა.

მზემან მისმან, არა ძალმიძს, რომ ვსთქუა მისი ქება სრულად,
შეყრილ იყვნეს ქვეყნის ბრძენნი,
სოლომონცა მისთვის მკულად,
ანუ ღომერ მეცნიერი, ისიც დაშვრეს ხანდაზმულად,
ვერ აღწერონ ქება რამე, ვერც სიტყვა თქვან დამალულად.

ტანთა ემოსა ატლასი, ჩიგინ ნაკერი ალისა,
ყირმიზსა პირსა უხდება შავ ნაკვეთობა ხალისა,
ბუდეშურ-ალმას თითებსა ნეკს ბეჭედი აქვს ლალისა,
მე ვანუშასა ბედკრულსა ეშხი მკლავს ანა ქალისა.

ეს ქუჩმო ლექსი რუსულის წიგნში ეწერა და მეფის ძის ძემან გრიგოლ გადმოვთარგმნე რუსულიდამ ქართულად ისევ ლექსად პეტრებუხსა შინა[22]

* * *

გულფიცხელი მმუხანათობს მარის იქმნა გარდარევით,
შემომკადრა მე, ნარნარსა, ჩემდა ზღუჩვად იქმნა შვებით,
ფიცი თვისი უარეჰყო სიყუარული განშორებით
და იქმნა მიმდეგ ვნებათადმი, ეშმაკთაგან განხელებით.

ოდეს მითხრა, გული ჩემი შენს იქითა არა რბოდეს,
სიყუარულსა შენსა ჩემგან ბედნიერ ხარ, ხშირად ხმობდეს,
მაჩუჩნებდა კაეშანსა, ხუაშიადსა ყოვლს მითხრობდეს
და მეცა ვიყავ მისთვის მკუდარი, გული ჩემი მას ერთოდეს.

საყუარლისასა ვგონებდი, სხუა არვინა ჰყავს არ ოდეს,
მყისად იხილა ჩუმნება, ტრფიალი სხუა უჩნდებოდეს,
აწ დამივიწყა უწყალოდ გული მისთვისთვე კვდებოდეს
და მარის მეორე შეიტკბო ყოველთვის მისთვის ბნდებოდეს.

გარნა, გულო, შენ ბოროტად, მუხანათად მექცეოდი,
შურისგებად შემომაჩნდი, სხუად არარად გეჩნეოდი,
ვნება ჩემი უკდომელ არს, არად მხადე გეჩნეოდი
და მუდამ გახლდი უშორებლად, არაოდეს გექცეოდი.

ამაო არს რაცა მიყავ, მაშურალობა თუმცა ხმისა,
გამრყუნელადი შუაღამის, ერთსა ჟამსა, კარგის მზისა,
მიმაჩნია და უწოდებ ამაოსა მსგავსად მთისა
და თუმც ვეძიებ, არარად მჩანს საწუთროსა ჩემს და სხვისა.

მდუმარედ არს ყოველი მხარე, უდაბნო და მთა და ველთა,
ელენორავ, ტყება გმართებს გარდმოშუშბა
თვალით ცრემლთა,
რადგან იყო შექმნილ მარის შემიწყალეთ გამგონელთა
და ვნებისათვის ნარნარისა სიკუდილსა ვხვდი განწოლველთა.

მტირალი დავჯე, აწ რა ვყო, მან მიქმნა მოუგონები,
ვერ მოიძაგებ გულო და სიკუდიმდე დაემონები,
გულო, ნუ დასთმობ საყუარელს მისსავე ცეცხლსა დაები,
და ვა, რა ძნელ არის შორება, ტრფიალსა ვერ ეკონები.

საყუარელო, გევედრები, შენ მიაგე მაგიერი,
რისთვისაცა მომიძულა და თვით იქმნა შმაგიერი,
არ ისმინა თხრობა ჩემი, არცა სიტყვა ლმობიერი,
და ღმერთსა ვსთხოვ, რომ გაზღუშვინოს,
რისხუა მოგცეს ზომიერი.

ხმაურობენ აწ ღელუანი ჩემს წინაშე მომდინრობით,
მრისხანენი, სასტიკები გამრავლებით ჩემზე ხმობით,
ეგრეთ სხუანო, დაფარულნო, ღრუბელთ
ზედან მოკიდებით
და თქუმნცა ცისა სიბნელითა შეიქნებით შეღონებით.

თქუენდა მომართ მოწევნულ არს ხმა ჩემისა უბედობის,
ფიცხლად ლოლუა ცვალებადი,
თქუმნიც მყისად გამოჩნდების,
უცხრომელად უბედობა მათი სული ყოვლთვის კუდების,
და თუმცა ცხად ჰყოფ სიყუარულსა, ღღეცა
ჩემი დაბინდდების.

აწ წარწყმდა ჩემი ცხოვრება, ყოვლი
რაც მქონდა სრულობით,
თქუენ არა ძალგიძს შეყრაღა მის მზისა შეცამკულობით,
რადგან ეთანხმა იგი სხუას და განგეშორა მკულობით,
და კითხოს მასაცა პასუხი მას სხვისა შეცართულობით.

ეს წიგნი სრულიად დაწერილი მქონდა, როდესაც თავადი გრიგორი იოვანეს ძე ბაგრატოვანი მოსლვული პეტერბურხითა მეწჳვა სადილათ ერთად თავადისა ზახარია ზაალის ძის გურამოვითურთ. ჩყკზ-სა წელსა, იანვრის ბ-სა და შემდგომად სადილისა დავაწერინე მის მიერ თქმულნი ლექსნი, რომელნიცა, ვერა მპოვნელმან უშორესთა ფურცელთა შინა ადგილისა, დავსწერე აქა.[23]

* * *

უწყალომ ტრფიალებამ მოთმინებასა ძნელსა
მიმცა, მოულოდნელად, განვშორდი საყუარელსა,
რა მექმნების უბედოს დავჰშთი გლოვისა ველსა,
მჭვრეტდით მრავლად მიჯნურნი საყუარლისათვის ხელსა.
ესდა დამჰშთა ნუგეშად, ტრფობის აღმსრულებელსა,
ვინატრიდე სიკვდილსა, ვჰღვრიდე მწარესა ცრემლსა,
ვის ძალ-ედვას უმისოდ ვინ გამინათლებს ბნელსა.
უწყალომ ტრფიალებამ მოთმინებასა ძნელსა
მიმცა, მოულოდნელად, განვშორდი საყუარელსა.

დაბნელდნენ ყოვლნი მნათნი, ჩემ დღეთა ცხოვრებისა,
არღა მჩანან არ სხივნი, მათნი განბრწყინებისა,
უტანჯუწლად მახსოვდეს დღენი ტრფიალებისა,
სრულად არ მქონად ძალნი ამად დღენი კლებისა,
მიმრავლდების ფიქრნიცა, ხამს განვშორდე სოფელსა.
უწყალომ ტრფიალებამ მოთმინებასა ძნელსა
მიმცა, მოულოდნელად, განვშორდი საყუარელსა.

სიყუარულის ტაძარი ოდეს მომაგონდების,
მუნ მრავლად დატკბობანი თუალწინ წარმომიდგების,
ვითა მოითმენს სული, მყის გული შეღონდების,

ვიქნები უგრძნობელად თუალნი მიმებინდების,
სადა არს კუპიდონი, ვინატრი მარად მცუელის.
უწყალომ ტრფიალებამ მოთმინებასა ძნელსა
მიმცა, მოულოდნელად, განვშორდი საყუარელსა.

ვითა მოვსთქუა, არ ძალმიცს ფრიადნი ჩემნი ჭირნი,
დღითი დღე განმრავლებით, სევდანი სულთქმა ხშირნი.
სიყუარულის საგნისა, ჰამბავნი მექმნენ ძვირნი,
მქონან ყოველნი შვებანი, უშორეს განაწირნი.
ამად დაჰსტყვევდა გული, მივეცი ცეცხლსა მწუმლსა.
უწყალომ ტრფიალებამ მოთმინებასა ძნელსა
მიმცა, მოულოდნელად, განვშორდი საყუარელსა.

მიგლოვდით, მეგობარნო, ვის გაქუსთ ჩემთვის წყინება,
ეს გუარ ჩემნი ტანჯუანი მსჯავრმან ესრეთ ინება,
იცავდეს საყუარელსა, ჰყოს ზრუნვის მოფინება,
თუ არ მიჰსწრო სიკუდილმან მნახავთ ტაძრადვე მსლუმლსა.
უწყალომ ტრფიალებამ მოთმინებასა ძნელსა.
მიმცა, მოულოდნელად განვშორდი საყუარელსა.

ოდეს კონსტანტინე ბატონიშვილმა თავისი ცოლი გაუშვა - ანასტასია აბაშიძის ქალი და იმ ქალის მენენიცობა მოვიდა – ანასტასიაობა - და მე, ბატონისშვილმა გრიგოლმა, მივსწერე ეს ლექსი კონსტანტინეს მაგიერათ ანასტასიას[24]

* * *

ალვა დარგულსა, კოკორად სხმულსა,
მისთვის ცეცხლი არად მწვისა,
ქებად მკულსა, დადაგულსა,
ვარდს ბულბული ვით დასჭვირსა,
ივერთ მზისა სინაზისა აწ ჩრდილოეთს გამოსჭვირსა,
და საყვარელსა მისთვის კრულსა ეშხი დამწვავს
მე მის მზისა.

ოდეს მივწერე უკანასკნელი წიგნი ჩემს საყვარელს ეკატერინეს ეს ჩახრუხაული ფისტიკაური[25]

ქ: ეკატერინავ, მჴნოსელ-ზმირინავ,
მე შენის ეშხით ვიწვი წყენითა,
როს განგიცხადე, გულს განუცხადე შეხებად შენდა
მყავცა წვევნითა,
იქნება მყოცა, რომ შემამკოცა,
მე გავძღე შენის კოკორთ ხვევნითა
და ილმე და მოლბი, ტკბილად სალმობი,
მე შენდა მტირალს გვედრი ზენითა.

ლექსი გრძელდება, გადატანის მანიშნებელი სიტყვები „სადა ღმერ.," ჩვეულებრივ, მითითებულია: მაგრამ ხელნაწერი სხვა გვერდზე გრძელდება.

ანბანთქება მისგანვე თქმული უცხო ერთს ლამაზ ქალზე შაირი[26]

აღმკულ ალვა აღბუტკებით, ამოდ აშვენს აერს ამით,
ბროლ ბალახში ბაბილურად ბეთსამოსა ბაძავს ბაგით,
გიშრად გ'უგა გარდაცმული გულს განგმირავს
გრიგლის გებით
და დისკოდ დალალ დათხზულ დასად დამაწყლულა
დამწუა დაღით.
ესურვების, ესარების, ედემს ელვად ეკრთებოდეს,
ვაშად ვნახე ვარჯნი ვაზად, ვისით ვინმე ვაებობდეს,
ზარფი ზილფი ზე ზოსტერებ ზაპები ზედ ზუმირობდეს
და ჱსრეთ ვსჭკნები, ჱჰა, მისით ჱრთა ჱრთგზის ჱსობოდეს,
თვითნათეობს თითნი თლილნი, თამამ თანად თანანობდეს,
ირისესა იგვრდივ იუხუჱვს, იასამნით იაზნობდეს,
კავნი კოწოლ კონწეულად კისკისითა კამკამობდეს
და ლამაზ ლოყა, ლაშა ლალთად, ლაინი ლომს
ლალვით ლმობდეს.
მანუილი მანგ მოსილად მკლავ მოხრილი მანიაკობს,
ნარგისთ ნამავს ნაზაღნობით ნარდიონთა ნახვით ნაობს,
ოქსინოსა ოტარიდი ოღი ორთა ოქროთ ოვნობს
და პირის პირად პაზიონით პერპერასა პეშვით პოობს.
ჟალთი ჟანტი ჟუჟუნასა ჟირი ჟამად ჟონავს ჟინად,
როპანაგსა რონინითა რაგუარ რხევდა, რავდენ რიგად,
სათუთს სათი საალერსოდ სარდიონთა
ჰსწუავდა სუფთად
და ტრფიალს ტანჯუა ტაატითა ტყუჱნიც ტირან
ტურფას ტურფად.
უბანდა ზედა ულუმპით უტევებს უხუად უჭკნოსა,
ფიფილო ფარღულთ ფრიალით ფიალფალ ფიკად ფინოსა,

ქალთა ქალისა ქრიალი ქველ ქაჯად ქარებ ქინოსა
და ღაბაბ ღუღუნას ღიმილი ღიღინით ღვრიდეს ღვინოსა.
ყარამფილი ყორან ყრილად ყელსა ყინავს
ყოველს ყბებით,
შაშპრა შავად შვენებითა შებნედილან შემოშუჱბით,
ჩინეთითა ჩაჟუჟუნებ, ჩასტკბობია ჩამიჩებით
და ციერითა ჰსცროჲ ციდამ, ცისკარებრ ცრის ცასა ცონით.
ძივთი ძუძუთ ძგიფით ძილსა ძვირათ ძმათა
ძირსა ძღნობდეს,
წახნაგითა წაცაბმულსა, წარბ-წამწამ,
წელ-წერწეტობდეს,
ჭირნაოსა ჭასა ჭავლით ჭაბუკად ჭა ჭყირტად ჭურეტდეს
და ხმითა ხანად ხარხარობდეს, ხარა ჴავერდს ხიშტიკობდეს.
ჴელით ჴელქმნა ჴელოვნურად ჴერხითა ჴელოვნებანი
ჯაშუშად ხადა ჯომარდნი ჯიბისად ჯავარობანი,
ჰაზრით ჰასაკნი ჰაცთუნა, ჰარაიელთა ჰობანი
და ჵი, ცუდად შესცდნენ ყველანი,
ველარ ვითმინეთ თმობანი.

მისგანვე მასზედუჱ მუხამბაზი ანბანთქებით[27]

ალმკულს ალუასა აელუჱბულსა,
ბალახშ ბაიას ბაბილებულსა,
გუგის გიშრითა გაელვებულსა,
დისკოდ დათხზულსა დალალებულსა,
ედემოვანსა ეთერებულსა,
ვარდსა ვამიანს ვანანებულსა,
ზილფსა ზარიფად ზანანებულსა,
ჱსრეთ ვემონოთ ჱლუარებულსა
ალმკულს ალუასა აელუჱბულსა,
ბალახშ ბაიას ბაბილებულსა.

თმანი თანჰსწორად გრუსად თხსეული,
ირისე იგურდივ იასპებული,
კაენი კოწოლად კოწიწებული,
ლოყა ლაშ ლალით ლამაზებული,
მელნის ტბას მსხდომნი მაყლოვნებული,
ნატიფნი ნავად ნარგიზებული,
ორი ორორად ოინებული,
პირით პრწყინუალედ პირ ბადრებული.
აღმკულს ალუასა აელუჩბულსა,
ბალახშ ბაიას ბაბილებულსა.

ჟამით ჟამვარი ჟამად ჟივჟაობს,
რხევით რაულად რთუად რობანაობს,
სურნელთა სულსა სლვით სუმბალაობს,
ტრფიალთა ტვირთად ტანით ტატაობს,
უცხოდ ურიდად უსუფთიანობს.
ფეხთა ფაქიზად ფარაღიალობს,
ქუეყნად ქებული ქარად ქრიალობს.
ყოვლნი ყმად ყმობენ ყინუარებულსა.
აღმკულს ალუასა აელუჩბულსა,
ბალახშ ბაიას ბაბილებულსა.

შეხედვით შვენის შეცამკულობით,
ჩახატულია ჩინებულობით,
ციერნი ცუდვენ ციმციმ ცილობით,
ძუძუ ძნიადობს ძოწეულობით.
წელსა წერწეტსა წვრთის წარობობით,
ჭაბუკნი ჭვრეტენ ჭეჭელებულსა.
აღმკულსს ალუასა აელუჩბულსა,
ბალახშ ბაიას ბაბილებულსა.

ხელის ხმარებით ხმილავთ ხარებსა,
ჴელურად ჴდებინ ჴედუჩნ ჴალებსა,
ჯოჭზედ აჯილდობს ჯგუფად ჯარებსა,
ჰაი ჰაერით ჰარეთ ჰარებსა,
ჵი, ბარბარეს ვმონოთ ქებულსა.
ალმკულს ალუასა აელუჩბულსა,
ბალახშ ბაიას ბაბილებულსა.

ანბანთქება – ანზე ვისი ყმა ხარ – ბატონიშვილის გრიგოლისაგან თქმული[28]

ქ: ათინას ბრძნულად გაზრდილი ანგლიად ვლიდი არესა,
ადამს ვეახელ აბრაამ – ამად რა ლმობიარესა,
არყისა მშვილდი ხელთა მაქვს აკაკის ისრით დარესა,
და ასკატსა აფსკსა დავასვი – მომფრინალს
მყისად ჰაერსა.
ქ: ბაბილონით მოარულმან ბერძნილს გაველ გზასავალად,
ბადრი ვეყმე ბაგრატ ლომსა, მას, ჭაბუკსა,
ქებულს ძველად,
ბარდის მშვილდი ბრწამლის ისრით მოვიმარჯვე
მყისად კელად,
და ბაბრსა ბაყვი დავალეწე, სიკვდილს
მიხვდა განწოლველად.
ქ: გურიას ვიყავ, ვიხილე, გოლგოთას მგზავრი დიოდეს,
გაბრიელს გავყევ გიორგი, არარაიდა მტკიოდეს,
გრაკლისა მშვილდი გუნდისა ისრითა მოიწიოდეს.
და გუგულსა გული გაუპე, ხშირ–ხშირად ვეღარ წიოდეს.
ქ: დარბანდს მესმა კაცის ქება, დიდოს წაველ სანახავად,
დავით ენახე დიმიტრიმან, მან არა მყო საძრახავად,

დაფნის მშვილდი გზაზედ ვსთალე — დიდგულისა
ისრის მდგარად,
და დათვსა ვსტყორცე, ბაყვსა ეცა, სიკვდილი
ხვდა გასამწარად.
ქ: ეგრისით ვლიდი ელადად საქმისა რასმე მქონები,
ეგნატ ვეახელ ერასტის — არ მცირედ მოვეწონები,
ეკალ-მუხისა მშვილდმჭერი, ეკლისა ისრის მკონები,
და ელქაჯსა ენას დასობით, მით ვიქმენ თავმომწონები.
ქ: ვენას ვიყავ, მომეწონა, ვარშავისაც მესმა ქება,
ვახტანგს ვახლდი, ვმსახურებდი, ვასილს არ მხვდა
მასთან ვნება,
ვაშლის მშვილდი ვარდის ისრით მითი მივეც
მტერთა ვნება,
და ვეფხვსა ვენგნი განუტვინე, მას შეექმნა სულთ ხდინება.
ქ: ზაულისტნით ზუგდითს მოველ, სანადირო მიქეს ქებით,
ზაალ გმირი მუნ ცხოვრებდა, ზურაბ დამსვა დია შვებით,
ზმილაკისა მშვილდი მაქვნდა, ზღმარტლის
ისრით ზედან გებით,
და ზირაქაი ზურგსა დავჭერ, მიველ, ვნახე, იწვა ვნებით.
ქ: წრევნით მოვლე წრათი, ვიარე ცოტა გვიანად,
წროდიმ მნახა, შემიტკბო, წვსეიმ ვმონე ჭკვიანად,
წლიანდრისა მშვილდ მქონი, წლატის ისარ ფრთიანად,
და წროდიონსა მოცავკლავ, დღეს დაუბნელებ მზიანად.
ქ: თავრიზით ვლიდი თბილისად, ვლიდი ებანთა არესა,
თამაზს ვეახელ მორბედოვს, თაყა მყო შესაზარესა,
თურინჯსა მშვილდად მივსრიდი, თბილის ისარსა მწარესა
და თრიასა თირკმელს ვსტყორცნიდი, ვლიდი მთასა
და ბარესა.
ქ: იალბუზის მთა მაღალი ინდოეთით დავინახე,
იოანე წაცამოველ, იუპიტერ მუნ მოვნახე,
იფნის მშვილდი იასამნის ისრით მარჯვედ მოვიმახე

და ირემსა ვკარ იღლიასა, მას დღე ექმნა სავახვახე.
ქ: კონსტანტინეპოლს დავყავ ხან გრძელად, კესარად
ვდე გზად ნელა-ნელად,
კურატი ენახე ჭაბუკი ქველად, კიკო შემიცნო არა
მკრა ხელად,
კუნლისა მშვილდი გათლილი ძეელად,
ისრად კვიპაროს შევაგე ხმელად
და კაკაბსა ვექმენ კუჭგამპობელად, როს მიველ, ენახე,
სისხლი ზდის მწველად.
ქ: ლალის ყურსა ესვი ღვინო მრავალი, ლილოს გზას
ვიქმენ ცხენით მავალი,
ლევან ვიახელ მსწრაფლმიმავალი, ლუარსაბ გავყევ
დაუმალავი,
ლიმონის მშვილდით მით ვარ მავალი, ისარნი ლედვის
მაქვნ უთვალავი
და ლომსა ვებრძოლე დაუღალავი, ლოყასა დავჭერ
სისხლ წამავალი.
ქ: მაჩინს ვსცხოვრებდი მე, ვინმე, მდიდრად,
მანდრიტის ქალაქს შევიქენ მწირად,
მანუჩარ მეფემ გამხადა გზირად, მამუკა მიცნო,
მერმე მყო გმირად,
მუხისა მშვილდით ველს ვსდგევარ მზირად,
მალაჩინისა ისრითა ხშირად
და მიმინოსა ვკარ მხარ განაფრინად,
ბეჭი მოვსტეხე, ვყავ განაწირად.
ქ: ნეაპონელთა ქება შევკადრო,
ნარვის ქალაქსა ვიყავ საქებლად,
ნარიმან გმირსა მას არამწირსა,
ნიკოლოს ვეყმე მას საამებლად,
ნაძვისა მშვილდი ძლივ მოსაზიდი,
ნეკერჩხალს ისრად ვყოფ ზედ საგებლად

და ნიბლია ჩიტი, არა აქვს ფიტი,
ნაწლავში ვსტყორცე მწვად ასაგებლად.
ქ: ჲსპაანით, ჲერიქოდ მოვიდოდი მსწრაფლად გზასა,
ჲსავროი ჲანჩნიონს, ვმსახურებდი ვიყავ მზასა,
ჲელისა მშვილდი მაქვნდა, ჲლის ისარს დია მწარსა,
და ჲრელსა ვკარ, ჲგვრდივ ეცა, ვერ აქებენ მისა მწვარსა.
ქ: ოსმანით ვლიდი ოდიშად, შავს ზღვას გავცურე გემითა,
ომან მგზავრობდა ჩემთანა, ონოფრე მოვსწონ ქებითა,
თავისა მშვილდი შემკული, ოსტერას ისარ გებითა
და ოთხოპოტს ზღვისა მხტომელსა ორ ფრთას
დაცავსჭერ სობითა.
ქ: პარიჟელთა ხელოვნება პოლშას ვნახე, მომეწონა,
პატართ უცხოდ ზრდილსა პარმენ გავხედ,
ვნახე მისი მონა,
პანტის მშვილდსა პიტუნისა, ისარი უდგს არ სალონა
და პრანწიაი პირსა დავსჭერ, ვერ მოვიდა ისრის წინა.
ქ: ჟინვარს გაველ არაგვის წყალს, ჟამურს აველ
ოსთა ნახვად,
ჟოჟიკ მიცნო ჟაჟუამან, სიტყვა მითხრა სავახვახად,
ჟოლოს მშვილდი ჟონჟოლისა ისრითა ვყავ მოსახრავად
და ჟორჟორაკს ვკარ, არა ვიცი, სად დაესო,
მოკვდა ვახად.
ქ: როსია მოვლე სრულებით, რომსა შევიქენ რებულად,
რაინდ ვიხილე ხელმწიფე, რამაზ შევბრალდი ვნებულად,
რაფინდის მშვილდი მოვხარე, რცხილა ისრად
ვყავ გებულად
და რევმაში დავსჭერ რემაკი, გამოვჩნდი სხვებზე
ქებულად.
ქ: საქსონია მოვიარე, სერბიაში მიველ მწირად,
საულ ვნახე, შემიყვარა, მე, სოლომონ, ვახლდი მწირად,

საპონისა მშვილდი ვსთალე, სკუნლა ისრად ვუჰსვ
ფრთასხმულად
და სვავესა სასა შევაწყვიტე, სიკვდილს მიხვდა განაწირად.
ტანძიელმა ტულს ვიხილე, მუნ სხვად და
სხვად ხელოვნება,
ტარიელ გმირს განუცხადე, მე, ტიმოთემ მოყმულება,
ტერე-ვინთო მშვილდად მომცა და ტყემლისა
ისრის წყობა,
და ტრედსა ვსტყორცე, ტვინსა ეცა, მას მოედვა ცეცხლთა
გზება.
ქ: ურბნისს ვიხილე ურბნელი, ურუმსაც წაველ შვებითა,
უსეინ ვნახე თათარი, ულუმპი გავხე ვნებითა,
უზნისა მშვილდი თან მაქვნდა, ურთხლისა ისარ გებითა
და უზამბარს უპე გაუპე, მოკვდა სისხლ მრავალ ვნებითა.
ფსკოვის ქალაქით მავალი, ფრანციას მოველ, ჩამოვხე,
ფარსმან ქველი მუნ ცხოვრობდა, მე, ფილიპემ, მიველ,
ვნახე,
ფუფალისა მშვილდი მიძღვნა, ფიჭვი ისრად
თვით მოვნახე
და ფასკუნჯს ვსტყორცე ფეხსა ეცა, სულთ ხდა ექმნა
სავახვახე.
ქ: ქაშმირს დავყავ მცირე ხანი, ქუთაისად ვიქმენ მრები,
ქუთათელმა ქაიხოსროს, ამბავი მრქუა სხუა და სხვები,
ქორაფისა მშვილდი მაქვნდა, ქაცვის ისრით ზედ ნაგები
და ქურთუკსა ვკარ ქეჩოს ეცა, მიწას იქმნა დანადები.
ქ: ღამბურღის ქალაქს ვივაჭრე, ღოღეთს ძლივ მოველ
ჯაფითა,
ღომერ განკვირდა, როს მნახა, ღამარ ასვრილი ქაფითა.
ღოღნოშოს მშვილდის ღიჯისა ისარი ვირგე სწრაფითა
და ღორს ღვიძლი შუა გაუპე, მივრბოდი ცეკვა დაფითა.
ქ: ყადაარს ვიყავ, წამოველ, ყიზლარში ვიყავ გვიანად,

ყარამან გმირსა შემოეხვედი, მე ყათრან ლომი ჭკვიანად,
ყურძნის ხის მშვილდსა მოვმახავ, ყაისის ისარს
ფრთიანად
და ყაპუზენსა ეკარ ყიასა, დღე დაუბნელე მზიანად.
ქ: შირვანელი შამახიას დავიდოდი სახლსა წინდა,
შერმადინის ქება მითხრეს, შიოს ნახვა მისი მინდა,
შინდაწნლისა მშვილდი მეპყრა, ისრად მთხოვა,
შევადგი და.
და შავ ბარდიელსა შუბლში ვკარ, დღე მზიანი დაუბინდა.
ქ: ჩერქეზს ვიყავ, ქება მესმა, ჩინეთს წაველ, გზასა
გრძელსა,
ჩიკოიძეს ჩეჩი გავყევ, კაცსა მუნით წაცამსულელსა,
ჩინარის მშვილდს ხელთა ვიპყრობ, ჩამიჩის ხის ისარს
ძველსა
და ჩხიკვსა ჩიჩახვს განუტევინავ, მხარ გაშლილსა, გა
ცამძერელსა.
ქ: ცხომარეთით ცხავატს შევხვდი, კაცსა ნაცნობს
მიმავალსა,
მე, ციცერონ, შეცავსთხოვდი ციციშვილის ძველსა ვალსა,
ცაცხვის მშვილდი ცხრა ტყავისა ისარს ვსტყორცნი
ნადირ მალსა
და ციყვსა ცხვირსა ეცა მარჯვედ ხის წვერზედა
მორბინალსა.
ქ: ძევერელი ძორეთს აველ, მთის ბალახი მომეწონა,
ძიბილაი ძურძუკს შევხვდი, მან ძლიერად დამაღონა,
ძღამლის მშვილდი ძეწნის ისრით, მითი დავსცე
მტერთა ონა
და ძღარბსა ძუძუ შეეაწყვიტე, სიკვდილი უჩნს დასაღონა.
ქ: წაღვლი სრულად მოვიარე, წირქვანს მიველ
დია შვებით,
წულუკიძეს წერეთელმა მშვილდი მიძღვნა დია ქებით,

წიფელისა მშვილდი იყო და წაბლისა ისარ გებით
და წეროს ვსტყორცე, წელი მოსწყდა, მიველ, ეგდო
სჳლხდინებით.
ქ: ჭოტორსა ვსვი ღვინო ბევრი, ჭარში გაველ, დევნი
დამხვდეს,
ჭავჭავაძე ჭაბუასა დია ხშირად მიძახოდეს,
ჭანდრის მშვილდი ჭანჭურისა ისრით ხელში მემახოდეს
და ჭაროს ჭიპსა განვატარე, მსწრაფლ სიკვდილსა
ივახვახდეს.
ქ: ხაზარეთით ხუმბალაის მომავალი შეველ სოფლად,
ხოსრო მივალს ხიზანასთან მცირეს ამბის საამბობლად,
ხართუთისა მშვილდი მიძღვნა, ხურმა ისრად მტრისა
მსობლად
და ხიხაურა ხორხში დავსჭერ, მას მართვენი დარჩეს
ობლად.
ქ: ჴარიტონ ვლიდი ვაჭრულად, ჴერხეჳლიძეს ვეძებდი,
ჴორასნით ემოგზაურობდი, ჴადამდი გზაზე დავბერდი,
ჴუნწის მშვილდ ჴოფას ისარად ვაგებდი,
ისარს ვპირებდი
და ჴოჴობსა ჴახას ვასობდი, შევსწვავდი, წინ დავიდებდი.
ქ: ჯიმითით ვლიდი ჯინისტანს, გზას შემხვდა სიცხე,
მწველობა,
მე, ჯიელ ლომსა, ჭაბუკსა, ჯამასპ მასწავლა ხელობა,
ჯღარდლის მშვილდს ჯავზის ისარით ვკრავ, მტერს
არ ექმნეს მრთელობა
და ჯიქსა ჯიგარი გაუპე, მაშინ თქვეს ჩემი ქველობა.
ქ: ჰასურეთით ჰამერიკას მივდიოდი ღამე დღობით,
ჰარონ ვნახე დეკანოზი, ჰოი, მიტბო ვითა ძმობით,
ჰლოს მშვილდი ხელთა მეპყრა, არჯამანკის ისრის
წყობით

და ჰარწივს ჰინს მყისად დავასვი, ძირს დაეცა
უსულობით.
ქ.: ჵი, რა ძნელ ხარ, სოფელო, აყოლა შენი ძნელია,
ჵი, მაბერე უჟამოდ და ღონე გამომელია,
ჵი, დავკარგენ მშვილდი და ისარი ბავრზედ ბევრია
და ჵი, მაშორვე ჩემს თემსა, არღარ ვარ მათში ქველია.

თქმული ბატონიშვილის გრიგოლისაგან ანბანთქება ანზე ვისი ყმა ხარ[29]

ქ.: ასურეთით ამერიკას მოვინებე მიმოსვლანი,
აოსს ვეყმე აბესალომ, როს მასმინა სიტყვის ხმანი,
არყის მშვილდი ალკუნისა ისრით უხმენ ხშირად სხმანი
და ალალს აფსკას მყის დასობით ვეღარ იძლო
ფრთეთა ძვრანი.
ქ.: ბავარია მოვიარე, ბეგლარს მივხვდი გზასა შორად,
ბააკ შემხვდა ბენიამენს, მივიდოდით გზასა სწორად,
ბრწამლის მშვილდსა ბარდის ისრით შევამკობდი
ერთსა ორად
და ბაბრს ბაყვს ვსტყორცე, მყის დაესო, ეს არარას
თუმცა ჭორად.
ქ.: გურიით ვლიდი გოლგოთას, სად არს ბახჩანი იანად,
გაიოზ მნახა შემიტკბო, გურგენ როს მიცნა ჭკვიანად,
გრაკლისა მშვილდი მოვხარე, გუნდ ისრად ვაგე
ფრთიანად
და გუგულს გაფრენილს შევსტყორცე, გულს ეცა ექმნა
ზიანად.
ქ.: დაღისტანი მოვიარე, დიდოს მიველ ერთ დღეს ნელად,
დავით ვნახე დიმიტრიმან, მას ვიცნობდი ადრე, ძველად,
დიდგულისა მშვილდი ვსთალე, ისრად დაფნი ვაგე
ხმელად

და დათვსა ვსტყორცე, დაყვსა ეცა, მას დღე ექმნა
წამსვე ბნელად.

ქ: ერგნეთი მოვლე სრულებით,
ევროპას ვიქმენ მომვლელად,
ელეფთერს შევხვდი, მიმუხთლა,
ევსევ მიჩინა მომკვლელად,
ეკალ-მუხისა მშვილდმჭერი, ეკლის ისარი მომსვრელად
და ერკემალს ენას დავასვი, ვეღარ შეიქმნა მომძვრელად.

ქ: ვენას ვიყავ, მესმა ქება, ვარშავისა წავე ნახვად,
ვასილ ვპოე ვარსანოზმან, მან მიმიღო თვისად სახედ,
ვაშლის ისარს ვარდის მშვილდით ვმძლევნიდი
არა საძრახავად
და ვეფხსა ვენგში ვასვი მწარედ, სიკვდილი უჩნს სავახვახად.

ქ: ზʻუგდითელი ზაʻულისტანს მივისწრაფე ნავის ცურვით,
ზაალ მიცნა ზორბაბელი, მომეხვია დია სურვით,
ზღმარტლის მშვილდსა ზმილაკისა ისარი უდგს არ
საწურვით
და ზირაქსა და ზურგსა ვსტყორცე, მიველ, ენახე,
იყო ურვით.

ქ: ჱრათი მოვლე ჱრევნით, ვიარე ცოტა გვიანად,
ჱვსევიმ მნახა, შემიტკბო, ჱრასტი მიცნა ჭკვიანად,
ჱლიანდრისა მშვილდ მპყრობი, ჱლატს ისრად ედგს
ფრთიანად
და ჱროდეს ვსტყორცე, დაესო, დღე დაუბნელდა მზიანად.

ქ: თბილისს მიველი თავრიზით, შუაღამის დროს ღამესა,
თბილელს ვესტუმრე, შეღონდა, თაყა მცა შესაზარესა,
თუთისა მშვილდი მოვხარე, თელა ისრად უდგს მზარესა
და თუთსა დავასვი ილლიას, ვეღარ იზახდა არესა.

ქ: ივერიით იტალიას მოვინებე უბანთ ნახვა,
ილარიონ იოანეს მიმიწვია, არ დამზრახა,
იფნის მშვილდი ხელთა მომცა, იასამან ისრად მახვა

და იორემსა ვკარ ილლიასა, მას შეექმნა სულთა ახვა.
ქ.: კვიპრიით ვლიდი კასპიად, მომესწრა სიცხე მწეელობა,
კიკოლას შევხვდი ჩოლაყოვს, მე, კოდრატს,
მიქმნა ცვლილობა,
კაკალი მშვილდად გამოვსჭერ, კუნლის ისრისა ძველობა
და კაკაბს გამართულს შევსტყორცე, კუჭს ეცა შექმნა
ხელობა.
ქ.: ლონგინოსს ვახლდი ლუარსაბ, ლუა მიცვალა
სახელად,
ლოხათ ხევითა მავალი ლილოს მივისწრაფ მმახველად,
ლიმონი მშვილდად მოვხარე, ლეღვი ისრად ვყავ
მსახველად
და ლომსა ვესროლე ლოყასა, იქმნა მყის თვალთა
მფახველად.
ქ.: მოსკოვი მოვლე სრულობით, მანდრიტს გავსცურე
გემითა,
მანუჩარ დამხვდა შემიტკბო, მირმანოზს მოვსწონ ქებითა,
მალაჩინისა მშვილდ მჭერი, მურტის ისრისა გებითა
და მაჩვს ვსტყორცე მეჯი მოვსტეხე, მოკვდა სისხლ
მრავალ დენითა.
ქ.: ნინევით ვლიდი ნეაპოლს, თუმც შემხვდა ცუდი
გზანია,
ნარიმანს შევხვდი ნიკოლოზ, ექმნა ჭამადი მზანია,
ნარინჯი მშვილდად, ისარად მიძღვნა ნაკერჩხალ-ბზანია
და ნადირს ნაწლევსა დავასვი, მყისად სულთ ითქვნა ხმანია.
ქ.: ოდიშით ვლიდი ოვსეთად, თემს ვნახე ბევრი ოსია,
ონოფრე შემხვდა განკვირდა, რა მნახა მცნობი ოსია,
ოფისა მშვილდი მომიძღვნა, ოსტერას ისრით ვმოსია
და ოფოფსა ორ ფრთას დავასვი, წამსვე ეფუშა კოსია.
ქ.: პარიჟით ვლიდი, პოლშას მიველიდი, გზა იყო
მეტად მინდორ-მთიანი,

პაატა ვნახე, პარმენის სახეს ვამსგავსე, იყო კეთილ
მზიანი,
პანტისა მშვილდი, აბია ბილდი, პიტუნის ისრით ვსცე
მტერთ ზიანი
და დიდსა პირუტყვსა, სიტყვითა უტყვსა,
პირსა ვესროლე, დღე მხვდა მზიანი.
ქ.: ჟინვარსა გაველ ხიდსა მაგარსა, ჟამურსა
მიველ მთასა აგარსა,
ჟოჟიკს ვიახელ სიტყვითა მკმარსა, ჟამუტი ვეტკბე
ბევრსა საბარსა,
ჟოლოსა მშვილდი, მაგარ საზიდი, ჟინჟლისა ისრით
ვყოფდი სახმარსა
და ჟორჟორაკს ვსვრიდი, მყისად მოვსვრიდი, ტკბილას
იტყვიან იმისა მწვარსა.
ქ.: როსია ვნახე – ყინვითა მღმახე, რომსა მივმართე –
ქებულსა ძველად,
რამაზ ვიხილე, როს განვიხილე, რაინდს მეჩვენა
ავადმყოფ ძნელად,
რცხილის ისარნი პირ რკინისანი, მშვილდი რაფნისა
მოვსწიე ნელად
და რაშსა ვესროლე, არ მცირედმსროლემ, რევმაში ეცა,
მზე ექმნა ბნელად.
ქ.: საქსონსა დავყოფ ხანსა გრძელად, სინდეთს წაველ
ყოველდღე ნელად,
საულ ვიხილე ჭაბუკი ძველად, სოლომონ მოვსწონ
ვაჟკაცად ქველად,
სკუნდისა მშვილდი მტერს ექმნა მკვლელად, სიპონსა
ისრად ვაგებდი ხმელად
და სვავსა შევსტყორცე, დღე უქმნე ბნელად,
სასაში ეცა ვეღარ არს მძვრელად.

ქ: ტყვიავსა ვსვი ღვინო ძველი,
ტულს ვაპირე წასვლა ჩქარად,
ტიტეს შევხვდი მოყვარესა,
ტიქსა მოვსწონ თვისად დარად,
ტერევინდოს მშვილდი მიძღვნა,
და ტყემალი ისრად მდგარად,
და ტიგრსა ტვინსა ვსტყორცე მარჯვედ, სიცოცხლე ხვდა
შესაზარად.
ქ: ურუმია სრულად მოვლე, ურბნისს
წასვლად დავემზადე,
უსიბ ვნახე ულუმპიმან, მან შემიქმნა საგზალ მზადე,
უდის მშვილდსა უნაბისა ისარი უდგს მტერთა მბადე
და უზამბარსა უპესა ვკარ, დღე მზიანი დაუბინდე.
ქ: ფრანციით ვლიდი, ფცას შევხვდი,
სად არს მთანი და გორები,
ფარსადან ვნახე, შემიტკბო, მე ფრიდონს მოვეგონები,
ფუფალი მშვილდად მოვხარე, ისრად ფიჭვ ვაგე მწარები
და ფსვავსა ფეხები ვამტვრიე, სიკვდილს ჰხვდა შენაზარები.
ქ: ქაჯეთს ვიყავ, მოვიარე, ქუთაისად მივალ გზასა,
ქაქუცს შევხვდიო ქაიხოსრო, მე მიყოფდა სადილს მზასა,
ქაცვის მშვილდი ქორაფისა ისრით ვიმახ ხელად მზასა
და ქურციკსა ვკარ, ქეჩოს ეცა, დიდ აქებენ მისსა მწვარსა.
ქ: ღოღეთს მითხრეს ღალის ქება, წამსვე წავე მისა
ნახვად,
ღაზან მნახა, შემიყვარა, მე ღაზნელი თვისად მსახვად,
ღოღნოშოსი მშვილდი მიძღვნა, ღიჭი ისრად ედგა
მწმახვად
და ღორს ღვიძლსა ვკარ წამს დაეცა, ჰყოფდა ხშირად
თვალსა ფახვად.
ქ: ყიზლარსა ვსვი ოტკა ბევრი, ყარაძაჯად ვიქმენ მრები,
ყაარს შევხვდი ყათლან ლომი, მე მისი ვარ მარად მქები,

ყაისისა მშვილდი გვაქვნდა, ყარამფილის ისრის მგები
და ყარყატს ვსტყორცე, ყიას ეცა, მიწას იქმნა დანადები.
ქ.: ჩოჩეთს ვსჭამე ხილი ბევრი, ჩხარს მიველი დიდის ჯაფით,
ჩაჩნაგირსა სტუმრად შევხვდი„ ჩიკო მიცნო სვრილი ქაფით,
ჩამიჩისა მშვილდი მიძღვნა, ჩინარ ვაგე ისრად სწრაფით
და ჩხიკვს ვესროლე, ჩეჩუს ეცა, მივაშ'ერე ხმისა ხაფით.
ქ.: ციმაკურიძე ციცერონს გავყევ ცხავათს ცხომარეთით,
ციცი ვნახე ციციშვილმა, შევიყვარეთ 'ურთიერთით,
ცხრატყავისა მშვილდი მომცა, ისრად ცაცხვი ვაგე ერთით
და ცხვირსა ვსტყორცე, ციყვსა ეცა, მოკვდა, მიველ ხორცისა თრთით.
ქ.: ძურძუკი ვნახე, მამამან შემიტკბო ვითა შვილია,
ძევერით ვლევით ძოვრეთად, მაჭამა ბევრი ხილია,
ძეწნისა მშვილდი ძლვამლ ისრით მტერს ვექად, 'უკლა წილია,
და ძაღლს ვსტყორცე, ძუძუს დაესო, დნებოდა ვითა ცვილია.
ქ.: წირქვილს ვიყავ და წამოველ, წაღვლის ნახვა მომენება,
წიწა ვნახე წინამძღვარმან, მას შევკადრე შეგონება,
წაბლის მშვილდი წიფლის ისრით ვსთალე, ვუქმენ შემოგება
და წეროს ვსტყორცე, წელი მოსწყდა, სიცოცხლით ჰხვდა შეღონება.
ქ.: ჭოტორი ვნახე, ჭარს მიველ, სადა არს ლეკნი ხშირობით,
ჭაბუა მიცნა ჭაჭულამ მისრ'ულ მიმავალ მწირობით,
ჭინჭრისა მშვილდი გამოვსჭერ, ჭანჭატის ისარ მდგმურობით

და ჭარის ჭიპსა ვკარ, მალ მოკვდა, სიცოცხლეს ექმნა
მდურობით.

ქ.: ხადას ვიყავ ხორასანი, სრულად მოვლე ბანის ბანი,
ხოზრო მნახა ხიზანამან, სიტყვა მკადრა თანის თანით,
ხოფას მშვილდი, ხურმა ისრად, შევამკობდი ამისთანით
და ხიხაურას ხორხში დავჭერ, თავს აგდებდა, მოვსჭერ
დანით.

თქმული მეფის ძის ძის გრიგოლისაგან ოთხი ხანა ანბანთქება ოთხ ტაეპში გამოყუანილი მთელი ანბანი სანკტპეტრებურღსა შინა

ჩახრიხაული ფისტიკაურად
პირველი ლექსი[30]

ამოდ ბაგითა, გულის დაგითა, ეშხს ვინა ზომდეთ,
ცრთს თვით ინებით,
კავ-ლამაზ-მანგით, ნარგიზ ორ პუნგით,
ჟუჟუნ რწყვის ტრფობა უხვად ფინებით
ქნარ-ღუღუნობით, ყელ-შუბლ-ჩინობით ცა ძრწოდა წვითა
ჭირის ხდინებით,
და ჴელის ხმარებით მაშა ჯაჭვებით, ჰი არ მიკითხავ, ჵი,
ვანჴბით.

იგივე ფისტიკაური მისგანვე

ამას ბრძანებ გუნდ დაწყობად ესე ვითა ზჲმით ჱრთა,
თიფ იმ კრებით, ლომად მწყობრნი ნავარდ ონართ
პობით ჟღერთა,
რაზმ-სტრფო ტურფათ, უცხოდ, ფაქიზ, ქება ღირს
ყოფს შვებად ჩვენთა
და ცნობ ძალ-წევად ჭაბუკთ ხლმითა ჴელითა
ჯაჭვთ ჰე ჵებითა.

ჩახრიხაული მისგანვე

ამად ბულბულ გულსა დაღად, ერჩდი ვარდსა,
ზეზედ ჱბით,
თეთრ ირესჲ, კავ-ლალისე, მნათო, ნაზჲ,
ორ პყრობ ჟებით.
რონდ საამო, ტურფ უნაზო, ფაქიზ ქანად, ღიმილ ყბებით,
და შროშან ჩარად, ციმც-ძღუნი წყნარად,
ჭურეტ ხან ჴელად ჯდომ ჰე ჵბით.

მისგანვე თქმული ანბანთქება ჩახრუხაულად

ალვა ბუტკი გულსა დაღად ერხევ ვარდად ზრო ჱლვებით,
თან ისარე კავ-ლოყ-მაშვენ, ნარგიზ ოლე-პირ ჟუჟუნობით,
რეა სარე, ტან-უბეთა ფშვი ქარ-დაწ-ყელ შუქ-ჩარჩოში
და ცისკრებრთ ძუძუთ, წამწამთ ჭურეტა ხდის ჴელად
ჯართ ჰი ჵებით

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი[31]

1.

სიბრძნჳდ კმა არს ვინც გამოსცნობს ნივთსა ამას
სახელდებით,
უვისოდცა ყოველნი არსნი წუხან დრტვინვით უდებებით,
ვის გამოსვლას სასძლოთ გამო, მოელიან მიგებებით
და ვინცა გვითხრას, რა არს ესე, აღვამაღლო იგი ქებით.

2.

კვლავ ამის კვალსა შემდგომი, ბრწყინავს პირბადე ბურვილი,
სიხარულს მიჰფენს, ვით სევდა გულზედა ჰქონდეს ხურვილი,
მისის მშვენებით დატკბების მუშა, ოფლ-მონაწურვილი,
ამის სახელი ვინცა ჰსთქუას, მას აღუსრულდეს სურვილი.

3.

მათ შვილად აღსარებულთა, მრავალთა, დაუთვალავთა,
მათებრ უცხოთა შვენებით, გამოსვლით დაუღალავთა,
ყოვლის კაცისა ნუგეშთა, მწუხარებისა მლალავთა,
ნაძლევი მოგვეც, ვინც ჰპოვებთ მათ, ქვეყნად დაუმალავთა.

შენიშვნები

1. ლექსი დაცულია სამ ხელნაწერში; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 2130, 66v; S 3686, 136r-137r; სანკტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდი, იოანე ბატონიშვილის კოლექცია, № 358, 30r. მცირე ანთოლოგიაში ეს ლექსი ოთხი სტროფია. აკლია მეხუთე სტროფი. დანარჩენ ორ ხელნაწერში ხუთივე სტროფია. შეინიშნება მცირე ვარიანტული სხვაობა. ლექსი გამოქვეყნებულია დ. ჩუბინოვის და გ. სკანდაროვის მიერ. იხ. დ. ჩუბინოვი, ქართული ქრესტომათია, პეტერბურღი, 1863, გვ. 21. გ. სკანდაროვი, სალხინო-საზანდარი... ტფ., 1895, გვ. 263-264.
2. ლექსი დაცულია ხუთ ხელნაწერში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 2130; სანკტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდი, იოანე ბატონიშვილის კოლექცია, № 358, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი S 3686, 113r-115r; რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის განყოფილებაში E 131 12r, სანკტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციაში №44 (14r). შეინიშნება მცირე ვარიანტული სხვაობა. ლექსი დაიბეჭდა ორჯერ: 1. დ. ჩუბინოვი, ქართული ქრესტომათია, პეტერბურღი, 1863, გვ. 122-123. 2. გ. სკანდაროვი, სალხინო-საზანდარი... ტფ., 1895, გვ 60-62. ლექსი შედგება ხუთი სტროფისაგან. ყველა სტროფი რეფრენულია.
3. ლექსი დაცულია დიდ ანთოლოგიაში H 2130, 287r-297r. შედგება შვიდი სტროფისაგან. თითოეულ სტროფში შვიდი სტრიქონია, ყველა სტროფის ბოლოს მეორდება რეფრენი:
   "გახსოვდეთ მაინც, გვიგონებდეთ სიყუარულ ძმურით,
   თქვენ იხარებდეთ, ჩვენ კარგულნი ვიქნებით ურვით".

4. ლექსი დაცულია მხოლოდ დიდ ანთოლოგიაში H 2130, 29r-30r. შედგება ხუთი მუხამბაზური სტროფისაგან. თითოეულ სტროფში ექვსი სტრიქონია. ყველა სტროფი რეფრენულია.
5. ლექსი დაცულია მხოლოდ ერთ ხელნაწერში; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 2130, 45v-48v. შედგება 34 სტროფისაგან. პირველი სტროფი ჩახრუხაულია, დანარჩენი თექვსმეტმარცვლოვანი რუსთველური შაირია.
6. ლექსი დაცულია ერთ ხელნაწერში; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 378. ლექსი გამოცემულია, იხ: თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, გვ.
7. ლექსი დაცულია ერთ ხელნაწერში; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 378.
8. ლექსი დაცულია ერთ ხელნაწერში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 2226, 143r.
9. ლექსი დაცულია ერთ ხელნაწერში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 2130, 145v.
10. ლექსი დაცულია სანკტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციაში, 21r-22r, შედგება ხუთი მუხამბაზური სტროფისაგან. თითოეულ სტროფს აქვს რეფრენი.
11. ლექსი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში: S 3686, იხ. ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 145-149.
12. ლექსი მოთავსებულია ორ ხელნაწერში, H 2130, 64r-65r და სანკტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციაში, 29r-30r. შეინიშნება მცირე ვარიანტული სხვაობა. ლექსი გამოქვეყნებულია, იხ. ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1964, გვ. 145-149.

13. ლექსი მოთავსებულია ორ ხელნაწერში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, H 2130, 64r და სანკტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდი, იოანე ბატონიშვილის კოლექცია 20r-21r. შეინიშნება მცირე ვარიანტული სხვაობა. სტროფები რეფრენულია.
14. ლექსი დაცულია მხოლოდ ერთ ხელნაწერში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, H 2130.
15. ლექსი დაცულია სანკტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდში, იოანე ბატონიშვილის კოლექციაში. 22r-23r. სტროფები რეფრენულია.
16. ლექსი დაცულია ერთ ხელნაწერში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, H 2130, 85v-86r.
17. ეს ლექსი დაცულია ხელნაწერში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, H 2130. გამოქვეყნებულია ტ. რუხაძის მიერ. იხ. ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 147.
18. ლექსი დაცულია ხელნაწერში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, H 2130, გამოქვეყნებულია, იხ. ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 148.
19. დაცულია მხოლოდ ერთ ხელნაწერში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, H 2130, 92v-93r.
20. ლექსი დაცულია მხოლოდ ერთ ხელნაწერში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, H 2130, 75v-77r.
21. ლექსი დაცულია ხელნაწერებში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, S 3686, 129v-130r; რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილებაში M 5, 109v. შეინიშნება მცირე ვარიანტული სხვაობა.

22. ლექსი დაცულია ხელნაწერებში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, H 2130, 71r-74v; სანკტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდი, იოანე ბატონიშვილის კოლექცია №358, 9r-102v.

23. ლექსი დაცულია ერთ ხელნაწერში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 303, 61v.

24. ლექსი დაცულია ერთ ხელნაწერში, სანკტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციაში № 358, 31r.

25. ლექსი დაცულია ერთ ხელნაწერში, სანკტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციაში № 358, 35r.

26. ლექსი დაცულია ერთ ხელნაწერში, სანკტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციაში № 358, 8r-9v.

27. ლექსი დაცულია ერთ ხელნაწერში, სანკტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციაში № 358, 8r-9v.

28. ლექსი დაცულია ერთ ხელნაწერში, სანკტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციაში № 358, 1r-7r.

29. ლექსი დაცულია ერთ ხელნაწერში, სანკტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციაში № 358, 39r-40.

30. ოთხივე სტროფი დაცულია ოთხ ხელნაწერში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, H 2130, 53v; სანკტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციაში, 7r-8r; S 155; S 3686. ლექსი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, H 2130, 94r-94v. ყველა სტროფი რეფრენულია.

31. გამოცანები დაცულია ხელნაწერებში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 3686, 116r-126r, 127r-128r; რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილება, M5, E 131, E 114 ხელნაწერებში.

32. ჩვენს კრებულში არ შევიდა გრიგოლის რამოდენიმე ლექსი და მისი ეპიკური თხზულებები: „გალექსილი ქართლის ცხოვრება" (მოთავსებულია ერთ ხელნაწერში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი E 79); „იესე მოძღვრის გლოვა" (მოთავსებულია ერთ ხელნაწერში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, H 2130); „მოგზაურობა პეტერბურგიდან ვილნომდე" (დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, H 2178).

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა ---------- 3

გრიგოლ ბაგრატიონის ბიოგრაფიული და შემოქმედებითი პორტრეტი ---------- 6

შესავალი ---------- 8

გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრების გზა ---------- 15

გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედება ---------- 32

ლირიკა ---------- 58

სატრფიალო-სამიჯნურო ლირიკა ---------- 75

ეპოსი ---------- 92

სამოგზაურო-მემუარული ჟანრი ---------- 117

ანბანთქებანი ---------- 132

აკროსტიხები ---------- 142

გამოცანები ---------- 146

რუკა ---------- 149

დასკვნა ---------- 151

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 155

პოეზია ---------- 161

ბატონიშვილის გრიგოლისაგან თქმული "გამიფრინდა სიხარულის ფრინველის ხმაზედ" ---------- 162

თქმული (მასზედუჱ მისგანვე) მუხამბაზი ---------- 163

გრიგოლ ბატონიშვილის ნათქუამი მუსტაზადი, ოდეს პეტრეზაოდს იჯდა ტუსალათ ქართველთადმი მისწერა ---------- 165

ბატონიშვილის გრიგოლისაგან თქმული "თარი ბექაბაშის ხმაზედ" პეტრეზაოდსა შინა ---------- 167

ლექსი არს ჩახრუხაული ---------- 169

...დიდება შენდა ---------- 175

...ურაოდენოდ უვითარომან ---------- 178

...როს იკითხვიდე ---------- 180

თქმული მეფის ძის ძის გრიგოლისაგან ძაგნაკორული ლექსი ---------- 181

მუხამბაზი მისგანვე თქმული ---------- 181

მისგანვე თქმული მასზედუჱ მუხამბაზი ---------- 183

მისგანვე მასზედვე მუხამბაზი ---------------------------- 184
თქმული მეფის ძის გრიგოლისაგან ასტარხანში ------------ 186
თქმული მეფის ძის ძის გრიგოლისაგან „ვიშ, რა გვიამას“ ხმაზე -- 188
თქმული მეფის ძის ძის გრიგოლისაგან ანასტასიაზე მუსტაზადი --- 189
თქმული მეფის ძის ძის გრიგოლისაგან „სიხარული მობრძანდის“ ხმაზე ---------------------------------- 191
“ვიხილე ტურფას” ხმაზე ითქმის ------------------------ 193
მასზედვე მისგანვე მუხამბაზი თქმული ------------------ 194
“...სუჱ ჩემი...” -- 196
“მაღრიმ შენთან შექცევას” ხმაზე ------------------------ 197
თქმული მეფის ძის ბატონიშვილის გრიგოლისაგან ხელმწიფის ძმის მოძღურის ქალზე ---------------------- 199
“გულფიცხელი მმუხანათობს...” --------------------------- 200
“უწყალომ ტრფიალებამ...” -------------------------------- 203
„ალვა დარგულსა...“ -------------------------------------- 205
“ეკატერინავ...” --- 205
ანბანთქება --- 206
მისგანვე მასზედუჱ მუხამბაზი ანბანთქებით --------------- 207
ანბანთქება “ანზე ვისი ყმა ხარ” ------------------------- 209
თქმული ბატონიშვილის გრიგოლისაგან ანბანთქება --------- 216
ოთხი ხანა ანბანთქება ------------------------------------ 222
გამოცანები -- 224
შენიშვნები -- 225

წიგნში გამოყენებულია სანკტ-პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული გრიგოლ ბაგრატიონის ხელნაწერების ფოტოპირი.

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge